

რუსთველის კაბინეტი

ლევან მენაგღე

**„ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს  
ეროვნულ-გამათავისუფლებელი  
მოძრაობის მოღვაწენი  
(მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი)**

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თ ბ ი ლ ი ს ი

1967

შრომაში განხილული და შეფასებულია საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა (ი. ჰაეჰაეძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა) რუსთველოლოგიური შეხედულებანი; ნაჩვენებია ამ ნააზრევის როგორც ისტორიული, ისე მეცნიერული ღირებულება თანამედროვე თვალსაზრისით. გარკვეულია „ვეფხისტყაოსნის“ როლი საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ნაშრომი განკუთვნილია „ვეფხისტყაოსნის“ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

## კვტორისკან

„ვეფხისტყაოსანი“ საუკუნეთა მანძილზე იყო ქართველთა იდეურად შთამაგონებელი და სულიერად მასაზრდოებელი უშრეტი წყარო. იგი ყოველთვის დაუცხრომლად ქადაგებდა სამშობლოს ღრმა სიყვარულის, ჰუმანიზმისა და ხალხთა ძმობა-მეგობრობის დიად იდეებს. მას არა ერთხელ შეუსრულებია მნიშვნელოვანი როლი: ქართველთა შორის ეროვნული გრძნობების გაღვივების საქმეში. ერთობ დიდი როლი შეასრულა „ვეფხისტყაოსანმა“ მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში.

დასახელებული მოძრაობის თავკაცები (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხვ.) იჩენდნენ „ვეფხისტყაოსნის“ საფუძვლიან ცოდნას და დაუფარავად ამჟღავნებდნენ უსაზღვრო სიყვარულს გენიოსი შემოქმედისადმი, კარგად ერკვეოდნენ რუსთველოლოგიურ პრობლემებში. დაბეჯითებით ამტკიცებდნენ პოემის ორიგინალობას, მიიჩნევდნენ მას ქართული სინამდვილის მხატვრულ გარდასახვად და ერის სულიერ ზრახვათა ამსახველად. ისინი საგანგებოდ წარმოაჩენდნენ რუსთველის სიბრძნესა და მისი შემოქმედებითი აზრის ძალმოსილებას. „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ სიღრმესა და მხატვრულ ელვარებას. მათ თავიანთ საბრძოლო მოწოდებებად რუსთველის ზოგადსაკაცობრიო იდეალები მიიჩნიეს და ქართველთა ეროვნულ-კულტურული მოწიფულობის საბუთად „ვეფხისტყაოსანი“ აღიარეს. თავიანთი რუსთველოლოგიური ნააზრევით და საზოგადოებრივ-ლიტერატურულსა თუ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში „ვეფხისტყაოსნის“ ოსტატური გამოყენებით ისინი ხელს უწყობდნენ ქართველთა შორის ეროვნული გრძნობის განმტკიცებას, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის კიდევ უფრო მეტი ძალით გაჩაღებას.

წინამდებარე შრომაში მიმოხილულია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეთა რუსთველოლოგიური ნააზრევი, ნაჩვენებია „ვეფხისტყაოსნის“ ცხოველმყოფელი გავლენა გასული საუკუნის გამოჩენილი მწერლების კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე.

---



## რუსთველოლოგიის დონე მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყველა თვალსაჩინო მოღვაწე, რომელსაც კი ჩვენ ქვემოთ მოვიხსენიებთ, საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა სამოციან წლებში (გამონაკლისს მხოლოდ ვაჟა-ფშაველა წარმოადგენს). იმ დროისათვის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა არ იყო გაშლილი სათანადო მასშტაბით, რუსთველის მხატვრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა, მაგრამ ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა წარმოებდა და ერთგვარი წინსვლაც შეინიშნებოდა. სახელდობრ, არსებობდა „ვეფხისტყაოსნის“ ოთხი გამოცემა და გამოქვეყნებული იყო რამდენიმე საინტერესო შრომა რუსთველოლოგიის საკითხებზე. რადგან ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და მათი თანამოღვაწენი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს ძირითადად ბეჭდური გამოცემებით ეცნობოდნენ და ამავე დროს ხშირად სარგებლობდნენ სპეციალური ლიტერატურით, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლე დახასიათება როგორც პოემის ადრინდელი პუბლიკაციებისა, ისე 60-იანი წლებისათვის არსებული რუსთველოლოგიური ლიტერატურისა.

### „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები

I. 1709 წელს გამოჩენილმა სახელმწიფო მოღვაწემ და განსწავლულმა მწიგნობარმა ვახტანგ მეექვსემ (1675—1737) თბილისში დააარსა სტამბა და გააჩაღა ფართო მასშტაბის საგამომცემლო საქმიანობა. სტამბის დაარსება თბილისში სავსებით კანონზომიერი შედეგი იყო ქართული კულტურის იმ აღმავლობისა, რომელსაც იგი განიცდიდა XVIII საუკუნის დამდეგს. ვახტანგის ღრმაშინაარსიანი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-საგანმანათლებ-

ლო მოღვაწეობის საერთო ფონზე ადვილი გასაგებია თბილისში ქართული სტამბის დაარსების მიზეზი და ვითარება. ეპოქის კულტურულ-შემოქმედებითი ცხოვრების ღირსეულ მეთაურს არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიექცია ამ საქმისათვის და არ ეზრუნა ქართული სტამბის გამართვაზე. მიუხედავად მაჰმადიანურ-ჩამორჩენილი გარემოცულობისა, ტექნიკური სირთულისა და ფინანსური დაბრკოლებისა, ვახტანგმა მაინც შეძლო ამ საქმის დაგვირგვინება.

ვახტანგის სტამბის სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო მნიშვნელობა განუზომელია. თავდაპირველად იგი თითქოს მხოლოდ ქართლის მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად დაარსდა, მაგრამ დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის გამო მალე საერთო-ქართულ ეროვნულ დაწესებულებად იქცა და იქიდან გამოსული წიგნები მთელ საქართველოს მოეფინა<sup>1</sup>.

თბილისის სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შოთა რუსთველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (1712 წ.)<sup>2</sup>. მისი გამოქვეყნება უშუალოდაა დაკავშირებული ვახტანგის სახელთან; ვახტანგი იყო ამ გამოცემის ინიციატორი, სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი. აღნიშნულის გამო მას, ჩვეულებრივ, ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანს“ უწოდებენ<sup>3</sup>.

ვახტანგი ძალზე მაღალი წარმოდგენისა იყო რუსთველზე და ყოველთვის სითბოთი და სიყვარულით წერდა მის პოემაზე. თვით შესანიშნავ პოეტსა და მოაზროვნეს კარგად ესმოდა პოემის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, იდეურ-შემეცნებითი ღირებულება, მხატვრულ-ლიტერატურული ღირსება. მისი დასკვნით, „რუსთველისა წიგნი სულ სასწავლებელი არის“<sup>4</sup>.

ვახტანგმა გულისყურით შეისწავლა რუსთველის პოემა, დაადგინა ტექსტი და გამოაქვეყნა იგი ვრცელი კომენტარებით (1712 წ.). არსე-

<sup>1</sup> ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში (1709—1722), თბ., 1955.

<sup>2</sup> ვეფხის ტყაოსანი, აწ ახალი დაბეჭდული ქართულს ენასა ზედა ეამსა ამაღლებულისა საქართველოს მპყრობელისა უფლისა უფლისა ვახტანგისისა, შრომითა და წარსაგებელითა მისვე მპყრობელისათა. გაიმართა ჰელითა ჰელმწიფის კარას დეკანოზის შეილის მიქელისათა, ქალაქსა ტფილისისასა, ქრისტეს აქეთ ათას შეიდას და თორმეტსა, დასაბამითგან ვიდრე აქამომდე შვიდიათას ორას ოცსა.

<sup>3</sup> ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ აღადგინა და გამოსცა ა. შანიძემ. იხ. შოთა რუსთველი, ვეფხის ტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, თბ., 1937.

<sup>4</sup> იქვე, გვ. ტა.

ბითად ეს იყო „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემა.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი. მასში დაბეჭდილია 1587 სტროფი<sup>1</sup>. ცნობილია გაცილებით მეტი სტროფის შემცველი ხელნაწერები. მაგალითად, 1691 წლის ხელნაწერში 2126 სტროფია. სულ შემონახულია 2200-ზე მეტი სტროფი (მათგან ზოგი რუსთველისაა, ზოგი კი ცნობილი თუ უცნობი ინტერპოლატორებისა). ასე რომ, ვახტანგისეული გამოცემა სტროფების შედარებით ნაკლებ ოდენობას შეიცავს და მოკლე რედაქციას წარმოადგენს.

კარგა ხანია კამათს იწვევდა საკითხი: ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ რომელიაღ ძველი, — ჩვენთვის უცნობი, — ხელნაწერის ზუსტი და უცვლელი პირია თუ ვრცელი რედაქციის მეცნიერულად შემოკლებული ტექსტი, კრიტიკულად დადგენილი მოკლე რედაქცია. მართალია, თავისთავად ძნელი წარმოსადგენია, რომ ვახტანგს არ შეესწავლა ხელნაწერები, გულდასმით არ ემუშავა ტექსტზე და უცვლელად დაბეჭდა რომელიმე ხელნაწერის პირი, მაგრამ საკითხი მაინც დადგა მეცნიერული პაექრობის დღის წესრიგში და კამათი მრავალი წლის მანძილზე გაგრძელდა. აღნიშნული საცილობელი საკითხი გაარკვია და გადაჭრა ა. შანიძემ<sup>2</sup>. მან პირველმა შენიშნა, რომ ვახტანგის „თარგმანში“, რომელსაც ქვემოთ სპეციალურად შევეხებით, განმარტებულია ზოგი ისეთი სიტყვა თუ სტროფი, რომელსაც პოემის დაბეჭდილ ტექსტში (1712 წ.) ვერ ვხვდებით და შემონახულია მხოლოდ ვრცელი რედაქციის შემცველ ხელნაწერებში. უცილობელია, ვახტანგს ხელთ ჰქონდა პოემის ვრცელი რედაქცია და მას უწერდა კომენტარს. სტამბურად კი დაიბეჭდა შემოკლებული, შეძლებისდაგვარად კრიტიკულად დადგენილი ტექსტი. რასაკვირველია, ტექსტი დაადგინა არა ქართული სტამბის რომელიმე მუშაკმა, არამედ თვით ვახტანგმა. ის იყო გამოცემის მესვეური, მეცნიერი კომენტატორი, პრინციპული საკითხების გამრკვევი და გადამწყვეტი. უთუოდ ის იყო ტექსტის დამდგენიცა და რედაქტორიც. მაგრამ მან

<sup>1</sup> მართალია, ამ გამოცემის უკანასკნელი სტროფი ჩჰბთ (=1589)-აა დანომრილი, მაგრამ, როგორც ეს ჯერ კიდევ მ. ბროსემ შენიშნა (ვეფხისტყაოსანი, სპბ., 1841, გვ. XI), სინამდვილეში მასში 1587 სტროფია. სტროფების სათელავეში შეტეობები: აკლია ნგ (=53), რნე (=155) და ტლდ (=334), მეორდება რაა (=161). ამ საკითხზე იხ. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. 350.

<sup>2</sup> შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. 388—394; ა. შანიძე, თხზულებანი, II, „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები, 1, თბ., 1966, გვ. 67—76.

მუშაობის შეწყვეტა და ისპანს გამგზავრება მოუხდა (22. IV. 1712), ხოლო საქმის განგრძობა ხელმწიფის კარის დეკანოზის შვილს მიქელს დაევალა. ეს უკანასკნელი იყო გამოცემისათვის პასუხისმგებელი რედაქტორ-კორექტორი. მან საერთოდ დავალება კარგად შეასრულა, მაგრამ ვახტანგის „თარგმანიდან“ აკარუსთველისეულად მიჩნეული სტროფების კომენტარები არ ამოიღო და პოემის ტექსტი და „თარგმანი“ ერთურთს არ შეუღარა. ამით აიხსნება ის შეუთანხმებლობა, რომელიც დღეს შეინიშნება ვახტანგის „თარგმანსა“ და პოემის გამოქვეყნებულ ტექსტს შორის<sup>1</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა საყურადღებოა არა მხოლოდ ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, არამედ გარეგნული გაფორმებითაც. ის წარმოადგენს შესანიშნავად მომზადებულსა და მშვენივრად შემკულ გამოცემას. კამარა (პოემის დასაწყისში), ზორღურები (თავების დასაწყისში), ბაგრატიონთა გერბი, ვახტანგის სურათი და სხვ. — ყველაფერი დიდი გემოვნებითა და ნატიფი ხელოვნებითაა შესრულებული. პოემის ტექსტი დაბეჭდილია შავი ფერით, სათაურები, სტროფების დასაწყისი პირველი სიტყვები — წითელი ფერით. გამომცემლებმა გაითვალისწინეს, რომ რუსთველის ტაეპების სიგრძე ყოველთვის თანატოლი არ იყო და გარეგნულად ვერ ტოვებდა სასიამოვნო შთაბეჭდილებას. ამიტომ მათ ხელნაწერთა ტრადიცია აღადგინეს, ტაეპები ერთ სიგრძეზე გაჭიმეს, ერთმანეთს გაუტოლეს და საამო სანახავი გახადეს. გარეგნული გაფორმებით ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ ერთ-ერთი პირველთაგანია რუსთველის პოემის ბეჭდურ გამოცემებს შორის<sup>2</sup>.

II. მე-19 საუკუნის 20—30-იან წლებში კვლავ დაისვა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის საკითხი. ცნობილი ფრანგი მეცნიერი, გამოჩენილი ქართველოლოგი მ. ბროსე (1802—1880) ჯერ კიდევ პარიზში ყოფნის დროს აპირებდა პოემის ლითოგრაფიულად გამოქვეყნებას, მაგრამ, რადგან ქაშნიკად დაბეჭდილი ფურცელი დაუწუნეს, წამოწყებულ საქმეზე ხელი აიღო და მხოლოდ პეტერბურგში დასახ-

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ (გამოცემის 250 წლისთავის გამო), წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1964, გვ. 3—37.

<sup>2</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემის გარეგნულ გაფორმებაზე იხ. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. 343, 404—406 და შმდ.; ა. შანიძე, თხზულებანი, II, გვ. 5—7; შ. კვასხვაძე, ვახტანგ VI სტამბის წიგნი, თბ., 1952, გვ. 158—162; ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 195—198; ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან (XVII—XIX სს.), თბ., 1966, გვ. 17—20.

ლებისა და იქაურ ქართველ მწიგნობრებთან დაასლოების შემდეგ განაგრძო მზადება „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემისათვის. მალე შედგა და დაიბეჭდა „პროღრამა“ გამოცემისა. მასში აღნიშნული იყო, რომ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“ „სრულებით განიყიდა“, მაგრამ „მრავალნი წიგნი დაიკარგნენ ეჟამსა ტფილისის ალებისა და დაწვისა. ჩლყე (= 1795) წელსა, ხოჯა ალა-მაჰმად-ხანისაგან“. ამის შემდეგ პოემის როგორც ხელნაწერი, ისე ნაბეჭდი ეგზემპლარი ძალზე გაძვირდა, ხოლო მოთხოვნილება კვლავ დიდი იყო: „საქართველოსა შინა ყოველთა კსურსთ ქონება თვისისა ტარიელისა, რომელსა იკითხვენ ნიადაგ, სწავლობენ ზეპირად და წარმოთქვენ მისგან შაირთა, ოდეს უნდათ მოხსენება რომლისამე კეთილშობილურის გრძნობისა. მაღლის პაზრისა ანუ სახელოვანის მოქმედებისა“<sup>1</sup>. ყოველივე ამან ძალა შექმნათა მ. ბროსესა და მის თანამშრომლებს.

1841 წელს მ. ბროსემ, ზ. ფალავანდიშვილმა (1817—1845) და დ. ჩუბინაშვილმა (1814—1891) დაბეჭდეს „ვეფხისტყაოსანი“ და „უმდაბლესის პატივისცემის, გულითადის მადლობისა და სამარადისო ერთგულების ნიშნად“ მიუძღვნეს თეიმურაზ ბაგრატიონს (1782—1846)<sup>2</sup>. აღნიშნული გამოცემის შედგენილობა ასეთია: წინასიტყვაობა (გვ. VII—XIV), „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი (გვ. 1—223). მ. ბროსეს სახელით დაბეჭდილი 9-სტროფიანი ლექსი (გვ. 223—224) და „მცირე ლექსიკონი“ „უხმართა მდაბიურს ლაპარაკში და ძველთა სიტყვათა, რომელნიც „ვეფხვის-ტყაოსანში“ იპოვებიან“ (გვ. 225—238).

რუსთველის სახელით ამ გამოცემაში დაბეჭდილია 1637 სტროფი<sup>3</sup>. როგორც აღვნიშნეთ, ვახტანგისეულ გამოცემაში 1587 სტრო-

<sup>1</sup> აღ. კობახიძე, ლენინგრადის საარქივო მასალები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, „კომუნისტი“, 12. X. 37, № 234 (5035); ე. მეტრეველი, გ. ავალიშვილი — ბიბლიოფილი და კოლექციონერი, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1959, გვ. 248—249; აღ. კობახიძე, ნარკვევები, IV, გვ. 63; ი. მეტრეველი, „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემის პროგრამა, „ლიტერატურული საქართველო“, 20. VIII. 65, № 34 (1463); მისივე, Из истории русистологии, „Литературная Грузия“, 1961, № 12, გვ. 69—70.

<sup>2</sup> ვეფხვის-ტყაოსანი, რუსულად Барсова кожа, პოემა დაწერილი მოთთარუსთველის მიერ, ახლად დაბეჭდილი შეერთებულითა ლეწლითა უფალთა ბროსეტ, ზ. ფალავანდიშვილისა და დ. ჩუბინაშვილისათა, სპბ., 1841.

<sup>3</sup> სტროფები დანომრილია ასოებით — აჩქლზ (=1—1637). მართალია, გამოტოვებულია 4 მაჩვენებელი (ჩრი, ჩსბ, ჩსიგ, ჩტი), მაგრამ ამდენივე მეორდება (ჩსკგ, ჩტმე, ჩტმე, ჩტმზ). ასე რომ, საბოლოო რიცხვი 1637 (=ჩქლზ) უცვლელი რჩება.

ფი იყო. ახალი გამოცემის მესვეურებმა, მ. ბროსეს სიტყვით, დაუმატეს 48 სტროფი<sup>1</sup>. მ. ბროსეს ცნობას ჩვეულებრივ შეუმოწმებლად იწყნარებენ<sup>2</sup>. სინამდვილეში ის არც სწორია და არც ზუსტი. დამატებულ სტროფებს შორის მ. ბროსე ასახელებდა უკთ (414) სტროფსაც, მაგრამ ის გვხვდება ვახტანგისეულ გამოცემაში (უთ). ამასთანავე სამი სტროფი—ს (196<sup>3</sup>), ტი (301), ტნ (338<sup>1</sup>) შეტანილია დამატებით, მაგრამ არაა მოხსენიებული წინასიტყვაობაში. ასე რომ, 1841 წლის გამოცემაში დამატებით დაბეჭდილია 50 ისეთი სტროფი, რომელიც ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანში“ არ იყო<sup>3</sup>.

რით ხელმძღვანელობდა კომისია სტროფების რაოდენობის გაზრდისას? ამ საკითხზე მ. ბროსე შემდეგს გვაუწყებდა: „სტიხნი, რომელნიცა ჩვენ ახალს დაბეჭდილში ჩაუმატეთ, იპოვებიან მხოლოდ

<sup>1</sup> სახელდობრ, რიგ. რნა, რა, რაგ, რაზ, რეე, სიგ, სკბ, სმბ. სპდ. ტე, ტია. ტლ, ტლგ, ტმგ, ტნგ, ტნე, ტპზ, ტყ, უკთ, ულ, უნბ, ფიშ, ფათ, ფეზ, კბ, კნთ. ქოვ. ლლ, ლლზ, ლმდ, ლმე, ლპო. ლე, ყა, ყგ, ყლ, ყლა, ყლზ. ყნბ, შპზ, ჩმე. ჩტიე, ჩტმზ, ჩუკე, ჩფლთ, ჩფნ, ჩფაე. „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წ. გამოცემისა და ჩანართ-დანართის („ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი და დანართი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა და წინასიტყვაობა შენიშვნებით დაურთო ს. იორდანიშვილმა, თბ., 1948) ნუმერაციით 1841 წლის გამოცემაში ჩამატებული უნდა იყოს შემდეგი სტროფები: 114<sup>1</sup>, 152, 160<sup>1</sup>, 162<sup>1</sup>, 175<sup>1</sup>, 180<sup>1</sup>, 208<sup>1</sup>, 216<sup>1</sup>. 235<sup>1</sup>, 276<sup>1</sup>, 297<sup>1</sup>, 302, 321<sup>1</sup>, 323, 332<sup>1</sup>, 338<sup>1</sup>-ა, 342<sup>1</sup>, 373, 376<sup>1</sup>, 414, 415, 436<sup>1</sup>. 502<sup>1</sup>, 553, 581, 586, 642<sup>1</sup>, 658<sup>1</sup>, 711<sup>1</sup>, 717<sup>1</sup>, 723<sup>1</sup>, 723<sup>2</sup>, 766<sup>1</sup>, 766<sup>2</sup>, 776<sup>1</sup>, 777<sup>1</sup>, 803<sup>1</sup>, 803<sup>2</sup>, 808<sup>1</sup>, 822<sup>1</sup>, 956<sup>1</sup>, 1014<sup>1</sup>, 1279<sup>1</sup>, 1310<sup>1</sup>, 1391<sup>1</sup>, 1503<sup>1</sup>, 1514, 1528<sup>1</sup>.

<sup>2</sup> მ. ბროსეს ცნობას იმეორებენ ს. კაკაბაძე (შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 27-ე გამოცემა, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, თბ., 1927, გვ. CXLIII), ა. შანიძე (შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. 389: ა. შანიძე, დღევანდელი ვითარება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საქმეში, „მნათობი“, 1965, № 10, გვ. 119), ი. აბულაძე („ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის საკითხთა კვლევის ისტორია, კრებული: „შოთა რუსთაველი სკოლაში“, თბ., 1937, გვ. 222), ალ. ბარამიძე (ნარკვევები, IV, გვ. 7). დ. ჩუბინაშვილის ცნობითაც, 1841 წლის გამოცემაში თითქმის დამატებით დაიბეჭდა 48 სტროფი (იხ. მისი О грузинской поэме „Вепхис-тқаосანი“ или „Барсова кожа“, ЖМНП, 1842, XXXV, №8, გვ. 9 (ცალკე ამონაბეჭდი); ЗКВ, 1850, № 41, გვ. 163).

<sup>3</sup> ამას უბრალო არითმეტიკაც ადასტურებს (1637—1587=50). დამატებული 50 სტროფიდან რუსთაველისეულად მიჩნეულია და პოემის 1957 წლის გამოცემაში დაბეჭდილია 10. ეს სტროფებია: რნა (152), ტი (301), ტია (302), ტლ (323), ტპზ (373), ულ (415), ფათ (553), ფეზ (581), კბ (586), ჩფნ (1514). რუსთაველის საიუბილეო დღეებში გამოსულ სამეცნიერო ლიტერატურაში სწორად აღინიშნა, რომ 1841 წლის გამოცემაში დამატებით დაბეჭდილია 50 სტროფი (ა. შანიძე, თხზულებანი, II, გვ. 218; ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან, გვ. 50—51).

რომელთამე კელნაწერებში. მრავალნი ამ ლექსებისაგანი მშვენიერად თქმულია და „ვეფხვის-ტყაოსანსაც“ ეთანხმება. თუმცა სწორედ არ ვიცით, ვისგან არიან დაწერილნი, მაგრამ ღირსნი იყვნენ, რომ ჩაგვებეჭდა და იმიტომაც ჩავეუმატეთ. ამას გარდა პარიჟში რომ სამეფოს ბიბლიოტეკაში კელნაწერი არის, რომელიც 10 წელი წინ ვახტანგ მეფის დაბეჭდვილს „ვეფხვის-ტყაოსანზე“ იყო დაწერილი, იმაშიაც იპოვებიან ზემოხსენებულნი ლექსნი<sup>1</sup>.

საგულისხმოა მ. ბროსეს მეორე ცნობაც: „ზემოხსენებულნი მომატებანი პირველი ჩვენ დავბეჭდეთ, ამიტომ რომ მრავალთა სწავლულთა ქართველთა მოეწონებოდათ, ძველ კელნაწერებში იპოვებოდნენ და ამის გარდა რაოდენნიმე მომწერნი ამ წიგნზე გვთხოვეს არ დატეგება მათი“<sup>2</sup>.

ციტირებული სიტყვებიდან ჩანს, რომ კომისია, მართალია, იცნობდა და იყენებდა სხვადასხვა ხელნაწერს, მაგრამ დაზღვეული არ იყო სუბიექტივიზმისაგან და იძულებული იყო ანგარიში გაეწია მკითხველი საზოგადოების ინტერესებისათვის, კერძოდ, ხელისმომწერთა მოთხოვნისათვის. მიუხედავად ამისა, კომისიამ კრიტიკულად განიხილა ვახტანგისეული რედაქცია, გამოავლინა და გაასწორა მისი გრამატიკულ-ორთოგრაფიული შეცდომები. დააზუსტა და შეავსო ტექსტი. გამოცემის ხელმძღვანელს სხვა ქართველი მწიგნობრებიც კი ეხმარებოდნენ (გ. ავალიშვილი, ს. ტაბიძე, პ. ქებაძე...)³ და, ბუნებრივია, დ. ჩუბინაშვილი მისი მარჯვენა ხელი ყოფილიყო. მართლაც, მ. ბროსე საგანგებოდ აღნიშნავდა: „ამ წიგნის დაბეჭდვაზე და საკუთრად წინასიტყვაობის დაწერაზე უფ. დ. ჩუბინოვმა გულითადი შემწეობა მიჩვენა“<sup>4</sup>. ამ გარემოებაზე მიგვითითებს აგრეთვე მ. ბროსეს სახელით დაბეჭდილი ლექსი, რომელიც ნაწილობრივ თეიმურაზ ბაგრატიონის დაწერილი უნდა იყოს<sup>4</sup>:

ესე წიგნი ღვაწლით ჩემით აწ მეორედ დაიბეჭდა,  
პირველ ვახტანგ მეფის ეამსა, აწ პეტერბურღს კვლავ ვყავ მე ცდა.  
ზოგნი ახლად ძველ ქელწერით ვპოვე, იგიც ზედ დამკეტდა,  
მსახურება ქართველთა მსურს, ამას ზედა ვინა მექვედა.

<sup>1</sup> ვეფხვის-ტყაოსანი, 1841, გვ. XIII.

<sup>2</sup> იქვე, გვ. XIV.

<sup>3</sup> ე. მ. ე. ტ. რ. ე. ე. ლ. ი. გ. ავალიშვილი — ბიბლიოფილი და კოლექციონერი, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, გვ. 249; თ. ე. ნ. უ. ქ. ი. ძ. ე. ს. ტაბიძის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხიმ, II, 1960, გვ. 102; რ. დ. ო. ლ. ა. შ. ე. ი. ლ. ი. მარი ბროსე — ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962, გვ. 72—77.

<sup>4</sup> ალ. კ. ბ. ა. ხ. ი. ძ. ე. ლენინგრადის საარქივო მასალები „ვეფხისტყაოსნი“ შესახებ, „კომუნისტი“, 12. X. 37, № 234 (5035).

ველავ ფალავანდოვი ჩემთან და ჩუბინოვიც მღვწელია,  
დაბეჭდეთ ჩვენის ხარჯითა, განახლდა ესრეთ ძველია,  
მესტამბე სვიმონ ტაბიძე ბეჭდვაზედ იყო მღვწელია,  
საუნჯის ესეითარის დაკარგვა დიად ძნელია<sup>1</sup>.

დასასრულს უნდა დავიმოწმოთ დ. ჩუბინაშვილის ერთი წერილი («О грузинской поэме «Вепхис-ткаосани» или «Барсова кожа»), რომელშიც ავტორი გვაცნობს მის თანამშრომლობას მ. ბროსესთან და ამასთანავე იმასაც გვაუწყებს, რომ ზემოხსენებული „მცირე ლექსიკონი“, რომელიც პოემის ტექსტს ერთვის, მისი შედგენილია<sup>2</sup>. ყოველივე ზემოთქმული გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ დ. ჩუბინაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის ერთ-ერთი მესვეურია.

მართალია, აღნიშნული გამოცემის ტიტულზე სათანადოდ არაა აღბეჭდილი თეიმურაზ ბაგრატიონის ღვაწლი, მაგრამ მისი მონაწილეობა ამ საშვილიშვილო საქმეში ერთობ დიდი და მნიშვნელოვანია. უკანასკნელ წლებში მიკვლევულ იქნა თეიმურაზის წერილი (17. X. 1834) მ. ბროსესადმი. ამ წერილმა საბოლოოდ დაადასტურა მკვლევართა ვარაუდი და დამაჯერებლად წარმოაჩინა ქართველი ბატონიშვილის წვლილი „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემის მომზადების საქმეში. თეიმურაზი ყოფილა ამ გამოცემის წინასიტყვაობის თანაავტორი თუ მთავარი კონსულტანტი და ტექსტის ერთ-ერთი დამდგენი<sup>3</sup>.

III. 1846 წელს დ. ჩუბინაშვილმა „ვეფხისტყაოსანი“ დაბეჭდა თავის „ქრისტომატიაში“<sup>4</sup>. პოემის ტექსტს უძღვის გამომცემლის წინასიტყვაობა (გვ. I—IX) და ი. ბარტდინსკის მიერ რუსულად თარგმნილი 142 სტროფი (გვ. IX—XXVIII). ბოლოს დაბეჭდილია ლექსები: „თამარ მეფემ რომ ხალიფაზე გაიმარჯვა, ხახულის ლუთისმშობელს ღროშა და მანიაკი მიართვა, ეს იამბიკო ზუთეული ოცდახუთ ლექსად აღსწერა“ (გვ. 223—224), „იამბიკო ესე, თქმული

<sup>1</sup> ვეფხისტყაოსანი, 1841, გვ. 224.

<sup>2</sup> ЖМНП, 1842, XXV, № 8. გვ. 8—9 (ცალკე ამონაბეჭდი): ЗКВ, 1850, № 41, გვ. 163. აღნიშნულ ლექსიკონს ზოგჯერ მ. ბროსეს მიაკუთვნებენ (ს. ცაიშვილი, სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI ლიტერატურული ურთიერთობიდან, „ლიტერატურული ძიებანი“, XI, 1958, გვ. 65).

<sup>3</sup> აღ. კობახიძე, ლენინგრადის საარქივო მასალები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, „კომუნისტი“, 12. X. 37, № 234 (5035); გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი და „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემა, თსუ საიუბილეო კრებული: „შოთა რუსთველს“, თბ., 1966, გვ. 270—276.

<sup>4</sup> ქართული ქრისტომატია ანუ გამოკრებილი ადგილები ქართულთა წერილთაგან დ. ჩუბინოვის მიერ, II, სპბ., 1846, გვ. 1—223.



რუსთველის მიერ. ზედა წარწერილ არს ხატსა ზედა ხაზულის ლუთის-  
მშობლისასა“ (გვ. 224). ამჟერად რუსთველს გარკვევით მიეწერება  
მხოლოდ მეორე იამბიკო.

აღნიშნულ გამოცემაში პოემის ტექსტი წარმოადგენს 1841 წლის  
გამოცემის ზუსტ პირს. ეს გარემოება საყოველთაოდ ცნობილია და  
მრავალგზის აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში<sup>1</sup>, მაგრამ  
ახლახან ს. ყუბანეიშვილმა კიდევ უფრო ნათლად გაარკვია საკითხი<sup>2</sup>.  
დასახელებული გამოცემების ტექსტების გულდასმითი შეჯერებით,  
სრული იდენტურობის დადგენითა და საარქივო მასალების გამოყე-  
ნებით მან დაადასტურა, რომ „ქრისტომატიისათვის“ დ. ჩუბინა-  
შვილმა გამოიყენა 1841 წლის გამოცემის 600 ეგზემპლარი (ამასთა-  
ნავე გამოიყენა არა შემონახული ანაწყობი, არამედ ნაბეჭდი ფორ-  
მები და მხოლოდ თავ-ბოლო შეუცვალა). ასე რომ, „ვეფხისტყაოს-  
ნის“ 1846 წლის გამოცემის ტექსტი არავითარ სიახლეს არ შე-  
იცავს.

IV. გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს „ვეფხისტყაოსნის“ 1860  
წლის გამოცემა<sup>3</sup>. დ. ჩუბინაშვილმა უარყო და აღარ გამოაქვეყნა  
1841—1846 წლების გამოცემებში დამატებული 44 სტროფი, შეი-  
წყნარა, რუსთველისეულად ცნო და დაბეჭდა დამატების მხოლოდ  
6 სტროფი, სახელდობრ, 113, 151, 320, 339, 548, 580 (ამ გამოცემა-  
ში სტროფების სათვალავი მოცემულია რიცხვებით), ან წინა გამო-  
ცემის რიგ (114<sup>1</sup>), რნა (152), ტლგ (323), ტნე (342<sup>1</sup>), ფათ (553),  
ქბ (586)<sup>4</sup>.

1860 წლის გამოცემაში სულ 1593 სტროფია. შეცვლილია არა

<sup>1</sup> ვეფხისტყაოსანი, 27-ე გამოცემა, 1927, გვ. CXLII; ი. აბულაძე.  
„ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის საკითხთა კვლევის ისტორია, კრებული:  
„შოთა რუსთაველი სკოლაში“, გვ. 222; შ. აღეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“  
ქართული გამოცემები, იქვე, გვ. 304.

<sup>2</sup> ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ჩუბინაშვილისეული პირვე-  
ლი გამოცემა, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, II, 1964, გვ. 209—212  
(= მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან, გვ. 61—65).

<sup>3</sup> ვეფხისტყაოსანი, თქმული შოთა რუსთველის აგან, თამარ  
მეფის დროს. ახლად დაბეჭდილი დ. ჩუბინოვის აგან განმარტებითურთ,  
წიგნში: ქართული ქრისტომატია, ან გამოწერილი სტატიები სხვათადასხვათა ჩი-  
ნებულთა მწერალთაგან, II, ახლად დაბეჭდილი დ. ჩუბინოვის აგან, სპბ.,  
1860, გვ. 1—207.

<sup>4</sup> ზოგჯერ აღნიშნავენ, რომ თითქოს დ. ჩუბინაშვილმა წინა გამოცემების და-  
მატება საერთოდ უარყო ან დამატებიდან მხოლოდ 8 სტროფი დატოვაო (ი. აბულ-  
აძე, „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის საკითხთა კვლევის ისტორია, კრე-  
ბული: „შოთა რუსთაველი სკოლაში“, გვ. 222; შ. აღეიშვილი, „ვეფხისტ-  
ყაოსნის“ ქართული გამოცემები, იქვე, გვ. 304).

მხოლოდ სტროფების რიცხვი, არამედ სათაურებიც. თუ ადრინდელ გამოცემებში ტექსტი დაყოფილი იყო 57 თავად, ახალ გამოცემაში 48 თავია (გამომცემელმა ზოგიერთი თავი გააერთიანა). მისი დასათაურება მეორდება მრავალ გამოცემაში (1875 წ., 1887 წ., 1891 წ., 1903 წ. და სხვ.).

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს მისდევს დ. ჩუბინაშვილის მიერ ცოდნითა და სიყვარულით შედგენილი „განმარტება რომელთავე სიტყვათა და ფრაზათა, ხმარებულთა „ვეფხვის-ტყაოსნის“ ლექსთა შინა“ (გვ. 207—243) და წინა გამოცემაშიც დაბეჭდილი ორი იამბიკო (გვ. 243—244), რომელთაც გამომცემელი რუსთველს მიაკუთვნებს. რუსთველის კუთვნილებადაა მიჩნეული სატიტულო ფურცელზე დაბეჭდილი ცნობილი ლექსიც („ფილოსოფოსნი შემოჰკარბენ...“)

ამრიგად, დ. ჩუბინაშვილი რუსთველს, — გარდა „ვეფხისტყაოსნისა“, — მიაწერდა სამ ლექსს:

1. ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა...<sup>2</sup>
2. ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან, სძალო...
3. ფილოსოფოსნი შემოჰკარბენ...

დ. ჩუბინაშვილს რაიმე საგანგებო საბუთი არ წარმოუდგენია. ისე კი, — უსაბუთოდ და ერთგვარი დაეჭვებით, — სხვაც მიაკუთვნებდა აღნიშნულ ლექსებს რუსთველს (მაგალითად, კ. ქიქინაძე)<sup>3</sup>. უკანასკნელ წლებშიც იყო ცდა მესამე ლექსის რუსთველის კუთვნილებად

<sup>1</sup> დ. ჩუბინაშვილმა ადრე ეს ლექსი ხალხური პოეზიის ნიმუშად მიიჩნია (ქართული ქრისტობატია ანუ გამოკრებილი ადგილები ქართულთა წერილთაგან დ. ჩუბინაშვილის მიერ, I, პროზა, სპბ., 1846, გვ. 394), ხოლო გვიან ხანაში კვლავ რუსთველის სახელით შეიტანა თავის „ქართულ ღრამბატიაში“ (ქართული ღრამბატია, ახლად შედგენილი დ. ჩუბინაშვილისაგან, სპბ., 1887, გვ. XXXIX), რომელიც დამატების სახით წარუძღვარა „ქართულ-რუსულ ლექსიკონს“.

<sup>2</sup> გვხვდება თამარის ისტორიაში (ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 74—75). პ. ინგოროყვა ამ იამბიკოს, — ისევე როგორც მომდევნოს, — თამარს მიაწერს (იხ. მისი თამარ მეფის იამბიკონნი, „მნათობი“, 1941, № 3, გვ. 132—145). მის აზრს იზიარებს ს. ყაუხჩიშვილი (იხ. მისი „ისტორიანი და აზმანი შარაენდღთან“ და იოანე პეტრიწი, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 1, 1942, გვ. 89. იხ. აგრეთვე ქართლის ცხოვრება, II, გვ. 74, შენ. 5). სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ პ. ინგოროყვას დასკვნის შეწყნარება შეუძლებელია (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II<sup>4</sup>, თბ., 1958, გვ. 282—283).

<sup>3</sup> შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, კ. ქიქინაძის რედაქციით, გამოკვლევითა და შენიშვნებით, თბ., 1934, გვ. 272—275.

გამოცხადებისა<sup>1</sup>, მაგრამ საკითხი კვლავ ღიად რჩება. დამოწმებული ლექსების რუსთველისთვის მიკუთვნება დაუსაბუთებელი და საცილობელია<sup>2</sup>.

როგორც ზემოგანხილული ცნობებიდან ჩანს, დ. ჩუბინაშვილმა დიდი ამაგი დასდო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკულად დადგენისა და მეცნიერულად გამოცემის საქმეს; მან საყურადღებო წვლილი შეიტანა რუსთველის გენიალური ქმნილების პუბლიკაციის საქმეში, რითაც ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო, დიდი მეცნიერული ავტორიტეტი მოიპოვა და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საუკეთესო მცოდნის სახელი დაიმსახურა. რასაკვირველია, „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემას, რომელიც დ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით ან თანამშრომლობით დაიბეჭდა, თუ რუსთველოლოგიის დღევანდელი პოზიციებიდან შევაფასებთ, ყველაფერი რიგზე არ გვეჩვენება, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი მეცნიერების მაშინდელ დონეს, დ. ჩუბინაშვილის დამსახურება თვალნათლივ გამოჩნდება<sup>3</sup>. ჩვენ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას დ. ჩუბინაშვილის ღვაწლზე, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა დიდი ნაწილი სწორედ დ. ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი და მისი რედაქციით გამოქვეყნებული „ქართული ქრისტომატიით“ გაეცნო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს.

## რუსთველოლოგიური ლიტერატურა

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის, როგორც აღვნიშნეთ, გამოქვეყნებული იყო რამდენიმე საყურადღებო შრომა რუსთველოლოგიის საკითხებზე. რუსთველოლოგიური პრობლემატიკა, რასაკვირველია, სრულად დამუშავებული არ იყო, მაგრამ დაბეჭდილი იყო არა ერთი საინტერესო გამოკვლევა, ცნობილი იყო მრავალი საკამათო თუ ანგარიშგასაწევი მოსაზრება. აქ პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ვახტანგ მეექვსის, მ. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილის

<sup>1</sup> შ. ონიანი, ხალხში გავრცელებული ერთი ლექსის შესახებ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1. III. 57, № 9(1023); გ. თაყაიშვილი, სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიკა, თსუ საიუბილეო კრებული: „სულხან-საბა ორბელიანი“, თბ., 1959, გვ. 97—98, შენ.

<sup>2</sup> აღ. ბარამიძე, შოთა რუსთველი და მისი პოემა. თბ., 1965, გვ. 353, 491.

<sup>3</sup> ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან, გვ. 65—69.

შრომები, რომელთაც საგრძნობი გავლენა მოახდინეს ქართველ საზოგადოებრიობაზე, კერძოდ — ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებზე. თავდაპირველად უნდა მიმოვიხილოთ ვახტანგის მრავალმხრივ საყოფადღებო რუსთველოლოგიური ნაშრომი, რომელიც ავტორმა „ვეფხისტყაოსნის“ ბექდურ ტექსტს დაურთო: „თარგმანი პირველი წიგნისა ამის „ვეფხისტყაოსნისა“, თქმული ბატონის შვილის გამგებელის პატრონის ვახტანგისა“ (თარგმანი აქ განმარტებას, კომენტარს ნიშნავს)¹.

ვახტანგმა შენიშნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ადგილი ყველასათვის ერთნაირად გასაგები არ იყო და აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა, გარკვევას საჭიროებდა და გაშუქებას მოითხოვდა. აუცილებელი იყო პოემის გარშემო გაჩაღებული დავა-კამათის დაცხრობა, საცილობელი საკითხების გარკვევა, მკითხველი საზოგადოებრიობის ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება, ხალხისათვის ადვილად გასაგები მასალის მიწოდება. ამ საპატიოსა და კეთილშობილურ საქმეს ხელი მოჰკიდა ვახტანგმა და „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის შედეგად გამოაქვეყნა სპეციალური გამოკვლევა, რომლითაც არსებითად საფუძველი ჩაუყარა რუსთველოლოგიას როგორც სამეცნიერო დისციპლინას.

თარგმანი საკმაოდ ვრცელია, იწყება პირველი სტროფიდან და გრძელდება 1587 სტროფამდე (ჩათვლით). ვახტანგმა, მართალია, ყველა სტროფი არ განმარტა, ბევრი აუხსნელი დატოვა და საგანგებოდ შენიშნა: „თარგმანი მრავალი დამირჩაო“². მაგრამ კომენტარებულ სტროფთა რიცხვი მაინც ერთობ დიდია, 600-მდე აღწევს.

ვახტანგმა შეძლებისდაგვარად ახსნა „ვეფხისტყაოსნის“ იდეური შინაარსი, გაარკვია ტექსტის ბუნდოვანი ადგილები, გააშუქა ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები. მან შექმნა პირველი ღრმამეცნიერული მონოგრაფია „ვეფხისტყაოსანზე“ და დიდი წვლილი შეიტანა რუსთველოლოგიური პრობლემატიკის დამუშავებაში³. საინ-

¹ შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. სპვ—ტნა.

² იქვე, გვ. სპვ.

³ ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტსა თუ თარგმანზე საკმაო ლიტერატურა არსებობს. უკანასკნელი წლების მანძილზე არა ერთი წერილი დაიბეჭდა. იხ. შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. 343—409; ა. შანიძე, ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, „ლიტერატურული გაზეთი“. 4. V. 62, № 19 (1293); ა. შანიძე, თხზულებანი, II, გვ. 3—76; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II<sup>4</sup>, გვ. 100—106; მისივე, რუსთველოლოგიის საკითხები, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV. თბ., 1957, გვ. 16—21; ალ. ბარამიძე.

ტერესოა ვახტანგის მიმართვა მკითხველებისადმი: „აწ ესე მისმინეთ „ვეფხისტყაოსანი“ მე ასე მითარგმნია, და თუცა უწესოდ იყოს და ანუ უკეთ სცნოთ ვინმე, თქვენცა სთარგმნეთ. მრავალთა ორთა და სამთა უთარგმნია, ერთი მე ასე მივხვდი და მითქუამს; რაც რუსთველისაა, იმას გარდა არა მითქუამს რა. და ვინც გინდა. იმან სთარგმნეთ. სხვის ნათქვამს როგორც სთარგმნით, ყუელა ეკადრება, მაგრამ ამისი უკადრისის მკადრე თავს გმობს. აწ ასრე ვსთარგმნე, ვითა მას მთქმელსა ეთქუა. მე თარგმანი მრავალი დამირჩა არათუ ამისთვის, თუცა ესე ვიპოვნე, მას ვერ ვიპოვნიდი. მაგრამ ერთად, მოუცლელობისათვის; მეორედ, გზა და რიგი გამირკუევიან. ვისცა თარგმანი გინდათ, ასეა ამისი თარგმანი და აწ თქუენ ამ გზით თარგმნიდეთ და ამის ბაასობაზედ შეექცეოდეთ. თუცა სულ მეთარგმნა, სხვა რას იქმოდა?“<sup>1</sup>

როგორც მოტანილი ციტატიდან ჩანს, ვახტანგი იცნობდა პოემის სხვა „თარგმანებს“, მაგრამ მათში მოცემულ ახსნა-განმარტებას არ მიიჩნევდა საკმარისად. მან მოიწადინა „ვეფხისტყაოსნის“ არსის უფრო ზუსტად და სწორად გადმოცემა და ამ განზრახვით მოჰკიდა ხელი პოემის კომენტირებას. საგულისხმოა, რომ ვახტანგი დარწმუნებული იყო თავის სისწორესა და სიმართლეში, რუსთველის აზრის უცვლელად გადმოცემაში. ამასთანავე ის სხვებსაც მოუწოდებდა წამოწყებული საქმის განგრძობისაკენ და კვლევა-ძიებისათვის თავის მეთოდებს სთავაზობდა.

ვახტანგის „თარგმანში“ დასმული და განხილულია მრავალი საყურადღებო საკითხი. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთზე შევჩერდებით.

რუსთველის სიტყვები: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“ ბევრ მკითხველს აღელვებდა. ამ სიტყვების საფუძველზე ზოგი პოემას სპარსულიდან მომდინარედ მიიჩნევდა. ვახტანგმა გადაჭრით გაილაშქრა პოემის ორიგინალობის უარყოფელთა წინააღმდეგ და დაასაბუთა „ვეფხისტყაოსნის“ ქართულობა: „ეს ამ-

---

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, წიგნში: ნარკვევები, IV, გვ. 3—37; მისივე, პ. ინგოროყვას თხზულებათა კრებულის პირველი ტომის გამოქვეყნების გამო, იქვე, გვ. 373—379 და შმდ.; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებანი, „ლიტერატურული გაზეთი“, 16. X. 62, № 46 (1320); პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, წიგნში: თხზულებათა სრული კრებული, I, თბ., 1963, გვ. 17—21, 42 და შმდ.; ქ. შარაშიძე, პირველი სტამბა საქართველოში, გვ. 143—157; ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული რედაქცია, თბ., 1957; ლ. შენაბდე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის გამო, თსუ შრომები, ტ. 55, 1954, გვ. 363—375.

<sup>1</sup> შოთარუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. სპხ.

ბავი სპარსში არ არის. და სპარსთ კაი მელექსობა იცოდნენ და თამარ მეფე კარგი და ძალიანი კელმწიფე რომ იყო, ვითამ ეს მაზედ მოინდომა: ასეთი საქმე სხვაშიდ რატომ იყოსო, რომე ქართლშიაც არ იყოსო, და უბძანა მის მდივანს რუსთველს ქართულის ენით კაი ლექსები თქვიო. აწ იმას ამბობს სპარსულის მიბაძვით რადგან ათქმევინა თამარ მეფემ, რომ სპარსთაგან ესთარგმნეო, თვარამ სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოვება, ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც<sup>1</sup>.

შესაძლებელია, სულ დამაჯერებელი არ იყოს რუსთველის სიტყვების ახსნა და თამარის როლის დადგენაც დამატებით საბუთს ითხოვდეს, მაგრამ მსჯელობა სპარსული დედნის არარსებობის შესახებ ფრიად საყურადღებოა, ვახტანგის განცხადება საკმაოდ ავტორიტეტულია. ჩანს, მან ეძება სპარსული დედანი, ვერაფერი იპოვა და მხოლოდ ამის შემდეგ უარყო პოემის უცხო წარმომავლობა. ვახტანგის დასკვნით, პოემის ამბავი-ფაბულა რუსთველის კუთვნილებაა, მისი „მოგონილი ზღაპარია“<sup>2</sup> და არა უცხო წყაროდან გადმოღებული და გადმოტანილი. შემდგომმა კვლევა-ძიებამ სავსებით დაადასტურა ვახტანგის ვარაუდი: არსად არ აღმოჩნდა არამცთუ სპარსული ორიგინალი, არამედ მისი ნაკვალევიც კი.

ვახტანგმა შეისწავლა პოემის ტექსტი, ზოგიერთი შეცდომა შენიშნა და ახსნაც სცადა. მაგალითად, ავთანდილთან საუბარში ტარიელი იგონებს, თუ როგორ მიიწვია იგი მეფე-დედოფალმა და განაგრძობს: „ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს სახითა ოდენ სამითა“. გაუგებარია, რას ნიშნავს სამი სახე ორი პიროვნებისა. ეს შეუსაბამობა შენიშნა ვახტანგმა. „თარგმანში“ ვკითხულობთ: „სახითა ოდენ სამითა რომე სწერია, მართლა კი არ ვიცი და მე ასრე მგონია: ორნი — მეფე-დედოფალი და მესამე — ერთი ვეზირი მისანდოც. თუ ასრე არ დაეწერა: „სახითა ოდენ სამითა“, ლექსი არ გაიწყობოდა და ერთს კიდევ ამას ვეჭობ, რომე ვითაც კელმწიფენი ღვთის ჩრდილად რომ არიან თქმულნი, ორნი ერთად რომ ისხდენ სახითა სამითა ვითამ კინალარ სამების სახედ ისხდენო“<sup>3</sup>.

საგულისხმოა, რომ ვახტანგმა თავდაპირველად განაცხადა: ზუჴატად არ ვიცი, თუ რას ნიშნავს „სახითა ოდენ სამითა“, შემდეგ კი სცადა მისი ახსნა და განმარტება. ვახტანგის ვარაუდით ტარიელს მეფე-დედოფალს გარდა სხვა პირიც დახვდა („ვეზირი მისანდო“). ხელნაწერების სპეციალურმა შესწავლამ ცხადყო, რომ ვახტანგის

<sup>1</sup> შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა. აღდგენილი ა. შანიძის მიერ. გვ. სევ—სევ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. სეა.

<sup>3</sup> იქვე, გვ. ტთ.

ვარაუდი ძირითადად სწორია, მეფე და დედოფალი მარტო არ ყოფილან. ტარიელს მათთან ერთად სამი დიდებული, წარჩინებული („ხასი“) დახვდა დარბაზში. პომის გასწორებულსა და დადგენილ ტექსტში შემოციტირებული ტაეპი ასე იკითხება: „ენახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა“<sup>1</sup>.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვახტანგი არა მხოლოდ განმარტავდა რუსთველის სიტყვებს, არამედ ზოგჯერ კიდევ ეკამათებოდა სახელოვან წინაპარს. მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი ტაეპის: „ავსა კარგად ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“ კომენტარში იგი წერდა: „ეს რომ სწერია, ავს კარგად ვერ შესცვლისო, ეს ხომ ბევრი ქნილა ავი კარგად შეცვლილიყოს. თუ კაცზედ უთქვამს, ურჯულო რომ რჯულიერად მოიქცეს, ეს ხომ ბევრი ქნილა. და ბევრი ქურდი და კაცის მკულელი ავს საქმეს მოიკვეთს და აღარ იქს“<sup>2</sup>.

აღვილად შესამჩნევია ვახტანგის „თარგმანის“ კლასობრივ-სოციალური არსი. ქართლის გამგებელმა უყურადღებოდ არ დატოვა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სოციალური შეხედულებანი და შესაფერისი ახსნა მისცა მის ყოველ სპეციალურ გამონათქვამს. მაგალითად, რუსთველის „ყმა მეფისა ბრძანებასა ლალი წყნარად მოისმენდა“ ასე განმარტა: „ეს ბატონყმობის სასწავლელად უთქვამს. ბატონის ბძანება ყმამ წყნარად და გასინჯვით უნდა მოისმინოს და კიდევ უნდა რცხვენოდეს და კიდევ უნდა ეშინოდეს“<sup>3</sup>; „პატრონისა ვერამკვრეტმან ყმამან რამცა გაიხარნა!“ ასეა კომენტირებული: „ესეუკ მართლა დაუწერია, თავის ბატონის ვერ-მკვრეტი ყმა ვერას გაიხარებს“<sup>4</sup>.

ვახტანგს აწუხებდა ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გავრცელებითა და მისი იდეების დამკვიდრებით შეშფოთებულმა ეკლესიამ სახელი გაუტეხა პომეს და სამეძაო წიგნად გამოაცხადა იგი. ვახტანგმა გაილაშქრა ვაიკრიტიკოსთა წინააღმდეგ და კატეგორიულად უარყო პომის ხელმყოფელთა თვალსაზრისი, „ვეფხისტყაოსანს“ ააცილა შეურაცხყოფელი და ცილისმწამებლური ბრალდება, სავსებით ახლებურად გაიაზრა და სრულიად განსხვავებულად განმარტა მისი იდეური არსი, რუსთველის ადამიანური სიყვარული საღვთო მიჯნურობად გამოაცხადა და კლერიკალთაგან სამეძაო წიგ-

<sup>1</sup> აღ. ბარამიძე, ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, წიგნი: ნარკვევები, IV, გვ. 33—34; მისივე, შოთა რუსთველი, გვ. 428—429.

<sup>2</sup> შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. ტივ.

<sup>3</sup> იქვე. გვ. ტზ.

<sup>4</sup> იქვე. გვ. ტბ.

ნად მიჩნეული პოეტური ქმნილება მაღალზნეობის მქადაგებლად აღიარა. თავისი აზრი მან არა მხოლოდ ლიტონი სიტყვებით გამოხატა, არამედ მისთვის საფუძვლის დაძებნა და დასაბუთებაც სცადა.

„უცოდინარობითა და სოფლის ნივთთა შემსჭვალვითა სამეძაოდ სთარგმნიდენ მის რიტორისა და ბრძენ-მეცნიერისა კეთილად ნამუშავევისა სამუშაოსა“<sup>1</sup>. ეს სავალალო გარემოება აღაშფოთებდა ვახტანგს. სხვათა შორის, იგი თავის პოეტურ ნაწერებშიც გამოთქვამდა გულისტკივილს რუსთველის პოემის არასწორად გაგების შედეგად მისი ჭეროვნად შეუფასებლობის გამო:

რუსთველსა ენა-შაქარსა უქნია რისმე მკობანი,  
სიტკობ, სიბრძნე და იგავნი, ცოლ-ქმართა აშოკობანი,  
ბევრად საჩხრეკი; ვერ მიხვდენ, მიბაძეს ცული ხმობანი,  
სამლოთ წერილი საცრუოდ თქვეს და დაგვიგდეს გმობანი<sup>2</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ სამეძაო წიგნად მიჩნევას ვახტანგი შეუწყენარებელ შეცდომად და მიუტევებელ ცოდვად თვლიდა. იგი იცავდა პოემას ხელმყოფელთაგან, ექომაგებოდა მის ავტორს, ეკამათებოდა მოწინააღმდეგეებს, უყიჟინებდა მათ ტენდენციურობას, პოემის დედააზრის მიჩქმალვასა და დამახინჯებას.

ვახტანგი დაუზოგავად აკრიტიკებდა მათ, ვისი აზრითაც „რუსთველის ნათქუამში სამლოთ არა ურევიან რა“<sup>3</sup>. მისი დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი“ საღვთო წიგნია, ავტორმა იგი „სამლოთ მიჯნურობისათვის“ დაწერა<sup>4</sup>. მისი დაბეჭითებითი მტკიცებით, რუსთველს რომც მოენდომებინა სამეძაო წიგნის დაწერა, ქართველი საზოგადოებრიობა მას ამის ნებას არ დართავდა და შესაძლებლობას არ მისცემდა. „რუსთველის დროს ქალი ბატონობდა და ამგვარი მეძაობის სიტყუა იმის წინ სირცხვილიც იყო და უკადრისიცა და როგორ არ უწყენდა. და მეორედ, ორი კათალიკოზი, რამთონი სამლდელი წმინდა და ღირსნი კაცნი იყუნენ და ამთონი უდაბნო აშენებული იყო. ისინი თუცა რუსთველს მოენდომებინა, როდის აქნევიანებდენ და ნათქუამს დაუხეველს როდის გაუშეებდენ“<sup>5</sup>.

საგულისხმოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი ზნეობა მას მი-

<sup>1</sup> შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. სპვ.

<sup>2</sup> ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, აღ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბ., 1947, გვ. 92.

<sup>3</sup> შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. სყა.

<sup>4</sup> იქვე, გვ. სვბ.

<sup>5</sup> იქვე, გვ. სპზ-სპშ.



აჩნდა არა მხოლოდ თამარის ეპოქის ლოგიკურ გამოძახილად, არამედ რუსთველის სულიერი სიღიადის გამომხატველადც. მისი სიტყვით, „ესევეთარი მეცნიერი კაცი არცა დაშვრებოდა წარსაწყმედელად“<sup>1</sup>.

ვახტანგმა „ვეფხისტყაოსანი“ მიიჩნია სასწავლო წიგნად, ხოლო მისი ავტორი — დიდაქტიკოს-მორალისტად. ჰუმანიზმით აღსავსე პოემას მან მისტიკურ-ალეგორიული ინტერპრეტაცია მისცა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ვახტანგი არა მხოლოდ რუსთველის დაცვის სურვილით ავითარებდა მისტიკურ-ალეგორიულ თეორიას და ამ მიზნით ეძებდა საილუსტრაციო მასალას „ვეფხისტყაოსანში“, არამედ თვითესმოდა ასე პოემის შინაარსობლივ-იდეური არსი. „ვეფხისტყაოსანის“ კომენტარებისას ის ნაწილობრივ თავისი შემოქმედებითი პრაქტიკით ხელმძღვანელობდა და აღმოსავლეთში გავრცელებული უდიდესი ფილოსოფიურ-რელიგიური მოძღვრების — სუფიზმის გავლენით მსჯელობდა<sup>2</sup>.

ვახტანგს ჰქონდა კეთილშობილური განზრახვა. მას სურდა დაეცვა პოემა და აეცილებინა მისთვის მძიმე ბრალდება. ეს მისია მან წარმატებით შეასრულა, მაგრამ ნაწილობრივ გადააჭარბა, ზომიერება ვერ გამოიჩინა და უკიდურესობაში გადავარდა, პოემა საღვთო ნაწარმოებად გამოაცხადა და მისტიკურ-ალეგორიული თვალსაზრისის შემცველად მიიჩნია, რუსთველის დიდებული ნაზრევი რელიგიურ საბურველში გაახვია და უფრო გაართულა საქმე. პოეტის თხრობაში ყველგან ალეგორიისა და სიმბოლიკის დანახვამ დააბნელა პოემის ძირითადი არსი. მეთოდის უვარჯისობის გამო კეთილმა სურვილმა არასახარბიელო შედეგი გამოიღო. სურდა რა პოემაში ღვთაებრივი მიჯნურობის ამოკითხვა და დასაბუთება, ვახტანგმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევას თავისებური განმარტება მისცა. მას, ეშინოდა რუსთველის მიჯნურობა არ გაეიგივებინათ მეძაობასთან. ამის გამო იგი საღვთო მიჯნურობად გამოაცხადა და ქალის კულტიკი საღვთო მიჯნურობის თვალსაზრისით განიხილა. „თარგმანში“ მოცემული ზოგიერთი დასკვნა ნაძალადევი და მიუღებელია. დღევანდელ მკითხველს გააოცებს ვახტანგის ტენდენციური მსჯელობა „ვეფხისტყაოსანის“ ზოგიერთი ადგილის შესახებ. მაგალითად, რუსთ-

<sup>1</sup> იქვე, გვ. სპვ.

<sup>2</sup> К. Кекелидзе, Ограждение восточного суфизма в древнегрузинской поэзии, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 284—285; შდრ. ს. ცაიშვილი, რუსთველური მიჯნურობის განმარტება ვახტანგ მეექვსესთან, „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, II, 1964, გვ. 227—240.

ველის სიტყვები: „არს პირველი მიჯნურობა არ დაჩენა კირთა, მალ-ვა...“ თარგმანში ასეა განმარტებული: „უხმს მოღვაწეთა ვითარცა იტყვის ქრისტე: იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი. რათა არა ეჩვენო კაცსა მარხველად. ახლა ამას ამაზე უბნობს: თავი და პირველი მიჯნურობა ის არის, რომ კაცი დაფარვით მარხულობდეს და მოღვაწეობდეს და საჯაროდ არ ირჩებოდეს, თავის სენაკში იჯდეს, სულ თავის წინ თავის ცოდვას იგონებდეს და მუდამ ხალვა ჰქონდეს“<sup>1</sup>; რუსთველის ცნობილი ფრაზა: „ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“, ვახტანგმა ასე განმარტა: „ვითამ ღმერთი უქია და იმასვე ვაქებო“<sup>2</sup>.

ბუნებრივია, ვახტანგი გრძნობდა ერთგვარ უხერხულობას, ამჩნევდა თავის განმარტებათა ხელოვნურ იერს, მაგრამ უკან არ იხევდა, თავის მეთოდს ასაბუთებდა და თავის გზას ამართლებდა: „თუ უნდა ესეც არ იყოს და ისე იყოს, თარგმანი ხომ ასრე სჯობს. ღმთისა და კაცს წინ მე ასე მიჯობინებია და ამას იქით მკითხველთ იცით. მე უბრალო ვიყავ და კიდევ უფრო უბრალო ვარ. ქუეყნის უფროსი ავის დამშლელი კამს და აბად დავშვერ“<sup>3</sup>.

ვახტანგის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“, მართალია, ძირითადად საღვთო მიჯნურობაა წარმოდგენილი, მაგრამ ამავე დროს მასში მეუღლეობრივი სიყვარულის ქადაგებაცაა მოცემული. კომენტატორი ამ თვალსაზრისით დაუკვირდა პოემის ტექსტს და თავისი შეხედულება რამდენჯერმე გვამცნო. მაგალითად, ცალკეული სტროფების განმარტებაში იგი წერდა: „რუსთველს ცოლქმრობის სიყვარულზე უთქვამს, არათუ მეძაობაზედ“; „ცოლქმართ სიყუარულს ისწავლება“; „ვინც იკითხვიდეს, ისწავლონ თუ ქმარს ცოლზე როგორი სიყვარული მართებს ან ცოლს ქმარზედ, ან ქალს რა საქციელი მართებს ან კაცსა“ და ა. შ.<sup>4</sup>

ვახტანგის მოსაზრება სავსებით გაიზიარა მე-18 საუკუნის ცნობილმა პოეტმა მამუკა ბარათაშვილმა: „რუსთველს ცოლქმრობის სიყვარულზე უთქვამს და სხვა მრავალი საღმთოდ საერო ისწავლება მოუყვანია, რომელსა მისი თარგმანი, მეფეს რომ უბძანებია, ის გამოაცხადებს, მაგრამ ზოგიერთს მელექსეს იმისი წიგნი ცუდს სააშიყოთ გაუსინჯავს“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. სვდ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. სვთ.

<sup>3</sup> იქვე, გვ. სპშ.

<sup>4</sup> იქვე, გვ. ტბ, ტიგ, ტკე, ტლე, ტმბ, ტმგ, ტნა.

<sup>5</sup> ქართული პოეტიკის ქრესტომათია (XVIII—XIX სს.), გ. შანიძის რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1954, გვ. 7.

ვახტანგის შეხედულებით, „ვეფხისტყაოსანი“ საერო ხასიათის ძეგლია, მასში ჩვეულებრივი სიუჟეტი, „სოფლიო ზღაპარია“ მოცემული<sup>1</sup>. რუსთველის მიერ „სოფლიო ზღაპრის“ აღება და ფანტასტიკური თემატიკის დამუშავება შემთხვევითი არ იყო. საზოგადოებას საერო თხრობა უფრო აინტერესებდა და შემოქმედს არ შეეძლო ამისათვის ანგარიში არ გაეწია. „რადგან სამლთო ნახა, რომ არვინ კითხულობდა, სოფლიოს ზღაპარს უფრო წაიკითხებდენ, სოფლიო ზღაპარი მოიგონა“<sup>2</sup>, მაგრამ გენიოსმა ავტორმა ამ „სოფლიო ზღაპარში“ ალეგორიულად გვიქადაგა მაღალზნობრივი მოძღვრება. თუ სხვა ანალოგიური თხზულებანი სამეძაო ხასიათს ატარებდნენ, რუსთველმა ამბავი მაღალ დონეზე აიყვანა, მასში საღვთო და საერო სწავლა ორგანულ მთლიანობაში წარმოადგინა. ვახტანგს „ვეფხისტყაოსანი“ მიაჩნდა როგორც საღვთო, ისე საერო ზნეთ-სწავლების წიგნად. მას სწამდა, რომ პოემა „სამლთოც იყო და საეროც“<sup>3</sup>. იგი აცხადებდა: „ბევრჯერ მითქვამს, რუსთველს სადაც პირი მოუტრავს. სამლთო ყოფილა კარგი თუ საკაცო, ორივე დაუწერია“<sup>4</sup>.

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსნის“ მხოლოდ 20-მდე ცალია მოღწეული. საფიქრებელია, პოემის ბეჭდური ეგზემპლარები მოსპო და გაანადგურა ეკლესიამ<sup>5</sup>, რეაქციულმა საზოგადოებამ დაგმო და არ მიიღო ვახტანგის თვალსაზრისი, არ შეიწყენარა მისი აზრი, არ აიღო ხელი „ვეფხისტყაოსნის“ დევნაზე, მეტიც. მან ვახტანგსაც შეუტია. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა მე-18 საუკუნის გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწის ტ. გაბაშვილის სიტყვები. ამ ცნობილი მღვდელმთავრის სიტყვით, რუსთველი იყო „მთქმელი ლექსთა ბოროტთა, რომელმან ასწავა ქართველთა სიწმიდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა. ხოლო უწინარეს ჩვენსა უმეცართა საღმთოდ

<sup>1</sup> შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. ტ. ტბ.

<sup>2</sup> იქვე, გვ. ტბ.

<sup>3</sup> იქვე, გვ. ტია. ტმ. ტლ. ტლე, ტლზ.

<sup>4</sup> იქვე, გვ. ტმბ.

<sup>5</sup> გვაქვს პირდაპირი ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდური ეგზემპლარების ფიზიკური განადგურების შესახებ. იხ. [Е. Болховитниов], Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии, СПб., 1802, გვ. 86; პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას შესავალი წერილებით, რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1936, გვ. 181. იხ. აგრეთვე ტ. გაბაშვილი, მოხილუა წმინდათა და სხუთა აღმოსავლეთისა ადგილთა, პ. იოსელიანის გამოცემა, თბ., 1852, გვ. 154, შენ. 90.

თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი<sup>1</sup>. უცილობელია, ტ. გაბაშვილს მხედველობაში ჰყავდა ვახტანგი. იმდენად დიდი იყო კლერიკალთა გულისწყრომა „თარგმანში“ გატარებული აზრების გამო. რომ მღვდელმთავარი მეფესაც კი არ მოერიდა. ჩანს, ისე გამწვავებულა საქმე და ისე ამხედრებულა საეკლესიო საზოგადოებრიობის კლერიკალური ფრთა, რომ ვახტანგის ავტორიტეტმაც ვერა გააწყო რა. მდგომარეობის გამწვავებამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსნის“ ბექლური ეგზემპლარების ბარბაროსული განადგურება<sup>2</sup>.

მართალია, ეკლესიამ არ მოიწონა „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემა და შეუტია კიდევ მას, მაგრამ ქართველთა დიდმა უმრავლესობამ სიხარულით მიიღო იგი, შეიყვარა და ხელნაწერების სახითაც გაამრავლა. თუ რა განწყობილებით შეხვდა პოემის გამოცემას ქართველი საზოგადოებრიობა, ეს საგანგებოდ არის აღნიშნული იმ ლექსში, რომელიც იმავე გამოცემაშია დაბეჭდილი:

აწ დაიბეჭდა სტამბაში პირველ ნაწერი ქელისა,  
უგბილთა ფრიად სასწავლო, გონიერთ გულთა თმენისა,  
მეფის ვახტანგის ბძანებით და სიბრძნით კეთილმქნელისა,  
ნაღვაწი მისის მლოცელისა მესტამბე მიქაელისა.  
დაესრულა ესე წიგნი ქორანიკონს უნსა სმულსა,  
ყველაკასა უხაროდა — რიტორსა და კმა უსულსა,  
სამლთოა და საეროცა, ვისაცა აქუს სმენა გულსა,  
უსწავლელსა სიბრძნეს მისცემს, გონიერსა — გულს უსრულსა<sup>3</sup>.

რუსთველოლოგიური პრობლემატიკის დამუშავებაში დიდი წვლილი შეიტანა აგრეთვე მ. ბროსემ. მან ჯერ კიდევ ფრანგულად თუ რუსულად გამოქვეყნებულ წერილებში განიხილა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა და კომპოზიციის, ლექსთწყობისა და შედგენილობის, ტიპაჟისა და მხატვრული ღირსების საკითხები, გამოაქვეყნა პოემის ცალკეული ადგილების პროზაული თარგმანიც. მკვლევარი

<sup>1</sup> ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა. გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1956, გვ. 80.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, ერთი ცნობა „ვეფხისტყაოსნის“ დენის ისტორიიდან, წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1945, გვ. 401—402; მისივე, შოთა რუსთველი, გვ. 498—500 და შმდ.; მისივე, ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, წიგნში: ნარკვევები, IV, გვ. 4; ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგისეული გამოცემისადმი დამოკიდებულება XVII—XIX საუკუნეებში, „ლიტერატურული ძიებანი“, I, 1943, გვ. 109—123; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ ბექლვის ისტორიიდან, გვ. 20—36.

<sup>3</sup> შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. სპვ.

„ვეფხისტყაოსანს“ მიიხსენებდა ორიგინალურ ნაწარმოებად, ხოლო მის ავტორს გენიოს შემოქმედად<sup>1</sup>. საგანგებო ყურადღებას იმსახურებს მისი ქართული წერილი, რომელიც წინასიტყვაობის სახით წაემძღვარა „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემას. მ. ბროსემ მოკლედ, მაგრამ საფუძვლიანად დაახასიათა რუსთველი, ევროპული მეცნიერების პოზიციებიდან განიხილა „ვეფხისტყაოსანი“ და ფრიალ საპატიო ადგილი მიუჩინა მას მსოფლიო კულტურის საგანძურში. მისი დასკვნით, „ვეფხისტყაოსანი“ „ქართულს ენაზე უებრო და უამხანაგოა და თვით ევროპაშიაც მისი უმჯობესი მრავალი არ იპოვება“<sup>2</sup>; რუსთველი „უწარჩინებულესია ყოველთა ქართველთა მეზღაპრეთა ზედა“, მასში „შეერთებულია ყოველი ღირსება მწერლისა“<sup>3</sup>. მ. ბროსემ არა მხოლოდ მაღალი შეფასება მისცა პოემას. არამედ სცადა ახსნა მისი სიღიადისა. „ვეფხისტყაოსნის“ იდეური სიღრმე უცხოელ მეცნიერს ისევე ხიბლავდა, როგორც მისი საინტერესო ამბავი, გამართული ენა და მშვენიერი მხატვრული სამოსი. მას ძალზე მოსწონდა, „პირველად, ზღაპრის ტურფათხზულება, შაირების კეთილხმიანობა, სიტყვა აღრჩევით ენაშქვევრობა, პაზრების მშვენიერად დაწმასნვა და ქეშმარიტების მაღალ ფილოსოფიური მხატვრობა; მეორედ, კმასაყოფელი აღწერა რუსთველის მიერ ზნეთა და შინაგანთა ცხოვრებათა ქართველთა“<sup>4</sup>. ბუნებრივია, „ვეფხისტყაოსნის“ ასეთი შეფასებით მ. ბროსე ქართველ საზოგადოებრიობას კიდევ უფრო უმტკიცებდა ეროვნულ თვითშეგნებას. ფრიალ საგულისხმოა, რომ მკვლევარი პოემაში ხედავდა ქართველთა ცხოვრების ანარეკლს, ისტორიული ვითარების კვალს. იგი ამ თვალსაზრისით განიხილავდა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხს, საფუძველს აცლიდა პოემის აღმოსავლური წარმომავლობის თეორიას და დაბეჭითებით უკავშირებდა მას საქართველოს რეალობას. მისი მტკიცებით, რუსთველმა „თვით შეთხზა ზღაპარი ესე უფრო თამარ მეფის ქებისათვის და დაწერა შეთანხმობითა საქართველოს მოთხრობისათა“<sup>5</sup>. მ. ბროსეს „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ამბავი მიაჩნდა ალეგორიულ თხრობად, ხოლო უცხოელი გმირები — ქართველ მამულიშვილებად. „გმირების ზნეობა, ყოფა-ქცევა, გულოვნობა, ძმური მეგობრობა, უთუოდ, ქართველთ გულს, ზნეობას, ერთის

<sup>1</sup> ამ საკითხზე იხ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა (1712—1956), თბ., 1957, გვ. 7—14.

<sup>2</sup> ვეფხისტყაოსანი, 1841, გვ. VII.

<sup>3</sup> იქვე, გვ. VIII.

<sup>4</sup> იქვე, გვ. VII.

<sup>5</sup> იქვე, გვ. IX.

სიტყვით ვთქვათ, სრულს მათს ხარაქტერს გამოგვიხატავენ<sup>1</sup>. ამას-  
თანავე იგი არა მხოლოდ ზოგადად აცხადებდა პოემას ქართულ ნა-  
წარმოებად, არამედ მასში მოთხრობილი ამბის საქართველოს კონ-  
კრეტულ-ისტორიულ სინამდვილესთან დაკავშირებასაც ლაშობდა:  
„ხვარაზმშაჰის ძის ნესტან-დარეჯანზე გამიჯნურების ამბავი: ვინ არ  
მიხვდება მოსლვასა ხორაზმშაჰისა ტფილისს და თხოვნა თამარ მე-  
ფისა ცოლად... და უსაცილოდ სხვანიცა მოქმედნი პირნი „ვეფხვის-  
ტყაოსნისა“ თვით ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვითო  
მათგანი საქმეთა თამარ მეფის დროს მომხდართა“<sup>2</sup>.

როგორც ალ. ბარამიძე აღნიშნავს, მ. ბროსემ სათავე მისცა  
„ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის ალეგორიად მიჩნევას და იმის ისტო-  
რიულ-ნაციონალურ ინტერპრეტაციას. მის გზას გაჰყვნენ „ვეფხის-  
ტყაოსნის“ მკვლევართა თაობები<sup>3</sup>.

საყურადღებოა მ. ბროსეს დაკვირვება თხზულების კომპოზი-  
ციურ მთლიანობაზე, ამბის ორგანულ განვითარებასა და მოქმედ  
გმირთა კავშირ-ურთიერთობაზე. მკვლევარი დიდ ღირსებად უთვლი-  
და „ვეფხისტყაოსანს“ იმას, რომ მასში „მრავალნი პირნი მოქმედე-  
ბენ და ერთმანეთზედ დამოკიდებულნი არიან“<sup>4</sup>. თითოეული გმი-  
რი, — მისი დაკვირვებით, — არა მხოლოდ ყოველგვარი ღირსებით  
შემკულია, არამედ ამასთანავე რომელიმე იდეის გამომხატველიცაა.  
მაგალითად, „თინათინ და ავთანდილ წარმოადგენენ მარტივსა სიყვა-  
რულსა, ფატმან—ბედითს მიჯნურობასა, ფრიდონ და ასმათ—გული-  
თადს მეგობრობასა, ტარიელ და ნესტან-დარეჯან — ფრიადსა სიყვა-  
რულსა ან უფრო ვთქვათ მომატებულის მიჯნურობის მაგალითსა“<sup>5</sup>.  
თითოეული გმირის რომელიმე გარკვეული იდეის გამომხატველად  
მიჩნევით მკვლევარმა „ვეფხისტყაოსნის“ იდეური სარჩულის ახსნაც  
მოიწადინა.

მ. ბროსეს ნარკვევში გვხვდება გამეორება ტრადიციული ცნო-  
ბებისა შოთა რუსთველზე. აქ საუბარია მის აღზრდაზე, მეჭურჭლეთ-  
უხუცესობაზე; იერუსალიმის ჯვრის მონასტერში ცხოვრებაზე და  
ა. შ. საგანგებოდაა ხაზგასმული რუსთველის ენის სიღიადე. „რუსთ-  
ველი ისეთი მცოდნე იყო ქართულის ენისა, რომ მისი სწორი აქამომ-  
დე არ გამოჩენილა“<sup>6</sup>,—ასკვნიდა მკვლევარი და დიდად იწონებდა

<sup>1</sup> ვეფხისტყაოსანი, 1841. გვ. IX.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 72.

<sup>4</sup> ვეფხისტყაოსანი, 1841. გვ. VII.

<sup>5</sup> იქვე, გვ. VII.

<sup>6</sup> იქვე, გვ. X.

იმ სასიამოვნო გარემოებას, რომ პოემაში „არ იპოვება არცა ერთი უშვეერი სიტყვა. ან კარგის სწავლის წინააღმდეგი“<sup>1</sup>. იგი მკაცრად აკრიტიკებდა ანტონ კათოლიკოსისა (1720—1788) და ტ. გაბაშვილს რუსთველის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი კიცხვისათვის.

მ. ბროსემ განიხილა ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, მიიჩნია იგი მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემად, მაგრამ ამხილა მისი შეცდომებიც, დაიწუნა და გააკრიტიკა ვახტანგის „თარგმანი“, როგორც „ფრიად უშესაბამო და უხამსი“. როგორც ჩანს, მას დაუშვებლად მიაჩნდა რუსთველის ქმნილების საღვთო ტრფიალებად გამოცხადება, რადგან იგი „ზღაპარია და არა საღმრთო წერილი“<sup>2</sup>.

არანაკლები წვლილი მიუძღვის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლის საქმეში დ. ჩუბინაშვილს. ის იყო არა მხოლოდ პუბლიკატორი „ვეფხისტყაოსნისა“, არამედ ნაყოფიერი მკვლევარიც. განსაკუთრებით საინტერესოა მისი წერილი: „О грузинской поэме «Вепхисткаосани» или «Барсова кожа»“, რომელიც რამდენჯერმე დაიბეჭდა<sup>3</sup> და გერმანულადაც ითარგმნა<sup>4</sup>. დ. ჩუბინაშვილმა მოკლედ დაახასიათა თამარის დროის საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-კულტურული მდგომარეობა. საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება აღნიშნული ხანის ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაზე, განათლების დონის ამალუბასა და მეცნიერული აზროვნების განვითარებაზე; რუსთველი მიიჩნია ღჭროს ხანის (მისი გამოთქმამა!) ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენლად. გადმოგვცა ხალხში გავრცელებული, აგრეთვე ტ. გაბაშვილის მიერ შემონახული, ბიოგრაფიული ცნობები ამ გენიალურ შემოქმედზე, შეძლებისდაგვარად განიხილა „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები და ნაწილობრივ სცადა მისი მხატვრული ანალიზიც. ვახტანგ მეექვსისა და მ. ბროსეს მსგავსად დ. ჩუბინაშვილმა უარყო პოემის სპარსულიდან მომდინარეობის შესაძლებლობა, ნიადაგი გამოაცალა ასეთ ვარაუდს და დამაჯერებლად დაადასტურა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობა. მან მალალი შეფა-

<sup>1</sup> იქვე, გვ. IX.

<sup>2</sup> იქვე, გვ. XII.

<sup>3</sup> ЖМНП, 1842. XXXV. № 8, გვ. 112—126 (ჩვენ ხელთ გვქონდა ცალკე ამონაბეჭდი — გვ. 1—15); ქართული ქრისტომატია, II, 1846, გვ. I—IX; 3KB, 1850, № 41, გვ. 162—163; № 42, გვ. 165 (1846—1850 წწ. დაიბეჭდა მცირე ცვლილებით).

<sup>4</sup> D. Tschubinow, Rustawel, der grusische Dichter, „Archiv für Wissenschaftliche Kunde von Russland“, II, 1842, გვ. 659—667 (გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 18).

სება მისცა პოემის ვახტანგისეულ გამოცემას, მართებულად მიიჩნია ის მეცნიერულ პუბლიკაციად. მაგრამ ამასთანავე გააკრიტიკა ვახტანგის კომენტარი. კერძოდ. ცდა „ვეფხისტყაოსნის“ მისტიკურ-ალეგორიულ პოემად გამოცხადებისა. ის აღშფოთებით წერდა: «Странно и даже неприлично было бы видеть в этом создании какую-то мистическую христианскую поэму»<sup>1</sup>. მეცნიერის დაბეჭდვითი მტკიცებით, «Руставели не заимствовал сюжета своей поэмы у писателей восточных: она создана им самим и направлена к прославлению великой царицы Тамары»<sup>2</sup>. მისი აზრით, სწორედ ორიგინალურმა სიუჟეტმა და სპეციფიკურმა მიზანდასახულებამ, იდეურ სიღრმესა და მხატვრულ ელვარებასთან ერთად, განაპირობა პოემის არნახული პოპულარობა და მისი ავტორის უსაზღვრო გავლენა არა მხოლოდ ლიტერატურის განვითარებაზე, არამედ საერთოდ მშობელი ხალხის ცხოვრებაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. ჩუბინაშვილის ცდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებისა. როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ მ. ბროსემ სცადა „ვეფხისტყაოსანში“ საქართველოს ისტორიის კონკრეტული ეპოქის ანარეკლის დაძებნა, მის გმირებში ქართველთათვის დამახასიათებელ თვისებათა გამოვლენა. ამით მან არსებითად საფუძველი ჩაუყარა პოემის ისტორიულ-ალეგორიულ ინტერპრეტაციას. პირველი მკვლევარი, რომელმაც განაგრძო, განავითარა და განამტკიცა ეს თვალსაზრისი, დ. ჩუბინაშვილი იყო. ამასთანავე ის არა მარტო პირველი იყო, არამედ მამამთავარიც გახდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ისტორიულ-ალეგორიული თეორიისა. მკვლევარმა ერთბაშად რამდენიმე ისტორიული ანალოგია დაძებნა. მისი აზრით, ნესტან-დარეჯანი, ერთადერთი ასული ფარსადანისა, არის თამარი — ერთადერთი ასული გიორგი მესამისა; მას ზრდიდა მამიდა დავარი ისევე, როგორც თამარს მამიდა რუსუდანი; მასთან იზრდებოდა ტარიელი, ხოლო თამართან დავით სოსლანი; ნესტანსა და ტარიელს ადრევე აღძვრიათ სიყვარული ერთმანეთის მიმართ, ასევე ადრევე შეიყვარეს ერთმანეთი თამარმა და დავითმა; ხვარაზმშაპის ვაჟი მოვიდა ნესტანის სათხოვად, ხვარაზმშაპს სურდა თამარის შერთვა; ინდოეთიდან და საქართველოც შვიდი სამეფოსაგან შედგებოდა; ქაჭეთის ციხე ახალციხის მხარესაა და ა. შ.

დ. ჩუბინაშვილის თეორია შეიწყნარეს და გაიზიარეს, უყოყმანოდ გაიმეორეს თუ სახის შეცვლით განავითარეს ს. ბარათაშვილმა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ქართული ქრისტომატია, II. 1846, გვ. V.

<sup>2</sup> იქვე, გვ. VII.

<sup>3</sup> С. Баратов, История Грузии, СПб., 1871, IV—V, გვ. 94—96.



გ. იოსელიანმა<sup>1</sup>, ნ. გულაკმა<sup>2</sup>, დ. ბაქრაძემ<sup>3</sup>, ე. სტალინსკიმ<sup>4</sup>, მ. ჯანაშვილმა<sup>5</sup>, ს. ქვარიანმა<sup>6</sup> და სხვ. დ. ჩუბინაშვილის კონცეფციამ შთამაგონებელი გავლენა მოახდინა ა. წერეთელსა და ვაკაფშველასზე. „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაციის თვალსაზრისს ახლაც იცავენ და ავითარებენ (პ. ინგოროყვა).

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია გარკვეულია, რომ მიწმინდებული ანალოგიებიდან რამდენიმე ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება<sup>7</sup>: მართებულად აცხადებენ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამბისა და პერსონაჟების მოხმობილი ანალოგიები და პარალელები საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან ზოგჯერ შემთხვევით ხასიათს ატარებს და ნებისმიერა<sup>8</sup>, მაგრამ ისიც უცილობელია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ეპიზოდი, დეტალი, გმირი ძალდაუტანებლად მოგვაგონებს საქართველოს ისტორიის ცნობილ პერიოდსა და კონკრეტულ-ისტორიულ პირებს. რაც საფიქრებელს ხდის, რომ რუსთველის პოემაში აირეკლა ჩვენი წარსულის საინტერესო სურათები. რაოდენ საკამათო და საცილობელი არ უნდა იყოს დ. ჩუბინაშვილის ზოგიერთი დაკვირვება, მაინც უნდა ვალიაოთ, რომ მეცნიერის კონცეფციამ თავის დროზე უაღრესად დადებითი როლი შეასრულა ქართველთა შორის ეროვნული გრძნობის გაღვივების საქმეში. ნაწილობრივ მისი გავლენით აიხსნება ის ფაქტი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი მკითხველი და დამფასებელი დაბეჭდვით იცავდა და ამტკიცებდა პოემის ორიგინალობას, მიიჩნევდა მას ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლად. დ. ჩუბინაშვილის რუსთველოლოგიურ ნააზრევს, რასაკვირველია, უმე-

<sup>1</sup> Г. Иоселиани, „Барсова кожа“, „Кавказ“, 1875, №№ 31, 33, 76.

<sup>2</sup> Н. Гулак, О „Барсовой коже“ Руставели, Т., 1884, გვ. 4.

<sup>3</sup> ვახუშტი, საქართველოს ისტორია განმარტებული და შეესებული ახლად შექმნილის არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ბაქრაძის მიერ, თბ., 1885, გვ. 218—219, შენ.

<sup>4</sup> Е. Сталинский, Шота Руставели — грузинский народный поэт, Т., 1885, გვ. 11—13.

<sup>5</sup> მ. ჯანაშვილი, ნაშრომი, 3, თბ., 1910, გვ. 32—33.

<sup>6</sup> ს. ქვარიანი, შოთა რუსთველი და მისი პოემა, ქუთაისი, 1914.

<sup>7</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II<sup>4</sup>, გვ. 170—171: მისივე, რუსთველოლოგიური შტუდიები, წიგნში: ეტიუდები, IV, გვ. 1—10; ე. დონდუა, თამარ მეფის და რუსულანა, ენიშკის მოაზბე, V—VI, 1940, გვ. 321—326.

<sup>8</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 74.

ტესად ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მკვლევრის ზოგიერთი დაკვირვება და დასკვნა ახლაც ანგარიშგასაწევია.

მე-19 საუკუნის სამოციან წლებამდე დაიბეჭდა არა ერთი წიგნი. წერილი თუ შენიშვნა რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანზე“. აქ შეიძლება მოვიხსენიოთ ღვაწლი როგორც ქართველი (ს. დოდაშვილი, პ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, დ. ბაქრაძე და ა. შ.), ისე რუსი სწავლულებისა (ე. ბოლხოვიტინოვი, ი. ლანგენი, ა. მურავიოვი, ი. სლივიცი და სხვ.)<sup>1</sup>. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს თეიმურაზ ბაგრატიონის „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსანისა“<sup>2</sup>, რომელშიც მრავალი საინტერესო საკითხია განხილული, მაგრამ იგი უკანასკნელ წლებამდე ხელნაწერის სახით იყო შემონახული და გასული საუკუნის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთათვის ხელმეფედომელი იყო. ასე რომ, „განმარტებას“ რაიმე გავლენის მოხდენა მათზე არ შეეძლო. თუმცა, უნდა დავსძინოთ, რომ თეიმურაზის გავლენა მ. ბროსეს მეშვეობით სულ გამორიცხული არ არის. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია გარკვეულია, რომ მ. ბროსეს ყოველი ცდა „ვეფხისტყაოსნის“ ამა თუ იმ საკითხის შესასწავლად თეიმურაზის მიერ მასთან მიწერილი ვრცელი წერილების გადამუშავებულ პუბლიკაციებს წარმოადგენს<sup>3</sup>.

ამრიგად, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის რუსთველოლოგიაში ჩატარებული იყო გარკვეული მუშაობა, დასმული და გაშუქებული იყო არა ერთი საკითხი, მაგრამ კიდევ უფრო მეტი გაშუქებას მოითხოვდა და შესწავლილიც ხშირად საკამათოდ რჩებოდა.

---

<sup>1</sup> დასაბუთებულ პირთა შრომებზე იხ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა. გვ. 4—38.

<sup>2</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა. გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 030. რუსთველის შესახებ ზოგიერთი ცნობა გვხვდება თეიმურაზის სხვა ნაშრომშიც (თ. ბაგრატიონი, ისტორია დაწვებითგან ივერიისა. ენე იგი გიორგისა, რომელ არს სრულიად საქართველოსა, სპბ., 1848, გვ. 284—235, 292).

**„ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს  
ეროვნულ-გამათავისუფლებელი  
მოძრაობის მოღვაწენი  
(მე-10 საუკუნის მეორე ნახევარი)**

**ილია ჰავთავაძე**

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მებანიარატრის, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის უთვალსაჩინოესი მოღვაწის ი. ჰავთავაძის შემოქმედება უაღრესად მრავალმხრივია. მისი კულტურულ-ისტორიული და მხატვრულიტერატურული მემკვიდრეობის მრავალფეროვნება ძნელი გასათვალისწინებელია. შესანიშნავი მხატვარი და უებრო მოაზროვნე. დაკვირვებული მეცნიერი და პირუთვნელი კრიტიკოსი დიდი გულისყურით სწავლობდა ძველ ქართულ მწერლობას, ინტერესით ეცნობოდა და მიუდგომლად აფასებდა ძველი ქართველი კალმის ოსტატების უკვდავ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. უნივერსალური განათლება, იშვიათი ნიჭი და გამჭკიახობა. დაუშრეტელი ენერგია და გონებრივ ინტერესთა სიფართოვე მხატვრული სიტყვის დიდოსტატს ხელს უწყობდა ძველი ქართული მწერლობის კულტურულ-ისტორიული ღირებულებისა და მხატვრულ-ლიტერატურული მნიშვნელობის სრულად გათვალისწინებაში.

ძველი ქართული მწერლობა იყო ი. ჰავთავაძის შთაგონების წყარო. დიდი ილია თავდადებით იბრძოდა ძველი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისათვის, ქართველი ხალხის კულტურული მოწიფულობის წარმოჩენისათვის.

ი. ჰავთავაძე აღიზარდა ლიტერატურული ტრადიციების მატარებელ ოჯახში. დედამისი მარია მ ბებურიშვილი თავისი დროისათვის განათლებული ქალი იყო. მან შეიღებნაც ჩაუნერგა სიყვარული

მშობლიური კულტურისადმი, მშობლიური მწერლობისადმი. ამ გარემოებას მგოსანი საგანგებოდ აღნიშნავდა თავის ავტობიოგრაფიაში (IX, 307) <sup>1</sup>.

დედის გარდაცვალების შემდეგ ილიას ზრდიდა მამიდა მაკრინე — „დიდი მწიგნობარი, დიდი განათლებული და ნაკითხი თავის დროის შესაფერად“<sup>2</sup>. დედამ და ძაშიდამ გარკვეული წელიწადი შეიტანეს ილიას სწავლა-განათლების საქმეში. მათ გააცნეს და შეასწავლეს წარსული ხანის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

✓ ი. ჭავჭავაძის გადმონაცემის მიხედვით ალ. ყიფშიძე წერდა: ილიას „ბავშვობიდანვე ჰქონდა შესწავლილი „ვეფხისტყაოსანი“ და ეგებ ეს იყოს მიზეზი, რომ საუკეთესოდ იცოდა ქართული ენა, ბადალი არ ჰყავდა სამშობლო ენის ცოდნაში. თვითონაც ბევრჯერ სიამოვნებით მოუგონებია ის ნეტარი დრო ყმაწვილობისა და ბავშვობისა, ოჯახში ქალები რომ ასწავლიდნენ „ვეფხისტყაოსანს“<sup>3</sup>.

ი. ჭავჭავაძე იმდენად მადლიერი იყო თავისი აღმზრდელებისა და იმდენად დავალებულად თვლიდა მათგან თავს, რომ ამ გარემოებას ახლობლებთან საუბარში ხშირად აღნიშნავდა<sup>4</sup>.

ამრიგად, ქართული წერილობითი კულტურის ნამუშევრი ილიამ მშობლიურ ოჯახში გაიცნო და შეისწავლა. იქვე გაეღვიძა მას ინტერესი ძველი მწერლობისადმი. უკვე ახალგაზრდობაში ილია ინტერესით კითხულობდა ძველ ქართულ წიგნებს<sup>5</sup>.

ძველი ქართული მწერლობის გაცნობა და შესწავლა ი. ჭავჭავაძეს შეეძლო გიმნაზიაში სწავლის პერიოდში (1852—1856), კიდევ

<sup>1</sup> ნარკვევის წერისას ვიყენებდით ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრულ კრებულს, რომელიც პ. ინგოროყვას რედაქტორობით გამოაქვეყნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა (I—X, თბ., 1951—1961). დამოწმებისას რომელი რიცხვით აღვნიშნავთ ტომს, ხოლო არაბულით — გვერდს.

<sup>2</sup> შეგახსენებ. თ. ილია ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი, თბ., 1898, გვ. 6.

<sup>3</sup> კრებული: „ილია ჭავჭავაძის სიკედილი და დასაფლავება“, თბ., 1907, გვ. 69. ილია რომ აღრევე შესდგომა „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლას ამას ისიც ადასტურებს, რომ „გლახის ნაამბობის“ წერისას, როდესაც ის 20—22 წლის კაბუკი იყო, საფუძვლიანად იცნობდა შოთას ნაწარმოებს. „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა ეტყობა აგრეთვე „აჩრდილს“ (1859 წ.), „კაკოს“ (1859 წ.), „ქართულის დედას“ (1860 წ.), „კაკო ყაჩაღსა“ (1860 წ.) და სხვა აღრინდელ თხზულებებს. იხ. I, 131, 158, 318—320, 324; II, 526—527.

<sup>4</sup> ი. მ. ჟუგარაძე, ქართველი მწერლები, II, შედგენილი ს. ცაიშვილის მიერ, მისივე რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, თბ., 1957, გვ. 25.

<sup>5</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, I, თბ., 1914, გვ. V—IX.

უფრო მეტად მაშინ, როდესაც პეტერბურგში სწავლობდა. იურიდიული ფაკულტეტის თავისუფალ მსმენელად ირიცხებოდა და „თვითონ იკავებდა გონების გახსნის გზას“ (ნ. ნიკოლაძე).

პეტერბურგში სწავლის დროს (1957—1861) ილიას დიდი ავტორიტეტი ჰქონდა სტუდენტებში; მასთანაა დაკავშირებული ყველა კარგი წამოწყება. სათვისტომოს დაარსება, ბიბლიოთეკის ორგანიზაცია და ა. შ. იქ იგი ბევრს მუშაობდა ძველი ქართული მწერლობის შესწავლის მიზნით. მართალია, — როგორც მისი მეგობარი კ. აფხაზი (1838—1913) აღნიშნავდა, — „უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური სამეცნიერო საგნები აინტერესებდა“, მაგრამ „კითხულობდა სხვათა შორის ბევრს ძველ ქართულ წიგნებსაც“<sup>1</sup>.

უნივერსიტეტში სწავლის დროს ილია მონაწილეობდა „ბაწაწა კავკასიელების წრეში“<sup>2</sup>. ეს წრე ახლოს იყო ქართული ცნისა და სიტყვიერების კათედრის გამგესთან დ. ჩუბინაშვილთან და 1860 წელს მისგან მიიღო სალომე ბატონიშვილის წიგნსაცავი. ჩვენამდე მოღწეულია ხელწერილი (A № 1755-ა), რომელიც ქართველმა სტუდენტებმა მისცეს დ. ჩუბინაშვილს ბიბლიოთეკის მიღების გამო. ილიას გარდა მას ხელს აწერენ სხვა ცნობილი ქართველი მოღვაწენიც (ა. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ნ. ლოლობერიძე, ს. აბაშიძე...), ხელწერილიდან ცხადი ხდება, რომ ქართველ სტუდენტობას მიუღია 38 წიგნი თუ ხელნაწერი, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“, „ქილილა და დამანა“, „სიბრძნე სიცრუისა“, „დავითიანი“, ვანტანგ მეექვსის ლექსები და სხვ.<sup>3</sup>

აღნიშნული წიგნსაცავი პეტერბურგელი ქართველი სტუდენტების ბიბლიოთეკის ძირითად ფონდს წარმოადგენდა. ქართველი სტუდენტები გულმოდგინედ უვლიდნენ თავიანთ ბიბლიოთეკას. ნ. ნიკოლაძის სიტყვით, პეტერბურგელ „ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ი. ჯავჭავაძე, ძველი ქართული წიგნებისა და

<sup>1</sup> ლ. ასათიანი ცხვენება აკაცი წყნაფლისა, თბ., 1953, გვ. 108—109; კ. მეძველია, ი. ჯავჭავაძე — პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი. „მნათობი“, 1957, № 9, გვ. 171—176; მისივე, თერგალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, I, თბ., 1959, გვ. 182—199.

<sup>2</sup> კ. აფხაზი, მოგონებანი ი. ჯავჭავაძის შესახებ, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 563—564.

<sup>3</sup> ი. ბალახაშვილი, ი. ჯავჭავაძე და სამოციანი წლების პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა წრე, „მნათობი“, 1937, № 5, გვ. 13—20; მისივე, ილია ჯავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა, თბ., 1937, გვ. 42—71 და შმდ.

<sup>4</sup> А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности. ტ. I, ნაკვ. III, СПб., 1894, გვ. 166—187.

ხელნაწერების კარგა გვარში კლდეკცია შეეგროვებინათ და თეზე ევლებოდნენ მას<sup>1</sup>.

რასაკვირველია, ქართველ სტუდენტებს ძველი ქართული ხელნაწერები და წიგნები არა მარტო შესანახად და დასაცავად ჰქონდათ, არამედ, პირველ რიგში, გასაცნობად და შესასწავლად. საფიქრებელია, ი. ჭავჭავაძემ, — ისევე, როგორც ბევრმა სხვა ქართველმა სტუდენტმა. — პეტერბურგში გაიცნო ზოგიერთი ძველი ქართული ძეგლი.

ძველი ქართული მწერლობის შესწავლას ილია განაგრძობდა თბილისშიც, სადაც მას ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა. მისი სამუშაო ოთახი საესე იყო წიგნებით გაჭედული კარადებით. წიგნების სიმრავლეს არა ერთი მნახველი გაუოცებია<sup>2</sup>. ამ ბიბლიოთეკიდან მოაღწია მხოლოდ მცირე ნაწილმა, სახელდობრ — 426 წიგნმა. მათგან ქართულია 41. მათ შორის გვხვდება ძველი ქართული მწერლობის რამდენიმე ძეგლი („ვეფხისტყაოსანი“, „ქილილა და დამანა“, „დავითიანი“ და სხვ.)<sup>3</sup>.

ი. ჭავჭავაძეს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ძველი ქართული მწერლობის ცნობილ მკვლევრებთან: დ. ჩუბინაშვილთან, შ. ჯანაშვილთან, ალ. ცაგარელთან, ალ. ხახანაშვილთან, ე. თაყაიშვილთან და სხვებთან<sup>4</sup>.

ქართველი მეცნიერებიც აფასებდნენ ილიას განსწავლულობას და მის როლს ქართული აზროვნებისა და კულტურის ისტორიაში. ნაწყურადღებოა ერთი დეტალი: 19 საუკუნის მეორე ნახევარში დაისვა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნისა. გ. დანიანმა (1814—1902) წერილობით მიმართა ი. ვორონცოვ-დაშკოვს (1837—1916), რომელმაც შუამდგომლობა აღძრა რუსეთის განათლების მინისტრის წინაშე. სამინისტროდან მასალები დასკვნისათვის

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, ჩრეული ნაწერები, I, ს. ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, თბ., 1931, გვ. 95.

<sup>2</sup> გ. ლასხიშვილი, მემუარები, თბ., 1934, გვ. 71; ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, გვ. 37.

<sup>3</sup> თ. შაქავეარიანი, ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი, თბ., 1957, გვ. 6, 64—66, 75.

<sup>4</sup> IX, 259—260; X, 59, 93—94, 98, 100, 136, 307, 453; თ. შაქავეარიანი, ილია ჭავჭავაძის პირადი ბიბლიოთეკის კატალოგი, გვ. 5, 48, 76; ე. თაყაიშვილი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე, „ლიტერატურის მატინე“, წიგნი 6, ნაკვ. I, 1952, გვ. 3—51; მისივე, მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 5, გვ. 174—177; № 11, გვ. 172—177; 1959, № 1, გვ. 165—171; ამადარი მეცნიერი (ალ. ცაგარის უცნობი წერილები), შ. გ. ხალაიშვილის პუბლიკაცია, „კომუნისტი“, 15. XI. 64, № 268 (13084).

გადაეგზავნა ალ. ცაგარელს. ქართველმა მეცნიერმა მოიწონა ეს წამოწყება და აღნიშნა ჰოემის თარგმნასთან დაკავშირებული სიძნელენი. მისი მოსაზრებით, მთარგმნელს საფუძვლიანი მომზადება უნდა ჰქონოდა. ის ასახელებდა კიდევ რამდენიმე კანდიდატს ამ ფრიად საპატიო და პასუხსაგები საქმისათვის. ერთ-ერთი კანდიდატი ი. ჰავცავეაძე იყო<sup>1</sup>.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის გულთბილი დამოკიდებულება, რომელიც ილიას ჰქონდა ძველი ქართული კულტურით დაინტერესებულ უცხოელებთან: ა. ლაისტან, მ. უდრდროჰოფი, უ. შორფილთან, კ. შუნართთან და სხვ.

საყურადღებოა ის მუშაობა, რომელსაც ი. ჰავცავეაძე ეწეოდა ძველი ქართული ხელნაწერების შეკრებისა და დაცვისათვის. ხელნაწერებში წარმოდგენილი მასალის შესწავლისა და პუბლიკაციისათვის. ილია იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. საზოგადოების დაარსების დღიდან (1879 წ.) მუშაობდა თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1885 წლიდან სიცოცხლის მიწურულამდე თავმჯდომარედ; იყენებდა რა თავის სახელსა და ავტორიტეტს, აგრეთვე ოფიციალურ მდგომარეობას, აქტიურად იღვწოდა ქართულ ხელნაწერთა შეკრებისათვის<sup>2</sup>, ძველი ქართული ხელნაწერების სისტემაში მოყვანისათვის, ქართული სიძველეთსაცავის დაარსებისათვის<sup>3</sup>.

ი. ჰავცავეაძე არა მარტო ხელნაწერთა შეკრებაზე ზრუნავდა, არამედ ძველი ძეგლების პუბლიკაციის საქმიანაც იყო დაინტერესებული: მართალია, ზოგიერთი ძველი თხზულება გამოქვეყნებული იყო, მაგრამ ეს გაზრდილ მოთხოვნილებას ვეღარ აკმაყოფილებდა. ილია,

<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის პირველი ცდა (დოკუმენტები), ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ენოგრაფიული მუზეუმის შრომები, I, 1947, გვ. 385--392; თ. ქყონია, ალ. ცაგარელი და ძველი ქართული ლიტერატურა, „ლიტერატურული ძიებანი“, IV, 1948, გვ. 435.

<sup>2</sup> ი. ჰავცავეაძე თვითაც სწირავდა ხელნაწერებს ქშწ-კვს წიგნსაცავს. აკად. ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დატულია ილიასეული ხელნაწერები: „ვეფხისტყაოსანი“, „რუსუდანაინი“. „ქილილა და დამანა“ და სხვ. (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფ. ქშწ-კვს (S) კოლექციისა, I, შედგენილია და დასაბუქდად დამზადებული თ. ბრეგაძის, თ. ენუქიძის, ნ. კასრაძის, ლ. ქუთათელაძისა და ქ. შარაშიძის მიერ. ე. შეტრეველის რედაქციით, თბ., 1959, გვ. 30--33, 47. იხ. აგრეთვე „დროება“, 1880, № 166; 1909, № 263; ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, თბ., 1959, გვ. 304).

<sup>3</sup> ლ. მენაბდე, ი. ჰავცავეაძე და ხელნაწერების შესწავლა, „თბილისი“, 28. XI. 62, № 279 (2896).

როგორც ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრალური ფიგურა, სხვაზე მეტად განიცდიდა ამ ნაკლებობას. „ჩვენი თხზულებები, საუბედროდ, სულ ერთიანად არ არიან ცნობაში მოყვანილნი და დაბეჭდილნი“, — გულისტკივილით აღნიშნავდა იგი 1862 წელს (III, 458). ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მან აქტიურად დაიწყო მოქმედება. მისი უშუალო მონაწილეობით დაიბეჭდა „ვის-რაიანი“ (1886 წ.)<sup>1</sup>, „ვეფხისტყაოსანი“ (1888 წ.), გამოსაცემად მზადდებოდა „არჩილიანი“ (1887 წ.)<sup>2</sup> და სხვ.<sup>3</sup>

ილიასთვის ცნობილი იყო პოეტური ტრადიციების მქონე ძველი ქართული მწერლობის მნიშვნელობა. მას კარგად ესმოდა, რომ ახალ ქართულ მწერლობას შემოქმედებითი კავშირი ჰქონდა ძველ მწერლობასთან, მის იდეურსა და გრძნობით საშუაროსთან, ჰქონდა მასთან თემატური და ფორმობრივი შეხვედრებიც. ილიასთვის ნათელი იყო, რომ მისი დროის ლიტერატურული ტრადიციების ფესვები ძველ მწერლობაში იყო საძიებელი და მისი შესწავლა ძველი მწერლობის მდიდარი მემკვიდრეობისაგან მოწყვეტით შეუძლებელი იყო; „დღევანდელს ჩვენს მწერლობას უნდა ჰქონდეს და კიდევაცა აქვს ნათესაობა წარსულ მწერლობასთან, საფუძველი, დედააზრი ძველისა და ახლისა ერთი და იგივეა“ (III, 313).

ილიას აინტერესებდა ძველი ქართული მწერლობის ზოგადი პრობლემები თუ მისი ცალკეული საკითხები, რომელთა შესწავლაზე ის დაუდღელად მუშაობდა. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოცვლის დღიდან იგი თანდათანობით იმუშავებდა და აყალიბებდა თავის ესთეტიკურ-ლიტერატურული პრინციპების სისტემას, ახლებურად აშუქებდა მხატვრული მემკვიდრეობის საკითხებს.

ი. ჭავჭავაძე გულდასმით სწავლობდა და მაღლიერების გრძნობით აფასებდა ძველ ქართულ მწერლობას. მრავალმხრივი განსწავლულობა მას შესაძლებლობას აძლევდა სათანადოდ გაეაზრებინა და გაეშუქებინა ძველი ქართული მწერლობის საკითხები და დაკვირვების შედეგად მიღებული დასკვნების განზოგადებაც მოეხდინა. ილიას არ დაუწერია სპეციალური ნარკვევი ძველი ქართული მწერ-

<sup>1</sup> ს. ყუბანეიშვილი, ცნობები ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემის ისტორიიდან, „ლიტერატურული ძიებანი“, VIII, 1953, გვ. 415—416.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 417—418.

<sup>3</sup> ი. ჭავჭავაძეს განზრახული ჰქონდა ნინოს ცხოვრების გამოქვეყნებაც. იხ. ამავდარი მეცნიერი (ალ. ცაგარლის უცნობი წერილები). შ. გოზალიშვილის პუბლიკაცია, „კომუნისტი“, 15. XI. 64, № 268 (1308-ი).



ლობის შესახებ, მაგრამ მის ნაწერებში გვხვდება საყურადღებო დაკვირვებანი, საინტერესო მოსაზრებანი, საგულისხმო შენიშვნები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონსპექტური ჩანაწერი, რომელიც წარმოადგენს ნაწილს დაუმთავრებელი წერილისას: „ცისკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“. იგი ეკუთვნის ილიას მოღვაწეობის ადრეულ ხანას და საფიქრებელია „საქართველოს მოამბისათვის“ იყო გამიზნული. ავტორს სურდა მოეცა კრიტიკული ანალიზი მისი დროის ქართული მწერლობისა, მაგრამ არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ „ცისკრის“ განხილვით და ქართული მწერლობის განვითარების გზების მიმოხილვაც უტოლია. კონსპექტში მოცემული იდეები ილიამ განავითარა შრომაში: „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ (1892 წ.), მაგრამ, სამწუხაროდ, ძველი ქართული მწერლობის საკითხებს აღარ დაბრუნებია და აღარ გაუშლია. მიუხედავად ამისა, აღნიშნული კონსპექტური ჩანაწერი, რომელიც უთუოდ მომავალი წერილის გეგმას წარმოადგენდა, საინტერესო და საყურადღებოა. მასში ავტორი ძირითადად სწორად წარმოგვიდგენს ძველი ქართული მწერლობის (კერძოდ პოეზიის) განვითარების გზას. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ილია გვევლინება როგორც ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი მცოდნე და პირუთვნელი დამფასებელი. ის შარტებულად აზნაითაქმნს ჩვენს ლიტერატურულ შემკვიდრობას როგორც შინაარსობლივად, ისე ფორმის მხრივ, კარგად ერკვევა ძველი ქართული მწერლობის პრობლემებში. მისი ნაფიქრ-ნაზარევი საგულისხმოა, დებულებები — ნათელი და თანამიმდევრული. საყურადღებოა მისი დაკვირვებანი ძველ ქართულ მწერლობაში ლირიკის განვითარებისა და წინა პლანზე წამოწევის შესახებ (III, 458—459), აღორძინების ხანის მწერლების მიერ რუსთველის მიბაძვის შესახებ (III, 459) და სხვ. ი. ქავჭავაძე მოგვევლინა ძველი ქართული მწერლობის კლასიფიკატორის ტოლში. მან შენიშნა და გამოყო (III, 55) რამდენიმე ლიტერატურული მიმართულება: სენტიმენტალური („ვარდულბულიანი“), რომანტიკული („ვეფხისტყაოსნანი“), ცრუ-კლასიკური (რუსთველის ეპიგონები). არსებითად ესაა პირველი ცდა ძველ ქართულ მწერლობაში მიმართულებათა დადგენა-გამოყოფისა (III, 55)“<sup>1</sup>.

აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო სარწმუნოდ ხდის ი. ქავჭავაძის

<sup>1</sup> გ. ჯიბლაძე, ილია ქავჭავაძე, „ლიტერატურული გაზეთი“, 20. XII. 57, № 51 (1065). იხ. აგრეთვე გ. აბაშიძე, ი. ქავჭავაძის პოეტიკის სათავეები, „ლიტერატურული საქართველო“, 29. V. 37, № 12 (34).

ვადის მიჩნევას ქართული მწერლობის ისტორიის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთ ფუძემდებლად<sup>1</sup>.

ი. ჰავეკაჟაძე კარგად იცნობდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას. იმონებდა ბიბლიას, აყენებდა ორიგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლებს — შუშანიკის მარტილობასა (III, 74) და ლუარსაბ შეფის წამებას (IV, 184—188), მსჯელობდა დავით აღმაშენებლის კულტურულ-ლიტერატურულ შემკვიდრეობასა (IV, 179—183) და ანტონ კათოლიკოსის საქმიანობაზე (III, 31, 48—49, 389), „ივერიაში“ ბეჭდავდა „ცნობილ მოღვაწეთა (იაკობ ტურტაველი, იოანე ბოლნელი, ექვთიმე ათონელი, გიორგი შთაწმიდელი, გიორგი მცირე, ი. გედევანიშვილი და სხვ.) გამოხატქვამებს“ და ა. შ. ცალკე უნდა გამოეყროთ „განდეგილის“ საკითხი. ამ პოემას პირდაპირ თუ არაპირდაპირ გ. ფლობერის „La lantation de St. Antoine“-სა და ე. ზოლას „La faute de l'abbé Mouret“-ს უკავშირებდნენ<sup>2</sup>, მაგრამ ამან საკითხს ნათელი ვერ მოჰფინა. „განდეგილი“ დასახელებული ძეგლებიდან განსხვავდება როგორც იდეური მიმართულებით, ისე პრობლემის გადაწყვეტით. სიუჟეტურ-ფაბულარულად იგი ახლოს დგას ერთ აგიოგრაფიულ თხზულებასთან („ცხორებაჲ წმიდისა შამინა ჩუენისა მარტინიანესი“), მაგრამ მისი ქართული თარგმანი საქართველოში არ მოიპოვებოდა. საფიქრებელია ილიამ თქმულება აიღო ხალხური სიტყვიერებიდან, სადაც ის დიდი ხნის წინათ გადასულა სასულიერო-საეკლესიო მწერლობიდან<sup>3</sup>. არაა გამორიცხული.

<sup>1</sup> შ. რადიანი, ახალი ქართული ლიტერატურა, თბ., 1954, გვ. 291—300; დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რელიგიის ისტორიიდან, II, თბ., 1957, გვ. 304—316 და შმდ.; მ. დუდუჩაძე, ილია ჰავეკაჟაძის ესთეტიკა, თბ., 1960, გვ. 158—237.

<sup>2</sup> I, 21, 24, 25, 36, 91, 132, 176, 195, 199, 302; II, 49, 75, 85, 123, 130, 157, 166, 199, 353, 450, 552; III, 31, 43, 304, 322, 361, 376, 384; IV, 43, 240, 255, 336, V, 12, 20, 329, 331—334, 342; VII, 491; VIII, 70, 73, 132, 137, 139, 166, 167, 169, 188, 189, 286, 337; IX, 190; X, 38, 290.

<sup>3</sup> „ივერია“, 1898, №№ 5, 8, 10, 14, 16, 17 და ა. შ. 1899, №№ 3—5, 7, 9—11, 111, 114 და ა. შ.

<sup>4</sup> W. Vasianni. ინგლისის ეურნალ-გაზეთების აზრი Miss Wardrop-ის მიერ ნათარგმნი ქართული საერო ზღაპრების შესახებ, „ივერია“, 1894, № 198; კ. აბაშიძე, ი. ჰავეკაჟაძე, წიგნში: ეტიუდები XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, დ. გამეზარდაშვილის რედაქციითა და შენიშვნებით, თბ., 1962, გვ. 165—182; ნ. ურუშაძე, ი. ჰავეკაჟაძის შემოქმედების პარალელები ფრანგული ლიტერატურიდან, „ილია ჰავეკაჟაძე“ (საიუბილეო კრებული), თბ., 1939, გვ. 263—269.

<sup>5</sup> კ. ექვლიძე, „სამიჯნურო ცთუნების“ პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში, წიგნში: ეტიუდები, II, გვ. 13—22. შდრ. ქ. სიხარულაძე,

რომ ილია რამდენადმე დავალებული იყოს „ბალავარიანის“ ზოგიერთი ეპიზოდით.

საფუძვლიანად იცნობდა ი. ჭავჭავაძე ძველ ქართულ საერო-მხატვრულ ლიტერატურას. მაღალ შეფასებას აძლევდა „ვისრამიანს“, უწოდებდა მას „ყოველ მხრით შესანიშნავ განძს ქართული ლიტერატურისა“ და „მშვენიერ წიგნს“ (III, 474), იყენებდა მის გამონათქვამებს (VIII, 194), ესესებოდა ლექსიკას (VI, 185), აქტიურად იღვწოდა მის გამოსაცემად (X, 96—97, 100), უყურადღებოდ არ ტოვებდა ტექსტის პუბლიკაციის არც ერთ მხარეს<sup>1</sup>, თვით მონაწილეობდა კორექტურისა თუ სხვა სახის სამუშაოს შესრულებაში<sup>2</sup>; მანვე შეადგინა წინასიტყვაობის პროექტი, რომელშიც მეცნიერული კეთილსინდისიერებით განიხილა „ვისრამიანის“ წარმომავლობის პრობლემა (III, 474—475)<sup>3</sup>. ხშირად იხსენიებდა ილია ჩახრუხაძის „თამარიანს“ (III, 10—11, 42, 449), მაგრამ უგულვებელყოფდა მის ღრმაშინაარსიანობასა და მაღალმხატვრულობას და არასწორ შეხედულებას ავითარებდა კლასიკური ხანის ამ ბრწყინვალე ძეგლზე.

ი. ჭავჭავაძე სათანადოდ იცნობდა აღორძინების ხანის ქართულ მწერლობას. იხსენიებდა თეიმურაზ პირველსა და მის თხზულებებს (III, 55, 153), საკმაო ინტერესს იჩენდა არჩილის მიმართ, აღნიშნავდა მისი პოეზიის ღრმააზროვნებასა და მგრძნობელობას, გულისტკივილს გამოთქვამდა მისი „ღირსშესანიშნავი გონებრივი ღვაწლის“ შეუსწავლელობის გამო (III, 153) და იმოწმებდა მის გამონათქვამებს (III, 389; IV, 222, 368; VIII, 131, 331); უსაზღვრო სიყვარულით იყო გამსჭვალული სულხან-საბა ორბელიანის მიმართ, იყენებდა მის იგავ-არაკებს (II, 424; VI, 243), საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას იგავ-არაკთა კრებულის სახელწოდებაზე (III, 406—410) და სავსებით სწორად განმარტავდა მწერლის ჩანაფიქრს. უხვად იმოწმებდა ილია „ქილილა და დამანას“<sup>4</sup>. ძალზე უყვარდა მას „ღავეთიანი“, ხიბლავდა დ. გურამიშვილის რთული და მრავალფერო-

---

ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, I, თბ., 1956, გვ. 45; მისივე, ი. ჭავჭავაძის პოემის ხალხური წყაროები, „ილია ჭავჭავაძე“ (საიუბილეო კრებულის), თბ., 1957, გვ. 102—105.

ი. მეუწარგია, ქართველი მწერლები, II, გვ. 34.

3. კარბელაშვილი, ი. ჭავჭავაძე და ეპისკოპოსი ალექსანდრე, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 573.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, ილია ჭავჭავაძე და „ვისრამიანი“, წიგნში: ნარკვევები, I, გვ. 379—382.

<sup>4</sup> I, 51, 112, 116, 119, 127, 195; III, 296, 385, 386; IV, 222—223, V, 334; VIII, 95, 111, 123, 274, 328.

ვანი ბუნება, აჯადოებდა მისი სულიერი სამყარო. ილია ყოველთვის გატაცებით წერდა ამ ბუმბერაზ მწერალზე, უწოდებდა მას „ბრძენს“ (VIII, 320) და გაბედულად ასკენიდა: დ. გურამიშვილის „პოეზია პირს არ შეირცხვენს, თუნდ ლუკრეცის, ვირგილის და პორაციოს დიდაქტიურ პოეზიას დაუყენეთ პირისპირო“ (III, 153). მისი დაკვირვებით, დ. გურამიშვილმა „სცადა თითქმის პირველად, ზოგიერთგან რასაკვირველია, ევროპეიზმის შემოტანა ქართულ-ლექსის გამოთქმაში“ (III, 457). ილიას ნაწერებში უხვად გვხვდება დ. გურამიშვილის გამონათქვამები<sup>1</sup>. იცნობდა ილია აგრეთვე თეიმურაზ მეორეს (III, 153), საიათნოვას (VI, 245; VIII, 149), ბესიკს (III, 390), დავით ბატონიშვილს (II, 30; V, 32, 49; VIII, 8; X, 23, 45) და ა. შ.

უკანასკნელად უნდა მოვიგონოთ ილიას „დამაკვირდი“. რომელიც წლების მანძილზე იბეჭდებოდა „ივერიაში“. მასში გამოქვეყნდა: ქართული საერო-მხატვრული ლიტერატურის ბევრი წარმომადგენლის გამონათქვამი. სახელდობრ, დაიბეჭდა თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსის, სულხან-საბა ორბელიანისა და სხვათა ნააზრევი. განსაკუთრებით ჭარბად ამოკრიფა ილიამ გამონათქვამები „ვეფხისტყაოსნიდან“, „ქილილა და დამანადან“ და „დავითიანიდან“ (ან „გურამიანიდან“, როგორც თვით უწოდებდა)<sup>2</sup>. ამ საქმეს ილია დიდ ყურადღებას აქცევდა და ძირითადად თვით ამზადებდა მასალას „ივერიის“ ყოველი მორიგი ნომრისათვის<sup>3</sup>.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძე ყოველმხრივ ცდილობდა ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლის წინ წაწევას და საკუთარი მაგალითით სხვებსაც მოუწოდებდა ასეთი საქმიანობისაკენ. მისი დამსახურება ძველი ქართული მწერლობის მეცნიერულად შესწავლასა და კრიტიკულად ათვისებაში ერთობ დიდია<sup>4</sup>.

<sup>1</sup> I, 115, 118, 122—124; III, 264, 380, 405; IV, 202, 222, 256, 258, 270; V, 157, 289; VI, 98; VIII, 92, 101, 320.

<sup>2</sup> ამ გამონათქვამების ნაწილი „დამაკვირდის“ სახელით ჟერ 1887 წ. დაიბეჭდა, ხოლო 1935 წელს ი. გრიშაშვილმა გამოაქვეყნა (იხ. საანდაზო ლექსები ი. ჭავჭავაძის ამოკრეფილი, წინათქმა და შენიშვნები ი. გრიშაშვილისა, თბ., 1935). იხ. აგრეთვე დამაკვირდი, თბ., 1965, გვ. 119—122, 126—136, 139—143.

<sup>3</sup> საანდაზო ლექსები, გვ. 8; ა. ახანაზაროვი. ილია ჭავჭავაძე და მისი დრო (მოგონება), „ილია ჭავჭავაძე“ (საიუბილეო კრებული), 1939, გვ. 297. ილიას თანამშრომელი და დამხმარე „დამაკვირდის“ შედგენაში იყო მ. ჭანაშვილი („ივერია“, 1898, №№ 46, 120; 1899, № 131).

<sup>4</sup> ალ. ბარამიძე, ი. ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, „ილია ჭავჭავაძე“ (საიუბილეო კრებული), 1957, გვ. 27—57; ლ. მენაბდე.

განსაკუთრებით მაღალი წარმოდგენისა იყო ი. ჯავახიშვილი ქართული პოეზიის გვირგვინზე „...ვეფხისტყაოსანზე“. მას სიამაყისა და სიყვარულის გრძნობით აღავსებდა ბრძოლის მგზნებარე პათოსით გამსჭვალული პოემა. მარად აღელვებდა ჩვენი „თავმოსაწონებელი“ (VIII, 122); „სამართლიანად სახელოვანი“ (VIII, 123) და „სასიქადულო“ (III, 7; IV, 11) შემოქმედი. მისი განცხადებით. „კულთამხილავი რუსთაველის“ (III, 130) „დიდებული პოემა“ (VIII, 111) უკვდავია „არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგან ღირსებაებით“ (III, 55). ქართველი ხალხის მოკირხნახულე მგოსანს „უკვდავი რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ (III, 15) მიაჩნდა მსოფლიო მასშტაბის პოეტურ შედევერად. მისი მართებული დასკვნით. „ვეფხისტყაოსანია“ ქართველების გულის საუხევე. რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ. ამას ჯერ არა სჯობია-რა“ (II, 62). ესაა „უძირო შორევი, ზღვა აზრისა და გრძნობისა“ (III, 152); „თითქმის წმიდანაწმიდა, რომელსაც შეიდას-რევაასი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შექაბარის“ ერი (VIII, 123). ესაა „დიდებულა სახსოვარი, რომელსაც მთელმა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი. ზრახვანი, გრძნობანი“ (VIII, 123). საგულისხმოა, რომ „უკვდავ რუსთაველს“ (II, 37) ილია აღიარებდა ერის სულიერ ზრახვათა ამსახველად, ქართული კულტურის ღირსეულ წარმომადგენლად და არა შემთხვევით გამოჩენილ გენიოსად, მოულოდნელ მოვლენად. ქართული სიტყვის ჯადოქარი მას „თითქმის გენიად“ (III, 11) მიაჩნდა და კარგად ესმოდა „რა განძია ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“; რა ბურჯია იგი ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის“ (VIII, 122—123). ილია „რუსთაველის უსწორო, ძლიერ ქნარს“ (I, 318—320), მის „მშვენიერ აღმაფრენას“ (I, 319) ადამიანის გამაყეთილშობილებლად და გამათაქიზებლად თვლიდა. შოთას პოემის შთამაგონებელი ძალა ყოველ ნაბიჯზე იჩენდა თავს, გაკვირვებულს ეხმარებოდა, გზას უკაფავდა, ამბაცებდა და აკაყებდა. „ბევრგან იმის სიტყვები გაკვირვებაში გულს მოგფხანენ. ჳირს გაგაიღვილებენ. გულს და გონებას გაგიწვრთნიან და სიკეთისათვის წაგახალისებენ“ (II, 62). შოთას სიტყვა გლახასაც კი შვებას ჰგვრიდა, ანუგეშებდა. აიძვლებდა. „ბარაქალა იმ კაცის მეტყველებას. რომლის სიტყვები უნუგეშოსაც ანუგეშებს საფლავის კარამდინა! მშვიდობა ძლიერსა სულსა შენსა, უკვდაო რუსთაველო!“ (II, 37).

ი. ჰავკვაძე შესანიშნავად იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, კარგად ერკვეოდა მის პრობლემებში, სათანადოდ აფასებდა მის მნიშვნელობას და წუხდა. უნივერსალური შემოქმედი სათანადოდ რომ არ იყო შესწავლილი და დაფასებული ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის მიერ (III, 152).

შოთაის ნაწერებში ილია ზოგჯერ „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებსაც ეწებოდა. მისი ცნობებით. შოთა მესხეთიდან იყო, სოფ. რუსთაიდან (IV, 11). ის თამარის დროს ცხოვრობდა, მისი კარისკაცი იყო (II, 62). თავგამოდებით იცავდა ილია პოემის ორიგინალობას. მანვე მოგვცა პოემის გამირთა დახასიათება, გახსნა მისი იდეურობა და გრძნობათა სიფაქიზე. სათანადოდ გაიაზრა „ვეფხისტყაოსნის“ ზნეობრივად ამაძლგებელი ტიტანური ძალის სიყვარული. რუსთველსა და მის პოემას ილია იხსენიებდა როგორც მხატვრულ. ისე პუბლიცისტურ თხზულებებში. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს „აჩრდილი“ (I, 131, 318—320) და „გლახის ნაამბობი“ (II, 37, 62—64). პუბლიცისტური და სამეცნიერო წერილებიდან აღსანიშნავია „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კახლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“ (III, 7, 11, 15), „პასუხი“ (III, 55), „ქართული თეატრი“ (III, 130), „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“ (III, 152), „ცისკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“ (III, 457—459), „ოსმალონ საქართველო“ (IV, 11), „Новое искусство“-ს წერილის გამო“ (IV, 155—171), „ქვათა ღალაღი“ (VII, 111, 122—123, 133) და სხვ.<sup>1</sup> ტანსაკუთრებით საყურადღებოა წერილი: „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ (III, 166—178), რომელიც 1887 წელს გამოქვეყნდა „ივერიაში“<sup>2</sup> ამ წერილში ილიამ რუსთველის ქმნილება საფუძვლიანად გაარჩია, მოგვცა მისი ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით განხილვის შესანიშნავი ნიმუში და წარმოაჩინა რუსთველის სიდიადე.

ა. წერეთელმა ლექციებში წაიკითხა ჯერ ქართულად (1881 წ.). ხოლო შემდეგ რუსულად (1887 წ.). მისი კონცეფცია ასეთი გახლდათ: რუსთველის შთავარ მიზანს მისი სამშობლოს სრული, მთლიანი სურათის მოცემა წარმოადგენდა. ვინაიდან საქართველო სხვადასხვა ტომებითაა დასახლებული, პოეტმა რამდენიმე კუთხის წარმომადგენელი დაგვიხატა: ქართლელი (ტარიელი), იმერელი (ავთანდილი) და

ილია ხშირად იხსენიებდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს: ტარიელს (II, 171, 374—375), ნესტანს (II, 171, 375), ავთანდილს (II, 75, 117), ფრიდონს (II, 102), შერმადინს (II, 75, 117) და ა. შ.

<sup>2</sup> „ივერია“, 1887, №№ 75—77.

თავი ზღვისპირელი (ფრიდონი). მისი დასკვნით. რუსთველის ვაჟები და ქალებიც ნამდვილი ქართველები არიან'.

ი. ქავჭავაძემ აკაკის მიერ ლექციების წაითხვა და რუსთველის პოემის პოპულარიზაცია საყოფადღებო მოვლენად მიიხსნა, მისი მიზანდასახულება და მოქმედება მოიწონა. მაგრამ კრიტიკული შენიშვნებიც გამოთქვა. მისი დასკვნით. რუსი საზოგადოებრიობისათვის გაეცნობა იმისა. თუ „რა ღირსებებია იგი სულიერი განძი, რომელიც სამკვიდროდ და სასახელოდ უანდერძა ჩვენმა წარსულმა ჩვენს ერსა, — მეტად მოსაწონი აზრია და დიდის თანაგრძნობის და მადლობის ღირსიცა ჩვენ მიერ“ (III, 166). მით უმეტეს, რომ ყველამ არ იცის „რითია ეგ სახელოვანი ნაშთი ჩვენის სულისა და გულის მოძრაობისა შემკული“ (III, 166). ილია გაბედულად აცხადებდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართველთა სასიქადულო პოემაა და მით კანონიერად ამაყობენ ქართველები. „სამართლიანად მოგვაქვს თავი მით, რომ ეგ დიდებული პოემა, შექმნილი ჩვენის ერის დიდებულობის დროსა, ჩვენის კაცისაგან და ჩვენს ენაზედ დაწერილია. ყველამ იცის, რომ ამით ჩვენ თავს ვიწონებთ, ვსახელობთ, ვკადულობთ“, — წერდა ილია (III, 166). სამწუხაროდ, — დასძენდა იგი, — ჯერ ყველას ვერ შეუცვნია „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა, ყველას ვერ გაუგია, თუ რით აიხსნება ის გარემოება, რომ რუსთველის პოემას „დიდი და პატარა, სრა-სასახლე და ქონი, ასე ერთნაირად, ერთპირად შეჰხაროდა უწინ და შეჰხარის დღესაც. როგორც დიდს რასმე საუნჯესა, საშვილიშვილოდ საპატიოსნა და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არ დაქცნობილსა. არ გაბათილებულსა. არ დავიწყებულსა“ (III, 166). ამიტომაც ა. წერეთლის მიზანდასახულება და მოქმედება მოწონებას იმსახურებსო, მაგრამ ქართველი ერის ღირსების ფხიზელ გუშავს აუცილებლად მიაჩნდა რუსთველის სულისა და აზრის სწორად და ზუსტად მიტანა საზოგადოებრიობამდე.

ილიას განცხადებით. „მთელი სამი ლექცია ბ-ნის აკაკისა წარმოადგენს ერთს იმ დედააზრის აკიდოს. რომ რუსთველმა გამოსანათავის პოემაში სამი, საქართველოს სხვადასხვა ნაწილის, ქართველი: მისი სიტყვით, ტარიელი, რადგანაც ზარმატია — ქართლელი, აეთანდრო, რადგანაც წინდახედულია და ცბიერი — იმერელი; და ფრიდონი კი — არ გვახსოვს რა მიზეზით და რის გამო — ზღვისპირის ქართველია“ (III, 167).

ილიას არ მოსწონდა აკაკის ლექციების დედააზრი, არ მოსწონდა

„მისი აკადო“, რომელიც „მეტისმეტად სუსტი რამ არის და თუმცა ზედ ასხმულს მარგალიტებს ჰზიდავს, მაგრამ კრიტიკის ხელშეხებას კი ვერ უძლებს“ (III, 167—168). მისი დასკვნით, აკაკიმ რუსთველის პოემის მნიშვნელობა „ვიწრო ფარგალში მოამწყვდია“ (III, 174); მისი კონცეფციით, „რუსთაველი დიდად სადიდებელი პოეტი კი არ არის, არამედ უბრალო ეთნოგრაფია. ან ამის მსგავსი ერთი ჩურჩქი რამ არამკითხველ მოამბე“ (III, 178).

ი. ჭავჭავაძე რუსთველის დაუღლეი ქომაგი, თაყვანისმცემელი და შესანიშნავი დამფასებელი იყო. ის მუდამ უსაზღვრო სიყვარულით იყო გამსჭვალული „ვეფხისტყაოსნისადმი“. ამიტომაც ვერ ურიგდებოდა ის აკაკის აზრს და ვერ იწყნარებდა მის შეხედულებას: „ძნელია იმისთანა მართლა სახელოვანი პოეტი, როგორც რუსთაველია, კაცმა უბრალო ეთნოგრაფის საჩხირკედლო საქმეზედ ჩამოახდინოს. ეს მეტისმეტი დაქვეითებაა პეგასზედ მჯდომი ცხენოსნისა“ (III, 168).

ილიას დასკვნით, დიდოსტატთა მიერ დახატულ ტიპებს ახასიათებთ არა მხოლოდ ამა თუ იმ ერის სპეციფიკური ნიშან-თვისებანი, არამედ ზოგადსაკაცობრიო, ყველა ხალხისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მაგალითად, ფალსტაფს, რომელიც ოსტატურად დახატა შექაირმა, „ათასი მსგავსი“ დაეძებნა საქართველოში. ის მხოლოდ ნანგლისელის ტიპს კი არ წარმოადგენს, არამედ საერთო-საყოველთაოს. „მსოფლიო გენიოსნი მწერალნი იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში, რომელს ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ. იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან“ (III, 168).

რუსთველის გმირები ილიამ მსოფლიო მასშტაბის გმირებად მიიჩნია და მსოფლიო ლიტერატურის საყოველთაოდ ცნობილი და სახელგანთქმული გმირების გვერდით შიხსენია: „ფალსტაფი ისეთივე შვილია მთელი კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი, დიდის შემოქმედობის ძალით შექმნილნი“ (III, 168). აქვე შევნიშნავთ, რომ ეს არაა შემთხვევითი მოვლენა, ილია ხშირად იხსენიებდა რუსთველს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა გვერდით და მათ გმირებს ერთმანეთს უდარებდა. ერთი ცნობით, ის წერდა კრიტიკულ სტატიას, რომელშიც პარალელს ავლებდა ჰამლეტსა და ტარიელს შორის<sup>1</sup>. მას გულდასმით წაუყითხავს გ. ბრანდესის თხზულება «Главные течения литературы»

<sup>1</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ი. ჭავჭავაძე და ქართული თეატრი, წიგნში: ლიტერატურული ნარკვევები, თბ., 1957, გვ. 267. ილია ლექციების წაითხვასაც აძირება „ვეფხისტყაოსნზე“, იხ. ვ. ს ი დ ა მ ო ნ ი ძ ე, ილია ჭავჭავაძის ლექციები, „თბილისი“, 30. VIII. 66, № 203 (4048).



რე XIX სტოლეთი» და იქ. სადაც განხილულია ბ. კონსტანის „ელეონორა“, თინათინი მიუწერია. სხვა გმირებს კი მისთვის ტარიელი, ავთანდილი და ნესტანი მოუგონებიათ<sup>1</sup>.

ი. ჭავჭავაძეს სწორად ჰქონდა გაგებულო, რომ ზოგადსაკაცობრიო ტიპის დახატვა-ყველო მწერალს არ შალუძდა, ამ ამოცანის დაძლევა მხოლოდ რჩეულთ შეეძლოთ: „რამოდენადაც მწერლის შემოქმედობის ძალი სწვდება ამ ზოგადსაკაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა“ (III, 168).

ზოგადსაკაცობრიო ტიპის შექმნისას მწერალი არ უგულებელყოფს ამა თუ იმ ერისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, პირუკუ, ასეთი ტიპის შექმნისას ის იყენებს ეროვნულ მონაცემებს და აზოგადებს მას. „თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავისის სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს. ყოველს ნამოქმედარს შემოქმედობისას, მაგრამ ეგ მარტო სამკაულია. ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარება“ (III, 168—169). აი, საზომი, რომლითაც, — ილიას აზრით, — უნდა დაეწყო „ვეფხისტყაოსნის“ კვლევა ა. წერეთელს. მაშინ ის პოემის გმირებს „საერთო-კაცობრიულად“ მიიჩნევდა და არ დააკნინებდა.

რუსთველის გმირები ილიამ მიიჩნია ზოგადსაკაცობრიო ტიპებად, რომელთა ეროვნულ-ტომობრივ ჩარჩოებში ჩაყენება შეუძლებლად და გაუმართლებლადაც კი გამოაცხადა: „ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი და სხვანი მამაკაცი და დედაკაცი „ვეფხისტყაოსნისა“ ყველაზედ უწინარეს ადამიანები არიან და, მაშასადამე, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი“ (III, 169). ისინი მოქმედებენ არა ავტორის სურვილისა თუ მათი ტომობრივი წარმომავლობის ნიშნების შესაბამისად. არამედ გათვალისწინებით იმ კონკრეტული სიტუაციისა, რომელშიც დგას ესა თუ ის გმირი.

ტარიელი, ილიას დახასიათებით. არის „ახოვანი, ღონიერი. ჯანმრთელი, სულითა და გულით ძლიერი, უშიშარი ვაჟკაცი“ (III, 169). მართალია, ამ დევგმირს „გულისთქმამ ცნობა წაართვა, ცნობის წართმევამ — ღონე და უღონობამ მჩვრად აქცია“ (III, 171), მაგრამ ეს, — ილიას აზრით, — ტარიელის ტომობრივი წარმომავლობით კი არ აიხსნება, არამედ იმით, რომ იგი აქ „კაცად-კაცადია, გულისთქმის ქარცეცხლში გატარებული თავიდან ბოლომდე“ (III, 171). ის საგან-

<sup>1</sup> ი. მ. მ. ავარიანი, ი. ჭავჭავაძის პირადი პიბლიოთეკის კატალოგი, გვ. 7, 56.

გებოდ იგონებდა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სალაპარაკოდ შეყრის უპიზონს და საუბრის გარეშე დაცლებას. ეს ადგილი მას „გენიოსურ კალმის მოსმად“ (III, 172) მიაჩნდა: აქ, — წერდა ილია. — ერთის კალმის მოსმით გამოთქმულია ის, რასაც ენლანდელი მწერალი მთელს ფურცლებს მოანდომებდა და მაინც ესოდეთ ცხოვლად ვერ გამოგვისატავდა სათქმელს“ (III, 173). აღნიშნული ადგილი ილიას პომერონის თხზულების ერთი ბრწყინვალე ადგილის ტოლფასოვნად მიაჩნდა<sup>1</sup>. ილია დაბეჭდვით ცდილობდა ტარიელის გამართლებას და მისი მოქმედების გარკვეული სიტუაციით ახსნას: „ტარიელი მჩვრად იქცა იმიტომ კი არა, რომ ზარმაცი ქართლელია, არამედ იმიტომ, რომ მაგისტანა ბუნების კაცი უსათუოდ მჩვრად უნდა იქცეს, რაკი იმ გარემოებაში ჩაფარდება და ბედი, თუ ქვეყანა, ისე უმტყუნებს და ულაღატებს“ (III, 176). ასევე სურდა მას სათანადო საფუძველი გამოენახა ავთანდილის მოქმედებისათვის. რომელიც, მისი დასკვნით, იმ გმირის წარმომავლობით — იმერლობით კი არ აიხსნება, არამედ მისი ბუნებითა და ხასიათით (III, 177).

ამრიგად, ილიას მტკიცებით, „ვეფხისტყაოსნის“ გმირები „კაცად-კაცადნი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი“ (III, 176) და მათი დაკნინება არაფრით არაა გამართლებული და დასაბუთებული. ~~სესთაველს ტიპებს იმ პაწია ქუჭრუტანიდან სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დანახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდამ, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადაეველებოდეს, მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზე“ (III, 175).~~

თავის მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევში ი. ჭავჭავაძე გვევლინება დაკვირვებულ კრიტიკოსად, რომელიც რიდიტა და კრძალვით ეკამათება ა. წერეთელს, არკვევს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას, შესანიშნავი კრიტიკული ალლოთი განიხილავს მას, ეძებს ტიპიურ მოვლენებს და დაუჩვენებლად იძლევა ამომწურავ პასუხს საკამათო საკითხზე.

მიუხედავად მრავალი ღირსებისა, ილიას წერილი არ იყო დაზღვეული ნაკლისაგან. პოლემიკით გატაცებულმა მწერალმა უყურადღებოდ დატოვა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის უგულებელყოფამ რამდენადმე ჩრდილი მიაყენა მის ნარკვევს. მას მხედველობიდან გამორჩა, რომ ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს ისეთი

<sup>1</sup> ამ ადგილზე ამახვილებდა ყურადღებას ილია ი. მეუნარგიასთან საუბრის დროს (ი. მეუნარგია, ნანახი და განავილი ილიას ცხოვრებიდან, ს. ცაიშვილის რედაქციით და შენიშვნებით, თბ. 1937, გვ. 49).

დაცილება. როგორც მის წერილში შეინიშნება, არაა გამართლებული: სწორად იფიქსირება ამის გამო ა. წერეთელმა: „რატომ არ შეიძლება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყონ და საზოგადო. საყოველთაო ტიპებიც?“<sup>1</sup>

ილიას წერილი: „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ სერიოზული და უღალესად მნიშვნელოვანი კრიტიკული განხილვაა რუსთველის პოემისა. არსებითად ესაა პირველი ცდა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით გარჩევისა და ტიპების სრულად დახასიათებისა<sup>2</sup>. მასში მოცემული ანხნა იდეური შინაარსისა და გააზრება მხატვრული სახეებისა ორიგინალურია და ზოგ შემთხვევაში დღესაც ინარჩუნებს მნიშვნელობას. საყურადღებოა ილიას განცხადება, რომლითაც სრულდება განხილული წერილი: „ჩვენ რუსთაველის სახელი მეტისმეტად დიდ სახელად მიგვაჩნია და მოგვიტევონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დავუთმობთ“ (III, 178). მართლაც, ილია არავის არ უთმობდა რუსთველის აუგად ხსენებას. გასაგებია, თუ მან აკაკისაც არ აპატიო „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილობრივი დაკნინება, როგორ მოექცეოდა ის სხვა პირთ, რომლებიც რუსთველსა თუ მის პოემას ჭეროვნად არ აფასებდნენ.

1889 წელს ი. ჯაბადარვა (1859—1913) გამოაქვეყნა წერილები სერია, რომელშიც ნიპილისტურად შეათვალა საქართველოს წარსული, უგულუბელყო ძველი ქართული კულტურა, დააკნინა ძველი ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობა, დაამცირა შოთა რუსთველი და მისი უკვდავი პოემა სპარსული ლიტერატურული ძეგლები. განსაკუთრებით კი ნიზამი განჯელის „ლეილნაქუნეიანის“, უბრალო მი-

<sup>1</sup> გ. ნადირაძემ და მ. დუდუჩავამ თავის საყურადღებო ნაშრომებში მოიწადინეს დამტკიცება იმისა, რომ ზოგადადამიანურობის განსახილვების ილიასული გაგება ეროვნულსაც მოიცავს და ამდენად მსჯელობა ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული ტიპების დაცილება-დაპირისპირებაზე შეუძლებელია. მათი დაკვირვებით. ილია. მარაბალია. ურადღებებს ამხეილებდა რუსთველის მიერ შექმნილ ზოგადსაკაცობრიო ტიპზე, მაგრამ სრულებით არ გამოიციხავდა ეროვნულს (გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, თბ., 1958, გვ. 95—102; მ. დუდუჩავა, ილია ქვეყანაძის ესთეტიკა, გვ. 171—176). საგულისხმო დასკვნაა, მაგრამ ის მეტწილად ემყარება ი. ქვეყანაძის ნააზრევს საერთოდ და არა იმ კონკრეტულ წერილს, რომელიც გააკრიტიკა თავის პასუხში ა. წერეთელმა.

<sup>2</sup> რუსთველის პოემის გმირთა საკითხს უხებოდა ილია წერილში: „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიციურე“. ის საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ პოემის პერსონაჟები „არც თავის დღეში ყოფილან და არც არიან. არც ოდესმე უცხოვრობათ და არც ეხლა სცხოვრობენ“. მაგრამ ავტორმა მოგონილ ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ „არაქვეშარიტი ამბავი მართალი გვეგონია“ (III, 409).

ბაძვად გამოაცხადა<sup>1</sup>. ასეთმა უპასუხისმგებლო და ცილისმწამებ-  
ლურმა გამონდომამ აღაშფოთა ქართველი საზოგადოებრიობა. ი. ჯა-  
ბადარის მცდარი მოსაზრებები გააკრიტიკეს ი. ჭავჭავაძემ, ნ. ნიკო-  
ლაძემ<sup>2</sup>, გ. წერეთელმა<sup>3</sup>, ი. გოგებაშვილმა<sup>4</sup>, დ. კეზელმა<sup>5</sup>,  
ი. მანსვეტაშვილმა<sup>6</sup>, ს. ქვარიაშვილმა<sup>7</sup> და სხვ.

ი. ჯაბადართან პაექრობა, მისი საბუთიანობის დარღვევა და შეც-  
დომების მხილება ი. ჭავჭავაძემ წამოიწყო. ჯერ კიდევ ადრე, როდეს-  
აც ი. ჯაბადარს მხოლოდ ორი წერილი ჰქონდა გამოქვეყნებული და  
ლიტერატურის საკითხები ჯერ არც-კი წამოეჭრა, ქართული საზო-  
გადოებრივი ცხოვრების მეთაური დაუნდობლად დაესხა მას თავს.  
მან დეტალურად განიხილა და კრიტიკულად გააანალიზა ი. ჯაბადა-  
რის შეხედულებანი ქართველი ერის სიბერესა და ინტენსიური  
ცხოვრების მნიშვნელობაზე. საქართველოს ისტორიის წყაროებსა  
და მათ ღირსება-ნაყოფანებაზე, საქართველოს ისტორიის უძველეს  
პერიოდზე. ქართულ ანბანზე, ქართულ ენაზე და ა. შ<sup>8</sup>. ი. ჭავჭავა-  
ძის დასკვნით, ნარ-დონი<sup>9</sup> წერდა „უმსგავსოს და შორი-შორს“.

<sup>1</sup> Н. Д., Письма о Грузии, „Северный вестник“, 1889, № 2, განყ. II, გვ. 47—61; № 3, განყ. II, გვ. 34—57; № 9, განყ. II, გვ. 42—59; № 10, განყ. II, გვ. 36—60.

<sup>2</sup> [Н. Николадзе], Византийские споры, „Новое обозрение“, 1889, № 2022 (იხ. აგრეთვე №№ 2032, 2046, 2048).

<sup>3</sup> Г. Церетели, Низам и Руставли, „Новое обозрение“, 1890, №№ 2084, 2086, 2091.

<sup>4</sup> იაკობ სვიმონიძე [გოგებაშვილი], ძირითადი უკუღმართო-  
ბა, „ივერია“, 1890, № 104 (=მისივე, ბურჯი ეროვნებისა, თბ., 1903, გვ. 50—51).

<sup>5</sup> Д. Сосланн, [Кезелн]. Литературные распри, „Тифлисский листок“, 1889, № 278.

<sup>6</sup> დონ იაკო [ი. მანსვეტაშვილი], შინ და გარეთ, „ივერია“, 1889, № 280: მისივე, ნაცნობებს, „ივერია“, 1890, № 1.

<sup>7</sup> ს. ქვარიაშვილი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, „მოამბე“, 1903, VII, განყ. II, გვ. 26 (=ცალკე გამოცემა, ქუთაისი, 1914, გვ. 31). იხ. აგრეთვე მამუ-  
კა, წერილი მეგობართან „ივერია“, 1889, № 254; სანო [ს. კრელაშვი-  
ლი]. ქართველთა შორის. „ივერია“, 1889, № 277; დ. ვერმიცანაშვი-  
ლი [ლ. წულაძე], წლიური ანგარიში პროვინციელისა, „ივერია“, 1889, № 279.

<sup>8</sup> [ი. ჭავჭავაძე]. ან ისტორია. „ივერია“, 1889, №№ 71, 77, 78, 83, 87, 90, 106, 116—118, 130, 159. აღნიშნული წერილები დაბეჭდილია ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის მეოთხე ტომში (გვ. 17—132). იქვეა დაბეჭდილი (გვ. 133—142) ის ორი წერილიც, რომელიც ილიას არ გამოუქვეყნებია და ხელ-  
ნაწერის სახით იყო შემონახული.

<sup>9</sup> ი. ჯაბადარმა თავის წერილებს Н. Д. მოაწერა. ამიტომაც ჯერ ილია, ხოლო შემდეგ ბევრი სხვა პირიც მას ნარ-დონად იხსენიებდა.

„სასაცილოდ იგდებდა ისტორიას“ და უპასუხისმგებლოდ ეპყრობოდა ფაქტებს. „საკვირველია, — წერდა ილია, — საიღამ იგონებს ამისთანა უცნაურს საბუთებს ეს მართლა და უცნაური და რაღაც ჯაღოთი შელოცვილი ავტორი“.

ი. ჭავჭავაძის პირველ ორ წერილს გამოეხმაურა ი. ჯაბადარი. მან მოიწადინა „ივერიის“ გაბიბრება და თავის მართლება, მაგრამ ამაოდ<sup>1</sup>. საპასუხო წერილში „ივერიის“ რედაქტორმა კიდევ უფრო მკაცრად გააკრიტიკა „გალალებული და თავდაუშქერელი ავტორი“ და მისი „უღირსი ფელეტონები“ და ამხილა „ლალი კაღნიერება თავმომწონე და თავგასული უმეცრებისა“<sup>2</sup>.

— ცნობილი ქართველი მოღვაწის ი. მანსვეტაშვილის მოგონებით, ი. ჯაბადარმა თავისი წერილი „გფფნსტყაოსნის“ შესახებ ილიას ჯერ კიდევ ხელნაწერის სახით აჩვენა. რუსთველის პოემის მშვენივანით მარადიანად აღფრთოვანებული ილია ი. ჯაბადარის წერილს სასტიკად აღუშფოთებია. მას გაცხარებით უთქვამს ავტორისათვის: „არა, ბატონო ივანე, ჩვენ აგრე ადვილად ვერ დაგითმობთ რუსთაველს... ამას მეტი დაფიქრება, მეტი მოსაზრება უნდა... აქ უფრო ღრმად უნდა საქმეს ჩახედვა. ვისაც რუსთაველზე წერა უნდა, იმან, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეითვისოს იგი არა კეუით მხოლოდ, არამედ გულითაც. უნდა იგრძნოს მისი გმირების სულისკვეთება, ჩასწვდეს ქართული გულის სიღრმეს, იგრძნოს მისი შაჟისცემა. ეს იქნება ქართველი კაცის ნამდვილი სულისთქმა, მისი რწმენა, მისი სამართლიანი განსჯა“<sup>3</sup>.

ი. ჯაბადარმა აღნიშნული წერილები, როგორც აღვნიშნეთ, მაინც გამოაქვეყნა<sup>4</sup> და ქართული კულტურის ზერელე შეფასებით, ქართული მწერლობისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულებითა და მხატვრული ძეგლების არამეცნიერული გააზრებით, აგრეთვე ცილისმწამებლური გამონათქვამებით აღაშფოთა ქართველი საზოგადოებრიობა. ი. ჯაბადარის ლიტერატურული შეხედულებანი ყველაზე ადრე ნ. ნიკოლაძემ განიხილა და დაუზოგავად ამხილა მისი უვიცობა საქართველოს წარსულისა და კულტურის საკითხებში, მოგვცა კარგი

<sup>1</sup> Н. Д., Открытое послание „Иверийцам“, „Новое обозрение“, 1889, № 1847, 1850.

<sup>2</sup> [ი. ჭავჭავაძე], ვხადავა და სხვათა შორის, „ივერია“, 1889, № 105 (= IV, 145—154).

<sup>3</sup> ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, ნახული და გავონილი. ლ. ასათიანი რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, თბ., 1936, გვ. 93.

<sup>4</sup> იმავე ი. მანსვეტაშვილის ცნობით, ავტორი წერილებისა თითქოს ი. ჯაბადარის მეუღლე — ლუბატოვიჩის ქალი ყოფილა (იქვე, გვ. 94).

დაკვირვებანიც, მაგრამ ბოლომდე არ მისდია მისი მცდარი შეხედულებების კრიტიკას, რითაც ააღელვა ი. ჭავჭავაძე, რომელიც ამ მოვლენას სპეციალური წერილით გამოეხმაურა (IV, 155—171). რუსთველის პოემის ერთგულმა დამცველმა საკმარისად არ მიიხნია ის საბუთიანობა, რომელიც ნ. ნიკოლაძის წერილში იყო მოხმობილი. მან საკადრისი პასუხი გასცა ი. ჭავჭავაძის „კონცეფციას“ და გააკრიტიკა ნ. ნიკოლაძის პოზიციაც<sup>1</sup>. კიდევ უფრო მკაცრად გალაშქრა ი. ჭავჭავაძემ ნ. მარის წინააღმდეგ.

გასული საუკუნის დამლევს ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე წამოიჭრა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ. კამათში ჩაება ახალგაზრდა მკვლევარი ნ. მარი, რომელმაც მხარი დაუჭირა პოემის სპარსული წყაროდან წარმომავლობის თეორიას<sup>2</sup> ის წერდა: „რამდენად სპარსული ენის და მწერლობის გაცნობა საბუთს მაძლევს, მე სრულ კეშმარიტებად მიმაჩნია რუსთველისავე სიტყვები, რომ მას სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი უხნა გაელექსოს. რამდენად შესცვალა დედანი პოეტმა, გააგრძელა, ან შეამოკლა, ამაზე სჯა მხოლოდ მაშინ შეგვეძლება, როცა სპარსული დედანი აღმოჩნდება, რის იმედს ჯერ კიდევ არ ვკარგავთ“. მკვლევარი არ ანახლებდა გარკვეულ საბუთებს. მაგრამ საზოგადოებას ანიშნებდა, რომ მისთვის ამოსავალი ერთი საკატალოგო ცნობა იყო: „თუ რა საბუთები მაძლევენ ნებას რუსთველის ცნობა მისვე თხზულებაზე სიმართლედ ვაღიარო, უკეთეს სპარსული დედნის აღმოჩენა დაგვიანდა, მათ მაშინ მოვიხსენიებ, ჯერ კი ველი ცნობებს ერთ სპარსულ ხელნაწერზე. რომელიც ბრიტანულ მუზეუმში ინახება ლონდონში და იქნება თვით ვეფხისტყაოსნის დედანი, ჩადგან ხელნაწერი შეიცავს, როგორც კატალოგიდან ჩანს, „შაჰიარ-ნამეს“, ე. ი. წიგნს შარიერზე (ტარიელზე), რომლის ამბავი ინდოეთში მომხდარა“<sup>3</sup>.

ნ. მარს, როგორც უკვე აღნიშნული იყო<sup>4</sup>, მხედველობაში ჰქონდა ჩ. რიოს კატალოგის ჩვენება, მაგრამ მისი ვარაუდი არ გამართლდა. მიუხედავად ამისა, მკვლევარი უკან არ იხედა და თავის მოსაზრებას სხვა შრომებშიც იმეორებდა.

(ქართველი მეცნიერული და ლიტერატურული საზოგადოებრიობა კრიტიკულად შეხვდა ნ. მარის აზრს. ახალგაზრდა მკვლევარმა დასვა რთული კითხვა, მაგრამ ვერ წარმოადგინა თავისი თვალსაზრისის

<sup>1</sup> ამ საკითხზე იხ. გვ. 128—131.

<sup>2</sup> ნ. მარი, წერილი „ვეფხისტყაოსნის“ გამო, „თეატრი“, 1890, № 12.

<sup>3</sup> ი. აბულაძე, „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის საკითხთა კვლევის ისტორია, კრებული: „შოთა რუსთაველი სკოლაში“, გვ. 202.

დამადასტურებელი მასალა. ასეთმა მოქმედებამ ააღელვა ქართველობა. ი. ქავეჭავაძემ კარგა ხანს ითმინა და ბოლოს, 1899 წელს ერთბაშად დაიქუხა და დაუზოგავად გააკრიტიკა ნ. მარის უსაფუძვლო მოსაზრება: ნ. მარმა „კარგა ხანია, რაც დაიქადა, რომ დამაცადეთ, ეგ თქვენი რაღაც „ვეფხისტყაოსანია“, — სულ თავზე დაგაფხრეწთო, ინგლისში ერთი მანუსკრიპტი შეგულება, იმას ვიპოვი და დაგიმტკიცებთ, რომ იქილამ არის ეგ ნათარგმნი. ან გადმოღებულიო. ვაი ჩვენო თავმოსაწონებლო რუსთაველო! თურმე ქურდი ყოფილნარ და სხვისი შენად გაგისაღებია! ჩვენ კი რა დიდებულ კაცად მიგჩინიეთ, შენს სახელს შევხაროდით! ბ-ნი მარი, რომელიც ვითარცა დიდგულა მეცნიერი, შუბლზე ბუზსაც არ ისვამს. უბრალო სიკვდილისშვილი ხომ არ არის, ტყუილად დაიქადოს რამ და არ იცოდეს, რომ „ისარი და პირით სიტყვა, რა გასტყორცნი. არ მობრუნდეს“. დაიქადა და აკი... აი ის დღეა და ეს დღე, მას აქეთ შვიდირვა, თუ არ მეტი, წელიწადი გავიდა, — მაგრამ ქადილი ქადილად დარჩა. ბ-ნმა მარმა კარგად იცის, — რა განძია ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“; კარგად იცის, — რა ბურჯია იგი ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის. მაშასადამე, თუ თავში დასაცნები ვისმე რამ უნდა, უკეთესი იქნება აქედამ დაგეცხოს, აქედამ შეგვიწეროს ციხე-სიმაგრე ჩვენის სახელისა და თავმოწონებისა. თუ არ ამან, სხვა რა გულთაძერამ უნდა აგვიჩხნას ეს ამისთანა თავდაუქერავი მუქარა და ქადება მეცნიერისა, ფსიქოლოგიურად რომ ჩაუფკვირდეთ?

რა საკადრისია, კაცს ჯერ საბუთი არ ენახოს, არ გაეჩხრიკოს და არც იცოდეს, მართლა ამისთანა საბუთი არის სადმე თუ არა, აილოს და მთელს ერს შეუფინოს მისი სამართლიანად სახელოვანი კაცი: შეუბღალავოს იგი თითქმის წმიდათაწმიდა, რომელსაც შეიდასრვაასი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შეჰხარის. შეურყიოს ძირი იმ დიდებულს სახსოვარს, რომელსაც მთელმა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სიხარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თავისი უკეთესი ფიქრნი. ზრახვანი, გრძნობანი!.. რა საკადრისია! კიდევ ვიტყვი: ამისი საბუთი რომ ხელში ჰქონოდა, ვინ რაღას ეტყოდა, მართალს წინ რაღა დაუდგებოდა! მაშინ თუმცა შევწუხდებოდით. მაგრამ მაინც პატივისცემითა და მოწიწებით თავს მოვიხრდიდით მართლის წინაშე. საქმე ის არის, რომ ჯერ საბუთი არ ენახა, და ან რას ჰნახავდა, რაც არ არის, და მაინც დაიქადა. მე ესე მომელანდაო, სიზმარში ვნახეო. რომ ინგლისში ამისი საბუთი არისო. თუ ეს მართლა სიზმარში მოვლანდებული არ არის, მაშ რა იქნა იგი ქადებული საბუთი? რამე

ჩაყლაპა? თუ იგი საბუთი არ აღმოჩნდა, ის პატიოსანი და ყოვლად ღირსეული თვისება ქვეშაირის მეცნიერისა სადღაა, რომ სთქვას: შეეცდი და ვინანიო. განა რომ „სოფლის ნადიმთა მჭდომელი სოფელსავითვე კრელია“. განა რომ „ბუისგან ნუ გამოელი ბოლო-კარკაზის ბუდესა“ (VIII, 122—123).

ციტირებული მოზრდილი ნაწყვეტი საკმაოდ კარგად გვაცნობს ილიას განწყობილებას და მის დამოკიდებულებას „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობაში ექვის შემტანთა მიმართ.

ნ. მარს დიდხანს არ გაუცია პასუხი ი. ჭავჭავაძისათვის, მაგრამ მან გულში ჩაიხვია წყენა და სიცოცხლის მიწურულამდე არ დაივიწყა. ერთ თავის შრომაში (1930 წ.) მკვლევარი იგონებდა 90-იან წლებს და საგანგებოდ შენიშნავდა: „(Тселе мишень всех националистических нападков, особенно острых со стороны грузинских националистов, вождь которых, известный писатель кп. Чавчавадзе, при общем молчаливом сочувствии пригвоздил его (Н. Марра—л. м.) публично к позорному столбу, как ученого продавшегося врагам Грузии“<sup>1</sup>. როგორც ჩანს, ნ. მარს იდიოზური ეპითეტით ცდილობდა დიდი ილიას ერთი დარტყმით მოსპობას და მისი კრიტიკის გაუფასურებას, მაგრამ ამაოდ<sup>2</sup>.

ი. ჭავჭავაძე უხვად სარგებლობდა „ვეფხისტყაოსნით“<sup>3</sup>. რუსთაველის პოეტური გამოთქმის ძალა და სურნელება მას ხიბლავდა და აჯადოებდა. შოთას პოეტური გენია მარად კიაფობდა ი. ჭავჭავაძის

<sup>1</sup> Н. Марр. Яфетидология в Ленинградском гос. университете, Избранные работы, I, Л., 1933, გვ. 271.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, ნ. მარს შეცდომების შესახებ ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხების გაშუქებაში, „ლიტერატურული ძიებანი“, VIII, 1953, გვ. 50.

<sup>3</sup> გამოთქმულია მოსაზრება, რომ „კაცია-ადამიანის“ სახელწოდების შერჩევისას ილია რუსთაველის ერთი გამონათქვამით სარგებლობდა. ავთანდილმა ერთგზის ასე მიმართა ასმათს: „...რამც გიყავ? კაცი ვარ, ადამიანი“ (233,1). საჯულისხმოა, რომ „კაცია-ადამიანის“ წინასიტყვაობის ზოგიერთ ვარიანტში მგზავრის კითხვაზე „ვინა ხარ, რა სულიერი ხარ?“, ლაფში ჩაფლული ქვეშემძრომი უპასუხებს: „კაცი ვარ, ადამიანი“. გაოცებული მგზავრი ეკითხება: „მართლან კაცი ხარ, ადამიანი?“ (II, 569. შდრ. 570, 573). აღნიშნული მოსაზრება არ უნდა იყვეს საფუძველს მოკლებული (კ. დონდუა, „კაცია-ადამიანის“ სათაურისათვის, „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1938, № 10—11, გვ. 77—81; გ. შალამბერიძე, „კაცია-ადამიანის“ სათაურის გაგებისათვის, „სახალხო განათლება“, 27. X. 49, № 44 (1052); რ. შამელაშვილი, „კაცია-ადამიანის!“ სათაურის გენეზისისათვის, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 11. II. 56, № 18 (6122); ალ. ბარამიძე, ქართველობის გულის საუნჯე, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1966, № 2, გვ. 6—7).



მხატვრულ თხზულებებსა თუ მეცნიერულ-კრიტიკულსა და პოლემიკურ წერილებში. ილია დიდი დაკვირვებით ჰკრეფდა პოემიდან ბრძნულ გამონათქვამებს, მახვილგონივრულ აფორიზმებს, სენტენციებს და მოხდენილად აქსოვდა მათ თავის ნაწერებში. ამით ის ტექსტს მატებდა შინაარსობლივ-აზოობლივ ძლიერებას, აზრს კიდევ უფრო მახვილსა და მკაფიოს ხდიდა, ფრაზის იდეურ-შემეცნებით მხარეს ამდიდრებდა და საკმაოდ ეფექტურ შედეგს აღწევდა. ილიას ნაწერებში გვხვდება რუსთველის მრავალი გამონათქვამი:

1. ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დაეაღლებიან (21,2; I, 121; IV, 61).
2. იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი (24,3; V, 344; VIII, 287).
3. რა ვარდმან მისი ყვაილი გაახმოს, დაამქნაროსა,  
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა (35,2—3; I, 131; II, 45; III, 294).
4. ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ზეაღია (39,4; II, 62; III, 427).
5. უხეი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების (49,3; V, 130).
6. რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია (50,4; II, 64—65,87; IV, 90,335; VII, 35; VIII, 133).
7. მიმდონი საწუთროსანი მისთა ნივთთავან რჩებიან,  
იშეებენ, შავრა უმუხთლოდ ბოლოდ ვერ მოურჩებიან (347,1—2; II, 85).
8. სჯობს, საყვარელსა უჩვენენ საქმენი საგმირონია! (377,2; III, 130, 307).
9. ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელდად (542,4; VIII, 111; X, 56).
10. ხსოენა არა ხამს კირისა, ვით დღისა გარდასრულისა (696,2; I, 122)<sup>1</sup>
11. ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი კირსა არ დაშრიდად,  
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ზიდად (703,1; II, 63, 87; III, 71).
12. გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძლომელი (718,1; VIII, 181).
13. ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშაელების (751,3; II, 332; VIII, 133).
14. შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი (759,4; I, 126).
15. სჯობს უყოლობა კაცისა მომღურაიისა ყოლასა (768,4; I, 126).
16. ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად (786,2; II, 74).
17. სჯობს სახელისა მოხვეკვა ყოველსა მოსახვეკელსა! (799,4; II, 73; III, 86).

<sup>1</sup> რუსთველის ეს აფორიზმი, — ისევე როგორც ილიას ნაწერებში ციტირებული ზოგიერთი ბრძნული გამონათქვამი არჩილის, სულხან-საბა ორბელიანის, ვახტანგ მეექვსისა და დ. გურამიშვილისა, — შეცდომით შეიტანეს ი. ჯავახიშვილის „აფორიზმებში“ (ი. ჯავახიშვილი, აფორიზმები, ამოკრებილი ბ. კანდელაკის მიერ, თბ., 1957). ამ საკითხზე ჩვენ დავებულებთ რეცენზია (ლ. შენაბდუნიანი, ილია ჯავახიშვილის აფორიზმების გამოცემის გამო, „ახალგაზრდა სტალინი“ 23. IV. 58, № 11 (223)). ი. ჯავახიშვილის გამონათქვამების ახალ პუბლიკაციაში (ი. ჯავახიშვილი, სხარტულა, ამოკრებილია ბ. კანდელაკის მიერ, თბ., 1962) კრებულის შემდგენელმა გაიმეორა ძველი შეცდომები და ავტორის დაუსახლებლად მოიხმო ვრცელი ამონაწერები ჩვენი რეცენზიიდან.

18. ვერ დაიპირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;  
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი;  
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსოცვანი.  
და სჯობს სიციცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი! (800; II, 68—69,  
74; IV, 89; VIII, 22) <sup>1</sup>.
19. მიეე გლახაკთა საკურკლე. ათაიესუფლე მონები,  
მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები (803,2, 4: I, 158).
20. ზოგჯერ მომცემო პატოეთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო (809,2: II, 440).
21. თუ თაეი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები (822,1; IV, 334).
22. სხეა სხეისა ომსა ბრძენია (850,4; III, 56,462).
23. ოდეს ტურთა გაიფედეს, არღარა ღირს არცა ჩირად (878,4: III, 405).
24. გონიერსა მწერთელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰგმირდეს (904,2; I, 125;  
II, 49; III, 453).
25. სწყუროდეს, წყალსა ვინ დადერის კაცი უშმაგო, ცნობილი? (919,1;  
II, 79).
26. ეა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გვირსა!  
ყოელი შენი მონდობილი ნიადამცა ჩემებრ ტირსა!  
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?!
- და მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა (951; II, 10,37;  
VIII, 173).
27. კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების! (1094, 4; I, 99; IV, 145).
28. კარგი რამ მჭირდეს, გიყვირდეს, ავი რა საკვირველია! (1175,3; III, 365;  
IV, 92; V, 111, 140, 343).
29. მოყვარე მტერი ყოელისა მტრისაგან უფრო მტერია (1211,2; VIII, 7).
30. თუ ყვაეი ვარდსა იშოვის, თაეი ბულბული ჰგონია (1254,2; I, 127).
31. რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია (1294,2; I, 127).
32. ესელა დავრჩეს სანაცელოდ მის იმედისა დიდისა.  
რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შეიღესა (1309, 34: III,  
308; VII, 211; VIII, 13; IX, 145).
33. მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია (1323,4; III,  
79, 379; IV, 145; IX, 229).
34. თქმულა: „სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა!“ (1344,4: IV,  
132; V, 72; VI, 117; X, 124).
35. შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდნილა დაღრეჯანია! (1603,4; II, 273).
36. გასტეხს ქეასაცა მაგარსა გრდელი ტყეიისა ლბილისა (5,4; I, 192).
37. სილბო ჰქონდა ნაქსოვისა და სიმტკიცე ნაქედისა (1149,4; V, 12; VIII,  
158).
38. უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების (49,4; VIII, 133).
39. რა მიპლულნის, სიახლევე საყვარლისა ეოცების,  
შეკრთის, დიდნი დაიზახნის, მით პატიეი ეოცების (140,3—4; III, 177).

<sup>1</sup> ეს გამონათქვამი უძღვოდა ეპიგრაფად „ქართლის დედის“ პირველ ვარიანტს (I, 324). იხ. ი. კაქვაძის ავტოგრაფები (აღწერილობა), შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შ. გოზალიშვილი, თბ., 1951, გვ. 51, 85; შდრ. შ. გოზალიშვილი, ი. კაქვაძის თხზულებათა ავტოგრაფები და ხელნაწერები, „ცისკარი“, 1957, № 4, გვ. 130.

40. ვაქებ კეუსა ბრძენთასა, ღომელნი ეურჩებთან... (347,3: III, 170. შდრ. 56, 463).
41. ამიგლო ქალმან ფარდავი შიშე თაიისა ძალითა... (394—395; III, 172).
42. ცოტაა, მაგრა ყოველგნით სიკეთე-მიუწოდომელი (600,4; III, 167).
43. მთვარე მზესა მოეშორვოს, მოშორებება განანათლებს, რა ეახლოს, შუქი დასწავს, გაეურების, ვერ იახლებს (830,1—2; III, 144).
44. რაცა არ გწადლეს, იგი ქმენ, ნუ სლევ წადილთა ნებასა (880,3; III, 171).
45. ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი ხელი ვითა იქმს ბრძნობასა! (886,1; III, 171).
46. ხამს მამაცი მამაციური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირასა კირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქეიტორსა... (875; III, 171)¹.

დამოწმებული გამონათქვამებიდან ბევრი გვხვდება პუბლიცისტურ წერილებში (1<sup>2</sup>—6<sup>2</sup>—5, 8, 9<sup>1</sup>, 11<sup>3</sup>—13<sup>3</sup>, 17<sup>2</sup>, 18<sup>3,4</sup>, 21—24<sup>3</sup>, 26<sup>3</sup>—29, 32—34, 37—46), განსაკუთრებით „აი ისტორიასა“ (1<sup>2</sup>, 6<sup>2</sup>, 18<sup>3</sup>, 28<sup>2</sup>) და „ქვათა ლალადში“ (6<sup>2</sup>, 9<sup>1</sup>, 12, 13<sup>3</sup>, 26<sup>3</sup>, 38). უხვად იყენებდა მათ ილია მხატვრულ თხზულებებში (1<sup>1</sup>, 3<sup>1</sup>, 4<sup>2</sup>, 6<sup>1,2</sup>, 7, 10, 11<sup>1,2</sup>, 13<sup>1</sup>—20, 24<sup>1,2</sup>—27<sup>1</sup>, 30, 31, 35, 36), განსაკუთრებით „გლახის ნაამბობსა“ (4<sup>2</sup>, 6<sup>1,2</sup>, 7, 11<sup>1,2</sup>, 16—18<sup>1,2</sup>, 24<sup>2</sup>—26<sup>2</sup>) და „ორ-ხმიან საახალწლო ოპერეტში“ (1<sup>1</sup>, 10, 24<sup>1</sup>). რუსთველის სიტყვებს იმოწმებდა ილია პირად წერილებშიც (9<sup>2</sup>, 34<sup>1</sup>). გამონათქვამების ავტორს ილია ზოგჯერ ასახელებდა, ან კონტექსტით გვაგებინებდა (3<sup>1</sup>, 4, 5, 6<sup>1-3</sup>, 8<sup>1</sup>, 9, 11, 16, 17<sup>2</sup>, 18<sup>1-3</sup>, 19, 22, 26<sup>3</sup>, 27<sup>1</sup>, 28<sup>3</sup>, 29, 32<sup>1</sup>, 33<sup>1</sup>, 39—42, 44—46), ზოგჯერ მათ ავტორის დასახელების გარეშეც იყენებდა (1, 2, 3<sup>2,3</sup>, 6<sup>1,4</sup>, 7, 8<sup>2</sup>, 10, 12—15, 17<sup>1</sup>, 18<sup>1</sup>, 20, 21, 23—25, 26<sup>1,3</sup>, 27<sup>2</sup>, 28<sup>1,2,4,5</sup>, 30, 31, 32<sup>2-4</sup>, 33<sup>2-4</sup>, 34—38, 43); ერთსა და იმავე სიტყვებს ზოგჯერ ავტორის სახელით, ზოგჯერ ავტორის დაუსახელებლად იმოწმებდა (3, 6, 8, 17, 18, 26—28, 32, 33). ხშირად იყენებდა ლექსისა თუ წერილის ბოლოსართად (1<sup>2</sup>, 11<sup>3</sup>, 12, 13<sup>3</sup>, 26<sup>3</sup>, 27<sup>1</sup>, 28<sup>2,3</sup>, 32<sup>3</sup>, 34<sup>1</sup>). რუსთველის გამონათქვამით სრულდება „პასუხის პასუხი“ (I, 99), „კატკოვის პასუხად“ (VIII, 13), „საქართველოს მოამბეზედ“ (III, 71), „ქართული თეატრი“ (III, 144), „შინაური მიმოხილვა“ (V, III) და ა. შ. აგრეთვე „ქვათა ლალადისა“ (VIII, 133, 173, 181) და „აი ისტორიის“ (IV, 61, 92, 132) ცალკეული ნაკვეთები. საყურადღებოა

¹ ალ. ბარამიძეს აღნიშნული აქვს 19 მაგალითი (№№ 1—4, 11, 12, 19, 21—24, 26—29, 32—34). მასვე შეუნიშნავს, რომ ილიას გამონათქვამი („გული, გონება და კუჭი ერთმანეთზედა ჰკიდთან“ — III, 400) დავალებული უნდა იყოს რუსთველის ცნობილი სიტყვებით: „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰკიდთან“ (548.1). იხ. მისი ი. ჰაქევაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები. ილია ჰაქევაძე (საიუბილეო კრებული), 1957, გვ. 38—39.

„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმების გამოყენება მხატვრული ნაწარმოებისა (I, 131, 158, 324) თუ პუბლიცისტურ-პოლემიკური წერილის (VIII, 7) ეპიგრაფად და სათაურად (III, 365). გასაგებია, რომ ილია ხშირად იმოწმებდა რუსთველის პოემას წერილში: „აკაკი წერეთელი“ და „ვეფხისტყაოსანი“ (39—42. 44—46).

ი. ჭავჭავაძის თხზულებებში მრავლად გვხვდება რუსთველის სიტყვები:

1. მიჯრით მიწყობილი (5,3; II, 501).
2. გასტებს ქეასაყა მაგარსა (5,4; II, 275) <sup>1</sup>.
3. ხელის-ხელ საგოგმანები (9,2; IV, 169; VI, 295; IX, 142).
4. ობოლი მარგალიტი (9,2; I, 135; III, 44,89) <sup>2</sup>.
5. უმსგავსო და შორი-შორი (15,3; I, 120; IV, 43).
6. ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან (21,1; I, 121).
7. დიდი მზღვარი (24,3; VI, 276; VIII, 274; IX, 265).
8. ტურფა საბაღნარო (35,3; III, 375).
9. მე გარდაესულეარ (36,1; I, 192).
10. სოფელი ასრე მქმნელია (36,2; II, 58).
11. ალვა რგული (50,1; 694,2; I, 66).
12. დიდი მარგი (12,2; I, 8,125).
13. საქმენი საგმირონია (377,2; III, 131).
14. მერტყას ხრამლია (565,4; I, 185).
15. ძალი შემწეედეს ქადილსა (608,2; II, 102; IX, 67, 179, 219);
16. გული მისცეს გულისათვის (703,2; VIII, 158).
17. სიკვდილი სახელოვანი (804,4 I, 136).
18. სქობს, იქმნების რაცა ძვირად (878,3; II, 566).
19. არ ახალია, ძველია (1175,4; I, 114, 127).
20. კბილთა ღრქენა (1197,2; V, 326).
21. მხიარულითა გულითა (1333,1; II, 483) <sup>3</sup>.

ი. ჭავჭავაძე აღნიშნულ გამონათქვამებს იყენებდა როგორც პუბლიცისტურ ნაწერებში (3, 4<sup>2</sup>, 5<sup>2</sup>, 7, 8, 13, 15<sup>2-4</sup>, 16, 20), ისე

<sup>1</sup> ამის კვალობაზეა შექმნილი ილიას გამონათქვამი: „რკინაც სტყდება, როს სცემს გრდემლი“ (I, 107).

<sup>2</sup> ილიას ნაწერებში გვხვდება „ობოლი თავი“ (I, 41; II, 83, 91, 101), „ობოლი გული“ (II, 82), „ვაზი ობოლი“ (I, 73) და ა. შ.

<sup>3</sup> ი. ჭავჭავაძის მხატვრულ ნაწერებში („აჩრდილი“, „ღმიტრი თავდადებული“), ზოგჯერ საუბარია ცხერის (ან თხის) და მგლის ერთად ღოვაზე (I, 141, 181). ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ილიას სიტყვები თითქოს თავისებური გამოძახილია რუსთველის სიტყვებისა: „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ (1664,4). იხ. ა. კ ე ნ კ ო შ ე ი ლ ი, ილია ჭავჭავაძე (კრიტიკულ-ბიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1955, გვ. 25—26; მ ი ს ი ე ვ ე, ილია ჭავჭავაძე (მხატვრული შემოქმედების საკითხები), თბ., 1962, გვ. 19. ეს გარემოება გამორიცხული არაა, მაგრამ ანგარიშგასაწეია ისიც, რომ მსგავსი გამონათქვამები ბიბლიაში გვხვდება (ისაია, XI, 6; LXXV, 25).

მხატვრულ ძეგლებშიც (1. 2. 4<sup>1</sup>, 5<sup>1</sup>. 6. 9—12. 14. 15<sup>1</sup>. 17—19. 21), კერძოდ ისეთ ნაწარმოებებში. როგორცაა „ოთარაანთ ქერივი“, „გლახის ნამბობი“, „აჩრდილი“ და სხვ. ის ამ გამონათქვამებს იყენებდა ავტორის დაუსახელებლად, თუმცა ზოგჯერ არც ავტორის მოხსენიებას ერიდებოდა. მაგალითად, წერილში „ღმერთმა ნუ დაგაბეროს“ ილია წერდა: „ერი თავისის სულით და გულით იმ ტურფა საბალნაროსა ჰგავს, საცა, რუსთაველის სიტყვით, ერთი მიდის. მის მაგიერ სხვა მოდის“ (III, 375). მოტანილი მაგალითიდან ჩანს, რომ ილია რუსთველის ტაეპების გადაკეთებას და მისთვის სხვა სახის მიცემას არ გაუბოძდა. საგულისხმოა, რომ ილია რუსთველის აფორიზმის არასრული სახით მოტანასაც არ ერიდებოდა (2). საყურადღებოა, რომ შოთას აფორიზმის ნაწილი მან მოხდენილად გამოიყენა „ოთარაანთ ქერივის“ ერთი თავის (VIII) დასასათაურებლად (II, 275).

რუსთველის გამონათქვამებს ილია ზოგჯერ თავისუფლად ეკიდებოდა და ცვლიდა, მაგრამ მათ შინაარსობლივ-აზრობლივ მხარეს არ არღვევდა<sup>1</sup>. რამდენიმე მაგალითი:

1. თვით არ დაშვრების. მსმენლისა ყური კი დაეაღებინა (I, 121).
2. თ. გ. თუმანოვისათვის საქმე სხვაა, სიტყვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი (VIII, 287. შტრ. V, 344).
5. ლოდინი ხსნილსაც დაბაშს, იგი თვით ების, ვინ ების. — ესე რომ ეთქვა როსტევანს თავის ქალისათვის, როცა შეფედა სეჰადა, არ შეედებოდა (V, 130).
11. ხაშს მოყვასი მოყვასისთვის სიცოცხლისა არ დამრიდად (III, 71).  
უნდა კაცი კაცისათვის სიცოცხლისა არ დამრიდად (II, 63).
21. თუ თავი ჩვენი ჩვენ გვახლავს, ღარიბად არ ვიხსენებთ (IV, 334).
28. კარგი რამ სპირდეს, გვიკვირდეს, ავი რა საკვირველია (IV, 92).  
კარგი რამ სპირდეს, უნდა უკვირდეს, ავი რა საკვირველია (V, 343).
32. ესეღა დაგვრჩა ნუგეშად მის იმედისა დიდისა (VIII, 13).
34. ზოგჯერ სიწყნარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა (IV, 132; VI, 117, შტრ. V, 72).
35. შიში ვერ იხსნის სიკვდილსა. ცუღია დარღვილობა (II, 273).
36. თქმულა: ქვასაცა მაგარსა გასტებს ტყვიის რბილი გრღემლი (I, 192).

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ი. ჯავჭავაძის მიერ რუსთველის სიტყვების პერიფრაზირება მხატვრულსა და პუბლიცისტურ წერილებში. რუსთველის სიტყვების გამოყენებით ილია აძლიერებდა საკუთარი ნაწარმოების აზრობლივ მხარეს. ამ ხერხს ის მეტწილად სატირული მიზნისათვის მიმართავდა. მაგალითად, ი. კოზლოვის პოეზია ილიას

<sup>1</sup> ადრე ი. ჯავჭავაძე იყენებდა „ვეფხისტყაოსნის“ დ. ჩუბინაშვილისეულ გამოცემებს, ხოლო გვიან ხანაში — გ. ქართულიშვილისეულს.

აგონებდა რუსთველის სიტყვებს იმ მონადირეთა შესახებ, რომელ-  
თაც მხოლოდ უმნიშვნელო ნადირის ხოცვა შეეძლოთ:

ჯანლოვის ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშიარეთა,  
ვამსგავსე შეილი ბედითი ემაწვილთა მონადირეთა:  
არ ძალუძს სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა, —  
დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქეს ხოცვა ნადირთა მცირეთა (16; II, 7).

ი. ჰავკევაძის „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტი“ საკმაოდ დავა-  
ლებულია ძველი ქართული მწერლობით<sup>1</sup>. მასში ციტირებულია  
დ. გურამიშვილისა და „ქილილა და დამანას“ მრავალი გამონათქვა-  
მი, სრულადაა გამოყენებული „ვეფხისტყაოსანიც“. რუსთველის  
სიტყვების პერიფრაზით მეტყველებდნენ ი. გოგებაშვილი და  
მ. მაჩაბელი. ი. გოგებაშვილი აცხადებდა:

ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, რაცა მიქია:  
უღაენა მიჩნს სახელად, არ თავი გამიქიქია.  
იგია ფუძე ქართველისა, მაგარი, ვითა ჭიქია...  
უღაენითა წვრთნა ყრმისა მე ბევრჯერ მითქვანს, მიქია.  
უღაენა პირველადე სიბრძნისა ერთი დარგი,  
ტკბილი ტკბილად გასაგონი, ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...  
მათ ზრდას არვინ დამიწუნებს, თუ კაცია მართლა ვარგი...  
სიტყვა სრულად გულსა სწუდება, უღაენა მით არს კარგი (I, 124—125)<sup>2</sup>.

მ. მაჩაბელი:

იავი ყოლა ნუ ჰგონია ვისმე ჩემი თანასწორი.  
ორატორი მას არ ჰქვიან, ვინც საღმე სთქვას ერთი, ორი,  
გრძელი სიტყვა მოკლედ მოსკრას და გაქირდეს ვითა ჯორი.  
ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,  
მართ აგრეთვე ორატორსა გრძელთა სიტყვათ ცუდად ბნევა... (I, 119—120).

განსაკუთრებით უხვად ესესხებოდა ილია „ვეფხისტყაოსანს“  
ნ. ნიკოლაძესთან კამათის დროს. აკრიტიკებდა რა თავის მოწინააღმ-  
დეგეს. იგი იყენებდა რუსთველის ენას, ფრაზეოლოგიას, ლექსიკას:

იყო ქართლ-კახეთს, იმერეთს ნიკოლაძე სვიანი,  
ერთი ცულღუტი, მანქანა, გულმშრალი, ენაწყლიანი.  
„ოზბორ“-ისა რედაქტორი, ტყიბულით ნახშირიანი.  
და თვით ტრაბახა, უებრო, რალაც ჩხაენა ხშიანი.

<sup>1</sup> დასახელებულ ლექსში „ვეფხისტყაოსნის“ პერიფრაზირებაზე იხ. გ. ჭიბ-  
ლაძე. ილია ჰავკევაძის ლექსები. წიგნში: კრიტიკული ეტიუდები, IV, თბ., 1963.  
გვ. 247.

<sup>2</sup> რითმა „ვიყავ კარგი“ — „დიდი მარგი“ ილიას გამოყენებული აქვს ლექსში  
„ხმა საზარისამ“ (I, 7—8).

ერთხელ ბრძანა: „გეტყვით საქმეს ერთგან სასაუბაროსა:  
 ემი სახელი ამ ქვეყნად რამ უნდა დაამკნაროსა?  
 ვი ვარ, რაცა ვარ მწერალი მწერალთა საბაღნაროსა,  
 მინდოდეს, ხელე დავჭდები სენატის მალა თაროსა.  
 კოტა რამ ნაკლი, სისუსტე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია,  
 ტრაბახი ვიცი ხანდისხან, რა ექნა, სოფელი ქრელია,  
 სხვა რომ არ მაქებს, თვით ეკეხავ, მითამ რა საწუნელია,  
 იქ ყველა გამოგვადგება, საცა რომ ხალხი ბნელია“.  
 ..დროებამ<sup>1</sup> ჰქადა: „ბატონო, რათ ბრძანეთ თქვენი მკვეხრობა,  
 როცა მწერალი ტრაბახობს, უმეცართ ჰმართებთ ჯერობა.  
 თქვენივე მეტობს ყოველსა სული და ტურფა ფერობა, —  
 ამას გვარწმუნებს თვითონვე თუმანიშვილის მკვეხრობა.  
 მაგას ნუ ბრძანებთ, ბატონო, ჯერ ეარდი არ დაეკვნობია,  
 თქვენი თათბირი ავიცა, სხვისა კარგისა მჯობია,  
 იკეხე, მინამა ხალხი თქვენი არ არის მცნობია,  
 როცა გიციობენ, მაშინ-კი ირიცაჲ, გამარჯობია! (III, 364).

რუსთველის პოემამ დიდი გავლენა მოახდინა ი. ჭავჭავაძის პოეტურ ოსტატობაზე. მართალია, ილიამ გადაახალისა ძველი პოეტური ხერხები და ფორმები, მაგრამ განიცადა „ვეფხისტყაოსნის“ გავლენაც. აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე მომენტს.

რუსთველისთვის დამახასიათებელი იყო სიტყვათა განმეორება და ამით აზრის მკაფიოდ გამოხატვა<sup>1</sup>. მოვიგონოთ მისი თქმები: „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი“ (759,4); „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი, ხელი ვითა იქმს ბრძნობასა“ (886,1) და სხვ. მსგავსი გამონათქვამები გვხვდება ილიას პოეტურ ნაწერებში:

ს ხ ვ ა ს თ ა ვ ს ე ე ლ ის, ს ხ ვ ა ს შ ე ჰ ხ ა რ ის, ს ხ ვ ა ს ე ტ რ ფ ის (I 102).  
 ხ ა ლ ხ ი ა ზ ი რ თ და, ხ ა ლ ხ ი ა ლ ს დ გა, ხ ა ლ ხ ი მ ო ჰ მ ე დ ო ბ ს (I, 151).  
 ვ ე რ ც ხ ე ნ ა ს, ვ ე რ ც თ ე ს ვ ა ს და ვ ე რ ც ა მ ა ს ა (I, 168).

ზოგჯერ ასეთი გამეორება რამდენიმე ტაეპის მანძილზე გრძელდება:

ს ა დ ა ც ღ რ უ ბ ე ლ ნ ი ვ ე რ ჰ ბ ე დ ა ვ დ ნ ე ნ შ ი შ ი თ ს რ ბ ო ლ ა ს ა,  
 ს ა დ ა ც ი ს მ ე ნ დ ი თ ა მ ა ყ ა დ გ რ ი გ ა ლ თ ქ რ ო ლ ა ს ა,  
 ს ა დ ა ც წ ე რ ო თ ა ქ ა რ ა ვ ა ნ ი, ც ა ს დ ა ლ უ ზ უ ლ ი... (I, 3,277).

დ რ ო ზ ე დ ს ი ბ რ მ ა ვ ე ვ ი ც ო ლ ი,  
 დ რ ო ზ ე დ თ ვ ა ლ ის ა ხ ი ლ ე ბ ა,  
 დ რ ო ზ ე დ ს ი ფ ი ც ხ ი თ ვ ი წ ო ლ ი (I, 7).

ი გ ი ვ ზ ე ი ა დ ი, ი გ ი ვ მ ძ ე ნ ვ ა რ ი,  
 ი გ ი ვ დ ი დ ე ბ უ ლ და დ ა დ უ მ ე ბ უ ლ (I, 131).

<sup>1</sup> ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთველი, გვ. 324—328.

შენთან სიკოცლე, შენთან სიკედელი  
შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა (I, 161).

ზოგჯერ მეორდება არა მარტო ერთი სიტყვა, არამედ რამდენიმე:

ი გ ი ა რ ი ყ ო შიშის ქრეოლა, შიშის კანკალი,  
ი გ ი ა რ ი ყ ო ძერა გულისა მფრთხალი და მხდალი (I, 3).  
ჩ ე ე ნ უ ნ და ვსლით ეხლა სხეა ეარსკელავს,  
ჩ ე ე ნ უ ნ და ჩენი ეშუათ მყოობადი,  
ჩ ე ე ნ უ ნ და მიესტეთ მომავალი ხალხს (I, 30).

რუსთველის გავლენით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ ილიას თხზულებებში ხშირად გვხვდება მიმართვა და შეძახება:

ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი, არ ხარ ისე მშვენიერი (I, 65).  
ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში? (I, 75).

ილიას საყვარელი ხერხია აგრეთვე განმეორება მიმართვისას:

ღმერთო! ღმერთო! ეს ხმა ტყბილი  
გამაგონე ჩემს მამულში! (I, 62).

ილიას ნაწერებში ხშირად გვხვდება მხატვრული ჩამოთვლის ხერხი, რომელიც ძალზე დამახასიათებელი იყო რუსთველისათვის<sup>1</sup>. ილია თავის მხატვრულ ნააზრევს ამით გამომსახველობით ძალს მატებდა. რამდენიმე მაგალითი:

მონღორნი, ტყენი, ნახნენი, ველნი (I, 141).  
წყალი და ცეცხლი, მუხი, ქუხილი (II, 148).  
ლარიბს, ობოლს, ქვრივს და ოხერს (I, 193).  
სახლი, კარი, თვისი, ტომი,  
ქვეყანა და თავის ერი (I, 203).

ი. ჭავჭავაძემ ადრევე შენიშნა, რომ რუსთველის „ფრაზეოლოგია გასაოცარს სიუხვეს ზმნების ხმარებისას წარმოგვიდგენს“. „დიდ ღირსებად ვუთვლით რუსთაველს, — წერდა ილია, — რომ ამ დედა-ძარღვს ჩვენის მეტყველებისას ასეთი განიერი გზა და ავალა მისცა და თითქმის არც ერთხელ არ უმტყუნა“ (IV, 89). ზმნების სიუხვე შეინიშნება ილიას პოეტურ სტრიქონებშიც. ის ზოგჯერ თითქმის მხოლოდ ზმნებით გადმოგვცემდა ამბავს და ზმნათა სიუხვეთ ზრდიდა სტრიქონის ტევადობას:

გავიშლი ფრთებსა, გავიჰიშები,  
გავიწედი ფეხსა, გავიზმორები (I, 12).  
მიჰქრის, მიფრინავს, მიჰეჭავს, უკან მისიღვეს მტვრისა ბუქი (I, 66).  
კლხინობენ კიდეც, კიდეც ჰხარობენ,

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 333—334.



პტიკრობენ, პკრძნობენ და პპოქმედობენ (I, 143).  
პირს დავიბანდით, ძილს დავიფრთხოვდით,  
მთის წყაროს წყლითა გავგრილდებოდით,  
ვხტოდით, ვიძახდით. ელანდარობდით  
და ზეზეურად დავნაყრდებოდით (I, 166).

საფიქრებელია, რუსთველის გავლენით აიხსნება ილიას მიერ უარყოფითი „არ“ ნაწილაკის ხმარება სიტყვათა საწარმოებლად<sup>1</sup>. როგორც ცნობილია, ამ ხერხს რუსთველი ხშირად მიმართავდა და მოხდენილად ქმნიდა ახალ ფორმებს. მოვიგონოთ მისი საინტერესო ფორმები: არ-გათენება (399,4), არ-გამწყურალი (693,1), არ-გაშეებული (214,2), არ-საქმნელი (190,4), არ-ფიცხელი (547,4) და სხვა მრავალი<sup>2</sup>.

ჩანს, ამ ხერხმა გავლენა მოახდინა ილიაზეც, რომლის წერილებში გვხვდება ასეთი ფორმები: არ-შესაძლებელი (IV, 28), არ-ხმარება (IV, 38, 125), არ-ქონა (IV, 103), არ-გაყეთება (V, 157), არ-შემოლება (IV, 86) და სხვ.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ ი. ჭავჭავაძის დიდი დამსახურება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეში. გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილმა გადაწყვიტა რუსთველის პოემის ტექსტის კრიტიკული დადგენა და მეცნიერული გამოცემა. ამ ფრიად საპატიო და პასუხსაგები საქმის შესასრულებლად ქართველ მოღვაწეთაგან ჩამოყალიბდა ავტორიტეტული კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ჩვენი კულტურის გამოჩენილი მუშაკები (გ. ორბელიანი, რ. ერისთავი, დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ი. მეუნარგია, ი. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი და სხვ.). ქართველ მწერალთა წამოწყებას თანაგრძნობით შეხვდა საზოგადოებრიობა და მალე კომისიის განკარგულებაში აღმოჩნდა საუკეთესო ხელნაწერები<sup>3</sup>. კომისია ენერგიულად შეუდგა მუშაობას. არჩეულ იქნა თავმჯდომარე (გ. ორბელიანი) და მისი ორი თანაშემწე (რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე). ილია კომისიის მუდმივი და აქტიური წევრი იყო. მისი მოთხოვნის საფუძველზე დაწყებულ იქნა ტექსტის კითხვა და ყველა ხელნაწერის ჩვენების საფუძველიანი შესწავლა სა-

<sup>1</sup> ა. შანიძე, ი. ჭავჭავაძე როგორც მებრძოლი ახალი სალიტერატურო ქართლის დამკვიდრებისათვის, „ილია ჭავჭავაძე“ (საიუბილეო კრებული), 1939, გვ. 26.

<sup>2</sup> „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, შედგენილი ა. შანიძის ხელმძღვანელობით, მისივე წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1956, გვ. 22—23.

<sup>3</sup> „დროება“, 1880, №№ 241, 242, 250, 1881, №№ 1, 3, 5, 6, 20.

ცილობელი საკითხების უცდომლად გადაწყვეტის მიზნით. მუშაობის პროცესში კომისია მრავალ დაბრკოლებას წააწყდა, ზოგჯერ მას სამუშაო პირობებიც არ გააჩნდა. ილიას ცნობით, კომისიის წევრები ერთგზის არც კი დაუშვეს შენობაში სამუშაოდ (V, 125)<sup>1</sup>. განსაკუთრებით ართულებდა მდგომარეობას ის გარემოება, რომ ასეთი დიდი საქმე პეტერბურგის ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის გარეშე კეთდებოდა<sup>2</sup>. მიუხედავად აღნიშნულისა, კომისია ფარხზლას არ ჰყრიდა. მას კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რა საშვილიშვილო საქმეს აკეთებდა. ეს გარემოება ალაფრთოვანებდა მის თითოეულ წევრს და უათკეცებდა ძალასა და ენერჯიას.

კომისიის მუშაობის პროცესს, სამწუხაროდ, კარგად არ ვიცნობთ. ჩვენს განკარგულებაშია მხოლოდ მოკლე ჩანაწერები, რომლებიც „დროებაში“ გამოაქვეყნა ი. მეუნარგიაშვილმა (ზოგიერთი საყურადღებო ცნობა შემოუნახავს ი. მანსვეტაშვილსაც)<sup>3</sup>. მათი მიხედვით სურათის მთლიანად აღდგენა არ ხერხდება, მაგრამ მწირი ცნობებიდანაც ჩანს, რომ ი. ჭავჭავაძე ამ საქმეს სრული სერიოზულობით ეკიდებოდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა საკითხების განხილვაში<sup>4</sup>.

კომისიის ენერჯიული და თავდადებული მუშაობის შედეგად „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი გაცხრილულ და დაზუსტებულ იქნა და მდიდრულად გამოიცა 1888 წელს. თავისი დროის კვალობაზე ეს ჩინებული გამოცემა იყო<sup>5</sup>.

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე „დროება“, 1881, №№ 222, 226; „შრომა“, 1881, №№ 9, 11.

<sup>2</sup> შტრ. ი. ჭავჭავაძე ილია, შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო, წიგნში: ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, თბ., 1956, გვ. 8. მხოლოდ ერთ სხდომას დასწრებიდა დ. ჩუბინაშვილი („დროება“, 1881, № 209).

<sup>3</sup> „დროება“, 1881, №№ 31, 36, 42, 44, 48, 51, 54, 57, 60, 63, 65, 68, 71, 86.

<sup>4</sup> ი. მანსვეტაშვილი, მცირეოდენი შენიშვნა „ვეფხისტყაოსნის“ თაობაზე, „მნათობი“, 1937, № 12, გვ. 221. შტრ. ს. ცაიშვილი, ფაქტობრივ შენიშვნა ი. მანსვეტაშვილის მოგონების გამო, „მნათობი“, 1938, № 2, გვ. 190.

<sup>5</sup> „დროება“, 1880, № 250; 1881, №№ 31, 36. ი. ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა ბექლვის კომიტეტს (ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ბექლვის ისტორიიდან, გვ. 118).

<sup>6</sup> ილია თანაგრძნობით ეკიდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებს მ. უორდროსს, ი. მეუნარგიას („დროება“, 1884, № 260), ი. პოლტორაკის (ე. თაყაიშვილი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე, „ლიტერატურის მატრიანე“, წიგნი 6, ნაკვეთი I, 1952, გვ. 48) და ხშირად გამოხატავდა თავის პატივისცემას მათადმი.

ი. ჭავჭავაძის რუსთაველოლოგიურ შეხედულებებზე იხ. მ. ჭანაშვილი, შოთა რუსთაველი, თბ., 1896, გვ. 35-36, 28-41; ს. ქვარიაძე, შოთა

საქართველოს უგვირგვინო მეფე, მშობელი ერის შესანიშნავი სულიერი მოძღვარი და მისი უსაყვარლესი მგოსანი ა. წერეთელი ქემშარიტად ბუმბერაზული ფიგურაა სოციალური ჩავერის წინააღმდეგ გაბედული მემამბოსე, მშრომელი ხალხის მისწრაფებათა მცოდნე, მისი ნაფიქრ-ნააზრევის უცდომლად გამგები და მისი სულიერი ტკივილების დამამებელი მწერალი ქართველი საზოგადოებრიობის ზნეობრივ-ესთეტიკური აღზრდისა და მორალური განსპეტაებისათვის თავგანწირული მებრძოლი და ხალხთა მეგობრობის დაუცხრომელი მომღერალია. განუზომელი და ფასდაუდებელია მისი დამსახურება მშობლიური კულტურის წინაშე, საზოგადოებრივი ცხოვრების წინაშე.

ა. წერეთელი დიდებული ეროვნული მოღვაწეა. მისი კულტურულ-ლიტერატურული შემოქმედება მშობელი ხალხის ყოველდღიური ცხოვრების ნათელი და უტყუარი სარკეა. მის სახელთანაა დაკავშირებული ქართველთა მიერ საკუთარი ღირსების შეცნობა, ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოღვიძება და განვითარება.

ქართული მხატვრული სიტყვის დახელოვნებული ოსტატი მტკიცედ ემყარებოდა ძველ ქართულ მწერლობას, ინტერესით ეცნობოდა და სწავლობდა სახელოვანი წინაპრების თხზულებებს — სასუ-

რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 27—28; ვ. ბერიძე, ი. ქავჭავაძე და „ეფესისტყაოსანი“, წიგნში: რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961, გვ. 166—188; ალ. ბარამიძე, ი. ქავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, „ილია ქავჭავაძე“ (საიუბილეო კრებული), 1957, გვ. 37—55; მისივე, შოთა რუსთველი, გვ. 94, 105—108, 112, 186, 242, 335, 361, 398, 511—512; მისივე, დიდი საუნჩენი, „კომუნისტი“, 17. XI. 62, № 270 (12478); მისივე, ქართველობის გულის საუნჩე, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1966, № 2, გვ. 5—8; ს. კილაია, ილია ქავჭავაძე რუსთველის შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, 26. XII. 37, № 32 (54); დ. ბენაშვილი, სახისა და ხასიათის პრობლემა „ეფესისტყაოსანში“, თბ., 1954, გვ. 43—45; ვ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, გვ. 95—102; მ. დუდუჩაძე, ილია ქავჭავაძის ესთეტიკა, გვ. 160—190; ლ. მენაბდე, ი. ქავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობა, თსუ შრომები, ტ. 69, 1958, გვ. 84—98; ლ. გაჩეჩილაძე, მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლები და შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული: „შოთა რუსთველი“, თბ., 1966, გვ. 221—226; ი. ბეროშვილი, ილია და „ეფესისტყაოსანი“, „ლიტერატურული საქართველო“, 16. IX. 66, № 38 (1519); И. Мегрелидзе, И. Чавчавадзе и творец „Вепхисткаосани“, „Заря Востока“, 20. IX. 66, № 216 (12760); მისივე, სამოციანელების ღვაწლი რუსთველოლოგიაში, „მნათობი“, 1966, № 7, გვ. 135—136 და სხვ. (იხ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 204, 287, 327, 367, 383, 509, 533, 538, 604, 648, 768, 773, 792, 794).

ლიერო-საეკლესიო მწერლობის ნიმუშებს, საერო-მხატვრული ლიტერატურის ძეგლებს. ძველი ქართული მწერლობის ტრადიცია არსებითი მნიშვნელობის საფუძველს წარმოადგენდა მისთვის.

ა. წერეთელი აღიზარდა საკმაოდ განათლებულ ოჯახში. დედამისი ეკატერინე (1808—1885), — შვილიშვილი სოლომონ პირველის (1756—1784) ასულის დარეჯანისა, ასული მეამბოხე დიდებულის ივანე აბაშიძისა, — შესანიშნავად აღზრდილი ქალი იყო. აკაკის სიტყვით, მან, „რაც კი იმ დროში ქართველი ქალის ხელიდან გამოვიდოდა, ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა: იყო კარგი მწიგნობარი, მეოჯახე, მოხელსაქნარე და მასთანაც კარგი აღმზრდელი“ (VII, 25) <sup>1</sup>.

მან დიდი როლი შეასრულა აკაკის სულიერ წრთობაში, მის ზნეობრივ სრულყოფაში, საყურადღებო წვლილი შეიტანა მისი აღზრდისა და სწავლა-განათლების საქმეში<sup>2</sup>. დიდი მგოსანი ყოველთვის მადლიერებით იგონებდა ამგადარ მშობელს.

აკაკის მამა — როსტომ წერეთელი (1802—1876) ნებიერად აღზრდილი, თავნება და ახირებული, ფიცხი კაცი იყო, მაგრამ ამასთანავე საკმაოდ გონიერი და შორსმჭვრეტელი. როსტომს უყვარდა კითხვა — მეტწილად საისტორიო ხასიათისა და ბიბლიური წიგნებისა.

აკაკი ძველ ქართულ მწერლობას მამის ოჯახში გაეცნო და დაეწაფა. მან ადრევე გაიცნო როგორც „ვეფხისტყაოსანი“, ისე სხვა ძეგლებიც. მერვე წელიწადს, — წერს აკაკი, — „ბევრს აღარ დავრბოდი, რადგანაც ადრინდელი თავშესაქცევარი ყოველგვარი თამაშობა მომწყინდა და უფრო სხვა საფიქრელს გადავეყევი. ამის მიზეზი იყო „ვეფხისტყაოსანი“. წავიკითხე თავიდან ბოლომდე და, თუმც ზღაპრული მხარის მეტი არა გამიგია რა, მაგრამ მაინც ძალიან გატაცებული ვიყავი:“ იმას მივაცოლუე სხვა საკითხავებიც და მთელი „ქრისტომატია“, დ. ჩუბინაშვილისაგან პეტერბურგში გამოცემული, რამდენჯერმე გადავიკითხე“ (VII, 56—57) <sup>3</sup>.

<sup>1</sup> ნარკვევის წერისას ვიყენებდით ა. წერეთლის თხზულებათა სრულ კრებულს, რომელიც გამოაქვეყნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა (I—XV, თბ., 1950—1963). დამოწმებისას რომაული რიცხვით აღვნიშნავთ ტომს, არაბულით — გვერდს.

<sup>2</sup> ის გვიან ხანაშიც ინტერესს იჩენდა ქართული მწიგნობრობისადმი. აკაკის მისთვის პეტერბურგშიც შეუძენია რამდენიმე თხზულება (XV, 20, 25—26; ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, გვ. 47, 152).

<sup>3</sup> აკაკიმ რომ „ვეფხისტყაოსანი“ ბავშვობაშივე გაიცნო და რუსთველის გავლენაც საკმაოდ განიცადა, ამას მისი ადრინდელი (1852 წ.) აკროსტიხი — „ეკატერინეც“ (IV, 391) ნათლად ადასტურებს (ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი

ა. წერეთლის სიტყვებიდან ჩანს, რომ მან ბავშვობაშივე, ჯერ კიდევ ოჯახში სწავლისას გაიცნო „ვეფხისტყაოსანი“ და დ. ჩუბინაშვილის „ქრისტომატიაში“ შესული ტექსტები — ნაწყვეტები „ვის-რამიანიდან“, „ამირანდარეჯანიანიდან“, „რუსუდანიანიდან“, „სიბრძნე სიცრუიდან“, „ქილილა და დამანადან“, აგრეთვე გიორგი მთაწმიდლის, გიორგი მცირის, ტ. გაბაშვილისა და სხვათა ნაწარმოებებიდან. ასე რომ, აკაკის ცოცხალი გონებისა და ლალი ფანტაზიის გაშლა-განვითარებაზე ქართული ხალხური სიტყვიერების მრავალფეროვან საგანძურთან ერთად გავლენა მოახდინა ძველმა ქართულმა მწერლობამ. )

ქუთაისში სწავლის პერიოდში (1850—1859) აკაკის ნაკლები დრო ჰქონდა ძველი ქართული წერილობითი კულტურის გასაცნობად, მას სხვა საგნებს ასწავლიდნენ და დამოუკიდებელი მუშაობისათვის დრო ნაკლებად რჩებოდა<sup>1</sup>. სულ სხვა ვითარება იყო პეტერბურგში, სადაც ა. წერეთელი 1859 წელს ჩავიდა და თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე. ქართველი სტუდენტები ხშირად იკრიბებოდნენ, მსჯელობდნენ აქტუალურ პრობლემებზე, კამათობდნენ პოლიტიკურ, ეკონომიურ, ლიტერატურულ საკითხებზე<sup>2</sup>. ერთი სტუდენტი გვიან ხანაში საგანგებოდ იგონებდა: „სტუდენტები ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით, როგორც საზოგადო კითხვებზე, აგრეთვე ჩვენს დაბეჩაებულს სამშობლოს მომავალზედ. ვკითხულობდით ხშირად ქართულ წიგნებს“<sup>3</sup>.

ა. წერეთელს პეტერბურგში კარგი შესაძლებლობა ჰქონდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გაცნობისა და შესწავლისა. მას ხელი მიუწვდებოდა ქართული ხელნაწერების მდიდარ კოლექციასზე, რომელიც სტუდენტებს ჰქონდათ<sup>4</sup>.

პეტერბურგში აკაკი გულმოდგინედ მეცადინეობდა, სწავლობდა მშობლიურ ლიტერატურას, იმალეებდა განათლების დონეს. ბეჭითობამ სასურველი შედეგი გამოიღო: აკაკიმ ბრწყინვალედ ჩააბარა

---

წერეთლისა, გვ. 77—78; ა. გაჩეჩილაძე, აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 1954, გვ. 196).

<sup>1</sup> ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, გვ. 61—84. იხ. აგრეთვე კ. მეძველია, აკაკი ქუთაისის გიმნაზიის მოწაფე, „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1940, № 6, გვ. 55—61; ტ. ხუნდაძე, აკაკი წერეთელი ქუთაისის გიმნაზიაში, „სახალხო განათლება“, 20. XI. 47, № 47 (951).

<sup>2</sup> კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, I, გვ. 204—222.

<sup>3</sup> კ. აფხაზი, მოგონებანი ი. ჭავჭავაძის შესახებ, „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, I, 1935, გვ. 564.

<sup>4</sup> იხ. ზემოთ გვ. 33—34.

ქართული ლიტერატურა და მაღალი შეფასება დაიმსახურა. ხოლო შემდეგ წარდგენილი შრომით, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ საყუარდლებო პრობლემას მიეძღვნა, საკანდიდატო დიპლომის მიღების უფლებაც მოიპოვა<sup>1</sup>. უნივერსიტეტში შექმნილი ცოდნა მან კიდევ უფრო გაიღრმავა შემდეგში. მისი თანამედროვენი საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ აკაკი ყოველთვის გულდასმით ეცნობოდა ლიტერატურას და ზოგჯერ ღამეებსაც კი ათენებდა კითხვაში<sup>2</sup>.

ა. წერეთელს ახლო ურთიერთობა ჰქონდა დ. ჩუბინაშვილიან, აგრეთვე ძველი ქართული მწერლობის სხვა გამოჩენილ მკვლევართან — ალ. ცაგარელთან, ალ. ხახანაშვილთან, მ. ჯანაშვილთან, ე. თაყაიშვილთან, თ. ყორდანიასთან და სხვებთან<sup>3</sup>.

ძველი ქართული მწერლობის სპეციალისტებთან ახლო ნაცნობობა და მეგობრული ურთიერთობა, შეხვედრები და გულთბილი საუბრები ხელს უწყობდნენ აკაკის დაინტერესებას ძველი ძეგლებით, აღრმავებდნენ მის ცოდნას მშობლიურ მწერლობაში.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ა. წერეთლის ზრუნვა ხელნაწერების შეკრება-დაცვაზე, მათში წარმოდგენილი ძეგლების შესწავლა-პუბლიკაციაზე. ის ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლისას დაეწაფა ძველ ქართულ ხელნაწერებს და მათ ჩვენებას იმოწმებდა ნ. კოსტომაროვთან და ტარას შევჩენკოსთან საუბრისას (XV, 554): საქართველოში დაბრუნებული მგოსანი იძენდა ხელნაწერებს<sup>4</sup>, მიესალმებოდა.

<sup>1</sup> ლ. ასათიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, გვ. 108—124, 132—134; 139—160, 163—177. იხ. აგრეთვე Д. Арсенишвили, Акакий Церетели в Петербургском университете, „Заря Востока“, 3. VII. 55, № 156 (9348); Д. Гамезардашвили, На берегах Невы, „Заря Востока“, 4. XII. 60. № 282 (11001); კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, I, გვ. 211—212 და შმდ. აკაკის დიპლომი მაინც ვერ მიუღია, რადგან წარდგენილი არ ჰქონდა გიმნაზიის ატესტატი.

<sup>2</sup> ი. ელიაშვილი, აკაკი „აკაკი წერეთელი“ (საიუბილეო კრებული); თბ., 1940, გვ. 436—437.

<sup>3</sup> VII. 94; XII. 128—129; XIII, 437—438; XIV. 484, 557—560; ო. გომეჯაური, მოგონებათა ეპიზოდები. „ლიტერატურის მატრიანე“. წიგნი 6. ნაკვ. I, 1952, გვ. 83—84; ე. თაყაიშვილი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე, იქვე, გვ. 51—56; ს. კოლოშვილი, მოგონება აკაკიზე. „აკაკი წერეთელი“ (საიუბილეო კრებული), გვ. 412—413; H № 3096-ბ; „საისტორიო მოამბე“, VII, 1953, გვ. 373.

<sup>4</sup> მაგ. შეიძინა ხელნაწერი. რომელიც მოცეპული იყო საინტერესო ცნობები სოლომონ მეფეზე (XIII, 179). შეუძენია მას აგრეთვე მინიატურული სახარება და გიორგი მეთორმეტის ნაქონი ლოცვანი („ღრობა“, 1884, № 202. შდრ.: „საისტორიო მოამბე“, VII, 1953, გვ. 340, 377).

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნსაცავის გამდიდრებას (XIII, 111)<sup>1</sup>, ინტერესს იჩენდა პოლტავის მიდამოებში გაბნეული ქართული ხელნაწერებისადმი (XIII, 559; XV, 115), ეჩმიაძინშიც კი აპირებდა წასვლას იქ დაცული ქართული ხელნაწერების გასაცნობად<sup>2</sup>, ქებით იხსენიებდა იმ პირობას, რომლებიც კარგად უვლიდნენ ძველ ქართულ ხელნაწერებს — პ. კარბელაშვილსა და ნ. დადიანს, რომელსაც რჩევასაც კი აძლევდა ძველი ავტორების თხზულებათა პუბლიკაციის შესახებ (XI, 120-121). ერთი ცნობით, ა. წერეთელს დადიანთა საგვარეულო წიგნსაცავის კატალოგიც კი შეუდგენია<sup>3</sup>. )

ა. წერეთელს ნათლად ესმოდა ქართული ხელნაწერების მნიშვნელობა და მათი შესწავლის აუცილებლობა. მას გულს უკლავდა ის გარემოება, რომ „ჩვენი ლიტერატურის ძვირფასი ნაწარმოებები... სხვადასხვა მონასტრებში ღპებიან და თავგების ბუდეებად ჰხდებიან“ (XI, 164). დიდი მოაზროვნე გრძნობდა, რომ საჭირო იყო ძველი ქართული ხელნაწერების დაძებნა, გაცნობა, შესწავლა; სამართლიან გულისწყრომას გამოხატავდა იმათ მიმართ, ვისაც „ჩაუგდიათ ხელში ძველი ხელნაწერები და არც თვითონ სარგებლობენ და არც საზოგადოებას ასარგებლებენ“ (XI, 72). მისი მართებული მოსაზრებით, „ის პირები, რომლებიც ქართულ ხელნაწერებს მალვენ და აფუჭებენ, ღირსი არიან შეირიცხონ დამნაშავედ, რადგანაც იმათგვარი მოქმედება, ე. ი. ძველი ქართული წერილების მითვისება და დამალვა საზოგადოებისაგან, არის მითვისება საზოგადოების და შთამომავლობის საკუთრებისა“ (XI, 73). ისინი ღირსნი არიან საყოველთაო ზიზღისა, სახალხო მსჯავრისა, რადგან გვევლინებიან „საზოგადოების წინაშე სხვისი საკუთრების მიმთვისებლებად“ (XI, 74).

ა. წერეთლის კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ დიდი შემოქმედოზოგიერთ ძველ ქართულ თხზულებას ხელნაწერში გაეცნო; ამასთანავე იგი ძველი ტექსტების გამოცემის საქმეშიც იყო ჩართული.

<sup>1</sup> ტ. ხუნდაძე, აკაკი წერეთელი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. „მნათობი“, 1960. № 10, გვ. 85.

<sup>2</sup> ს. შ., წერილი ეჩმიაძინიდან. „ივერია“, 1900. № 283.

<sup>3</sup> „ღროება“, 1885, № 60. იხ. აგრეთვე ს. ცაიშვილი. ილია და აკაკი ქართული წიგნის დაცვის სამსახურში, „სახალხო განათლება“. 9. V. 51. № 19 (1131). აკაკი ერთ ზაფხულს გორდში ისვენებდა (XIV, 579-584). სტუმრად იყო ნ. დადიანთან. შესაძლებელია მამინ გაციცო აღნიშნული წიგნსაცავი და კატალოგიც შეადგინა.

კერძოდ. მისი მონაწილეობით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ (1888 წ.). აკაკი ინტერესით ეხმაურებოდა ძველი ძეგლების პუბლიკაციასაც (XIII, 437—439; XIV, 129—134).

1 ა. წერეთელი კარგად იცნობდა ბიბლიას, ხშირად იხსენიებდა ბიბლიურ გმირებს, პუნქტებს, ეპიზოდებს, იმოწმებდა გამონათქვამებს. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მე-19 საუკუნის არც ერთი ქართველი კლასიკოსი არაა ისე დავალებული საღმრთო წერილით, როგორც ა. წერეთელი. მის ნაწერებში ისე ქარბად გვხვდება ბიბლიის ანარეკლი, რომ მაგალითების დამოწმება ზედმეტად მიგვაჩნია. აღსანიშნავია ბიბლიური ეპიზოდებისადმი მიძღვნილი ლექსები: „ნათლისღება“ (II, 202), „თომა მოციქული“ (III, 188—189; II, 170). „ქრისტე აღსდგა“ (II, 298, 412—413) და სხვ.

2 ა. წერეთელი ასევე იცნობდა აგიოგრაფიას — როგორც ორიგინალურ, ისე თარგმნილ ძეგლებსაც. მსჯელობდა იგი შუშანიკის წამებაზე (XI, 216). იყენებდა „ბალავარიანს“ (VIII, 43—46; VII, 71), სიამაყის გრძნობით იხსენიებდა ათონელეზა (XIII, 335; XIV, 286, 522); ცალკე უნდა მოვიხსენიოთ აკაკის ნაწარმოებები: „თორნიკე ერისთავი“, „ბაში-აჩუკი“ და „წმ. ნინო“, რომლებშიც ავტორი იჩენდა ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის საფუძვლიან ცოდნას, საკმაოდ ესესხებოდა ქართველ აგიოგრაფებს და ოსტატურად იყენებდა მათ ცნობებს მაღალმხატვრულ თხზულებათა შესაქმნელად<sup>1</sup>. აკაკი მაღალ შეფასებას აძლევდა დავით აღმაშენებლის ნაწერებს (VII, 147), აქებდა ანტონ ცაგერელ-ჭყონდიდელს (XIII, 437—439)<sup>2</sup>, ეკამათებოდა ანტონ პირველს (VIII, 222; IX, 109; XI, 17, 65—66, 294; XII, 86; XIII, 51; XIV, 543) და ა. შ.

3 გაცილებით უკეთ იცნობდა აკაკი ძველ ქართულ საერო-მხატვრულ ლიტერატურას, აქებდა მის თვალსაჩინო წარმომადგენლებს, განიცდიდა ძველი ქართული პოეზიის ცხოველმყოფელ გავლენას, მაგრამ აკრიტიკებდა ძველ ქართულ სახოტბო პოეზიას (XIII, 215—216, 257, 355). აკაკიმ „თამარიანი“ და „აბდულმესიანი“

<sup>1</sup> კ. კეკელიძე, „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის, წიგნში: ეტიუდები, II, გვ. 64—70; დ. გამეზარდაშვილი, ძველი ლიტერატურა როგორც თემატური წყარო აკაკისათვის, „აკაკი წერეთელი“ (საიუბილეო კრებული), გვ. 208—221; ი. ლოლაშვილი, „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XI—B, 1941, გვ. 231—258; პ. კეკელიძე, აკაკი წერეთლის ისტორიული პოემები („თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“), ტექსტოლოგიური გამოკლევა, თბ., 1961, გვ. 0134—0200.

<sup>2</sup> დ. თომაშვილი, აკაკის შესახებ. „ლიტერატურის მატრიანე“, № 3—4, 1942, გვ. 68.



თერგდალეულების პოზიციებიდან გააშუქა, „ვეფხისტყაოსნის“ გვერდით განიხილა და მკაცრი მსჯავრი გამოუტანა შავთელისა და ჩახრუხაძის პოეტურ ქმნილებებს<sup>1</sup>, უგულვებლყო მესხობეთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალები. მას ძალზე აწუხებდა და დაუშვებლად მიაჩნდა, რომ მესხობეებს რუსთველის გვერდით აყენებდნენ და რიგ შემთხვევაში უპირატესობასაც ანიჭებდნენ. შავთელისა და ჩახრუხაძის თხზულებები, — სახობო პოეზიისათვის დამახასიათებელი ნიმუშებით, — ადრე მიუღებელი იყო აკაკისათვის, მაგრამ გვიან ხანაში მან საგრძნობლად შეიცვალა აზრი და დასასვლელბული ძეგლები რუსთველის შესაფერის ნაწარმოებებადაც კი მიიჩნია (XIV, 129—134). ]

[მკაცრად მსჯელობდა აკაკი აგრეთვე თეიმურაზ პირველისა (VII, 147—148; VIII, 97; XII, 86) და ბესიკის (XI, 21—22) შესახებ, მაგრამ აღიღებდა და ხოტბას ასხამდა სულხან-საბა ორბელიანსა და დ. გურამიშვილს. იგი სიყვარულით წერდა „გენიოსსა და გამოჩენილ მწერალზე“ (XII, 385; XIV, 277) — სულხან-საბაზე, იხსენიებდა მის ლექსიკონს (XIV, 88), იყენებდა მის „სიბრძნე სიცრუის წიგნს“ (VII, 55, 62, 137; VIII, 99; XI, 327; XII, 177; XIV, 277; XV, 417—419 და სხვ.). მან გალექსა სულხან-საბას რამდენიმე არაკი (IV, 21—23, 27—39, 56—58) და სწორი მოსაზრება განავითარა კრებულის დაწერის თარიღზე (XIII, 368—370). აკაკი დიდად აფასებდა დ. გურამიშვილს. ინტერესს იჩენდა მისი ბიოგრაფიისადმი და მის ნაკვალევს უკრაინაში ეძებდა (XIII, 559; XV, 1115)<sup>2</sup>, ხშირად იყენებდა მის ბრძნულ გამონათქვამებს, სარგებლობდა მისი პოეტური სტრიქონებით<sup>3</sup>. (საყურადღებოა მისი დაკვირვება რუსთველისა და დ. გურამიშვილის ურთიერთობაზე<sup>4</sup>. მან იცოდა, რომ დ. გურამიშვილი დიდი თაყვანისმცემელი იყო „ვეფხისტყაოსნისა“ და მის ავტორს „სიბრძნის ზღვად“ (XII, 87) მიიჩნევდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არ გაჰყვა რუსთველის გატკეპნილ გზას, არ შე-

<sup>1</sup> შავთელისა და ჩახრუხაძისადმი ნიპილისტურმა დამოკიდებულებამ აკაკის ხელი ვერ ააღებინა მათ მიერ დამკვიდრებული სალექსო საზომების გამოყენებაზე (II, 67—68, 75; III, 175—176, 201—203, 230—232, 399 და სხვ.).

<sup>2</sup> გ. აბზიანძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 105; ე. შარაშენიძე, აკაკი რუსეთსა და უკრაინაში, „ლიტერატურული ძიებანი“, XII, 1959, გვ. 332—333; დ. კოსარიკი, აკაკი წერეთელი უკრაინაში, „მნათობი“, 1960, № 9, გვ. 30.

<sup>3</sup> I, 209; II, 133, 391, 419; V, 43, 186; XI, 74, 92, 125, 227; XIII, 236; 341, 404 და ა. შ.

<sup>4</sup> გ. ჭიბლაძე, ტრაგიკული პოეტი, წიგნში: კრიტიკული ეტიუდები. IV, გვ. 12—13, 38, 61—62.

მოითარგლა მხოლოდ 16-მარცვლოვანი შაირით და „საკუთარი გზით მოინდომა მსელებობა“ (XII, 87.)

აკაკი იცნობდა და იმოწმებდა აგრეთვე ვახტანგ მეექვსეს (VI, 151---152; VIII, 97; XII, 86, 344; XIV, 175, 325, 329)<sup>1</sup>, დავით ბაგრატიონს (XI, 230; XIII, 196), იოანე ბაგრატიონს (XIII, 177), გ. თირალიშვილსა (III, 374; V, 282—283, 351) და სხვა ქართველ მწერლებს. ძველი ქართული მწერლობა, როგორც აღვნიშნეთ, არსებითი მნიშვნელობის საფუძველს წარმოადგენდა მისთვის<sup>2</sup>.

~~ბ. ძველი ქართული მწერლობიდან ა. წერეთელი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევდა შოთა რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“. ის ყოველთვის სიყვარულითა და ღრმა პატივისცემით იხსენიებდა ქართული პოეტური სიტყვის უბადლო ოსტატს, უწოდებდა მას „მწერალთ თავადს“ (XII, 226), „ბრძენთა-ბრძენს“ (XIV, 313), „დიდებულსა და უკვდავ მგოსანს“ (VIII, 335; XII, 344; XIII, 210), „გენიოსს“ (XII, 344; XIV, 329, 475), „სულმნათს“ (II, 78, 101; VI, 283) და ერის მოძღვარს (III, 142). მას ხიბლავდა და აჯადოებდა „ვეფხისტყაოსნის“; — ამ „დიდებული და საკვირველი განძის“ (XII, 84). — წარმტაცი ლიტერატურული ფორმა. აკაკი ყოველთვის სიამაყით წერდა რუსთველის ქნარზე (II, 7; VI, 27; IX, 218), აღფრთოვანებით ლაპარაკობდა მის „მაღალ პოეტურ ნიჭზე“ (XIV, 419). მას „ვეფხისტყაოსანი“ მიაჩნდა ქართველი საზოგადოებრიობის სულიერ ზრახვათა გამომხატველად, ერის დიდებული წარსულის დამადასტურებელ შესანიშნავ საბუთად (III, 141), არა ეგულებოდა რა მასზე „საქმბ-სადიდებელი“ (XIV, 125). მისი დასკვნით, ამ პოემამ „ენა და ეროვნობა შეგვიჩინა“ (XIV, 39) „წყალი და მწვერი წავვიღებდა, რუსთაველი რომ არ გვყავდეს“; — შენიშნავდა ის<sup>3</sup>.)~~

აკაკი საფუძვლიანად იცნობდა რუსთველის უკვდავ (XII, 82) თხზულებას. უკვე აღვნიშნეთ, რომ პოემის ტექსტი მან ჯერ კიდევ ბავშვობაში გაიცნო. თანამედროვეთა მოწმობით, აკაკი თავის ახლობ-

<sup>1</sup> სამშობლოს სიყვარულის ალეგორიულ ფორმებში წარმოდგენით, სამშობლოს სათაყვანებელ სატრფოდ გამოცხადებით აკაკი შორეული მეგვიდრეა ვახტანგისა და რამდენადმე დავალებულია მისი სატრფილო ლირიკით.

<sup>2</sup> ბ. ქიქოძე, აკაკი წერეთელი და ძველი ქართული მწერლობა, „ლიტერატურული აპარა“, 1960, № 6, გვ. 52—56; შ. რატიანი, აკაკი წერეთელი და რეალიზმის საკითხები, თბ., 1963, გვ. 54—67; გ. მეფისაშვილი, აკაკი წერეთელი და ქართული პრესა, თბ., 1965, გვ. 128—144.

<sup>3</sup> ი. იოსელიანი, აკაკის უკანასკნელი წლები, „ლიტერატურული გაზეთი“, 12. II. 35, № 7 (99).

ლებსაც უმართავდა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ ადგილებს<sup>1</sup>; 1897-98 წლებში მან ჩამოაყალიბა ერთგვარი ლიტერატურული წრე, რომელიც მისი ხელმძღვანელობით ეცნობოდა „ვეფხისტყაოსანს“<sup>2</sup>. ცნობილია ისიც, რომ აკაკი ზოგჯერ ლიტერატურულ საღამოებზე კითხულობდა ადგილებს რუსთველის პოემიდან<sup>3</sup>.

თავის მხატვრულ ნაწერებსა და სამეცნიერო-კრიტიკულსა თუ პუბლიცისტურ წერილებში აკაკი ხშირად მსჯელობდა რუსთველოლოგიის ცალკეულ საკითხებზე, ხშირად იხსენიებდა პოემას, მის ავტორს, მის გმირებს და ა. შ.<sup>4</sup> ამ მხრივ მისი მხატვრული ნაწერებიდან ყურადსაღებია „რუსთველის სურათზე“ (II, 101), „ჭაღარა“ (VI, 174—175), „სიზმარი“ (II, 386—387), „ცოცხალი სურათები“ (II, 417—420), „რამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსანი“ (III, 239—242), „სატრფოს“ (II, 235—236), „საღამო“ (II, 240), „გლეხის ჩივილი“ (III, 260—263), „თამარ ცბიერი“ (VI, 5—78), „ბაში-აჩუკი“ (VII, 125—193) და სხვ.

დასახელებულ ნაწარმოებებში ავტორი, ერთი მხრივ, ეწეოდა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციას, მეორე მხრივ, რუსთველის პოემას იყენებდა თანამემამულეთა შორის ეროვნული იდეების საქადაგებლად. აკაკის პატრიოტული ლირიკა საყოველთაოდ ცნობილია და ბევრმა მკითხველმა ზეპირადაც კი იცის ზოგიერთი ლექსი. ასე რომ, ამ საკითხზე საუბრის გაგრძელება საქიროდ არ მიგვაჩნია, მაგრამ არ შეიძლება არ მოვიგონოთ, რომ აკაკი თანამემამულეებს ამხნევებდა და ბრძოლისკენ მოუწოდებდა რუსთველის ფრთაცეცხლოვანი ლექსებით (II, 78, 214; III, 56, 262—263). მას დამონებული სამშობლო სატრფოს სახით ჰყავდა წარმოდგენილი და ქაჩთა ტყვეობაში ეგულებოდა (II, 240). ქაჩების მიერ „ცხრაკლიტულში“

<sup>1</sup> ა. იუ რ კ ე ვ ი ჩ ი, აკაკის უკანასკნელი დღეები, „სოვრება“, 1916, № 3, გვ. 1; ნ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი-წ ე რ ე თ ლ ი ს ა, აკაკი, „ლიტერატურის მატრიანე“, № 3—4, 1942, გვ. 135; თ. წ ე რ ე თ ე ლ ი, აკაკი წერეთელი ჩემს ხსოვნაში, იქვე, გვ. 138.

<sup>2</sup> ი. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, მოგონება აკაკიზე, „ლიტერატურული საქართველო“, 28. VI. 40. № 18 (141). იხ. ავრთვე დ. ფ ა ლ ა ე ა, ოთხი წელი აკაკისთან. „მნათობი“, 1936, № 7, გვ. 175—176.

<sup>3</sup> ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, მოგონების ერთი ფოთოლი. „აკაკი წერეთელი“ (საიუბილეო კრებული), გვ. 399 (=მისი ავე. ლიტერატურული ნარკვევები, გვ. 409—410).

<sup>4</sup> I, 100, 300, 304; II, 7, 78, 101, 174—175, 235—236, 386—387; III, 73, 468; VI, 32, 46; VII, 145; VIII, 97; IX, 218, 335; X, 26, 93; XII, 31—32, 152; XIII, 17; XIV, 262, 341, 564—565 და ა. შ.

დამწყვედულ სატრფოს პოეტი აიძვებდა (II, 235—236) და მის დასახსნელად თანამოძმეებსაც რაზმავდა:

ეუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,  
მხარი მხარს მივსცეთ, ხელი-ხელს,  
ნესტან-დარეჯან ქაჩებს ჰყავს.  
მოელის ტურფა გამოშხნელს! (II, 175)

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მოქმედება. მათი კეთილშობილება და ზნესრულობა, სატრფოსა და სამშობლოსათვის თავდადება აკაკის სინიმუშოდ მიაჩნდა და თავის თანამედროვეებსაც სამაგალითოდ უსახავდა (II, 387; VI, 46; VII, 145—146). რუსთველისა და მისი პოემისადმი თაყვანისცემა და სიყვარული შეინიშნება აკაკის ყოველ ნაწარმოებში. რუსთველის სიდიადით გამოწვეული კანონიერი სიამაყის გრძნობითაა დაწერილი მისი სიტყვები:

სულმნათო! მადლი შენს გამჩენს!  
დიდება ერსა შენს მშობელს! (II, 101)

აკაკის სიტყვით, რუსთველი „ნიშნად უკვდავებისა ერს მოვლენიანგებობით“ (II, 101). მე-19 საუკუნის ქართული პოეზიის მშვენიერება თავის სახელოვან წინამორბედს სთხოვდა, რომ ესწავლებინა „საიდუმლო ჟღერისა“, რათა შეძლებოდა ერის გულისთქმის სრულად გამოხატვა, თანამემამულეთა გამხნეება და განსპეტაკება (II, 101).

„ვეფხისტყაოსანი“ იყო ა. წერეთლის არა მხოლოდ სულიერი საზრდო, არამედ დაუცხრომელი კვლევა-ძიების ობიექტიც. მან რუსთველოლოგიურ პრობლემებს მიუძღვნა სპეციალური წერილები: 1. „Несколько слов в пользу оригинальности „Барсовой кожи“; 2. „სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“; 3. „რამდენიმე სიტყვა ბატონ ილია ჭავჭავაძის საპასუხით „ვეფხისტყაოსნის“ გამო“; 4. „თანამედროვე ჰაზრები რუსთველისაგან მე-12-ე საუკუნეში ნაწინასწარი“; 5. „ს. კაკაბაძის მოხსენების გამო“. )

პირველ რიგში უნდა განვიხილოთ შრომა: „Несколько слов в пользу оригинальности „Барсовой кожи“ (1862 წ.). კარგა ხანია ცნობილია, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის დროს აკაკიმ დ. ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით შეისწავლა ძველი ქართული მწერლობა და დაამუშავა საკანდიდატო დისერტაცია<sup>1</sup>, მაგრამ თვით შრომა მხოლოდ უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა ლენინგრადის ოლქის სახელმწიფო ისტორიულ არქივში, სადაც ინახება.

<sup>1</sup> ს. გორგაძე, აკაკი უნივერსიტეტში, „საქართველო“, 1916, № 19 (= „სამშობლო“, 1916, № 273; „ცხოვრება“, 1916, № 3, გვ. 7—10).

პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა პირადი საქმეების ნაწილი. აკაკის შრომის აღმოჩენის-თანავე დაიბეჭდა საინფორმაციო ცნობები<sup>1</sup>. ხოლო მალე მკითხვე-ლებმა მიიღეს ამ შრომის როგორც რუსული ტექსტი. ისე მისი ქართული თარგმანიც<sup>2</sup>. ახლად მიკვლეულმა მასალამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ აკაკი სტუდენტობის წლებში გულმოდგინედ მუშაობდა რუსთველის პოემაზე.

შრომის დასაწყისში ავტორი ყურადღებას ამახვილებდა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობაზე. ქართველი ხალხის მიერ მის დაფასე-ბასა და აღიარებაზე. მისი სიტყვით, საქართველოში „ვერ ნახავთ ლხინს ან დროსტარება-შექცევას, ვერც მწუხარებას, ვერც სერიო-ზულ სჯა-ბაასს, სადაც „ვეფხისტყაოსანი“ მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდეს“. აკაკი გულისტკივილით შენიშნავდა, რომ პოემა, რომელიც „ზეპირად იცის თითქმის ყოველმა ქართველმა. განსაკუთ-რებით ქალებმა“, სამეცნიერო კრიტიკის მიერ დავიწყებული იყო. არ იყო დადგენილი ტექსტი, კრიტიკულად არ იყო შესწავლილი და გაანალიზებული რუსთველის ნააზრევო, ნიპილისტურად განწყობი-ლი პირები „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევდნენ „მისტკურად, აზიუ-რად, ფანტასტიკურად და ბოლოს -- თარგმნილადაც კი“. ასეთი „შეურაცხყოფელი შეფასება“ აღეღებდა აკაკის, რისთვისაც მან დაბეჭდვით გაილაშქრა პოემის სიდიადისა და ორიგინალობის უარყოფელთა წინააღმდეგ, დაიცვა ის უსამართლო დევნისაგან და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის „დაწერილია ქართული სულისკვე-თებით“.

<sup>1</sup> თავის შრომაში ა. წერეთელმა სპეციალურად თუ გაკვრით განი-ხილა შემდეგი პრობლემები: ავტორის ვინაობა, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა, „ვეფხისტყაო-სანი“ და მომდევნო ხანის ქართველი საზოგადოებრიობა, პოემის ტექსტოლოგიური საკითხები. ტიპაჟი, ქალთა ემანსიპაცია. პოემა და მე-12 საუკუნის საქართველო, ქართული სინამდვილის ანარეკლა პოემაში, „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობა.

<sup>1</sup> Н. Малеванов. Новые материалы об А. Церетели. „Загя Восто-ка“, 10. VII. 56, № 158 (9658); Н. Малеванов, К. Степанова, Руко-писи А. Церетели, „Ленинградская правда“, 19. VII. 56; ა. აბრამიშვი-ლი, აღ. ლლონტი, აკაკი წერეთლის უცნობი დისერტაცია „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობაზე, „ლიტერატურული გაზეთი“, 3. VIII. 56, № 31 (993).

<sup>2</sup> „Исторический архив“, 1956, № 6, გვ. 105—110; „მნათობი“, 1956, № 10, გვ. 162—165 (რუსული ტექსტი); გვ. 165—167 (ქართული თარგმანი); გვ. 168—172 (ა. აბრამიშვილისა და აღ. ლლონტის შენიშვნები). რუსული ტექსტი შევიდა აკაკის თხზულებათა სრულ კრებულში (XV, 583—590).

აკაკის ცნობით. „ვეფხისტყაოსანი“ დაუწერია მე-12 საუკუნის მოღვაწეს, თამარ მეფის თანამედროვეს, შოთა რუსთველს. ეს უკანასკნელი ყოფილა მესხეთის რუსთავიდან. სწავლა-განათლება მიუღია ათენში, ხოლო თავისი ცხოვრების გზა დაუსრულებია იერუსალიმში. აღნიშნული ცნობები, რომელთა სათავეს მეტწილად ქართული ხალხური სიტყვიერება წარმოადგენდა, იმ პერიოდში ძალზე გავრცელებული იყო და აკაკიც უცვლელად იმეორებდა მათ.

მსგავსად საყოველთაოდ გავრცელებული აზრისა, აკაკიც თვლიდა, რომ რუსთველს გარდა „ვეფხისტყაოსნისა“ უნდა დაეწერა სხვა თხზულებებიც, კერძოდ, თამარის ქება. ასეთი ვარაუდის საფუძველს მას აძლევდა შოთას ცნობილი სიტყვები: „მას ვაქებ, ვინცა მიქია“ (19,1). აკაკი რუსთველს მიაწერდა კიდევ ორ იამბიკურ ლექსს. მართალია, პირდაპირ არ ასახელებდა ამ ლექსებს, მაგრამ უცილობელია, მას მხედველობაში ჰქონდა ის იამბიკოები, რომლებიც დ. ჩუბინაშვილმა რუსთველის სახელით დაბეჭდა თავის ქრესტომათიაში.

აკაკისათვის ცნობილი ყოფილა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ვერ გადაურჩა დევნა-შევიწროებასა და ცალკეული ეგზემპლარების განადგურებას (ანტონ I)<sup>1</sup>; ინტერპოლატორთა (ნანუჩა ციციშვილი) და გამგრძელებელთა მხრივ ხელყოფას. როგორც ჩანს, მას არც ის მოსწონდა, რომ ვახტანგ მეექვსემ „თავისი კომენტარებისა და სოფისტური მტკიცების საფუძველზე პოემას რელიგიური მნიშვნელობა მიანიჭა“<sup>2</sup>.

└ მსჯელობას „ვეფხისტყაოსანზე“ წერეთელი ამყარებდა პოე-

<sup>1</sup> აკაკის დაკვირვებით, მართებულად „სჩიოდა ძველად სამღვდლოება, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სახარებაზე უფრო გაუტკბა ქვეყანასო“ (VII, 145). პოემის პოპულარობით აღშფოთებულმა და მისი თემატიკით შეძრწუნებულმა სამღვდლო პირებმა „ვეფხისტყაოსანი“ შეაჩვენეს და დაწვეს, როგორც უბრალო ზნეობის გამრყენელი შაირები“ (XIV, 445). პოემის ხელნაწერების განადგურებაში აკაკი, უმარველეს ყოვლისა, ადანაშაულებდა ანტონ კათოლიკოსს, რომელიც ებრძოდა რუსთველის ქმნილებას როგორც „მავნებელ“ (XIV, 543). „სააზნეო ზღაპარს“ (XII, 344). იხ. აგრეთვე VIII, 222; XII, 86; XIII, 51; XV, 467, 584.

<sup>2</sup> XV, 470, 584—585. ა. წერეთელი იცნობდა ვახტანგის კომენტარებს, რომლითაც შემოკობილია „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემა. მას ვახტანგი მოხსენიებული ჰყავს როგორც „დიდი შესანიშნავი ისტორიული პირი, კაცი ბრძენი და განვითარებული მწიგნობარი“ (XII, 86), სპარსული მწერლობის ზედმიწევნით მცოდნე (XII, 92) და რუსთველის თავგამოდებული ქომაგი, მაგრამ ვახტანგის კონცეფცია მისთვის მიუღებელი იყო. მას ესმოდა ვახტანგის ცდა „ვეფხისტყაოსნის“ რეაბილიტაციისა, საზოგადოებისათვის მისი განმარტებისა, მაგრამ არ მოსწონდა რუსთველის პოემის „ზნეობით აღლეგორიად“ გამოცხადება (XII, 344. იხ. აგრეთვე XII, 86).

მის მესამე გამოცემაზე (1846 წ.), რომელიც დ. ჩუბინაშვილმა მიაწოდა მკითხველებს. როგორც ჩანს, მიუხედავად მასწავლებლისადმი პატივისცემისა, აკაკის არც ეს გამოცემა აკმაყოფილებდა. რადგან მასში „უხვად გვხვდება ჰიპერბოლური გამოთქმები და მეტაფორები“, რომლებიც მას „ნახევრადაზიურ პოემად“ წარმოადგენენ. მისი დასკვნით, პოემის უკანასკნელ გამოცემაში დაბეჭდილია რამდენიმე ისეთი სტროფი (მაგალითად, 157, 158, 671, 672, 692, 1357 და ზოგიერთი სხვა. 1957 წ. გამოცემის 158, 159, 654, 655, 674 და 1323 სტროფები), რომელთა ავტორად რუსთველის მიჩნევა შეუძლებელია. „საკმარისია მათ ღრმად ჩაუყვირდეთ, რომ რუსთველიაეულ ტაეპებში ისინი გამოჩნდნენ როგორც კარგად გამოთლილი ყალბი ქვები ნამდვილ ქვათა შორის“. საკმარისია გაიცხრილოს პოემა ამ ყალბი სტროფებისაგან და მექანიკური ჩანართებისაგან, რომ მივიღოთ „ორიგინალური პოემა, რომელსაც აქვს ისტორიული საფუძველი და რომელშიც, როგორც სარკეში, ასახულია საქართველოს შინაგანი ცხოვრება“.

ვრცლად შეჩერდა აკაკი პოემის ტიპაზე, ცალ-ცალკე მოიხსენია და დაახასიათა ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი და ა. შ.

ტარიელი პოემის მთავარი გმირი და წამყვანი ფიგურაა. აკაკი მას მიიჩნევდა მეფის ერთგულ ამირბარად. სამშობლოს გულმხურვალედ მოყვარულ ვაჟაკად. თავდავიწყებულ მიჯნურად და ლომგულ რაინდად. ამ უებრო გმირის ნაკლად აკაკი იმას ასახელებდა, რომ სიყვარულის მოზღვავებულმა გრძნობამ მას რამდენიმე არც თუ გამართლებული და მოსაწონი ნაბიჯი გადაადგმევინა.

აკაკის აზრით, ტარიელი ისევე, როგორც ფრიდონი, — „ახალგაზრდა, რომელსაც უყვარს შექცევა-გართობანი, უხვად გაცემა საჩუქრისა, მამაცი, რომელიც მზადაა თავი დასდოს მეგობრისათვის“, — და ავთანდილი, — „გამოცდილი ვაჟაკი და განსაცდელის ქამს გონიერული რჩევა-დარიგების მომცემი“, — ქართული სინამდვილიდან აღებული გმირია. დასახელებულ გმირებს ახასიათებთ ქართველ მამულიშვილთა ძირითადი ნიშან-თვისებანი. მხოლოდ სასაყვედუროა ერთი გარემოება: პოემის გმირები ხშირად ღვრიან ცრემლს. ეს კი არაა ქართველი კაცის ბუნების დამახასიათებელი.

ასეთივე სითბოთი და სიყვარულით, საქართველოს წარსულის ღრმა ცოდნით, პოემის საფუძვლიანი შესწავლის საფუძველზე ახასიათებდა აკაკი რუსთველის ქალებს. მისი დასკვნით, „რუსთველთან ყველა ქალი ემანსიპირებულია და ეს ავტორის გამოწავლნი კი არ არის, ქართული ცხოვრების სინამდვილიდანაა აღებული“. ქართვე-

ლი ქალის დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევდა აკაკი სატრფოს-თვის თავდადებას (ნესტან-დარეჯანი), საიდუმლოს შენახვას (ფატ-მანი), მოახლე ქალის ერთგულებას (ასმათი).

პოემის გმირთა დახასიათებისა და მათი ქართული ნიშან-თვისებების გაანალიზების შემდეგ ავტორი სვამდა კითხვას: „თუ ეს პოემა სპარსულიდან ნათარგმანებია, — როგორც ავტორი ამბობს, — მაშინ როგორ მოხდა, რომ მასში ასახულია ქართული ცხოვრება (აღწერა ნადიმებისა, სხვადასხვა ადათ-წესისა, ადამიანთა ხასიათებისა და სხვ.)?“ და თვით იძლეოდა პასუხს: „ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური ნაწარმოებია, მასში გამოყვანილი არიან ქართველი გმირები, სამოქმედო არენას წარმოადგენს იმდროინდელი საქართველო. აკაკი ცდილობდა აეხსნა რუსთველის მითითება სპარსულ დედანზე. მისი აზრით, პოემაში ყურადღება გამახვილებული იყო ზოგიერთ ისეთ მომენტზე (მაგ., ფატმანის ქცევა), რომელსაც შეეძლო გაეღიზიანებინა ქართველი საზოგადოებრიობა. მოსალოდნელი უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით „რუსთველსაც ძალაუწებურად უნდა ეთქვა, რომ მისი პოემა სპარსულიდან ნათარგმანებია და ქართული საკუთარი და გეოგრაფიული სახელები ალეგორიული სახელწოდებებით შეეცვალა“;

ამრიგად, უკვე თავის პირველსავე რუსთველოლოგიურ შრომაში აკაკი იჩენდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის საფუძვლიან ცოდნას, დაუფარავად ამჟღავნებდა დიდ პატრივისციემას გენიოსი შემოქმედისადმი და უსაზღვრო სიყვარულს პოემისადმი, ავლენდა კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარს, კარგად ერკვეოდა ძირითად რუსთველოლოგიურ პრობლემებში, საინტერესო დაკვირვებას ახდენდა პოემის ცალკეულ ეპიზოდებზე, გაბედულად იმალლებდა ხმას ინტერპოლატორთა და გამგრძელებელთა წინააღმდეგ, ამტკიცებდა მის ორიგინალობას, მიიჩნევდა მას ქართული სინამდვილის მხატვრულ გარდასახვად. ახალგაზრდა აკაკის ნარკვევი ფრიად საინტერესო და საყურადღებოა, მისი ზოგიერთი დებულება დღესაც ძალაში რჩება.

აკაკის ამით არ დაუსრულებია „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობა. ამით არ დაუმთავრებია თავისი რუსთველოლოგიური ძიებანი. მალე მან კიდევ უფრო შეისწავლა პოემა და მოამზადა საკმაოდ გახმაურებული ნაშრომი: „სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე““ (XII, 66—112).

წ. წერეთელმა ლექციები „ვეფხისტყაოსანზე“ წაიკითხა 1881 წლის გაზაფხულზე ჟერ თბილისში<sup>1</sup>, ხოლო შემდეგ — ქუთაისში<sup>2</sup>:

<sup>1</sup> „დროება“, 1881, №№ 63, 65, 67, 72—74. იხ.: აგრეთვე № 34.

<sup>2</sup> XV, 242, 244; „შრომა“, 1882, №№ 17, 19; „დროება“, 1881, №№ 84, 86.



მომდევნო წლის მარტში კი — გორში<sup>1</sup>. აკაკის გამოსვლამ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო<sup>2</sup>, მაგრამ შენიშვნებიც გამოიწვია<sup>3</sup>. 1887 წელს აკაკი თავისი ლექციებით წარსდგა რუსი აუდიტორიის წინაშე<sup>4</sup>.

აღნიშნული ლექციები ადრევე უნდა დაბეჭდილიყო; „ივერიის“ რედაქციის ცნობით, აწყობილიც კი იყო, მაგრამ „მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო“ ვერ დაიბეჭდა<sup>5</sup>. მისი გამოქვეყნება მოხერხდა მხოლოდ საუკუნის მიწურულში<sup>6</sup>.

თავის ლექციებში ა. წერეთელმა თავი დააღწია ისტორიულ-ალეგორიულ თეორიას და წარმოადგინა ახალი თვალსაზრისი, რომლითაც სცადა პოემის ორიგინალობის დასაბუთება<sup>7</sup> და მისი ტიპაჲის რაობის გარკვევა.

ლექციების შესავალში აკაკი მსჯელობდა საქართველოს ისტორიულ წარსულზე. ყურადღებას ამახვილებდა ქართველთა ბრძოლაზე სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, გულისწყრომას გამოთქვამდა საქართველოს ისტორიის შეუსწავლელობის გამო და ინარჩუნებდა რწმენას, რომ „მომავალი ჩვენი ისტორიკოსები მოუყრიან თავს ნაწყვეტ-ნაწყვეტებს, გამოარკვევენ და ისე, როგორც ხელოვან-მოსაქნარემ სხვადასხვა ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფერადებისაგან მოქარგოს ძვირფასი სამოსელი, შეადგენენ ერთ ვრცელ ისტორიას ჩვენი სამშობლოსას“ (XII, 68).

აკაკი აღნიშნავდა, რომ საქართველო სხვადასხვა კუთხეებისაგან შედგება, თითოეულ კუთხეს თავისი ბუნება, თავისი ხასიათი, თავისი ზნე-ჩვეულება და თავისი საკუთარი ცხოვრება აქვს, მაგრამ ეს კუთხეები ცალ-ცალკე ძალასა და მნიშვნელობას მოკლებულნი არიან და მხოლოდ შეერთებულ-შეკავშირებულნი შეადგენენ ძლიერსა და

<sup>1</sup> „დროება“ 1882, № 61; „შრომა“, 1882. № 12.

<sup>2</sup> მას შემდეგშიც ალტაცებით იგონებდნენ („დროება“, 1882, № 61).

<sup>3</sup> იხ. მაგ., მოჩხუბარიძის (ალ. ყაზბეგის) ინფორმაცია — „დროება“, 1881, № 69. შდრ. აკაკის პასუხი — „დროება“, 1881, № 70 (XII, 113—114).

<sup>4</sup> XV, 128—129; „ივერია“. 1887, №№ 59, 63, 65, 67, 76, იხ. აგრეთვე [ე. გ. ბაშვილი, შენიშვნები], „ლიტერატურული საქართველო“, 24. VII. 38. № 18 (73).

<sup>5</sup> „ივერია“, 1884, IX, ცნობა უდის მესამე გვერდზე.

<sup>6</sup> „აკაკის თეიური კრებული“, 1898, V, განყ. I, გვ. 11—31; VI, განყ. I, გვ. 19—56. ერთი ლექცია, როგორც აკაკის ავტოგრაფი, გამოაქვეყნა ა. იოვიძემ („საისტორიო მოამბე“, VII, 1953, გვ. 325—337). მოღწეულია ნაწილი რუსული ტექსტისაც (Лекция о „Барсовой коже“ — XV, 466—476).

<sup>7</sup> აკაკი ირონიულად იხსენიებდა იმ პირთ, რომელთაც „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილ ნაწარმოებად მიაჩნდათ (მწარე ფიქრები, „ივერია“, 1903, № 248).

ვრცელ საქართველოს. რუსთველმა თავის პოემაში მაღალმხატვრულად წარმოგვიდგინა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა ღირსებები და ნაკლოვანებანი (XII, 73). ეს იყო აკაკის ძირითადი დებულება, რომლის დამტკიცებას დაეთმო მომდევნო ლექციები.

თავდაპირველად აკაკიმ სრულად დახასიათა საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები: ქართლელი, იმერელი, შავი ზღვისპირელი (მეგრელი, გურული)<sup>1</sup>. ხოლო შემდეგ სცადა დატკიცება იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სწორედ დასახელებული ტომების წარმომადგენლები არიან დახატული. ოღონდ ეს საკითხი განიხილა არა იზოლირებულად, არამედ სხვა საკითხებთან კავშირში, კერძოდ, შეჩერდა ისეთ საკითხებზე, როგორცაა ქართველი საზოგადოებრიობის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ დაფასება ძველ ხანაში და რამდენადმე უგულვებლყოფა მე-19 საუკუნეში, რუსთველი და მომდევნო ხანის ქართული მწერლობა (არჩილი, ვახტანგ VI, დ. გურამიშვილი, ანტონ I...), „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი იდეური მოტივები და ა. შ.

აკაკი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ საზოგადოების მოზრდილი ნაწილი გულაყრილი იყო „ვეფხისტყაოსანზე“, ბევრს წაკითხული არ ჰქონდა, ხოლო წამკითხველთა შორისაც პოემის დედააზრის გამგები და რუსთველის გენიის დამფასებელი თითო-ოროლაცაი თუ მოიპოვებოდა. სამწუხაროდ, ქართველთა ნაწილი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა უცხო ლიტერატურის მიმართ, გადაქარბებით იყო გატაცებული უცხო ავტორებით, ხოლო რუსთველის პოემას სრულებით არ იცნობდა. ეს გარემოება მწვავედ შეიგრძნობოდა და ერის ერთგულ მსახურს აფიქრებდა და აღელვებდა. აკაკიმ იცოდა, რომ ადრეულ ხანაში „ვეფხისტყაოსანი“ სათაყვანო იყო საზოგადოთ ქართველებისათვის<sup>2</sup>; ისინი კითხულობდნენ, ერთმანეთს უკითხავდნენ და აცნობდნენ პოემას, ზეპირად სწავლობდნენ მას. დიდად აფასებდნენ რუსთველის სახელს. პოემა დიდ განძად ითვლებოდა. „უმისოდ დიდებული ოჯახი დიდებულათ არ იწოდებოდა. რაც უნდა სიმდიდრით სავსე ყოფილიყო; ის ქორწილი საქებრათ არ ჩაითვლებოდა და ის მზითვი მზითვათ არ იხსენიებოდა, თუ რომ

<sup>1</sup> ლექციების ეს ნაწილი, რომელსაც „ხასიათები“ ეწოდება და არსებიათ საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლების დახასიათებას შეიცავს (XII, 74—82). წარმომადგენს აკაკი პატარა პუბლიცისტური წერილის („ხასიათები“, XI, 275—284) სიტყვასიტყვით განმეორებას. დასახელებული წერილი პირველად დაიბეჭდა 1875 წელს („დროება“, №16 5, 6, 8). ჩანს, აკაკი ადრევე ფიქრობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჲ და ამ თვალსაზრისით საქართველოს მოსახლეობის ხასიათსაც აკვირდებოდა.

მზითვის სიაში პირველათ „ვეფხისტყაოსანი“ არ იქნებოდა მოსხუ-  
ნიებული“ (XII, 84). თავის დებულებას აკაკი სათანადო საილუს-  
ტრაციო მასალით ამტკიცებდა და ასაბუთებდა. იქვე ის ეკამათებოდა  
ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთ წარმომადგენელს, რომელ-  
საც, მისი აზრით, სწორად არ ჰქონდა გააზრებული რუსთველის  
პოემის არსი და სათანადოდ ვერ აფასებდა პოეტს. კერძოდ, ეკამა-  
თებოდა არჩილ მეფეს, რომელიც აბაასებს რუსთველსა და თეიმუ-  
რაზს და „ძღვევას არჩენს“ და „უპირატესობას აძღვევს“ უკანასკ-  
ნელს; ვახტანგ მეექვსეს, რომელსაც „მოუნდომებია თვითონ ახსნა  
„ვეფხისტყაოსნისა“ საღმრთო მეტყველების კვალობაზე და მისთან-  
მისთანა დასკვნა გამოჰყავს, რომელიც რუსთველს აზრდაც არ  
მოსვლია“; ანტონ კათოლიკოსს, რომელმაც შეაჩვენა და დაწვა  
პოემის ხელნაწერები და თავის „წყობილსიტყვაობაში“ აუგით მოის-  
სენია რუსთველი. „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე დიდ პატივმცემლად  
და დამფასებლად აკაკი მიიჩნევდა დ. გურამიშვილს, რომელმაც,  
მისი სწორი შენიშვნით, თავი დააღწია რუსთველური შაირის მონო-  
ბას და „საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა“.

აკაკის დაკვირვებით „ვეფხისტყაოსანი“ ძველ მწერლობაში  
გამონაკლისს წარმოადგენდა. ის „დაიწერა თუ არა. მაშინვე გახდა  
ხელის-ხელ საგოგმანებელ, ობოლ მარგალიტათ და მას შემდეგ,  
მრავალ საუკუნეების განმავლობაში დგმიდან-დგმაზე გადადის საყო-  
ველთაოდ, საამურათ და სათაყვანოთ“ (XII, 88). ის გამოყოფდა  
პოემის ძირითად იდეურ მოტივებს (პატრიოტიზმი, მეგობრობა. მიჯ-  
ნურობა და ა. შ.). წინა პლანზე წამოსწევდა რუსთველის ბრძნულ  
ნააზრევს, ჭეროვნად წარმოაჩენდა მის შემეცნებითსა და პრაქტი-  
კულ მნიშვნელობას, რისთვისაც იმოწმებდა პოემის ცალკეულ ადგი-  
ლებს და იძლეოდა მათ განმარტებასაც. იმის საილუსტრაციოდ, თუ  
როგორ მსჯელობდა აკაკი რუსთველის პოემის ცალკეული ადგილე-  
ბის შესახებ: შევჩერდებით მხოლოდ ერთ შემთხვევაზე. აკაკი იმოწ-  
მებდა პოემის 3ე-800 სტროფს („ვერ დაიქირავს სიკვდილსა...“) და  
ასე მსჯელობდა: „ნეტა თუ იყოს იმისთანა ქართველი, რომ ეს წაი-  
კითხოს და რაღაც უცნაური გრძნობა არ გაემსჭვალოს გულში და  
სასიამოვნო ჟრუანტელმა არ დაუაროს ტანში?! და ეს იმიტომ, რომ  
ამ რამდენიმე სიტყვაში იხატება მთელი საქართველოს თავგადასავა-  
ლი! ეს იყო ჩვენი ძველების აღსარება და მათი ფარ-ხმალი. დედები  
ამ სიტყვებით უღებდნენ თავის შვილებს პირველ ძუძუს პირში. ამ  
სიტყვებში ადგმევიწინებდნენ ენას, ამ გრძნობით ამღერებდნენ და სა-  
სოებით ალოცებდნენ“. შემდეგ აკაკი იმოწმებდა სხვა სტროფებს.  
მსჯელობდა ქალთა ემანსიპაციაზე, მეგობრობაზე, პატრონყმობაზე

და ბოლოს დასძენდა: „ვეფხისტყაოსანში“ ყველა ჰპოულობს მისი წყლულის წამალს, მის სანუგეშო მალამოს. აი, რის გამოა რუსთველი ყველასათვის საყვარელი“ (XII, 90). იქვე ის გაკვრით ენებოდა მეცხრე სტროფს, იმოწმებდა ვახტანგ მეექვსეს და ერთხელ კიდევ ამტკიცებდა პოემის ორიგინალობას. მხოლოდ, წინააღმდეგ საზოგადოების ერთ ნაწილში გავრცელებული აზრისა, აკაკის შეხედულებით. პოემაში შექმნილი იყო არა პოეტის სათაყვანებელი სატრფო თამარი<sup>1</sup>, არამედ საქართველო. მისი კუთხეები, ამ კუთხეთა მოსახლენი. რადგან საქართველო სხვადასხვა ტომებით იყო დასახლებული, რუსთველმა ერთი გმირის ნაცვლად წარმოგვიდგინა სამი — „ამერიდან ტარიელ, იმერიდან ავთანდილ და შავი ზღვისპირიდან ფრიდონ და მათი შეერთებით დაგვიხატა ერთი სრული გმირი მთელი საქართველოსა“ (XII, 94).

აკაკი ვრცლად და თითქმის ამომწურავად მსჯელობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე, გულმოდგინედ ეძებდა და გამოყოფდა მათ დამახასიათებელ თვისებებს, უურადლებას ამახვილებდა თითოეული მათგანის სპეციფიკურ ხასიათზე, ერთმანეთს უდარებდა და უპირისპირებდა მათ ბუნებას და განსხვავებული ნიშნების მიხედვით ცდილობდა მათ ამა თუ იმ ტომისათვის მიკუთვნებას. მისი დაკვირვებით, ტარიელი გულადი მეომარი, პირდაპირი ვაჟკაცი და გულის ამყოლი რაინდია, ხოლო მეორე გმირი — ავთანდილი გულს არ ემორჩილება, მის მოქმედებას გონიერების ბეჭედი აზის. მართალია, მას დიდი ძალა აქვს, მაგრამ „უპირატესობას სხეულის ძალაში ტარიელს ვაძლევთ ძალაუნებურად და გონებისაში კი ავთანდილს“ (XII, 95).

---

<sup>1</sup> XII, 93. იხ. აგრეთვე XII, 344; XV, 472 ერთ ლექსში („სიზმარი“, 1898 წ.) აკაკი ავეინერდა თამარის დარბაზში რუსთველის შესვლასა და პოემის შიტანას, გვირგვინოსანა ქალის მიერ ცრემლების ღვრას. პოეტის სიტყვით,

მასაც მგოსნის თანაგრძნობა  
გულში ედვა, როგორც ქალსა,  
მაგრამ უნდა დაეჰირა

თავი, როგორც დედოფალსა (II, 386—387).

ლეგენდამი: „რამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსანი“ (III, 239—242) ერთხელ კიდევაც საუბარი შოთასა და თამარის მიჯნურობაზე. თითქოს თამარის მოწოდების პასუხად, რუსთველმა თავის პოემაში თამარი ნესტან-დარეჯანის სახით წარმოადგინა და შეაქო.

თამარი რუსთველის შთამაგონებლად და შოთა მეფე-ქალის მიჯნურად და მეხოტბედაა მიჩნეული „თამარ ცბიერშიც“ (VI, 27—28, 37).

როგორც ჩანს, მხატვრულ ნაწერებში აკაკი ხშირად იყენებდა ხალხურ გადმოცემას რუსთველისა და თამარის მიჯნურობის შესახებ. რამდენადმე განსხვავებული აზრისაა იგი „ცოცხალ სურათებში“ (იხ. ქვემოთ).

ძალასმინდობილი ტარიელი ყოველთვის ვერ იჩენს სათანადო გონიერებას. ზოგჯერ წინდაუხედავად მოქმედებს (ბრძოლა ხატაელებთან, ხვარაზმშას ძის მოკვლე და ა. შ.), ზედმეტად ღვრის ცრემლებს. ავთანდილს კი ყოველი ნაბიჯი მოზომილი აქვს. მიჯნურისადმი ტრფიალებაში ტარიელი უფრო მგრძობობიარეა, სწრაფი. პირდაპირი. ავთანდილი—მომომენი, ხელსაყრელი მომენტის მომლოდინე. ყველგან და ყოველთვის „ტარიელი მოქმედობს გულის აყოლით და ავთანდილი კი თავს ეკითხება“ (XII, 105). აკაკი იქვე მსჯელობდა ფრიდონზე და ბოლოს დაასკვნინდა: „ტარიელში იხატება ქართულების ხასიათი და ზნე. ავთანდილში იმერლების და ფრიდონში შავი ზღვისპირელების“ (XII, 105). ასევე ახასიათებდა აკაკი პომის გმირ ქალებს და ნესტან-დარეჯანს ამერად მიიჩნევდა, ხოლო თინათინს — იმერად. მისი დასკვნით, „როგორც ტარიელში ამერთა და ავთანდილში იმერთა კაცები, ზნე და ხასიათი იხატება, ისე ნესტანში ამერთ და თინათინში იმერთ ქალების ხასიათები“ (XII, 110) <sup>1</sup>.

რუსთველოლოგიაში ადრეც იყო ცდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებისა. მხედველობაში გვაქვს არა პომის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაცია (დ. ჩუბინაშვილი), არამედ გმირთა ხასიათებში ქართველთა დამახასიათებელ თვისებათა შენიშვნა (თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე), მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, აკაკის ცდა მაინც საყურადღებოა. რუსთველოლოგთა ადრეული გამონათქვამები უგულვებელყოფილი და დავიწყებული იყო, ისტორიულ-ალეგორიული თეორია სულ ახალ-ახალ მომხრეებს იძენდა. ამ დროს აკაკი მსმენელთა ყურადღებას ამახვილებდა პომის გმირთა ხასიათებზე. მისი ლექციების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ჩვენება იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დახატული გმირები ქართველები არიან, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლები, რომლებიც ხელიხელ ჩაკიდებულნი მოქმედებენ და არას იშურებენ საერთო მიზნის მისაღწევად <sup>2</sup>. ამის ჩვენებით აკაკი არა მარტო პომის ორიგინალობის

<sup>1</sup> პასუხად ი. მეუნარგიას კითხვისა: „რომანში ვინ გირჩენია კაცოვან და ქალთავან?“ აკაკიმ ავთანდილი და ნესტან-დარეჯანი დაასახელა (ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები. II, გვ. 58).

<sup>2</sup> ე. თაყაიშვილის ცნობით, მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ქართველობისა და მათი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან წარმომავლობის შესახებ წამოუყენებია ნ. დადიანს, ხოლო აკაკის ეკუთვნოდა ამ მოსაზრების განვრცობა და განვითარება. ე. თაყაიშვილი აღნიშნულ კონცეფციას „რამდენადმე მაინც“ შესაწყნარებლად მიიჩნევდა (ე. თაყაიშვილი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე, „ლიტერატურის მატინე“, წიგნი 6, ნაკვ. I, 1952, გვ. 40—41). ძირითადად

დამტკიცებას ლამობდა, არამედ ქართველთა ეროვნული გრძნობის გაღვივებასაც ცდილობდა. თავის ლექციებს ის ასე ამთავრებდა: რუსთველის პოემაში „ჩვენ ვხედავთ დიდ წინასწარმეტყველებას ჩვენი სამშობლოს შესახებ: ნესტან-დარეჯანი არის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა. იმის გაუმჯობესობა, გამოხსნა მარტო ტარიელს, რაგინდ რომ უცნაური ძალისაც იყოს, არ შეუძლია მისი პირდაპირობით, თუ იმას ავთანდილიც არ მოეხმარა თავის წინდახედული მიხვევ-მოხვეულობით და თუ ფრიდონმაც მასალები და ხელსაწყოები არ მოუშადა და არ მოესმარა“ (XII, 111).

ჩვენ ხელთ არა გვაქვს აკაკის რუსული ლექციების სრული ტექსტი და არ შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ, აკაკიმ რუსულად სიტყვასიტყვით თარგმნა თუ შეავსო და გადაამუშავა. მოღწეულია მხოლოდ ნაწილი რუსული ლექციებისა (XV, 466—476). ეს ნაწილი გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ აკაკიმ რუსულ ტექსტში ზოგი საკითხი განაწილა და გააღრმავა, შეუფარდა აუდიტორიის განათლებასა და განწყობილებას, უკვე მოხსენიებულს გარდა განიხილა დამატებითი საკითხებიც. კერძოდ, ვრცლად შეჩერდა დ. ჩუბინაშვილის კონცეფციაზე და შესაწყნარებლად მიიჩნია მისი თეორია. მსგავსად თავისი მასწავლებლისა, ისიც ნესტანს თამარ მეფედ მიიჩნევდა, ფარსადანს — გიორგი მესამედ, დეარს — რუსუდანად. ტარიელს — დავით სოსლანად და ა. შ. მისი შენიშვნით, საქართველოში არსებულმა კონკრეტულმა ისტორიულ-პოლიტიკურმა სიტუაციამ მისცა ბიძგი რუსთველს<sup>1</sup>, მაგრამ პოემაში ამ მომენტმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და ძირითადი ადგილი დაიკავა საქართველოს სხვადასხვა ტომთა შეკავშირების იდეამ. აქვე მსჯელობდა ის ლევენ-დარულ ცნობებზე რუსთველის თამარისადმი ტრფიალების, შემდეგში ბერად შედგომისა და იერუსალიმში ცხოვრების შესახებ, მაგრამ საბუთების მოუღწევლობის გამო მათი შეწყნარებისაგან თავს იკავებდა<sup>2</sup>.

---

იზიარებდა აკაკის კონცეფციას დ. კარიკაშვილიც (შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, დ. კარიკაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით, თბ., 1903, გვ. XXV—XXVI).

<sup>1</sup> აკაკი საკანდიდატო დისერტაციაში იმოწმებდა დ. ჩუბინაშვილს და აცხადებდა: „ვეფხისტყაოსანს“ ისტორიული საფუძველი ჰქონდაო (XV, 589—590).

<sup>2</sup> „სოცხალ სურათებში“ (1899 წ.) აკაკი როსტევეანს მიიჩნევდა გიორგი მესამედ, თინათინს — თამარ მეფედ, სოგრატს — კიაბერად და ავთანდილს — ზაქარია მხარგრძელად (II, 417—420). აქ ერთგვარი მინიშნებაა იმაზე, რომ თამარსა და ზაქარიას ერთმანეთი უყვარდათ, მაგრამ თავის გულისწადილს არ ამჯავნებდნენ.

აკაკის ლექციები, როგორც აღვნიშნეთ, ვრცლად განიხილა, გააანალიზა და გააკრიტიკა ი. ჭავჭავაძემ<sup>1</sup>.

აკაკი „გულწრფელად, სიმდაბლით“ მიეგება ი. ჭავჭავაძის ჩაბმას რუსთველოლოგიურ პაექრობაში. მაგრამ მისი მსჯელობა დამაკმაყოფილებლად არ მიიჩნია (XII, 338—351)<sup>2</sup>. მისი დასკვნით. ილიას არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა ლექციების შინაარსზე, ის თვით არ დასწრებია ლექციებს, ხოლო სხვებს, რომელთაც მოისმინეს ლექციები და მათი შინაარსი გადასცეს ილიას, თავისი მისია კარგად ვერ შეუსრულებიათ, ლექციების დედაზრი მისთვის დამახინჯებული სახით მიუწოდებიათ. არსებული ვითარების ზუსტად წარმოჩენისა და ყოველგვარი უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით თავის პასუხში აკაკი ვრცლად იმოწმებდა ცალკეულ ადგილებს ლექციებიდან და დამატებით მასალასაც იშველიებდა თავისი დებულების დასამტკიცებლად. მისი მტკიცებით. „უკვდავმა მგოსანმა თვალდათვალ დაგვანახვა, რომ ვერც ტარიელი მისი გმირული პირდაპირობით. ვერც ავთანდილ — საოცარი გამპკრიახობით და ვერც ფრიდონ მისი საჭურჭლით ცალ-ცალკე ვერ გამოიხსნიდენ დაკარგულ ნესტან-დარეჯანს, თუ ერთმანეთისათვის ძმურად მხარი არ მიეცათ და ერთი მეორის შეთანხმებით არ ემოქმედნათ!“ (XII, 345). შემდეგი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ ლექციებში, დროის სიმცირის გამო, არ განუხილავს „ვეფხისტყაოსნის“ ყველა საკითხი, კერძოდ, არ შეჩერებულა პოემის „საზოგადო, მსოფლიო მნიშვნელობაზე, არც გარეგან შევნიერებაზე და არც იმ სამეცნიერო და საფილოსოფიო აზრებზე, რომლებიც შიგადაშიგ საოცარი ხელოვნებით ჩაუნერგავს ავტორს“ და სხვ. (XII, 344).

პასუხში აკაკი ცდილობდა დაესაბუთებინა მისი შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ გმირების საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლებად მიჩნევის შესახებ. მას არ მიაჩნდა, რომ ეს რუსთველის შეურაცხყოფა და მისი გმირების დაკნინება იყო. „რუსთველი და მისი თხზულება განა ზეციდან ჩამოგვივარდა და ქვეყნად ნიადაგი არა ჰქონია?“ — კითხულობდა ის. „ვეფხისტყაო-

<sup>1</sup> თანამედროვენი საგანგებოდ აღნიშნავდნენ. რომ ილიასა და აკაკის კამათ პრინციპული და თავაზიანი იყო (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, IV, თბ., 1955, გვ. 227; ზ. კვიციანი, აკაკი, თბ., 1897, გვ. 53; ი. ზურაბიშვილი, მოგონებანი აკაკიზე, „ლიტერატურის მატრიანე“, № 3—4, 1942, გვ. 79).

<sup>2</sup> აკაკის პასუხი ჯერ გამოქვეყნდა ცალკე ბროშურის სახით (აკაკი, რამდენიმე სიტყვა ბატონ ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფხისტყაოსნის“ გამო. თბ., 1887), ხოლო მეორედ დაიბეჭდა „აკაკის თვითრეკრებულში“ (1899, V, განკ. II, გვ. 1—18).

სანში“ გამოხატული გმირები ნუთუ ნაოცნებარი და პაეროვანი არიან და არა ცხოველი, ნამდვილი არსებანი?“ (XII, 348—349). მას აოცებდა ილიას მიერ რუსთველის გმირების განყენებულ საზოგადო ტიპებად მიჩნევა. „რატომ არ შეიძლება, — კითხულობდა უკვე იერიშზე გადასული მოპაექრე, — რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყონ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიც? მე რომ სწორეთ ასე მგონია, ნუთუ მით რუსთველის შემოქმედების ძალას ვამცირებ და ვკიცხავ მას?“ (XII, 349).

ა. წერეთელმა სწორი შენიშვნა მისცა ი. ჰაუპტვანდის და დაიცვა თავისი თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ქართული წარმომავლობის შესახებ. ამასთანავე პოემის გმირებს არ ჩამოაცილა ზოგადსაკაცობრიო ტიპების ნიშნები. |

ყურადღებას იმსახურებს აკაკის გვიანდელი ლექცია: „თანამედროვე პაზრები რუსთველისაგან მე-12-ე საუკუნეში ნაწინასწარი“ (XIV, 418—428)<sup>1</sup>. ამ ლექციაში აკაკი კვლავ რუსთველის სიდიადეზე, მისი პოემის უკვდავებაზე, მისი ნააზრევის მნიშვნელობაზე მსჯელობდა და აცხადებდა: ქართველებს „როგორც უძველეს ხალხს და ისტორიულად გამოცდილს, ჰყოლიათ დიდი მგოსნები და მათ რიცხვში უპირველესი ადგილი უჭირავს რუსთველს!... უპირველესი არა მარტო ქართველებში, თამამად ვიტყვი, უპირველესთაგანი მსოფლიო მწერლობაშიც“ (XIV, 419). ამის დასადასტურებლად და საილუსტრაციოდ აკაკი გამოყოფდა რამდენიმე საკითხს პოემიდან და ყურადღებას ამახვილებდა რუსთველის იმ იდეებზე, რომელთა განხორციელებას, აკაკის სიტყვით, „მხოლოდ დღეს მოითხოვს კაცობრიობა“. სახელდობრ, ქალთა ემანსიპაციაზე, პატრონყმურ ურთიერთობაზე და ა. შ.

აკაკის მტკიცებით, რუსთველი მქადაგებელია ქალთა და კაცთა თანასწორუფლებიანობისა, მისი ცნობილი გამონათქვამი („ლექცი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“ — 39.4) შეეხება არა მხოლოდ მეფის ოჯახს, მეფის შვილებს, არამედ საზოგადოდ ქალებს. რუსთველმა „თავისი გრძნობა-გონების მასალა“ ქართული სინამდვილიდან, თამარის ხანიდან აიღო და მისი დიდებული აზრი ეკუთვნის „მთელ ხალხს, მთელ ქართველობას, რომლის გრძნობა-გონების გამომხატველიც ის იყო“ (XIV, 421). ცალკე გამოყოფდა აკაკი პატრონყმური ურთიერთობის საკითხს... და მის რუსთველისე-

<sup>1</sup> აკაკის ეს შრომა ჯერ კიდევ 1908 წელს ჰქონდა მზად („ამირანი“, 1908, № 63; „ცხოვრების საკე“, 1908, № 23), მაგრამ მხოლოდ 1911 წელს გამოაქვეყნა („თემი“, 1911, № 20).



ულ გაშუქებას<sup>1</sup>. ის იქაც ისევე, როგორც თავის ბევრ ნაწარმოებში, ავითარებდა არასწორ თვალსაზრისს ძველი საქართველოს სოციალური სტრუქტურის შესახებ და ამტკიცებდა, რომ ძველად ჩვენში ბატონსა და ყმას შორის მამაშვილური ურთიერთობა სუფევდა. შესაბამის მასალას ის ეძებდა „ვეფხისტყაოსანშიც“. მისი აზრით, პოემის გმირთა შორის, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობის სხვადასხვაობისა, კეთილი განწყობილება და კარგი დამოკიდებულება იყო. თავისი ქვეყნის ღვიძლი შვილი — რუსთველი სანიმუშოდ სახავდა ასეთ ურთიერთობას და მონათა განთავისუფლებას ქადაგებდა<sup>2</sup>.

ამ გვიანდელ ლექციაში, — ისევე, როგორც წინა ლექციებშიც, — აკაკი ავითარებდა იმ აზრს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ შეფარვით გადმოცემულია წინასწარმეტყველება — საქართველოს გასათავისუფლებლად აუცილებელია თანამოძმეთა შეკავშირება და გაერთიანება. ქვეყნის სიყვარულით გულანთებული მამულიშვილი სახალხოდ აცხადებდა: „ვეფხისტყაოსანი“ პოეტური წინასწარმეტყველება! ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ქაჩებისაგან დამონებული და წაყვანილი ნესტან-დარეჯანი საქართველოა და იმისი მაძებარი მისივე შვილები. ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ის სამი გმირი ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი წარმომადგენელი არიან მთლიან საქართველოსი. იმათ თუ ძალა ერთმანეთს არ შეუერთეს, ისევ ვერას გახდებიან ცალ-ცალკე და ვერ გამოიხსნიან ნესტან-დარეჯანს“ (XIV, 428). როგორც ციტირებული სიტყვებიდან ჩანს, აკაკიმ ბოლომდე შეინარჩუნა ის აზრი, რომელიც მან ჯერ კიდევ ადრეულ წლებში შეიმუშავა.

უკანასკნელად უნდა განვიხილოთ აკაკის წერილი „ს. კაკაბაძის მოხსენების გამო“ (XIV, 539—541). ს. კაკაბაძემ ზედიზედ რამდენიმე ლექცია წაიკითხა ძველი ქართული მწერლობისა და ისტორიის ცალკეულ საკითხებზე („მოაღწია თუ არა შავთელის „აბდულმესიამ“ ჩვენ დრომდის?“, „თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში“, „როდის ცხოვრობდა შ. რუსთაველი“). თავის ლექციებში ის შოთა რუსთაველს გვიანი ხანის მოღვაწედ აცხადებდა. ამ გარემოებამ აღაშფოთა ქართველი საზოგადოებრიობა<sup>3</sup>. კამათში ჩა-

<sup>1</sup> რუსთველის ქადაგებას მონების განთავისუფლების შესახებ. რასაც აკაკი ავთანდილის ანდერძში ხედავდა, ის იმოწმებდა სხვა შემთხვევებშიც (XIII, 182—183; XIV, 42).

<sup>2</sup> XIV, 427. იხ. აგრეთვე XII, 91—92.

<sup>3</sup> ქართული საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოების კრება. „სახალხო გაზეთი“, 1911, № 301; ციხისელი, სალიტერატურო დილა სახალხო სახლში, „სახალხო გაზეთი“. 1911, № 451; ა-ლი, [ს. კაკაბაძის ლექციის ანგარიში],

ება აკაკიც<sup>1</sup>. მან საყურადღებო მოვლენად მიიჩნია რუსთველის პოემის სპეციალური შესწავლა, ჯერ კიდევ გაუშუქებელი საკითხების კვლევა-ძიება, კერძოდ, მისი მოღვაწეობის დროით დაინტერესება. მას არ მიაჩნდა უბედურებად თამარის და რუსთველის სხვადასხვა დროის მოღვაწეებად გამოცხადება, ასეთ ცდას ის მკრეხელობად არ უთვლიდა მკვლევარს. პირიქით, თვითაც იმ აზრს ავფთარებდა, რომ პოემა თამარის მომდევნო ხანის ქმნილებაა.

„მე თვითონ არ ვარ დარწმუნებული, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარის დროს იყოს შეთხზული!.. ის უნდა იყოს დაწერილი არა ბედნიერების დროს. არამედ როცა უბედურებაში ჩავარდა საქართველო და ქაჩეთში დატყვევებულ ნესტან-დარეჯანის გამოხსნა ტარიელის, ფრიდონის და ავთანდილის შეერთებულის ძალით პროგრამა და წინასწარმეტყველობაა მომავლის!.. და არის მისთანა კაცისაგან დაწერილი, რომელიც თამარ მეფის ბედნიერ დროსაც მოსწრებია სიყმაწვილეში და რუსუდანის შავ დღეებსაც სიბერეში. მე მგონია, რომ რუსთველმა ნებით თუ უნებლიეთად იერუსალიმში ჯვარის მონასტერში დამწყვედულმა სიბერის დროს დასწერა ეს საარაკო თხზულება“ (XIV, 540—541).

სხვათა შორის. ასეთივე აზრია გატარებული მეორე წერილშიც — „სიზმარი“ (1913 წ. XIV, 551—555). მისი კონცეფცია ასეთია: რუსთველი ახალგაზრდობაში მოესწრო თამარის დროს, სახელოვანი ქალის თანამედროვე და თანამოღვაწე იყო, აქებდა მას ჩახრუხას სახელით. შემდგომში მოესწრო მისი შვილების უხეირო მმართველობას. სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა იერუსალიმში, ჯვრის მონასტერში. იქვე გარდაიცვალა<sup>2</sup>. დაკრძალეს იმ კედელთან, რომელზეც მისი ხელით დახატული იყო მისი პორტრეტი. საგულისხმოა, რომ აკაკიმ რუსთველი ჯვრის მონასტრის მოღვაწედ გამოაცხადა, ხოლო სამეცნიერო ექსპედიციის მიერ უკანასკნელ ხანს მიკვლეული პორტრეტი მგონის ავტოპორტრეტად აღიარა<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „კლდე“, 1912, № 3. გვ. 15; ს ი ნ დ ი ო ფ ა ლ ა, ჩემი გამოკვლევა, „კოლხიდა“, 1912, № 16; რ. გ., ს. კაკაბაძის სახსოვარი, „კლდე“, 1913, № 13, გვ. 15; გ ი ლ ი, სამეცნიერო მოხსენება, „სახალხო გაზეთი“, 1913, № 849; გ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ბ-ნ ს. კაკაბაძის სამი ლექციის გამო, „ჩვენი დროება“, 1913, № 22.

<sup>2</sup> „თემი“. 1913. № 117.

<sup>3</sup> ცნობა რუსთველის იერუსალიმში გარდაცვალებისა და ჯვრის მონასტერში დაკრძალვის შესახებ აკაკის შეეძლო აელო როგორც ხალხური სიტყვიერებიდან, ისე სპეციალური ლიტერატურიდანაც (თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი და სხვ.).

<sup>4</sup> შდრ. გ. ა ბ ზ ი ა ნ ი ძ ე, ხმას აწვდენს საუკუნეებს, „კომუნისტი“, 4. XII. 60. № 281 (11892); დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, დიდი იუბილე მკარე ანტრაქტებით, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1. XII. 60, № 144 (6902).

ქარდა ზემოდასახელებული წერილებისა, რუსთველოლოგიურ დაკვირვებებს ვხვდებით აკაკის სხვა კრიტიკულ-სამეცნიეროსა და პუბლიცისტურ წერილებშიც. მათში დასმულია არა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ყურადღებას იპყრობს მისი დაკვირვებანი ისეთ საკითხზე, როგორცაა რუსთველის ენა, „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა მომდევნო ხანის ქართულ მწერლობაზე და საერთოდ ქართველი საზოგადოებრიობის ცხოვრებაზე და ა. შ.

გვსურს შევჩერდეთ აკაკის მსჯელობაზე რუსთველის ენის შესახებ. პირველ რიგში უნდა მოვიგონოთ, რომ აკაკის ძალზე უყვარდა ის ენა, „რომელზედაც მუსიკობდა რუსთველი“ (XI, 513) და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის მდიდარი, დახვეწილი და სრულყოფილი იყო. არამედ იმიტომაც, რომ ის გასხივოსნებული იყო შოთას სახელით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ენა — უტყუარი და ძვირფასი განძი ხალხისა“ (XII, 68), — საერთოდაც იპყრობდა აკაკის ყურადღებას. აკაკის აღაფრთოვანებდა მშობლიური ენის ლექსიკური მარაგის მრავალფეროვნება, აოცებდა მისი შინაგანი სიმტკიცე და გამძლეობა. „საკვირველი ეს არის, ამდენ ვაი-ვაგლახში ჩვენი ქართული ენა არ გადასხვაფერებულა, ვერც ერთ ენის ძალს ვერ დაურღვევია ჩვენი ენის კანონები, ვერ გადაუჩევია“ (XII, 69). მისი აზრით, ძველად, საქართველოს ერთიანობისა და ძლიერების ხანაში, არსებობდა მხოლოდ ერთიანი ლიტერატურული ენა, ჩამოყალიბებული და გამართული. „საქართველოს ერთობის დროს ენაც ერთი გვექონდა, ღრმად შემუშავებული და წესიერადაც დაკანონებული“ (XII, 242). ქართული ენის სიდიადეს ორიგინალურ მწერლობასთან ერთად კარგად წარმოაჩენს თარგმნილი ლიტერატურაც (XIII, 36). აი, ამ მდიდარი ლიტერატურული ენით სარგებლობდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. დიდმა შემოქმედმა ჯეროვნად გამოიყენა მისი დროის „გაწმენდილი, ძლიერი და გაერთიანებული ენა“ (XIV, 390).

აკაკის დაკვირვებით, იმერეთში შემონახული ბევრი სიტყვა ნახმარი აქვს რუსთველს. მისი ერთი გმირი ამ მოვლენას ასე ხსნიდა: „იმ დროს, როდესაც რუსთველი არსებობდა, საქართველო შეადგენდა ერთს სამეფოს და არ იყო განაწილებული სხვადასხვა სამთავროებად; ენაც ერთი ჰქონდათ, ე. ი. ის ენა, რომელიც რუსთველს უხმარია. შემდეგ საქართველო დაეცა, განაწილდა სამთავროებად სამეფო; ხშირად ერთი სამთავრო იყო ხოლმე გარეშე მტრის მონებისა და გავლენის ქვეშ მაშინ, როდესაც მეორე თავისუფლად რჩებოდა. ამგვარად დამონებულს სამთავროში რომელიმე ქართული ლექსები იკარგებოდა და მის ნაცვლად სხვა უცხო სიტყვა შემოდინდა მაშინ, როდესაც დაუმონებელ სამთავროში კი რჩებოდა ის

სიტყვა. ასე ამგვარად შეიფარეს თავი სხვადასხვა სიტყვებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და სამთავროებში. დღეს ჩვენი ვა-  
ლია, რომ ის სიტყვები მოვაგროვოთ და შემოვიტანოთ ენის საუნ-  
ჯეში“ (IX, 111).

აქ ჩვენ ყურადღებას ორი გარემოება იპყრობს: პირველი — აკა-  
კის სწორი დაკვირვება „ვეფხისტყაოსანში“ იმერულ დიალექტში  
შემონახული სიტყვების არსებობის შესახებ, მეორე — მსჯელობა  
ერთიანი ქართული ლიტერატურული ენის ლექსიკონის დიალექტე-  
ბიდან შემოსული სიტყვებით გამდიდრების აუცილებლობის შე-  
სახებ<sup>1</sup>.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თავის წერილებსა თუ ლექციებში  
აკაკი ხშირად მსჯელობდა რუსთველისა და მისი პოემის გავლენაზე  
მომდევნო ხანის ქართულ მწერლობასა და საერთოდ ქართველი სა-  
ზოგადოებრიობის ცხოვრებაზე. ამ საკითხებს აკაკი ხშირად უბრუნ-  
დებოდა სხვა შემთხვევაშიც. ის ხაზგასმით აღნიშნავდა რუსთველის  
მნიშვნელობას და არსებითად მას აცხადებდა ქართველთა ეროვნუ-  
ლი ღირსების დამცველად, ქართველთა შორის კულტურულ-ლიტე-  
რატურული ინტერესების გამღვივებლად. მისი დაკვირვებით, მომ-  
დევნო ხანის ქართველთა მიმბაძველობამ, მართალია, „ვეფხისტყა-  
ოსანის“ მსგავსი არა მოგვცა რა, მაგრამ მაინც უთუოდ დადებითი  
როლი შეასრულა, კერძოდ, ხელი შეუწყო მწიგნობრობის გავრცე-  
ლებასა და ზრდა-განვითარებას. მისი სიტყვით, „მრავალი საუკუ-  
ნეების განმავლობაში წერა-კითხვა და მწიგნობრობა საქართველოში  
საკუთრად რუსთველმა შეინახა. მისი „ვეფხისტყაოსნით“ გატაცე-  
ბული ხალხი, სცდილობდა რომ მიეხატა მისთვის... და პროზად რომ  
მოკითხვის წიგნსაც ვერა სწერდა, იმავე დროს სააზიყო შაირების  
წერა კი ეადვილებოდა. მართალია, მეორე რუსთველი არ გამოგვ-  
ჩენია ამ შვიდი საუკუნის განმავლობაში, მაგრამ ამ თავმოტყუებული  
მიბაძვის წყალობით, წერა-კითხვას ყველა სწავლობს და ქართულმა  
ენამ კირში თავი შეინახა“ (XII, 280—281)<sup>2</sup>.

ასევე კარგად ჰქონდა შენიშნული აკაკის „ვეფხისტყაოსანის“  
გავლენა ქართველთა ცხოვრებაზე. მისი დაკვირვებით, პოემის ტიპა-  
ჟი სანიმუშოდ იყო მიჩნეული და ყოველი ქართველი რუსთველის  
გმირებს ბაძავდა: „კაცები ტარიელ-ავთანდილსა ჰბაძავდნენ, ქალები

<sup>1</sup> ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ლექსიკას აკაკი დიდ მნიშვნელობას  
ანიჭებდა ქართული ლიტერატურული ენის ლექსიკონის შედგენისას (იხ. „კომუ-  
ნისტი“, 6. V. 51, № 105 (8959); „ლიტერატურული ძიებანი“, XIII, 1953,  
გვ. 8—9).

<sup>2</sup> იხ. აგრეთვე XII, 84, 87; XIII, 210, 216; XIV, 565.

ნესტან-თინათინობას სცდილობდნენ, მეფე და კარისკაცები როსტე-  
ვან-სოგრატობაზე სდებდნენ თავს. მსახურნი შერმადინობდნენ და  
მოახლე-გამდლები კი ასმათობას სჩემობდნენ“ (VII. 145 იხ. აგ-  
რეთვე VIII. 221—222; XII, 31; XIII, 51; XIV. 7. 245)<sup>1</sup>.

ასეთია ძალიან მოკლედ აკაკი წერეთლის რუსთველოლოგიურ  
შეხედულებათა ევოლუცია. როგორც აღვნიშნეთ. აკაკის ზოგიერთი  
დაკვირვება ახლაც ინტერესს იწვევს და მისი რამდენიმე დებულება  
ახლაც ძალაშია.

სწორია აკაკის დაკვირვება ძველ საქართველოში „ვეფხისტყაოს-  
ნის“ დიდ პოპულარობაზე. მას კარგად ესმოდა, თუ რა დიდი წონა  
ჰქონდა ამ პოემას ქართველ საზოგადოებაში და რა გავლენა მოახ-  
დინა რუსთველის გენიამ მომდევნო ხანის მწერლობაზე. ამ გაუგო-  
ნარი გავლენის მიზეზად ის მართებულად მიიჩნევდა რუსთველის  
სიბრძნეს, მისი შემოქმედებითი აზრის ძალმოსილებას. „ვეფხის-  
ტყაოსნის“ იდეურ სიღრმეს, შინაარსობლივ სიმდიდრესა და მხატვ-  
რულ ელვარებას.

სწორია მისი მტკიცება, რომ პოემა არ არის თარგმნილი სპარსუ-  
ლიდან (სხვათა შორის, საინტერესოა ცდა რუსთველის ცნობილი  
სიტყვების თავისებური ინტერპრეტაციისა). რომ ის ქართულია,  
ორიგინალურია.

სწორია მტკიცება, რომ პოემა არ არის მისტიკურ-ფანტასტიკუ-  
რი, რომ ის საქართველოს რეალური ვითარების ორგანული პრო-  
დუქტია, რომელშიც ასახულია ქართველი საზოგადოებრიობის ცხოვ-  
რება, მოვლენები აღწერილია ქართული სულისკვებით.

ასევე სწორი და მოსაწონია აკაკის შენიშვნები ვახტანგ მეექვსის  
ზოგიერთი კომენტარისა და აგრეთვე სამღვდელოების რეაქციულ-  
კლერიკალური ფრთის საქმიანობის შესახებ.

პოემის იდეურ-აზრობლივი ანალიზი, გმირთა დახასიათება, მათ  
ხასიათში ეროვნული და ამასთანავე ზოგადსაკაცობრიო ნიშნების  
დაძებნა ძირითადად სწორია და საყურადღებო. აკაკის პატრიოტული  
მიზანდასახულობა. — პოემის დეტალური ანალიზით და დედააზრის  
წინა პლანზე წამოწვევით ეროვნული გრძნობის გაღვივება. — კიდევ  
უფრო წარმოაჩენს ამ თავდადებულ მამულიშვილს.

აკაკის ნააზრევში, რასაკვირველია, გვხვდება ცალკეული შეც-  
დომები, უზუსტობანი, არასწორი მსჯელობის შემთხვევები. მაგალი-  
თად, აკაკი აჭარბებდა ქალთა ემანსიპაციაზე მსჯელობისას, შეცდო-

<sup>1</sup> გარკვეულ ინტერესს იწვევს აკაკის მოთხრობა „პატარა ტარიელი“ (VIII.  
147—158).

მებს უშვებდა ძველი საქართველოს პატრონყმური ურთიერთობის შეფასებაში, ამ ყოფის იდეალიზაციისას „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ადგილების ინტერპრეტაციაში, მკაცრად იხსენებდა ანტონ კათოლიკოსს და მას პოემის ხელნაწერების დაწვასაც კი აბრალებდა, ადვილად იწყნარებდა ლეგენდარულ ცნობებს რუსთველის სწავლა-აღზრდისა და ცხოვრების უკანასკნელი პერიოდის შესახებ, ასევე: ერთი მხრივ, ხელალებით უარყოფდა პოემის ზოგიერთ სტროფს, ხოლო. მეორე მხრივ, ასევე დაუსაბუთებლად მიაწერდა რუსთველს სხვათა ლექსებს და სხვ. მაგრამ ეს არაა არსებითი. უნდა გავიმეოროთ, რომ აკაკის რუსთველოლოგიურ ნააზრევში ბევრი რამ დღესაც ძალაში რჩება<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ა. წერეთლის რუსთველოლოგიურ შეხედულებებზე იხ. მ. ჯანაშვილი, შოთა რუსთაველი. გვ. 51; ი. ვართაგაეა, მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა უძველესი დროიდან, „მოამბე“, 1910, გვ. 16; ს. ქვარიაანი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 28; ს. ხუნდაძე, შოთა რუსთაველი, ქუთაისი, 1922, გვ. 14; პ. მირიანაშვილი, ერთი ტენდენციის გამო, „ქართული სიტყვა“, 1923, № 12; ვ. ბერიძე, შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“. „მუშა“, 20.XII.34, № 291; მისივე. ილია ქაუქვაძე და „ვეფხისტყაოსანი“, წიგნში: რუსთველოლოგიური ეტიუდები, გვ. 175—184; ალ. ბარამიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჟის საკითხისათვის, წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 111, თბ., 1952, გვ. 42—46; მისივე, შოთა რუსთაველი, გვ. 104—106; ს. იორდანიშვილი, აკაკი და „ვეფხისტყაოსანი“, წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1953, გვ. 115—127; ვ. ნორაკიძე, ადამიანობის იდეის დახასიათებისათვის „ვეფხისტყაოსანში“, „მნათობი“, 1944, № 3, გვ. 118—120; შ. რადიანი, აკაკი წერეთელი — კრიტიკოსი, „აკაკი წერეთელი“ (საიუბილეო კრებული), გვ. 185—187; მისივე, ახალი ქართული ლიტერატურა, გვ. 296—297, 353—354; ა. გაჩეჩილაძე, აკაკი წერეთლის ცხოვრება და შემოქმედება, გვ. 192—201; მისივე, მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლები და შოთა რუსთაველი, საიუბილეო კრებული: „შოთა რუსთაველი“, გვ. 226—232; გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, გვ. 95—102; ე. მეძველია, თერგდალეულები და რუსთველის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, 1, გვ. 212—214; გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, გვ. 95—97; ჯ. კუმბუჩიძე, ქართული კრიტიკის ისტორია, თბ., 1966, გვ. 271—280; ბ. ქიქოძე, აკაკი წერეთელი და ძველი ქართული მწერლობა, „ლიტერატურული აპარა“, 1960, № 5, გვ. 54—56; მისივე, გენიალური შემოქმედი, „თბილისი“, 27. X. 66, № 259 (4098); ს. ცაიშვილი, აკაკი და რუსთაველი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 4. XII. 64, № 145 (6903); შ. რადიანი, აკაკი წერეთელი და რეალიზმის საკითხები, გვ. 43—52; გ. მეფისაშვილი, აკაკი წერეთელი და ქართული პრესა, გვ. 144—150; მისივე, აკაკი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, „რუსთაველი“ (ერთდროული გაზეთი), 25. IX. 66; ლ. შენაბდე, აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“, „თბილისის უნივერსიტეტი“, 18. X. 65, № 29 (497); И. Мергелидзе, „Глашатай высоких

აქვე უნდა აღვნიშნოთ. რომ ა. წერეთელი საკმაოდ სარგებლობდა „ვეფხისტყაოსნით“. ის არა მარტო იხსენიებდა მის გმირებს და მისაბაძად სახავედა მათ საქმიანობას, არამედ იყენებდა რუსთველის ცალკეულ გამონათქვამებსაც. თავის მხატვრულ ნაწერებში, მეცნიერულ-კრიტიკულსა და პუბლიცისტურ წერილებში იმოწმებდა მის აფორიზმებს, ბრძნულ შეგონებებს, მოხდენილ სენტენციებს, ცალკეულ სიტყვებს. „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპების გამოყენებით, თავის ნაწერებში მათი ოსტატური ჩართვით აკაკი ამ უკანასკნელთ მატებდა მხატვრულ ელვარებას. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

1. გასტეხს ქეასაა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა (5,4; VIII, 14; XI, 198).
2. გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი (12,4; XIV, 4-4).
3. მოშიაიღ არა ჰქვია, თუ საღმე თქვას ერთი, ორი... (15; XIII, 16).
4. დიდსა ვერ მოჰკლვენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მტირეთა (16,4; XI, 13; XIII, 519).
5. იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი (24,3; IV, 149; IX, 215; XIII, 454. შტრ. I, 83; V, 30; XIV, 351).
6. იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა (35,3; VII, 191; XIII, 453; XIV, 410).
7. რაღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?! (36,3; VIII, 14; XIII, 210. შტრ. II, 369).
8. რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია! (50,4; XIV, 219).
9. დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიციინს პირიო (60,1; X, 93).
10. ღმერთმან ერთი რით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს! (306,3; XI, 320; XV, 275) <sup>1</sup>.
11. ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელღალ (542,4; XIV, 458).
12. ესე საზღვარი ჩემია, სადა ხარ გარდამხდომელი, ცოტაა, მაგრამ ყოველგნით სიკეთე-მრუწლომელი (600,3—4; XIV, 568).
13. ხაშს მოყვარე მოყერისათვის თავი კირსა არ დამრიდალ. გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდალ (703,1—2; XIV, 104).
14. ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების (751,3; VII, 232; VIII, 280—281; XI, 388; XIII, 293, 413; XIV, 15, 105, 445).
15. ვერ დაიპირავს სიკედლისა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი (800,1; XIII, 215) <sup>2</sup>.

Идеи", „Заря Востока“, 21. IX. 66, № 217 (12761); მისივე, სამოციანელების ღვაწლი რუსთველოლოგიაში, „მნათობი“, 1966, № 7, გვ. 136—138 და სხვა (იხ. გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 204, 275, 302, 342, 345, 383, 387, 518, 533, 661, 757, 773, 816, 846, 848).

<sup>1</sup> ს. ფანცხავა, აკაკის მეგობრები, „მნათობი“, 1960, № 9, გვ. 85.

<sup>2</sup> შტრ. „სიკედელი ყველას ათანასწორებს: თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს“ (V, 73. იხ. აგრეთვე I, 61).

16. სჯობს სიციხესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი! (800,4; II, 78, 214; VII, 140; XIV, 319, 352, 428, 588, 597)¹.
17. უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაჰიღიან (848,3; III, 227; XIII, 442; XIV, 145, 487)².
18. მოყვარემან ვარდის კონა გულსა მკრა და დამიწყულა (861,1; XIII, 215).
19. პირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა. ვით ქვიტკირსა (875,3; III, 56, 26,3; X, 65, 124; XI, 227; XII, 400; XIII, 234, 295, XIV, 54, 319, 347, 352, 430, 597).
20. საღ წაიყვან სადაურსა. საღ აღუფხვრი საღით ძირსა?! (951,3; VIII, 89).
21. მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა (951,4; XIV, 284).
22. უგანგებოდ ვერას მიზმენ, შე-ცა-მეზნენ ხმელა სპანი (1039,1; VIII, 139).
23. რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია! (1090,4; XII, 272).
24. კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოღინდების! (1094,4; XI, 216; XIII, 45, 48, 237; XIV, 51, 557).
25. შეერა არის პირიანი, ორთავეა რადგან ნება (1095,4; XII, 26).
26. მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია (1211,2; VII, 140-141).
27. თუ ყვაევი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია (1254,4; XIV, 191).
28. შორით ბნელა, შორით კვლომა, შორით დაგვა. შორით ალვა (27,3; VIII, 153)
29. შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი (1303,1; VIII, 158)³.

დამოწმებული ადგილებიდან ზოგი გვხვდება მხატვრულ თხზულებებში (1<sup>1</sup>, 5<sup>1,2</sup>, 6<sup>1</sup>, 7<sup>1</sup>, 9, 14<sup>1,2</sup>, 16<sup>1-3</sup>, 17<sup>1</sup>, 19<sup>1-4</sup>, 20, 22, 26, 28, 29).

<sup>1</sup> შდრ. „უმჯობესია, რომ მოკედეს კაცი. ვიდრე ცოცხლობდეს ვით ცოცხალ-მკვდარი“ (VI, 72) და „ცოცხალ მონაზე უმჯობესია თავისუფლების ძებნაში მკვდარი“ (V, 10).

<sup>2</sup> დასახელებული სტროფის (848) წინა ტაქვი (გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედა ჰქილიან: რა გული წაეა, იგივე წაელენ და მისეე მიდიან) აქაიგამოიყენა სიტყვაში გ. სააკაძის გასამართლებაზე. იხ. აკაკის სიტყვა გიორგი სააკაძის შესახებ, „თემი“, 1915, № 206; „ლიტერატურული გაზეთი“, 25. XI. 60, № 48 (1218). ამავე სიტყვაში გამოყენებულია რუსთველის კიდევ ერთი ფრაზა (822,1).

<sup>3</sup> აკაკის სიტყვები: „ისე გეწყურია შენი ამბავი. როგორც დაკოდილს ირემსა წყარო!“ (I, 335) რამდენადმე მოგვაგონებს რუსთველის სიტყვებს: „გამოპრიღვარ სახლით ჩემით, ვით ირემი ძებნად წყლისად“ (855,3) და „შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“ (1656,4). ძნელია თქმა, აკაკი რუსთველს ესესხებოდა თუ არა. აღნიშნული გამოთქმა საკმაოდ ძველია, გვხვდება მრავალ ძეგლში, მაგალითად, დავითნში: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროთა მიმართ წყლისათა, ეგრე სურინ სულსა ჩემსა შენდამი“ (44,1). ასე რომ, აკაკის წყაროს მითითებისაგან თავი უნდა შევიკავოთ.

ასევე აკაკის საუბარი მგლისა და კრავის ერთად ძოვაზე (II, 434) ერთგვარი გამოძახილია რუსთველის სიტყვებისა: „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს“ (1664,4). არაა გამორიცხული, რომ აკაკი რუსთველით იყოს დავალებული, მაგრამ ანგარიშგასაწევი ის ფაქტიც, რომ მსგავსი გამონათქვამები ბიბლიაშიც გვხვდება (ისაია, XI, 6; LX XV, 25).



29), ზოგი კი წერილებში (1<sup>ა</sup>, 2—4, 5<sup>ა</sup>, 6<sup>ა,ბ</sup>, 7<sup>ა</sup>, 8, 10—13, 14<sup>ა-ბ</sup>, 15, 16<sup>ა-ბ</sup>, 17<sup>ა-ბ</sup>, 18, 19<sup>ა-ბ</sup>, 21, 23—25, 27). რუსთველის გამო-  
ნათქვამებს აკაკი ზოგჯერ იყენებდა ავტორის დაუსახელებლად  
(1, 4<sup>ა</sup>, 5<sup>ა,ბ</sup>, 6, 7<sup>ა</sup>, 14<sup>ა,ბ,გ</sup>, 16<sup>ა,ბ,გ</sup>, 17<sup>ა</sup>, 19<sup>ა-ბ,გ,დ</sup>, 20—23, 24<sup>ა-ბ</sup>,  
26, 27), ზოგჯერ კი პირდაპირ ასახელებდა ან კონტექსტით გვა-  
გრძნობინებდა (2, 3, 4<sup>ა</sup>, 5<sup>ა</sup>, 7<sup>ა</sup>, 8—13, 14<sup>ა,ბ,გ</sup>, 15, 16<sup>ა,ბ,გ</sup>,  
17<sup>ა,ბ,გ</sup>, 18, 19<sup>ა,ბ,გ</sup>, 24<sup>ა</sup>, 25, 28, 29).

აკაკი ზოგჯერ თავისუფლად ეკიდებოდა პოემის ტექსტს, უცვლი-  
და მას სახეს, მაგრამ არ ურღვევდა და უზიანებდა კონსტრუქციას.  
დავიმოწმებთ რამდენიმე მაგალითს:

5. სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი (IV, 149; IX, 215;  
XIII, 454).
6. ერთი წაეა და სხვა მოეა ტურფასა საბლნაროსა (VII, 191; XIII, 453;  
XIV, 410).
11. სიძარტლის ჩადენა გამხმარსაც გაანდლებს (XIV, 458).
12. სამეფო მაქვს პატარა, მაგრამ ყოველგვარად შემეული და სიყეთ  
მიუწლომელი (XIV, 568).
14. ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების (VIII,  
280—281; XI, 388; XIV, 105, 445) <sup>1</sup>.
19. თქმულა: „ქირში გამაგრება ისე უნდა, ეთ ქვიტიკისა“ (III, 56).
20. სადაური სად მოკედება, სად უთხრიან სამარესა (VIII, 89).
21. ღმერთი არ გასწირავს კაცსა, მტრისგან განწირულსა (XIV, 284).
24. კოკასა შინა რაეა სდგას, მხოლოდ ის წარმოიწინდება (XI, 216).
26. მტერი მოყვრულად მოსული მტერზედაც უარესია (VII, 140—141) <sup>2</sup>.
27. მისმან მზემან, უმისოსა არვის მიხედეს მთვარე მისი (VIII, 158).

ა. წერეთლის ნაწარმოებებში გვხვდება რუსთველის გამონათქვა-  
შების ნაწყვეტებიც:

1. ობოლი მარგალიტი (9,2; III, 27; IV, 223; V, 35, 269; XI, 32; XIV, 41,  
44, 447).
2. ხელის-ხელ საგოგმანები (9,2; XI, 408; XII, 88, 120; XIII, 97, 498;  
XIV, 547).
3. დიდი მარგი (12,2; V, 39).
4. ხელმარჩვედ სცემდნენ ჩოგანსა (14,4; XIV, 217).
5. გესმას ჩემი ნაუბარი (24,4; VI, 62).
6. ხევენა, კონა, მტლამ-მტლუში (25,4; VIII, 58).
7. შორით ბნელა, შორით კვლომა (27,3; VII, 145, 323; VIII, 300; X, 61).

<sup>1</sup> ამ აფორიზმის შეცვლილი სახით დაბეჭდვისათვის აკაკი აღრევე გააკრიტი-  
კეს (ი მ ე რ ე ლ ი, ჩეროვანი პატივისცემა. „სახალხო გაზეთი“, 1911, № 435).

<sup>2</sup> შლრ. „მოყვარე ორგული მტერზედ უარესია“ (II, 353. იხ. აგრეთვე V, 353).  
რუსთველის 662-ე სტროფითაა შთაგონებული აკაკის სიტყვები: „მას მკურნალმა  
ეთა არგოს, ვინც არ სთქვასო სატიკიარი?“ (I, 304. იხ. აგრეთვე VIII, 281).

8. ტურფასა საბალნაროსა (35,3; V, 220).
9. სხვაგან ქრის მისი გონება (89,1; II, 420).
10. საქმენი საგმირონია (377,2; III, 333; VII, 145).
11. თავი ქირსა არ დამრიდად (703,1; III, 139).
12. გზად და ხილად (703,2; III, 55, 70; XIII, 173, 255).
13. სიტყუე და ორპირობა (789,4; V, 186).
14. ათვისუფლე მონები (803,2; XIII, 182).
15. ქირსა შიგან გამაგრება (875,3; XV, 240).
16. ვარღნი უეკლოდ არაეის მოუკრებანი! (877,4; VII, 91; XIV, 266, 315; შდრ. XIII, 264).
17. არ ახალია, ძველია (1175,4; XIV, 264; XV, 241).

აღნიშნულ სიტყვებს აქაი იყენებდა როგორც მხატვრულ თხზულებებში (1<sup>1-4</sup>, 3, 5, 6, 7, 8—11, 12<sup>1,2</sup>, 13, 16<sup>1</sup>), ისე კრიტიკულ-სამეცნიეროსა და პუბლიცისტურ წერილებშიც (1<sup>5-8</sup>, 2, 4, 12<sup>2,3</sup>, 14, 16<sup>2,3</sup>, 17<sup>1</sup>), აგრეთვე პირად წერილებშიც (15, 17<sup>2</sup>).

თავის რუსთველოლოგიურ წერილებში აქაი ხშირად იმოწმებდა „ვეფხისტყაოსნის“ სტროფებსა და ტაეპებს, მსჯელობდა მათზე და საინტერესო ინტერპრეტაციასაც იძლეოდა<sup>1</sup>. სხვათა შორის, აქაი რუსთველს მიაწერდა ზოგ ისეთ ბრძნულ გამონათქვამს, რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს არ ეკუთვნის. მაგალითად, „კაცი უნდა ხერხი იყოს, ვაჰქონდეს და გამოჰქონდეს“ (IX, 44; XII, 95; XIII, 215); „ფილოსოფოსნი შემოკრბენ...“ (XII, 91; XIII, 342; XIV, 424—425, 444. შდრ. VIII, 158; XIII, 184, 413, 529). „მცირე რამე სამღურავი მოყვარეთა წესია“ (XII, 226; XIV, 343) და სხვ.

უკანასკნელად გვსურს მოვიყვანოთ ნაწყვეტი ალ. აბაშელისა მოგონებიდან. ერთხელ „თემის“ რედაქციაში ი. ნაკაშიძემ აქაის სიტყვა ჩამოუგდო ახალგაზრდა პოეტებზე. „აქაი, — იგონებს ალ. აბაშელი, — კარგ გუნებაზე იყო და ი. ნაკაშიძის მიერ დასახელებულ პოეტებს ამკობდა ბრწყინვალე ეპითეტებით თითქოს ბავშვებს შობის ხის საჩუქრებს ურიგებსო.

— ვ. რუხაძე უთუოდ ნიჭიერი პოეტი, — ამბობდა ღიმმოფენი-

<sup>1</sup> 19,1; 654, 655. (XV, 584—585); 800 (XII, 89); 39, 1—2; 703, 1—2; 848, 1—3 (XII, 90); 705, 1—2; 662, 718, (XII, 91); 9, 1—3 (XII, 92); 19, 1—2; 4, 1—2 (XII, 93); 6 (XII, 94); 786, 1 (XII, 95); 377, 1—2 (XII, 99); 41, 42 (XII, 100); 120, 709 (XII, 101); 216, 217 (XII, 102); 1092, 1093 (XII, 104); 395 (XII, 107); 522, 523, 1—3; 526, 4; 528, 1—3 (XII, 108); 123 (XII, 109); 130 (XII, 110); 347, 1—3 (XII, 347); 15 (XIV, 419); 39 (XIV, 420—422); 803, 2—4 (XIV, 427); 800, 4 (XIV, 428). რუსთველის ზოგიერთი სტროფი აქაის გამოყენებული აქვს სხვა შემთხვევებშიც. მაგალითად, 37 (XIV, 583), 39 (II, 417), 123—124 (VIII, 222); 479, 496 (VIII, 221), 800 (VIII, 335), 951 (VII, 146) და სხვ.

ლი აკაკი. კარგად აქვს მოზომილი სიტყვის ძალა და დაეინებით ერთ წერტილს უმიზნებს. იცის, რომ პოეტს ისე, როგორც მიქნურს, უნდა „ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშოკობდეს“.

— ს. შანშიაშვილს ჩინებულად ეხერხება „ლექსთა გრძელთა თქმა“. აქვს პოეტური შემოქმედების ხვაფი.

— ი. გრიშაშვილს ტოლი არ ჰყავს „სააშოკო. სალალობო“ პოეზიის დარგში. მისი ლექსები სალამოს ციციანათელებივით დაფრინავენ ყვაფილებში.

— ალ. აბაშელი... აქ არის და პირში ქებად ნუ ჩამოძარტმევთ და, — აკაკიმ ახლა მე მომანათა თვალები, — სიამოვნებით უნდა გითხრა, რომ სწორ და ნათელ გზაზე დგახარ და ღმერთს მოუმაღლებია შენთვის „მართლად ცემის და მარჯვედ ქნევის“ ნიქი. იარე ამ გზით და უთუოდ გაიმარჯვებ“<sup>1</sup>.

რუსთველმა დიდი გავლენა მოახდინა აკაკის პოეტურ ოსტატობაზე. მართალია, აკაკიმ თავის დიდ თანამოღვაწესთან. ი. ქაფჯავახიშვილსთან ერთად გადაახალისა ძველი პოეტური ხერხები. მაგრამ საკმაოდ განიცადა რუსთველის მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გავლენაც.

როგორც აღვნიშნეთ, რუსთველისათვის ფრიად დამახასიათებელია სიტყვათა განმეორება და ამით აზრის უფრო ნათლად გამოხატვა. მისი პოემის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანს სწორედ ლექსიკურ განმეორებათა სიხშირე წარმოადგენს. აკაკი ამ მხრივ ძალზე ბაძავს რუსთველს. მის ნაწერებში ეს ხერხი ხშირადაა გამოყენებული. ლექსიკური განმეორებით აკაკი მეტ გამომსახველობით ძალას აძლევდა თავის თხზულებებს. მოვიხმობთ რამდენიმე მაგალითს:

ქვეყნის კირი სკირ და კირად (III, 20).

არც სულს და არც გულს, არც აქ და არც იქ (VI, 25).

ხელი ხელს მისიეს, გული გულს.

თვალი თვალს გაუყარეს (V, 198)<sup>2</sup>.

ზოგჯერ განმეორება ტაეპების მანძილზე გრძელდება:

მშენიერო შენ გეტრფი!

შენი მონა, ერთგული!

შენთვის სულდგმულს, შენგანვე,

შენთვის მიძგერს ეს გული (II, 235).

არც დიდი ვარ, არც პატარა,

<sup>1</sup> ალ. აბაშელი, აკაკის შარავანდედი (მოგონება), „მნათობი“, 1935, № 2, გვ. 93—94.

<sup>2</sup> იხ. აგრეთვე I, 88; V, 142, 270 და სხვ.

არც ბატონი და არც მონა (II, 150).  
უსტარი ტბილი, ცოცხლის ნუგეში,  
უსტარი, ცივის მკედრისა სიმდიდრე,  
უსტარი, მყოფი ამ ჩემს უბეში (I, 271).  
ალარც ძმობა, ალარც უმობა,  
ალარც სიტყვა, ალარც პირი (V, 185).

რუსთველის პოეტური გენიის გავლენით ვხსნით ჩვენ იმ ფაქტს, რომ აკაკის ნაწერებში ხშირად გვხვდება მიმართვა და შეძახება, რითაც ერთობ გაზრდილია ტექსტის გამოშსახველობითი ძალა. მაგალითად,

ჩემო თავო, ბედი არ გიწერია!  
ჩემო ჩანგო, ეშხით არ გიჟღერია!  
ჩემო გულო, ტბილად არ გიძგერია! (I, 210)

აკაკისათვის, მსგავსად რუსთველისა, დამახასიათებელია განმეორება მიმართვისას:

ვარღო, ვარღო, მშვენიერო (I, 86).  
ნუ გაუგონებ, ჩემო სიციცხლეც,  
ჩემო იმედო, ჩემო ოცნებავ (VI, 134) <sup>1</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ აზრობლივ სიმკვეთრესა და მხატვრულ-გამომსახველობით შნოს, — როგორც მართებულადაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში <sup>2</sup>, — დიდად უწყობს ხელს მხატვრული ჩამოთვლის ხერხიც. ამით პოემის ავტორი შესანიშნავად აფეროვნებს თავის ქმნილებას. ამ ხერხს აკაიცი იყენებდა. მაგალითად:

ქათამი, თხა, ძროხა, ცხვარი (I, 90).  
ველი, მდინარე, მიწა და ქვანი (I, 92).  
მზე, მთვარე და ვარსკვლავები (I, 289).  
ხერხსა, ხელეჩოს. სატეხსა (II, 197).  
ქალს, კაცს, მოყმეს და ბერსაო (II, 393) <sup>3</sup>.

კარგა ხანია შენიშნულია, რომ რუსთველის „ფრაზეოლოგია გასაოკარ სიუხვეს ზმნებისას წარმოგვიდგენს“ (ი. ჭავჭავაძე). ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატი ზოგჯერ მთელ მოქმედებას გადმოგვცემდა მხოლოდ ზმნების საშუალებით. ამით აღწევდა სტი-

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე I, 70, 87, 88, 260, 262, 265, 332; III, 40—41, 85, 239; V, 21, 126, 234, 250, 263, 275; VI, 21, 25, 34, 173 და ა. შ.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 333—334.

<sup>3</sup> იხ. აგრეთვე I, 269, 327, 351, 363, 366, 377; II, 138; III, 60; V, 323; VI, 13, 242.

ლურ ეკონომიას. აზრს სხარტად და მკაფიოდ გადმოგვცემდა<sup>1</sup>. მსგავსად დიდი წინაპრისა, აკაკიც ხშირად იყენებდა ამ ხერხს. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავიმოწმოთ რამდენიმე მაგალითი:

ახატვენ. უკერენ და მღერაან.

ბუნებას ეციბრებთან (I, 367).

ოხრავს, ქვენესის, მოსთქვამს. გოდებს (II, 89).

სოქვა და გადასქრა. გასწია ტყეში.

რომ ირიერაჟა, გათენდა დილა;

ბევრი იარა. ცოტა იარა,

დათეს შეეყარა და ეძმობილა (IV, 21).

გასწია და გამოსწია, გაგლიჯა და გაამწარა (IV, 41).

მიკვირს, ვფიქრობ და ვერ გამიგია (VI, 179).

ზემოთ აღვნიშნეთ. რომ რუსთველი „არ“ ნაწილაკს ხშირად ხმარობდა სიტყვათა საწარმოებლად. როგორც ჩანს, ახალი ფორმების წარმოების ამ ხერხმა გავლენა მოახდინა აკაკიზეც. მის ნაწერებში ხშირად გვხვდება მსგავსი ფორმები. მაგალითად, არ-საამური (I, 87), არ-დავიწყებული (II, 83), არ-დასაჯერი (II, 94), არ-გასახარი (IV, 266) და ა. შ.

უკანასკნელად უნდა მოვიხსენიოთ აკაკის დამსახურება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეში. როგორც აღვნიშნეთ. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ქართველმა საზოგადოებრიობამ გადაწყვიტა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერულად დადგენა. მალე შეიქმნა კომისია, რომლის შემადგენლობაში სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად შედიოდა აკაკიც. მართალია, ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობას ჩვენ ნაკლებად ვიცნობთ, მაგრამ ი. მეუნარგიას მოკლე ჩანაწერებიდან ნათლად ჩანს, რომ აკაკი კომისიის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა<sup>2</sup>.

## ბიოგრაფი წარეთელი

ქართველი სამოციანელების თვალსაჩინო წარმომადგენელი გ. წერეთელი მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე იყო. მის ყურადღებას იპყრობდა სამეურნეო-პრაქტიკული საქმეები, სოციალურ-პოლიტიკური პრობლემები, კულტურულ-ლიტერატურული საკითხე-

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი. გვ. 335; ე. ბერიძე, შოთას პოეტიკისათვის. წიგნში: რუსთველოლოგიური ეტიუდები. გვ. 106—11; მისივე რუსთველის შიორისათვის. იქვე. გვ. 126.

<sup>2</sup> „დროება“. 1881. №№ 36, 42. იხ. აგრეთვე აკაკისავე ცნობები კომისიის საქმიანობის შესახებ (XII, 49—50; XII, 33—34).

პი. მისი კალამი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა-სფეროს ეხებოდა. გ. წერეთელი მშობელი ხალხის კეთილდღეობი-სათვის თავდადებული მებრძოლი, მაღალი ეროვნული იდეალების მქადაგებელი, ახალი იდეების შემომტანი და დამწერგავი შემოქმედი იყო. მხატვრული სიტყვის სახელმძღვანელოა ოსტატმა, განსწავ-ლულმა ისტორიკოსმა, შრომისმოყვარე არქეოლოგმა და დაკვირვე-ბულმა ფილოლოგმა, დაუღლელმა რედაქტორმა და მახვილგონიერმა პუბლიცისტმა მთელი თავისი ენერგია თანამემამულეთა აწმყოსა და მომავალზე ზრუნვას შეაღია. მას კანონიერი სიამაყის გრძნობით აღაფხვბდა საქართველოს წარსული, მისი მაღალი მატერიალური და სულიერი კულტურა, მისი ღრმაშინაარსიანი მწერლობა. გ. წერე-თელი გულდასმით სწავლობდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობასა და საერო-მხატვრულ ლიტერატურას. ესმოდა რა ძველ ქართველ მწერალთა კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდ-რეობის მნიშვნელობა, ენერგიულად იბრძოდა სახელოვანი წინაპ-რების ნაწერების დაცვა-შენარჩუნების, შესწავლისა და გამოცე-მისათვის.

გ. წერეთელმა პირველდაწყებითი განათლება მიიღო მამის — ექვთიმეს ხელმძღვანელობით. ეს უკანასკნელი საკმაოდ ნაკითხი და განათლებული პირი იყო. თანამედროვეთა ცნობით, მან ბევრი ახლო-ბელი გამოიყვანა განათლების გზაზე<sup>1</sup>. პატარა გიორგისაც მან შეასწავლა წერა-კითხვა, მან გაუღვიძა ინტერესი მწერლობისადმი. „ათი წლის გიორგის უკვე წაკითხული ჰქონდა ქართული წიგნები და ხუცურიც იცოდა. მერე მამამ ქუთაისის გიმნაზიაში მიაბარა. გიორგიმ თან წაიღო თავისი საყვარელი ქართული წიგნები“<sup>2</sup>. მარ-თალია, ქუთაისის გიმნაზიაში, — იქ გაბატონებული ბიუროკრატი-ულ-ჩინოვნიკური რეჟიმის გამო, — საფუძვლიანი ცოდნის მიღება-თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ გ. წერეთელმა მაინც მოახერხა თავისი განათლების დონის ამაღლება. 1860 წელს მან პეტერბურგის უნივერსიტეტს მიაშურა და ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სა-ბუნებისმეტყველო განყოფილებაზე ჩაირიცხა, მაგრამ მხოლოდ შერ-ჩეული დარგით არ დაკმაყოფილდა და ლიტერატურა, ისტორია და არქეოლოგიაც შეისწავლა<sup>3</sup>. სამშობლოში დაბრუნებული გ. წერე-თელი ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, ეწეოდა სამე-

<sup>1</sup> გიორგი წერეთელი (ნეკროლოგი), „კვალი“, 1900, № 3, გვ. 38.

<sup>2</sup> ი. ა. გიორგი წერეთელი (ნეკროლოგი), „ჩეჩილი“, 1900, I, გვ. 3—4.

<sup>3</sup> ა. კილიაია, გიორგი წერეთელი (შემოქმედების გზა), თბ., 1964, გვ. 11;

კ. მეძველია, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუ-ციონერი მოღვაწეები, I, გვ. 223—231.

ურნო-პრაქტიკულ საქმიანობას, ენერგიულად მონაწილეობდა ქართულ კულტურულ ცხოვრებაში; მისი ინიციატივითა და რედაქტორობით ერთიმეორის მიყოლებით გამოვიდა ურნალ-გაზეთები — „დროება“ (1866—1869), „სასოფლო გაზეთი“ (1868—1873), „კრებული“ (1871—1873), „კვალი“ (1893—1898); აქტიურად თანამშრომლობდა იგი სხვა ურნალ-გაზეთებშიც („საქართველოს მოამბე“, „ნობათი“, „ივერია“, „ჯეჯილი“, „Голос“, „Тифлисский вестник“, „Новое обозрение“, „Кавказ“ და სხვ.)<sup>1</sup>.

გ. წერეთელი ყოველთვის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების შეაგულში ტრიალებდა და ი. ჯავახიძესთან, ა. წერეთელთან, ნ. ნიკოლაძესთან და სხვა თანამოკალმეებთან ერთად ვაჟკაცური შემართებით იბრძოდა ქართული მწერლობის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის. ჭეროვნად ესმოდა რა ძველი ქართული მწერლობის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და მხატვრულ-ლიტერატურული ღირებულება, გათვალისწინებული ჰქონდა რა მისი მნიშვნელობა ახალი ქართული მწერლობისათვის, მისი შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის, გ. წერეთელი წლების მანძილზე აქტიურად მუშაობდა ძველი ქართული მწერლობის შესწავლის მიზნით; კრებდა, სწავლობდა და მეცნიერულად აღწერდა ძველ ხელნაწერებს, სტამბური წესით აქვეყნებდა ძველი ქართველი ავტორების ნაწერებს, იყენებდა მათ ბრძნულ გამონათქვამებს. ხელს უწყობდა მათ პოპულარიზაციას. მას აღელვებდა ის გარემოება, რომ მისი დროის საქართველოში „ძნელად იპოვებოდა იმისთანა კაცი, რომ საფუძვლიანი ცოდნა ჰქონოდა ჩვენი ძველის ლიტერატურისა“<sup>2</sup>. ქართული კულტურის დაუცხრომელი მოქირანახულე აღნიშნული სავალალო მდგომარეობის ახსნასაც ცდილობდა. მისი აზრით, გარკვეული დანაშაული მიუძღოდათ „საქართველოს მემკვიდრეებს, რომელთაც სრულებით არ მიუქცევიათ უურადლება ამ უმთავრესს საგანზე“. მეორე მხრივ, „მუდამ ელეტა-ზოცვას და სარწმუნოებისათვის დაუწყნარებელს ბრძოლას ბევრი გონებითი საუნჯე შეუმუსრავს, მრავალი საუკეთესო წიგნი ცეცხლს და წყალს მისცემია“<sup>3</sup>. იგი განსაკუთრებული აღშფოთებით ესხმოდა თავს ნიჰილისტებს.

<sup>1</sup> აქვე აღვნიშნავთ, რომ გ. წერეთელი თავის ურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა ძველ მწერალთა თხზულებებს (ს. ფეშანგიშვილი და სხვ.), სისტემატურად ბეჭდავდა ძველი ქართული მწერლობის მკვლევართა წერილებს (ალ. ხახანაშვილი, მ. ჯანაშვილი, ზ. კვიციანიძე და სხვ.).

<sup>2</sup> გ. წერეთელი. დავით გურამიშვილი და იმის წინა დროები. წიგნში: დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან. წიგნი I, თბ., 1870. გვ. 1.

<sup>3</sup> იქვე.

რომელთაც ძველი ქართული მწერლობის შესწავლა უსარგებლო და ზედმეტ საქმედ მიაჩნდათ; მწარედ დასცინოდა იმათ, ვისი აზრით, „საქართველოს ძველი მწერლობა იმის ღირსი არ არის, რომ კაცმა თავისი სიცოცხლე იმის გაცნობას და განხილვას მოანდომოს“<sup>1</sup>. მისი რწმენით, „ვისაც ძველი თესლი ხელში არ უჭირავს, ის ახალს ნამუშევარს ვერ მოიმკის; ხეს რომ ფესვები გამოვაცალოთ, ნაყოფს როგორღა გამოიღებს?“<sup>2</sup>

ძველი ქართული მწერლობით ახალი თაობის დაუინტერესებლობას გ. წერეთელი იმითაც ხსნიდა, რომ ძველი ძეგლები ნაკლებად იყო გამოქვეყნებული, ხოლო ხელნაწერები მფლობელებს ჰქონდათ ჩაკეტილი<sup>3</sup>. ამიტომაც იღვწოდა ის თავდადებით როგორც ხელნაწერების დაცვა-შენარჩუნების, ისე ძველი ტექსტების პუბლიკაციისათვის.

გ. წერეთელს სათანადოდ ესმოდა ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლის საჭიროება. მისი რწმენით, ხელნაწერი მემკვიდრეობის ათვისება აუცილებელი წინაპირობა იყო ჩვენი კულტურული-ისტორიული წარსულის შესწავლისათვის<sup>4</sup>.

ძველ ხელნაწერებში შემონახული ძეგლების გაცნობისა და ათვისების მიზნით მან ადრევე შეისწავლა ხუცურის კითხვა, ხოლო შემდეგ იმდენად გაიწაფა, რომ სპეციალისტების მოწონებაც კი დაიმსახურა<sup>5</sup>. იგი არა მხოლოდ კითხულობდა ძველ ხელნაწერებს.

არამედ გულდასმით სწავლობდა მათში წარმოდგენილ ტექსტებს და ხშირად იყენებდა კიდევ მათ. მაგალითად, ხელნაწერებში წაიკითხა და გამოიყენა მან „მოქცევაჲ ქართლისაჲ“<sup>6</sup>, „ევესტათი მცხეთელის მარტვილობა“<sup>7</sup>; „ლეილმაჩუნნიანი“<sup>8</sup>, „ქილილა და დამანა“<sup>9</sup> და ა. შ.

<sup>1</sup> გ. წერეთელი. დაეით გურამიშვილი და იმის წინა დროები. წიგნი: დაეითიანი, თქმული გურამიშვილის დაეითისაგან, წიგნი I, გვ. 11.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. III.

<sup>4</sup> გ. წერეთელი. რეცენზია დ. ბაქრაძის წიგნზე: პირიან მეფე და წმინდანინო (თბ., 1880), „დროება“, 1880, № 17.

<sup>5</sup> ე. თაყაიშვილი. მოგონებანი ქართველ მწერლებზე. „ლიტერატურის მატრიანე“, წიგნი 6, ნაკვ. I, 1952, გვ. 58.

<sup>6</sup> გ. წერეთელი. საისტორიო ბაასი. „კვალი“, 1894, № 41, გვ. 12—13; მისივე, წმინდა შუშანიკი, დედოფალი რანისა, „კვალი“, 1894, № 45, გვ. 10.

<sup>7</sup> გ. წერეთელი. მცირე შენიშვნა, „კვალი“, 1894, № 43, გვ. 6—7.

<sup>8</sup> Г. Церетели, Низамии и Руставелии, „Новое обозрение“, 1890, № 2086.

<sup>9</sup> გ. წერეთელი. რჩული ნაწერები (ორ ტომად). II, თბ., 1948, გვ. 149, 153, 156—158, 160—162.



აღსანიშნავია, რომ გ. წერეთელი არ კმაყოფილდებოდა ხელნაწერების კითხვითა და შესწავლით და ძველი ტექსტების პუბლიკაციაზეც ზრუნავდა; მისი მონაწილეობით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, მონაწილეობდა ის აგრეთვე „დავითიანის“ გამოცემის მომზადებაში (1870 წ.) და ა. შ.

გ. წერეთელი ერთ-ერთი პირველი ქართველი მწერალი და მკვლევარია, რომელიც დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ძველი ქართული ხელნაწერების მეცნიერული აღწერილობის შედგენისა და გამოქვეყნების საქმეს. ამ მიმართულებით მან უაღრესად შრომატევადი სამუშაო ჩაატარა. სახელდობრ, საკმაოდ სრულად და ზუსტად აღწერა გელათის მონასტრის კოლექციის რამდენიმე ხელნაწერი.

გ. წერეთელი სათანადოდ იცნობდა საქართველოს ისტორიისა და მწერლობის მკვლევართა შრომებს, დიდად აფასებდა მათ ღვაწლს ქართული კულტურის შესწავლისა და ათვისების საქმეში. განსაკუთრებით აქებდა იგი მ. ბროსეს<sup>1</sup>, იცნობდა და აფასებდა დ. ბაქრაძის საქმიანობას<sup>2</sup>, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ე. თაყაიშვილთან<sup>3</sup>, მიმოწერა ჰქონდა ნ. მართან<sup>4</sup>. სხვათა შორის, გულთბილი რეცენზიები უძღვნა მან ნ. მარისა<sup>5</sup> და ალ. ხახანაშვილის<sup>6</sup> შრომებს. ქართული მწერლობის სახელმწიფო სპეციალისტების შრომების გაცნობა და შესწავლა, ზოგიერთ მკვლევართან ახლო ნაცნობობა კიდევ უფრო უზრდიდა გ. წერეთელს ინტერესსა და სიყვარულს ძველი ქართული მწერლობისადმი.

გ. წერეთელი საფუძვლიანად იცნობდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, კერძოდ — ბიბლიასა და აგიოგრაფიას. თავის მხატვრულ თხზულებებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში იგი იხსენიებდა ბიბლიურ გმირებს<sup>7</sup>, იყენებდა ბიბლიურ

<sup>1</sup> გ. წერეთელი, სიტყვა მ. ბროსეს პანაშვილზე (ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიაში), „დროება“, 1880, № 192.

<sup>2</sup> გ. წერეთელი, რეცენზია დ. ბაქრაძის წიგნზე: მირიან მეფე და წმინდა ნინო (თბ., 1880), „დროება“, 1880, № 17. მისი სიტყვა დ. ბაქრაძის დაკრძალვაზე იხ. „ივერია“, 1890, № 33.

<sup>3</sup> ე. თაყაიშვილი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე. „ლიტერატურის მატრიანე“, წიგნი 6, ნაკვ. I, 1952, გვ. 57—58.

<sup>4</sup> ნ. მარის წერილი გ. წერეთლისადმი, კრებული: „მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის“, თბ., 1934, გვ. 327—328.

<sup>5</sup> „კვალი“, 1898, № 35, გვ. 587—588.

<sup>6</sup> „კვალი“, 1898, № 45, გვ. 748—750; № 47, გვ. 779—782.

<sup>7</sup> გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები (ორ ტომად), I, თბ., 1947, გვ. 45, 50, 184; II, გვ. 45, 48, 71, 144, 268; გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ს. ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობით და შენიშვნებით, I, თბ., 1931, გვ. 25, 26, 187.

ეპიზოდებს<sup>1</sup>, ასახელებდა ბიბლიურ წიგნებს<sup>2</sup>, იმოწმებდა ბიბლიურ გამონათქვამებს<sup>3</sup>.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ გ. წერეთლის მოთხრობები, რომლებშიც პოპულარული ფორმით გადმოცემულია ბიბლიური ეპიზოდები („შობა ქრისტესი“, „ლტოლვა მარიამისა იესო ძითურთ ეგვიპტედ“, „შესვლა იესო ქრისტესი იერუსალიმად“, „შობის ხე და მისი ისტორია“ და სხვ.)<sup>4</sup>.

გ. წერეთელი ღრმად იცნობდა ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიას. ნათქვამის დასადასტურებლად საკმარისია დავასახელოთ მისი წერილები: „წმინდანი მოწამენი დავით და კონსტანტინე“, „წმინდა მოწამე გობრონ“, „წმინდა მოწამე აბო“, „წმინდა მეფე არჩილი“, „წმინდა ესტატე მცხეთელი“, „წმინდა შუშანიკი, დედოფალი რანისა“, „წმინდა ნინო“<sup>5</sup>.

გ. წერეთელი თავის წერილებში იმოწმებდა აგიოგრაფიულ ტექსტებს, იყენებდა სხვა წყაროებსაც („ქართლის ცხოვრება“, უხტანესი, ვახუშტი და ა. შ.), მათ საფუძველზე დეტალურად გადმოცემდა დასახელებულ გმირთა თავგადასავალს, აღწერდა მათ მისიონერულ მოღვაწეობას თუ მოწამეობრივ აღსასრულს, განსაკუთრებით გახაზავდა მათ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღვაწლს, მკითხველის ყურადღებას ამახვილებდა მათ სამშობლოსმოყვარეობაზე, გმირობასა და ვაჟკაცობაზე, ვრცლად გვაცნობდა მოღვაწეთა თანადროული საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივსა და საეკლესიო-სარწმუნოებრივ მდგომარეობას. ხალხურ-სასაუბრო ენით, მარტივი თხრობითა და მოღვაწეთა პორტრეტების ბეჭდვით იგი ღიდად უწყობდა ხელს ქართული აგიოგრაფიის პოპულარიზაციას მკითხველთა ფართო მასებში.

<sup>1</sup> გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 140—142, 144.

<sup>2</sup> გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, I, გვ. 155, 193; II, გვ. 36, 146.

<sup>3</sup> გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, I, გვ. 99; მისივე, ქუთაისის ბანკის კრება, „ივერია“, 1889, № 104; მისივე, დიდი საქმე, „კვალი“, 1897, № 8, გვ. 165; მისივე, სიტყვა წარმოქმნილი სანასარიანის ცხედართან, „ივერია“, 1890, № 12.

<sup>4</sup> „ქეჩილი“, 1895, I, გვ. 56—59; „კვალი“, 1894, № 12, გვ. 8—9; № 15, გვ. 8—10; 1895, № 1, გვ. 7—11, 56—59. საყურადღებოა აგრეთვე ლექსი „ქრისტე ილდა“ („ქეჩილი“, 1900, IV, გვ. 3).

<sup>5</sup> „კვალი“, 1893, № 45, გვ. 10—13; № 46, გვ. 6—7; № 47, გვ. 8—9; № 48, გვ. 5—7; № 50, გვ. 8—10; 1894, № 9, გვ. 7—9; № 10, გვ. 7—9; № 11, გვ. 6—8; № 44, გვ. 7—11; № 45, გვ. 8—10; 1895, № 4, გვ. 1—3. გ. წერეთელი მხატვრულ ნაწერებშიც იმოწმებდა აგიოგრაფიულ ტექსტებს — „ნინოს ცხოვრებას“, „ქეთევანის წამებას“, „მარტირიკასა“ და სხვ. (რჩეული ნაწერები, II, გვ. 153, 149, 170).

უკეთ იცნობდა გ. წერეთელი ძველ ქართულ საერო-მხატვრულ ლიტერატურას, როგორც კლასიკური ხანის, ისე აღორძინების ხანის მწერლებსა და მათ ნაწარმოებებს. საყურადღებოა მისი დაკვირვება „რუსუდანიაზე“ და მისი ერთი ნაკვეთის სოციალურ ასპექტში განხილვა<sup>1</sup>; საინტერესოა გ. წერეთლის მსჯელობა არჩილსა და ი. სააკაძეზე. მართალია, იგი უგულვებელყოფდა დასახელებული მწერლების თხზულებათა მხატვრულ ღირსებას, მაგრამ შესანიშნავად ჰქონდა გათვალისწინებული მათი როლი მოძალებულ სპარსულ-მაჰმადიანურ კულტურასთან ბრძოლის საქმეში, კარგად ესმოდა ქართული საისტორიო ეპოსის მნიშვნელობა ჩვენ საზოგადოებაში ეროვნული გრძნობის გაღვივებისა და მწერლობაში ისტორიულ-ნაციონალური თემატიკის დამკვიდრების საქმეში. მისი სიტყვით, არჩილმა და ი. სააკაძემ „მისცეს პოეზიას ნაციონალური მიმართულება“, შეაქმეს სამშობლოსათვის თავდადებული რაინდები, ხოტბა შეასხეს სახელოვან მამულიშვილებს. სპარსულ-მოჭორილი ამბების გადმოცემის ნაცვლად მათ რეალური სინამდვილე, კონკრეტულ-ისტორიული ვითარება ასახეს, ფანტასტიკურ-აღმოსავლური სიუჟეტების უარყოფითა და ეროვნული თემატიკის დამკვიდრებით დიდი სამსახური გაუწიეს მშობელ ხალხს<sup>2</sup>.

გ. წერეთელი კარგად იცნობდა სულხან-საბა ორბელიანსა და მის „სიბრძნე სიცრუის წიგნს“<sup>3</sup>, მაღალ შეფასებას აძლევდა და იმოწმებდა „ქილილა და დამანას“<sup>4</sup>, განსაკუთრებული სიყვარულით იყო გამსჭვალული დ. გურამიშვილის მიმართ<sup>5</sup>. მას ადაფრთოვანებდა ტანჯული მგოსნის „დიდი პოეტური ნიჭი“, მისი „მაღალი გრძნობით გაცხოველებული ნაციონალური პოეზია“, მისი „შესანიშნავი თხზულება“. გ. წერეთელი იმით იყო აღტაცებული, რომ დ. გურამიშვილმა მიუდგომლად ასახა თავისი ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, სწორად და მართებულად გვიჩვენა სინამდვილე და მოვლენების გადმოცემისას არ შემოიფარგლა მთხრობელის როლით, არ გამოიჩინა პასიური ობიექტურობა. მან სწორად შენიშნა

<sup>1</sup> გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, I, გვ. 102—104.

<sup>2</sup> დავითიანი, გვ. XIV—XVI.

<sup>3</sup> გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 40, 129, 140, 149; მისივე, ამ დროის ვითარება, „კრებული“, 1872, № 10—12, გვ. 84—85; მისივე, საისტორიო ბასი, „კვალი“, 1894, № 41, გვ. 13.

<sup>4</sup> გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 149, 153, 156—158, 160—162.

<sup>5</sup> გ. წერეთელი, დავით გურამიშვილი და იმის წინა დროები, წიგნში: დავითიანი, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, წიგნი I, თბ., 1870, გვ. I—X XVI.

„დავითიანის“. — როგორც საისტორიო წყაროს<sup>1</sup>. — დიდი მნიშვნელობა და მისი ავტორის რეალისტური ტენდენცია. არსებული ობიექტური რეალობის სრულად და უეღომლად ასახვის უზომო სურვილი და დიდებულად განხორციელებული ცდა. გ. წერეთლის დაკვირვება სავსებით ზუსტია. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მისი „ძირითადი თეზისი და კვლევის თვალსაზრისიც არსებითად გაიზიარა მკვლევარ-კრიტიკოსთა მთელმა თაობამ“<sup>2</sup>.

ამრიგად, გ. წერეთელი ბავშვობიდანვე იჩენდა ინტერესს ძველი ქართული წერილობითი კულტურისადმი და სიცოცხლის მიწურულამდე ინარჩუნებდა სიყვარულს ძველი ქართველი მწიგნობრებისადმი<sup>3</sup>.

(ძველი ქართველი მწერლებიდან გ. წერეთელი ყველაზე მეტად აფასებდა ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის მშვენიერებას — შოთა რუსთველს.) უწოდებდა მას „დიდებულს“<sup>4</sup>. „წარჩინებულსა“<sup>5</sup> და „დაუვიწყარ“<sup>6</sup> პოეტს და მიიჩნევდა „თავისი დროის პირველ განათლებულ კაცად“<sup>7</sup>.

(გ. წერეთელს აჯადოებდა რუსთველის პოეტური ფანტაზია.) იბლავდა მისი დახვეწილი მხატვრული გემოვნება, აღაფრთოვანებდა მისი „სახელგანთქმული პოემა“<sup>8</sup>, რომელიც „ერს სიბრძნის ჭურჭლად მიაჩნდა. საიდგანაც მოხუცი და ახალგაზრდა. ყველა თანასწორად იღებდა თავის მეცნიერებას“<sup>9</sup>, სიამაყის გრძნობით აღავსებდა რუსთველის „დიდი პოეტური ნიჭი“<sup>10</sup>, ის „ღრმა გრძნობა და ის სიცხოველე, რომელიც ჰბადებს მალალს და ნამდვილს პოეზიას და რომელიც ასე უხვად გაფენილია მთელ „ვეფხისტყაოსანში“<sup>11</sup>). გ. წე-

<sup>1</sup> შტრ. ვ. დონდუა, დავით გურამიშვილი და საქართველოს ისტორია, თბ., 1959, გვ. 13—14.

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, დავით გურამიშვილი (ბიოგრაფიულ-კრიტიკული ეტიუდი), თბ., 1931, გვ. 3.

<sup>3</sup> ამ საკითხზე საყურადღებო წერილი გამოაქვეყნა რ. ბარამიძემ (გიორგი წერეთელი — ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, „სისკარი“. 1962, № 7, გვ. 113—117). მან, მართალია, რამდენადმე გადააჭარბა გ. წერეთლის კრიტიკულ-მეცნიერული შემკვიდრების შეფასებაში, მაგრამ ძირითადად სწორად დაახასიათა მისი დამსახურება ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლის საქმეში.

<sup>4</sup> გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 203.

<sup>5</sup> გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, I, გვ. 95.

<sup>6</sup> დავითიანი, გვ. 1.

<sup>7</sup> იქვე, გვ. XI.

<sup>8</sup> იქვე, გვ. III.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 1.

<sup>10</sup> იქვე, გვ. VI.

<sup>11</sup> იქვე, გვ. XVI.

რთელი მადლიერების გრძნობით იხსენიებდა რუსთველსა და მის პოემას. ხშირად მსჯელობდა „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-თემატიკურ მოტივებზე. პერსონაჟებზე, ენაზე<sup>1</sup>. პოპულარობაზე. ზეპირი გზით გავრცელებაზე<sup>2</sup> და ა. შ. მას კარგად ესმოდა. თუ რა დიდი სახელი ჰქონდა „ვეფხისტყაოსანს“ ქართულ საზოგადოებაში. რა გავლენა მოახდინა რუსთველმა შემდგომი ხანის ქართული მწერლობის განვითარებაზე.

გ. წერეთელს აღეწევდა „ვეფხისტყაოსნის“ ადამიანურობით აღსავსე ბრწყინვალე იდეა, მისი ჰუმანიზმი და სიცოცხლის სიყვარული, აღაფრთოვანებდა „ღრმა გრძნობა, რომელიც თითქმის ყოველს მუხლში მჩქეფარებს, მთიდგან გადმოვარდნილ ნაკადულსაეით, ღრმად შესწავება ცხოვრებისა, რომელიც ანდაზებად დაბნეულია საქართველოში, კეთილშობილური შეხედულება ბუნებაზე და კაცის თვისებაზე, ბოლოს მდიდარი გარეგანი შემკულობა ამ თხზულებისა“<sup>3</sup>.

რუსთველი გ. წერეთელს მიაჩნდა მე-12—13 საუკუნეების საქართველოს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ღირსეულ პირმშოდ. მისი სიტყვით, თამარის დროის საქართველოს პოლიტიკურმა ძლიერებამ, ეკონომიურმა ღონიერებამ და კულტურულმა დაწინაურებამ ჩვენში „დაბადა ორგვარნი პოეტური თხზულებანი: პოემები და შესსმითი პოეზია.“ შესსმითი პოეზიაში სახელი განითქვეს მოსე ხონელმა<sup>4</sup> და ჩახრუხაძემ, ხოლო რუსთველი და სარგის თმოგველი შეიქნენ დაუვიწყარნი პოემით და მოთხრობებით, რომლებშიაც გამოიხატება მაშინდელი ყოფა-ცხოვრება, ჩვეულება, ხასიათი“<sup>5</sup>.

რუსთველის სიდიადის უფრო სრულად და შესამჩნევად წარმოჩენის მიზნით გ. წერეთელმა ყურადღება გაამახვილა ადრეული ხანის მწერლობის თემატიკაზე, ძველ ძეგლებში წარმოდგენილი ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბების უსაფუძვლობასა და არაღამაჭერებლობაზე. ძველი ავტორების მიერ დახატული არარეალური, სინამდვილეს მოკლებული სურათებით აღეწეებული მწერალი ასე მსჯელობდა: „გვაკვირვებს ამ თხზულებების უშვერი და უმსგავსო სურათები, რომელთა მსგავსი ზღაპრად თუ სადმე იპოება, თორემ ცხადად

<sup>1</sup> იქვე გვ. VI; გ. წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული. I. გვ. 95.

<sup>2</sup> გ. წერეთელი, რა გვეპირება? „კრებული“. 1871, № 5, გვ. 185.

<sup>3</sup> დავითიანი, გვ. XI.

<sup>4</sup> შეცდომაა. უნდა იყოს: „შაეთელმა“.

<sup>5</sup> დავითიანი, გვ. VI.

არსად არის. ის ვეება ცხრათაკვიანი დევები, ის გრძნეული კაცები, რომელნიც ხან ვეფხვად გადაიქევეიან, ხან ფრინველად, ის უზარმაზარი ვეშაპები, რომელთაც პირიდან ცეცხლი ამოქქუხთ და პირი თუ დააღეს, მთელს სოფელს და ქალაქებს გადაყლაპავენ, სულ ბუნების მოვლენით შეშინებული კაცის გონებით მოქორებულია“<sup>1</sup>.

გ. წერეთლის დაკვირვებით: რუსთველის წინადროინდელმა საგმირო ეპოსმა უარყოფითი როლი შეასრულა ქართველთა ცხოვრებაში<sup>2</sup>. მან ხელი შეუშალა მეცნიერების წინსვლას, აზროვნების განვითარებას. მისი დასკვნით, „საცა პოეტური სურათები ცრუ და ერის გონების შემაშინებელია, იქ ნამდვილი ცოდნის შექენა და მეცნიერების მოპოება შეუძლებელია“<sup>3</sup>.

აი. ასეთ ვითარებაში გამოვიდა რუსთველი შემოქმედებით სარბიელზე, ასეთ პირობებში დაიწყო მან კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობა. „საქართველოს ერის პოეტური გამოხატულება, იმისი რწმუნება სწორედ ამ მდგომარეობაში იყო, ვიდრე რუსთველი გამოჩნდებოდა“<sup>4</sup>. ამ უკანასკნელმა კი თავს იღვა ძველი ტრადიციული წესების დარღვევა და გადალახვა, მიზნად დაისახა სინამდვილის რეალისტურად ჩვენება, ბუნების ჩვეულებრივი ფორმით წარმოდგენა და დამტკიცება იმისა, რომ „ბუნებაში საშიში არა არის რა; ის თავის მრავალგვარობით კაცის გონების დასაჩაგრავად კი არა, იმის საწერთნელად არის გაჩენილი“<sup>5</sup>; რუსთველმა უდიდესი მნიშვნელობის მისია შეასრულა, თავის მშობელ ხალხს უანგარო სამსახური გაუწია, ნამდვილი ცხოვრება დაანახა; „თავისი პოეტური ნიჭით, ნორჩი მგზნებარე გრძნობით აღტაცებულმა ჩამოაცალა ერის გონებას შავი ფარდა და დაანახვა მრავალგვაროვნებით აღსავსე ბუნება, რომელშიაც, როგორც დიდებულს წალკოტში, ყოველივე ბრწყინავდა და სიცოცხლით სტკებებოდა, რომლისაც კაცის გონებას კი არ უნდა შინებოდა, არამედ უნდა დაახლოვებოდა და იმაში ეძებნა კეთილმდგომარეობის მომცემი მეცნიერება“<sup>6</sup>.

(რუსთველის დამსახურებას გ. წერეთელი იმაში ხედავდა, რომ მან საბურველი, შავი ფარდა ჩამოაცალა საზოგადოებას, მწერლობა ზღაპრული სფეროდან გამოიყვანა და რეალურ ცხოვრებას დაუახ-

<sup>1</sup> დავითიანი, გვ. VII.

ს. აქალიანი, გ. წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, თბ., 1954, გვ. 129.

<sup>2</sup> დავითიანი, გვ. VIII.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> იქვე, გვ. X.

<sup>5</sup> იქვე.

ლოვა: ნაცვლად აღმოსავლური ზღაპრულ-ფანტასტიკური ამბები-სა. მან ნამდვილი ამბები გალექსა და ცხოვრებისეული სურათება დახატა, ამქვეყნიური სინამდვილე ასახა.) მისი დასკვნით, „უმთავრესი ღვაწლი რუსთველისა ის არის, რომ იმან უწინდელს უშვერს გონების გამოხატულებას ფრთები შეკვეცა“. მის თხზულებაში „ვე-შაპებისა და მგელკაცების უმსგავსო სურათებს ვერ იპოვნი“, მასში აღწერილია „მხოლოდ კაცის ნამდვილი გულისთქმა და გარემომდებარე ბუნება“<sup>1</sup>.

გ. წერეთელს არ შეეძლო თვალი დაეხუჭა იმაზე, რომ „ვეფხისტყაოსანში“ იხსენიებიან ქაჯები, დევები და ა. შ. მას არც უცდია გვერდის ავლა ამ, ერთი შეხედვით, საჩოთირო საკითხისათვის. იგი სავსებით მართალი იყო, როდესაც წერდა: „თუმცა ალაგ-ალაგ „ვეფხისტყაოსანშიც“ არის მოყვანილი გრძნეული სულიერები, მაგრამ იმათი სურათები არასოდეს არ ეწინააღმდეგებიან ბუნების კანონებსა. ეს გრძნეული პირებიც ისეთი კაცები არიან, ისეთი გულისთქმა აქვთ და ისე იტანჯებიან, როგორც ჩვენ. იმათი გრძნება მხოლოდ ის არის, რომ უსწავლელ კაცზე უფრო მეტი იციან და მეტი მოხერხებაც აქვთ“<sup>2</sup>. )

უკანასკნელი წლების კვლევა-ძიებით სავსებით დადასტურდა გ. წერეთლის მოსაზრება.

გ. წერეთელს აშფოთებდა ის სავალალო გარემოება, რომ რუსთველის ღვაწლი ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ შესწავლილი და გამოვლენილი და მისი ჰუმანისტური მსოფლმხედველობით გამსჭვალული პოემაც „გაურჩეველი და დაუფასებელი“<sup>3</sup> იყო. ის ცდილობდა გაერკვია ზოგიერთი საკითხი. საინტერესოა მისი მსჯელობა პოემის იდეურ-თემატიკური მოტივების შესახებ.

(გ. წერეთლის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი და მთავარი თემა მიჯნურობაა. მისი სიტყვით, რუსთველის პოემაში შექმნილი და განდიდებულია „უმანკო გრძნობით გაცხოველებული სიყვარული“. „ვეფხისტყაოსანი“ შეიცავს უმთავრესი გმირის თავშეუთქავებელს წადილს მიჯნურობისადმი და დაუწყნარებელს ბრძოლას საშინელს დაბრკოლებასთან, რომელიც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე გზას უხლართავს საწყალ შეყვარებულს“<sup>4</sup>. )

1 მ. გაფრინდაშვილი, გ. წერეთლის მსოფლმხედველობა, თბ., 1955, გვ. 43.

2 დავითიანი, გვ. X.

3 იქვე.

4 იქვე, გვ. II.

5 იქვე, გვ. X.

(მიუხედავად აღნიშნულისა, გ. წერეთელი არ ივიწყებდა მეორე ძირითად მოტივს მეგობრობას და საგანგებოდ აქებდა ამ დიად გრძნობას. მისი მართებული აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ მეგობრობას „დიდი ზემოქმედება აქვს მკითხველის გონებაზე, ის უღვიძებს მკითხველს მაღალ გრძნობას და სწვრთნის იმის ზნეს“<sup>1</sup>.)

(საყურადღებოა გ. წერეთლის ცდა „ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჟის რაობის გარკვევისა, მისი მსჯელობა ტარიელისა და ავთანდილის შესახებ. მისი დაკვირვებით. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირი „თავ-შეუკავებელი“ მიჯნურია.) (ნაკირებებაში მყოფს ზოგჯერ აგონდება თავისი სატრფო) ის ბედნიერი წამი, როდესაც მის ახლოს იყო, როდესაც ნესტანის „მოელვარე მშვენნიერება“ თვალს კრიდა, როდესაც მას, — ვით „ზეციურ მნათობს“, — შესცქეროდა. შოგონება ტკივილს უახლებს. გრძნობას უცხოველებს, გონებას უბნელებს. ამ დროს ის კარგავს წონასწორობას, თავს ველარ იჭერს, ნაბიჯს ველარ ზომავს. „ამ მდგომარეობაში ტარიელი კარგავს კაცურ ღირსებას, — ისეთს შეუფერებელს საქმეებს ჩადის. რომ ვისაც სხვა დროს უნახავს მისი მაღალი მეფური კჳუა-გონება, დარბაისლობა და დიდი ზნე. ის ველარ იცნობს ვნებისაგან გაშმაგებულს ტარიელს“<sup>2</sup>.)

გ. წერეთელმა სიმკაცრე გამოიჩინა ტარიელის დახასიათება-შეფასებაში, მაგრამ მანვე დაძებნა ტარიელის გამამართლებელი მოტივები და შემამსუბუქებელი საბუთების სახით წარმოადგინა: „კაცი კლდის სალი არ არის“, „რაგინდა მძლავრი ბუნება ჰქონდეს, ცუდი გარემოებისაგან შეიძლება ისე დასუსტდეს და დაიჩაგროს, რომ პირუტყვულ მდგომარეობაში ჩავარდეს. აქ (რუსთველის მაღალაზროვანმა გამოხატულებამ გვიჩვენა ნამდვილი კაცი. რომლის ზნეობითი სიდიდე და დამცრობა უმეტეს ნაწილად გარემოებაზეა დამყარებული“<sup>3</sup>.)

გ. წერეთელი სულ სხვაგვარად აფასებდა პოემის მეორე გმირს. მისი აზრით, (ავთანდილი სრულიად განსხვავებული ბუნებისაა. „ერთია ცეცხლი, მეორე წყალი; ერთი ჰგავს მრისხანე ცას, რომელიც ელვით და გრგვინვით მუსრავს ყოველსავე, რაც იმის გამწყრალს სახეს წინ უდგება დედამიწის ზურგზე; მეორე ჰგავს მოწმენდილს ცას, ბრწყინვალე დღეს, რომელიც ერთს მხიარულად გამოანათებს და, რაც ცის კამარაზე შავი მრისხანე ცეცხლმოქმინავი ღრუბლებია, სულ ერთიანად გაფანტავს“<sup>4</sup>.)

<sup>1</sup> დავითიანი, გვ. X.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. XI.

<sup>4</sup> იქვე.



გ. წერეთლის დახასიათებით, ავთანდილი „ცხოვრების დარჯაქში გატარებულია“, გონიერი და წინდახედულია, „ყოველს საქმეში გამოცდილია“, დინჯი და შორსმკვრეტელია, ერთგული მეგობარია. მან თავისი სამიჯნურო საქმეც კი გადადო, რადგან „კაცობრიული გრძნობით გული შესტკიოდა მეგობრის უბედურებაზე“. კეთილშობილი რაინდი და გონიერი სახელმწიფო მოღვაწე უყოყმანოდ და „უსასყიდლოდ სწირავს საკუთარს ბედნიერებას. სიყვარულს და სიცოცხლესაც, რომ განსაცდელისაგან დაიხსნას თავისი ღირსი მეგობარი“<sup>1</sup>.)

გ. წერეთელი მთელ თავის შემოქმედებით პრაქტიკაში მართლის თქმის პრინციპებით ხელმძღვანელობდა, თანამედროვეთა შორის ცნობილი იყო ობიექტურობითა და მიუკერძოებლობით. ამავე პრინციპებით ხელმძღვანელობდა ის „ვეფხისტყაოსნის“ შეფასებისას, აღიარებდა მის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას, მაგრამ. მიუხედავად ამისა, არ ერიდებოდა მისი თვალსაზრისით მიუღებელი ადგილების კრიტიკას, ნაკლის მხილებას, რეალიზმის პრინციპებიდან გადახვევის დაგმობას<sup>2</sup>.

გ. წერეთელი თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამოსშიც კი პოულობდა ნაკლს. მისი სიტყვით, პოემაში „თუმცა გარეგანი ლექსთა თხზვა მუხიკობით ძალიან მაღლა დგას, მაგრამ ალაგ-ალაგ პოეტური სურათები თითქმის ძალდატანებულად გამოყვანილია და თვითონ სიტყვიერებაც მეტად გაბრტყელებულია“<sup>3</sup>.

უთუოდ მკაცრია და უმართებულო მისი მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ადგილის შესახებ.) მაგრამ ერთი უდავოა: გ. წერეთელი გულწრფელად წერდა იმას, რასაც გრძნობდა, რასაც განიცდიდა. მისი შეხედულებით, „ვეფხისტყაოსნის“ ენა ხელოვნურია: იქ ყოველი გრძნობა, ყოველი პოეტური მხატვრობა თითქოს აიასოფიის კენჭით არის გამოყვანილიო. მაგრამ რაც უნდა კარგი მოზაიკის ხელობით იყოს დახატული სურათი, სინამდვილით, სიცხოვლით ვერაოდეს ვერ შეედრება იმ ნახატს, რომელიც ნიჭიერის მხატვრის ხელით არის გამოყვანილი. რაც უნდა ძალიან ბრჭყვინვარებდეს ძვირფასი თვალი და მარგალიტი, მაინც იმით დახატული კაცის სახე ანუ მოქმედება იმდენად გაცოცხლებული არ იქნება, როგორც ბუნებითი ენის კილოთი წარმოდგენილი პირები და იმათი ვითარება“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> იქვე, გვ. X.

<sup>2</sup> შტრ. მ. გაფრინდაშვილი, გ. წერეთლის მსოფლმხედველობა, 33-42.

<sup>3</sup> დავითიანი, გვ. XI.

<sup>4</sup> იქვე, გვ. XVI. „ვეფხისტყაოსანში“ გრძნობისა და სიტყვების გაზვიადე-

აღნიშნულის მიუხედავად, გ. წერეთელს „ვეფხისტყაოსანი“ მი-  
აჩნდა ქართული სულიერი კულტურის უბრწყინვალეს ძეგლად და  
ეროვნული თვითმყოფადობის საბუთად, ამიტომაც თავგამოდებით  
იცავდა რუსთველსა და მის პოემას ხელმყოფელთაგან. აქ საგანგე-  
ზოდ უნდა მოვიგონოთ მისი გამოსვლა<sup>1</sup> ქართული კულტურის უარ-  
მყოფელი და „ვეფხისტყაოსნის“ დამაყინებელი ი. ჯაბადარის  
წინააღმდეგ (ამ საკითხზე იხ. გვ. 47—50).

გ. წერეთელმა თავდაპირველად გააკრიტიკა ქართული კულტუ-  
რის უგულვებელყოფელი მეცნიერები (ი. სენკოვსკი, კ. პატკანოვი).  
ცხადყო იმათ მოსაზრებათა უსაფუძვლობა და უნიადაგობა, შემდეგ  
ამხილა ი. ჯაბადარის ნიჰილისტობა და უვიცობა, ტენდენციურობა  
და არაობიექტურობა. მას აუფოთებდა ის გარემოება, რომ დასახე-  
ლებულმა პირებმა ხეირიანად არც ქართული ენა იცოდნენ და არც  
ქართული მწერლობა, ისინი თითქმის სულ არ იცნობდნენ სა-  
ქართველოს ისტორიულ წარსულს, უგულვებელყოფდნენ საისტორიო  
წყაროების ჩვენებას, აყალბებდნენ სინამდვილეს. საისტორიო წყა-  
როებისა (სოკრატე, სოზომენი, მოსე ხორენელი, პროკოპი კესარიე-  
ლი, ასოდიკი, მათე ედესელი და სხვ.) და მეცნიერული გამოკვლევე-  
ბის (მ. ბროსე, ნ. კონდაკოვი, ალ. ცაგარელი, დ. ბაქრაძე...) საფუძ-  
ველზე გ. წერეთელმა აღნიშნა ქართული კულტურის სიდიადე.  
განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება „ვეფხისტყაოსანზე“ „დეტა-  
ლურად განიხილა ი. ჯაბადარის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თით-  
ქოს ის ნიშამი განჯელის „ლეილმაჯნუნიანის“ უბრალო მიბაძვას წარ-  
მოადგენდა. გულდასმითი შედარებითი ანალიზით გ. წერეთელმა  
ცხადყო, რომ „ვეფხისტყაოსანი“ „ლეილმაჯნუნიანის“ მიბაძვას არ  
წარმოადგენს, რომ რუსთველს სხვისი მისაბაძი არა ჰქონდა რა.  
„ვეფხისტყაოსნის“ ავტორს გმირთა ტიპების შექმნისას არ სჭირდე-  
ბოდა უცხოეთის დახმარება, მას მასალა სამშობლოშივე შეეძლო  
მოეპოვებინა.) „Грузинскому поэту, имевшему тогда перед со-  
бою, на своей родине, примеры подвигов великих полковод-  
цев, великих женщин эпохи царицы Тамары, незачем было  
ходить в подавленную сельджуками и грузинами Персию и  
набирать в персидском гареме типы женщин и помещанных  
людей для своих поэтических идеалов“<sup>2</sup>. ლეილის სახე-ხასია-

ბას და ზოგან ძალდატანებას გამოხატულებაში“ გ. წერეთელი რამდენჯერმე იხსე-  
ნიებდა (იქვე, გვ. XIX, XXV).

<sup>1</sup> Г. Церетели. Низами и Руставели, „Новое обозрение“, 1890, №№ 2084, 2096, 2091.

<sup>2</sup> Г. Церетели, Низами и Руставели, „Новое обозрение“, 1890, № 2091.

თის შესწავლითა და ანალიზით გ. წერეთელმა ნათელყო, რომ ასეთი ქალი უცხოა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის: ლეილია აკლია აქტიურობა, ინიციატივა, ნებისყოფა, მებრძოლი სულისკვეთება. მას არაფერი აქვს საერთო „ვეფხისტყაოსნის“ გმირებთან. შემდგომში მეცნიერულმა ძიებამ დაადასტურა გ. წერეთლის მსჯელობის სისწორე.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია აღნიშნული და დადასტურებულია, რომ რუსთველი იცნობდა ნიჟამი განჯელის პოემებს („ლეილმაცხუნუიანი“, „ხოსროვშირინიანი“, „ისკანდერ-ნამე“)¹. მკვლევართა ნაწილი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას იმ მსგავსებაზე, რომელიც შეიმჩნევა „ვეფხისტყაოსანსა“ და „ლეილმაცხუნუიანს“ შორის. სპეციალური კვლევა-ძიებით დადგენილ იქნა, რომ ნიჟამისა და რუსთველს ზოგი რამ საერთო აქვთ ცალკეულ იდეურ-თემატიკური დეტალებისა და პოეტური მეტყველების მხრივ: ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ პერსონაჟების სულიერი ცხოვრების დანასიათებას, მათთვის ნიჟანდობლივია მხატვრული აზროვნების მეტაფორული სისტემა, მოუპოვებათ მსგავსი სენტენცია-აფორიზმები და ა. შ., მაგრამ მათ შორის ისეთი დიდი სხვაობაა (მოქმედების ფაბულურ-სიუჟეტური ხაზების განვითარება „ვეფხისტყაოსანში“; პოემის მიზანდასახულება, სიყვარულის ამამალღებელი ძალა და გამაყვითლშობილებელი ზემოქმედება, გმირების საბრძოლო სულისკვეთება და ქედმოუხრელობა, ამქვეყნიური სიცოცხლისა და სიყვარულისათვის ბრძოლა და სხვ.), რომ რუსთველის მიმბაძველობაზე საუბარი მცდარზე მცდარია².

(გ. წერეთელი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო იმათ შორის, ვინც „ვეფხისტყაოსანს“ მიიჩნევდა ორიგინალურ ქართულ ნაწარმოებად. არკვევდა მის იდეურ-შემეცნებით მნიშვნელობასა და მხატვრული ლიტერატურულ ღირებულებას და გადაკრით ილაშქრებდა რუსთვე-

¹ Н. Марр. Вступительные и заключительные строфы „Витязя в барской коже“ Шоты из Руставы, ТРА-ГФ. XII, СПб., 1910. გვ. XL—XLIV; კ. კეკელიძე, Руставели и Низами Гянджеви, წიგნში: ეტიუდები იველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, 1962. გვ. 143—162; მისივე, საქართველო და ნიჟამი განჯელი, წიგნში: ეტიუდები, IV, გვ. 81—89; მისივე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 134—136; პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა, „რუსთაველის კრებული“, თბ., 1938, გვ. 21—22; დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობიდან, „ლიტერატურული ძიებანი“, III, 1947, გვ. 203—211; ალ. ბარამიძე, ნიჟამი და რუსთაველი, წიგნში: ნარკვევები, III, გვ. 209—210 და შმდ.

² ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 255—276.

ლის უკვდავი პოემის უცხო ძეგლის მიზაძვად გამოცხადების წინააღმდეგ.) მართალია, მისი კვლევა-ძიება არ იყო დაზღვეული შეცდომებისაგან (მაგალითად, თეიმურაზისეული „ლეილმაცუნუნიანი“ მას ნიზამის პოემის თარგმანი ეგონა), მაგრამ მისი დასკვნები ძირითადად მისაღები და ანგარიშგასაწევია.

უკანასკნელად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. წერეთელი ხშირად სარგებლობდა რუსთველის პოემით, თავის მხატვრულ ნაწერებსა თუ მეცნიერულ-კრიტიკულსა და პუბლიცისტურ წერილებში იმოწმებდა მის ბრძნულ გამონათქვამებს, რითაც თავის ტექსტს მატებდა შინაარსობლივ-აზრობლივ სიცხოველეს.) რამდენიმე მაგალითი:

1. მძულს უგულოდ სიყვარული (25,4) <sup>1</sup>.
2. თქვენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჭობია (38,2) <sup>2</sup>.
3. უხვი ახსნილსა დაბაბს, იგი თვით ების, ვინ ების.  
უხვად გასცემდი, ზღვათაჲა შესდის და გაედინების! (49,3—4) <sup>3</sup>.
4. სმა-ჰამა — დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?! (50,3) <sup>4</sup>.
5. ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშაედების (751,3) <sup>5</sup>.
- ა. ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნეებ, რა ზნე გქირსა!  
ყოელი შენი მონღობილი ნიადგმცა ჩემებრ ტირსა (951,1—2) <sup>6</sup>.

დამოწმებული გამონათქვამებიდან ოთხი გვხვდება მხატვრულ ნაწერებში (1, 3<sup>2</sup>, 4, 6<sup>1</sup>), ოთხი პუბლიცისტურ წერილებში (2, 3<sup>1</sup>, 5, 6<sup>2</sup>). ციტირებული გამონათქვამების ავტორს გ. წერეთელი ზოგჯერ ასახელებდა (1, 2, 3<sup>2</sup>), ზოგჯერ კი არა (3<sup>1</sup>, 4, 5, 6). ერთსადაიმთხვევე გამონათქვამს ზოგჯერ ავტორის სახელით. ზოგჯერ ავტორის დაუსახელებლად იმოწმებდა (3). ტექსტი მოჰქონდა უცვლელად-გამონაკლისს შეადგენს ერთი შემთხვევა (6<sup>2</sup>), როდესაც რუსთველის სიტყვები ასეთი სახითაა მოცემული:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნეებ და რა ზნე გაქვს,  
ფულით კაცსა ბუზათა ჰხდი და ავიწყებ გონიერს გზას.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ გ. წერეთლის მონაწილეობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეში (იხ. გვ. 61—62, 97).

<sup>1</sup> გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, I, გვ. 304.

<sup>2</sup> მ ა ჯ ე ა ლ ი [გ. წერეთელი], ჩვენი სახიობა. „ვეალი“, 1895. № 6. გვ. 15 (=გ. წერეთელი, თეატრის შესახებ, კრებული შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო შ. სალუქვაძემ. თბ., 1955, გვ. 147).

<sup>3</sup> გ. წერეთელი, მიეშველეთ ქობულეთელებს, „დროება“, 1879, № 32; რჩეული ნაწერები, II, გვ. 203.

<sup>4</sup> გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, I, გვ. 437.

<sup>5</sup> გ. წერეთელი, ბათუმის მხარე, „ვეალი“, 1893. № 7. გვ. 10.

<sup>6</sup> გ. წერეთელი, რჩეული ნაწერები, II, გვ. 134; მისივე. თხზულებათა სრული კრებული, I, გვ. 261.

როგორც აღენიშნეთ. პოემის ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობის სრული სურათი ჩვენთვის უცნობია. მაგრამ მოღწეული მცირე მასალიდან ჩანს, რომ გ. წერეთელი კომისიის საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა<sup>1</sup>. მისი წინადადებით. „საქმეში მონაწილე პირები უნდა დაყოფილიყვნენ წრეებად და თითო წრეს ამოერჩია განსაკუთრებით მიზნად ზოგს გაუგებარის სიტყვების ლექსიკური განმარტება, ზოგს გაუგებარი აზრის ახსნა. ზოგს ისტორიული თუ ზნეობითი ნაწილი პოემისა და სხვ.“ სამწუხაროდ, მისი წინადადება კომისიამ არ მიიღო. გ. ორბელიანისა და ი. ჭავჭავაძის წინადადებით დადგენილ და გამოცემულ იქნა მხოლოდ პოემის ტექსტი.

ჩამდენიმე სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ 1867 წლის გამოცემაზე. ზოგი ცნობით, აღნიშნული გამოცემა მიეწერებათ გ. წერეთელსა და დავ. ყიფიანს<sup>2</sup>. მაგალითად, პოემის 1875 წლის გამოცემის შესვლური ა. კალანდაძე წერდა: „მართალია, წიგნზე არაა აღნიშნული, მაგრამ ვიცი, რომ ეს გამოცემა გ. წერეთელსა და დავ. ყიფიანს ეკუთვნის“<sup>3</sup>. ამასვე აღნიშნავდა სხვა გამომცემელიც, სახელდობრ, გ. ჩარკვიანი: „არ აწერია გამომცემლების სახელი და გვარი. მაგრამ დაბეჭდვებით ვიცი, რომ ეკუთვნის გ. წერეთელს და დავ. ყიფიანს“<sup>4</sup>.

გამომცემლებმა გაიმეორეს 1841 წლის ბექდური ტექსტი და დაურთეს მას „მოკლე განმარტებითი ლექსიკონი“ (1841 და 1860 წლების გამოცემების ლექსიკონების საფუძველზე). მათი განცხადებით. „თუმცა იმგვარი განმარტება, როგორც უ. ჩუბინოვისაგან 1860-ში გამოცემულს „ვეფხისტყაოსნისა“ აქვს, უფრო სასარგებლო იქნებოდა. მაგრამ ხარჯსაც მოგვიმატებდა და არც შეგვეძლო ისეთს სისრულეში მოგვეყვანა. როგორსაც იმგვარი განმარტება მოითხოვს“. აღსანიშნავია, რომ ამ გამოცემამ თანამედროვეთა მოწონება დაიმსახურა. პოემის მომდევნო გამოცემის წინასიტყვაობაში საგანგებოდაა აღნიშნული. რომ 1867 წლის „გამომცემლებს, როგორც ჩანს, ვახტანგის დაბეჭდილი არა ჰქონიათ. მაგრამ იმდენი ყურადღება უღევნებიათ ბექდვის დროს, რომ ბევრგან დედნის ნამდვი-

<sup>1</sup> „დროება“, 1880, № 250.

<sup>2</sup> გ. იმედაშვილი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 45: ს. ყუბანეიშვილი. „ვეფხისტყაოსნის“ ბექდვის ისტორიიდან, გვ. 69—71.

<sup>3</sup> შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, მეექვსედ დაბეჭდილი ა. კალანდაძისა და ამხ-გან, თბ., 1875, გვ. X.

<sup>4</sup> შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი. გამოცემული გ. ჩარკვიანისაგან, თბ., 1887, გვ. 1.

ლი აზრი აღუდგენიათ, თუ დამახინჯებული ალაგების გასწორებით: თუ საფუძვლიანად ორთოგრაფიული ნიშნების დასმით“<sup>1</sup>.

## ნიკო ნიკოლაძე

ქართველ სამოციანელთა ცნობილი წარმომადგენელი, ი. ქავჭავაძის, ა. წერეთლისა და გ. წერეთლის ღირსეული თანამოსანგრე და სახელოვანი თანამებრძოლი, თერგდალეულთა ერთ-ერთი აღიარებული ხელმძღვანელი ან ფალავანი, — როგორც მას ი. ქავჭავაძე უწოდებდა (X, 45), — ნ. ნიკოლაძე დიდად განათლებული მოაზროვნე და ეპოქის მოწინავე იდეების დაუცხრომელი მქადაგებელი იყო. ფართო დიაპაზონი, მახვილი პუბლიცისტური კალამი, კრიტიკული აზროვნება და ანალიტიკური გონება მას სრულ შესაძლებლობას აძლევდა საქართველოს უკეთესი მერმისისათვის თავდადებულ მებრძოლთა რიგებში ჩამდგარიყო. მართლაც, მან მთელი თავისი ენციკლოპედიური განათლება მშობლიური ქვეყნის სამსახურს მოახმარა..

ნ. ნიკოლაძე დაიბადა და აღიზარდა ქ. ქუთაისში. მამამისი ვაჭარი იყო, მაგრამ ლიტერატურისადმი ინტერესს იჩენდა და შვილების განათლებაზე ენერგიულად ზრუნავდა. მომავალი დიდი მოაზროვნის სულიერ ფორმირებაზე საგრძნობი გავლენა მოახდინა დედამ — ელისაბედ (ლიზა) ლორთქიფანიძემ. გვიან ხანაში, უკვე მრავალპირობისა და ცხოვრებაში გამობრძმედილი მწერალი ასე იგონებდა მოამაგე დედას: „დედაჩემი მშვენიერი მწიგნობარი იყო. მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა. ბევრ სხვა ნაბეჭდ და ხელნაწერ ქართულ წიგნებს მუდამ დღე ნასადილეეს უკითხავდა მამაჩემს. ჩვენ ბავშვობიდანვე გვიყვარდა მისი ყურისგდება“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, 1875, გვ. X. გარკვეული წვლილი მიუძღვის გ. წერეთელს „ვეფხისტყაოსნის“ სომხური თარგმანის მომზადებასა და გამოცემაში. იხ. შ. შაველაშვილი, გიორგი წერეთელი. ოჯახის თემანიანი და „ვეფხისტყაოსანი“, „თბილისი“, 25. VII. 66, № 172 (4017).

გ. წერეთლის რუსთველოლოგიურ შეხედულებებზე იხ. მ. ჯანაშვილი, შოთა რუსთაველი, გვ. 94—98; П. Берков, Шота Руставели в русской литературе, ИАН, Отд. общ. наук, 1938, № 3, გვ. 71; ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 256, 512; რ. ბარამიძე, გიორგი წერეთელი—ძველი ქართული მწერლობის მკვლევარი, „ცისკარი“, 1962, № 7, გვ. 114—115; ა. კილაია, გიორგი წერეთელი, გვ. 149—151, 155—156; ლ. მენაბდე, გიორგი წერეთელი და „ვეფხისტყაოსნის“ საკითხები, თსუ საიუბილეო კრებული: „შოთა რუსთველს“, გვ. 253—264 და სხვ.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩული ნაწერები, ს. ხუნდაძის რედაქციით. წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1, თბ., 1931, გვ. 11.

ნ. ნიკოლაძემ სწავლა ქუთაისის გიმნაზიაში დაიწყო. მაგრამ პირობები იქ აუტანელი იყო და დიდი ცოდნის მიღება არ შეიძლებოდა. მართალია, ბევრ საგანს ასწავლდნენ, მაგრამ — არასათუძელიანად და ზედაპირულად<sup>1</sup>. მიუხედავად აღნიშნულისა, ნ. ნიკოლაძემ მაინც შეძლო ამ პერიოდში ლიტერატურის შესწავლა<sup>2</sup>. მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას ის ამჭერადაც საკუთარ ოჯახში ეცნობოდა. მამაჩემს, — იგონებდა ნ. ნიკოლაძე, — „ყველა ახალი ქართული წიგნი მოდიოდა მიღებისთანავე დედაჩემი მათ თავიდან ბოლომდი გადაგვიბუღებდა, დიდს და პატარას, ქმარშვილს და მოსამსახურეს. გ. ერისთავის კომედიებიდან და არჩილ მეფის ლექსებიდან ბევრმა ჩვენგანმა ზებირად დიდძალი ადგილები ვიცოდით. ეს კითხვა უკეთესი გასართობი იყო ჩვენს სახლში. როცა ყირიმის ომის დაწყების შემდეგ ქართული წიგნების ბეჭდვა დიდხნობით მოისპო. ჩვენთვის ეს დიდ დანაკლისად შეიქნა. დედაჩემი ძველ წიგნებს უბრუნდებოდა და განმეორებით გვიკითხავდა. თავიდან ბოლომდი წაგვიკითხა მან, სხვათა შორის, მ. ბროსეს გამონაცემი „ქართლის ცხოვრება“<sup>3</sup>.

ამრიგად, ნ. ნიკოლაძემ უკვე მშობლიურ ოჯახში გაიცნო ძველი ქართული მწერლობის ისეთი ძეგლები, როგორცაა „ვეფხისტყაოსანი“, „ქართლის ცხოვრება“, არჩილის ნაწერები<sup>4</sup> და სხვ.

1861 წლის გაზაფხულზე ნ. ნიკოლაძე პეტერბურგს ეწვია და გამოცდების ჩაბარების შემდეგ (15. IX) ჩაირიცხა უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული განყოფილების პირველ კურსზე, აქტიურად ჩაება ქართველ სტუდენტთა წრეში და თავისი ჯგუფიც ჩამოაყალიბა (გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, დ. აბღუშელიშვილი). მალე მან ახლო ურთიერთობა დაამყარა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციასთან, დაიწყო შესწავლა ნ. ჩერნიშევსკის, ნ. დობროლუბოვისა და სხვათა ნააზრებისა. იგი გულდასმით ისმენდა მოწინავე პროფესორების ლექციებს. მაგრამ სწავლის გაგრძელება არ დასცალდა: სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის ჯერ პეტრე-პავლეს ციხე-სიმაგრეში ჩასვეს, ხოლო შემდეგ —

<sup>1</sup> იქვე, გვ. 11—34.

<sup>2</sup> ზ. ქიქინაძე, ნიკოლოზ ნიკოლაძე, თბ., 1897, გვ. 6—9.

<sup>3</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, I, გვ. 23.

<sup>4</sup> არჩილის ნაწერებიდან ცალკე წიგნად იყო გამოცემული „ცხოვრება მეფისა თეიმურაზ პირველისა“ (თბ., 1853). ადრე „ცისკარში“ გამოქვეყნდა „ძველთა და ახალთ საქართველოს მელექსეთ სახელნი“ (1852, № 3, გვ. 5—7).

კონსტანტინის ციხეში. მალე იძულებული გახდა საქართველოში დაბრუნებულიყო<sup>1</sup>.

1862 წელს ნ. ნიკოლაძე უკვე სამშობლოშია, ხოლო 1864 წელს უცხოეთს მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად. მას ვხედავთ პარიზში. ლონდონში, ენევაში, ციურიხში. იქ იგი უახლოვდება რუს რევოლუციონერ ემიგრანტებს — ა. გერცენს, ნ. ოგარიოვს, ეცნობა კ. მარქსს. ეწევა უაღრესად ნაყოფიერ მუშაობას. საგულისხმოა, რომ შორეულ ქვეყნებში ყოფნის დროსაც არ ივიწყებდა ის მშობლიურ მხარეს და მუშაობდა როგორც საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ პრობლემებზე, ისე მისი კულტურული ცხოვრების. კერძოდ — ლიტერატურის საკითხებზეც. 1865 წლის ივნისში მან პარიზიდან პეტერბურგში კ. ლორთქიფანიძეს გაუგზავნა „სოვრემენიკში“ წარსადგენად სტატია ქართული ლიტერატურის შესახებ. როგორც ვაირკვა, ეს წარმოადგენდა რეცენზიას კ. ლორთქიფანიძის მიერ გამოცემულ ლექსთა კრებულზე („ჩანგური“). აღნიშნული წერილი არ დაბეჭდილა და, სამწუხაროდ, მიკვლეულიც არ არის<sup>2</sup>.

1870 წელს ნ. ნიკოლაძე დაბრუნდა სამშობლოში და შეუდგა საზოგადოებრივ საქმიანობას. სხვადასხვა დროს მას მოუხდა არა ერთი სამეურნეო თუ ადმინისტრაციული საქმის ხელმძღვანელობა, მაგრამ, მიუხედავად გადატვირთვისა, მუდამ აქტიურად თანამშრომლობდა როგორც ქართულ, ისე რუსულ პერიოდიკაში.

მრავალი წლის მანძილზე შეუწელებელი ინტელექტუალური მუშაობით ნ. ნიკოლაძემ შექმნა უდიდესი მნიშვნელობის კრიტიკულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რომელიც ნამდვილად გაოცებას იწვევს როგორც თავისი თემატური მრავალმხრიობით, ისე იდეური სიღრმით. აზრობლივი სინათლით, მეცნიერული სიზუსტით და ზოგადსაკაცობრიო იდეალების ქადაგებით. „ამასთან, როგორც პუბლიცისტი და კრიტიკოსი, ნ. ნიკოლაძე გასცდა ეროვნულ საზღვრებს. რუსული და ევროპული აზროვნების ასპარეზზე იგი გავიდა როგორც ჯამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ნიჭიერი მოწაფე

<sup>1</sup> კ. მ ე ძ ვ ე ლ ი ა, თერგდალეულები და რუსეთის სამოციანი წლების რევოლუციონერი მოღვაწეები, I, გვ. 234—235.

<sup>2</sup> ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, რჩეული ნაწერები, I, თბ., 1958, გვ. 443—445; დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, II, გვ. 412, შენ. 1; მ. ს ა ჭ ა ი ა, ნ. ნიკოლაძის უცნობი სტატიები, „ლიტერატურული გაზეთი“, 17. II. 61, № 8 (1230); მ ი ს ი ე ე, ნიკო ნიკოლაძე — ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი, თბ., 1964, გვ. 60.



და თანამებრძოლი. ფართო ერუდიციის მქონე მოაზროვნე და მებრძოლი ტემპერამენტით აღჭურვილი ქართველი პუბლიცისტი“<sup>1</sup>.

ეპოქის მაღალი იდეალებისათვის თავდადებულ მებრძოლს. ბურჟუაზიულ-პროგრესული დასის დაუდგრომელსა და მშფოთვარე სელმძღვანელს ყველაფერი აინტერესებდა: საერთაშორისო ურთიერთობა და მიმდინარე პოლიტიკა, სახელმწიფოებრივი მმართველობა და ადმინისტრაციული აპარატი, სოციოლოგია და ეკონომიკა, სატყეო მეურნეობა და ირიგაცია, წყალსადენი და რკინიგზა, ნავსადგური და ნავთობი. ბანკი და ფინანსები და ა. შ. ბუნებრივია, რომ მის ინტერესთა სფეროში შედიოდა ლიტერატურაც. მან მრავალი წერილი გამოაქვეყნა ლიტერატურულ საკითხებზე და საკმაოდ ნათლად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ცალკეული მწერლებისა თუ მათი ნაწერების მიმართ.

ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ-ესთეტიკური ნააზრევი უაღრესად პროგრესულია. იგი ნ. ჩერნიშევსკის გულწრფელი მოყვარული და გულმხურვალე მიმდევარია, მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამცველი და გამტარებელია, რეალისტური ხელოვნების მქადაგებელი და გასული საუკუნის სამოციან წლებში აღმოცენებული რევოლუციურ-დემოკრატიული ესთეტიკის ერთ-ერთი თეორეტიკოსი და ფუძემდებელია ჩვენში<sup>2</sup>.

ნ. ნიკოლაძე უფრო მეტად მისი დროის ლიტერატურული ცხოვრებით იყო დაინტერესებული. ამის შედეგად ის ლიტერატურის კრიტიკოსად უფრო გვევლინება, ვიდრე ისტორიკოსად.

დიდად საყურადღებოა ნ. ნიკოლაძის დაკვირვებანი და გამოხატვამები მე-19 საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლების შესახებ. აქ შეიძლება მოვიგონოთ ის ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევები, რომლებიც მან მიუძღვნა გ. ორბელიანსა<sup>3</sup> და ნ. ბა-

---

<sup>1</sup> დ. გამეზარდაშვილი, ნიკო ნიკოლაძე. წიგნში: ნ. ნიკოლაძე, თხზულებანი, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, I. თბ., 1962, გვ. 7 (ქვემოთ ამ გამოცემით სარგებლობისას რომაული რიტხვით აღნიშნავთ ტომს, არაბულით — გვერდს).

<sup>2</sup> დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეალიზმის ისტორიიდან, II, გვ. 600—669; გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, გვ. 135—149; მ. საჭაია, ნიკო ნიკოლაძე — ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი და კრიტიკოსი, გვ. 7—109; ვ. ზამბახიძე, ლიტერატურული წერილები, თბ., 1964, გვ. 85—106.

<sup>3</sup> ნ. სკანდელი [ნ. ნიკოლაძე], გრიგოლ ორბელიანი. „კრებულის“. 1873, № 3, გვ. 145—202 (= 111, 261—283).

რათაშვილს<sup>1</sup>. აგრეთვე მისი ვრცელი კრიტიკული სტატიები ი. ქავ-  
ქავაძის<sup>2</sup>, ა. წერეთლის<sup>3</sup>, გ. წერეთლისა<sup>4</sup> და სხვათა შესახებ.

არანაკლებ საინტერესოა ნ. ნიკოლაძის დაკვირვებანი და გამო-  
ნათქვამები. წერილები და შენიშვნები ძველი ქართული მწერლობის  
საკითხებზე. მას შესანიშნავად ესმოდა როგორც ძველი კულტუ-  
რულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის თავისთავადი ღირებულება.  
ისე მისი მნიშვნელობა თანამედროვე ლიტერატურის ზრდა-განვითა-  
რებისათვის. მისი ღრმა რწმენით, „გონებრივი ავლადიდება ძველი  
დროისა შთამომავლობით გადაეცემა ახალ თაობებს და, უერთებენ  
რა მას თანამედროვე ლიტერატურულ სიმდიდრეს, წარმატებით მიჰ-  
ყავთ წინ მშობლიური ლიტერატურის განვითარება“ (IV, 184).

მაგრამ, რასაკვირველია, ნ. ნიკოლაძე არ კმაყოფილდებოდა მხო-  
ლოდ ძველი ქართული მწერლობით და მას არ მიიჩნევდა ახალი  
ქართული ლიტერატურის განვითარების ერთადერთ საფუძვლად თუ  
ფაქტორად. მას სწამდა, რომ „მართო ჩვენი ძველი ენის გაზეპირე-  
ბით, ძველი ხელნაწერების ტრიალით“ არ შეიძლება „იმ ძალის მო-  
პოვება, რომელიც სხვებთან გაგვასწორებს და სხვის პატივს შეგვ-  
ძენს“; წინსვლისა და განვითარებისათვის საჭირო და აუცილებელია  
სხვათა მწერლობის შესწავლაც<sup>5</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ძველი ქართული მწერლობის ზოგიერთ  
ძეგლს ნ. ნიკოლაძე ადრევე გაეცნო. ირკვევა, რომ იგი შემდეგშიც  
ინტერესით კითხულობდა ძველ შედეერებს და საკუთარ ბიბლიოთე-  
კაშიც კი ჰქონდა ძველი ქართული მწერლობის ძეგლების გამოცე-  
მები და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურაც<sup>6</sup>; ამასთანავე  
ახლო ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ მკვლევრებთან: ნ. მართან.

<sup>1</sup> Н. Николадзе, Местная литература (Николай Бараташвили),  
„Тифлисский вестник“, 1876, № 17.

<sup>2</sup> ნ. სკანდელი [ნ. ნიკოლაძე], „გლახის ნაამბობზე“. „კრებული“  
1873, №5—6, გვ. 401—436 (= 111, 374—387).

<sup>3</sup> Н. Николадзе, На праздники, „Новое обозрение“, 1889, №№ 1865.  
1866.

<sup>4</sup> ნ. ნიკოლაძე, გიორგი წერეთლის პირველი შრომა, „მოამბე“. 1894.  
111, განყ. 11, გვ. 139—159.

<sup>5</sup> ნ. ნიკოლაძე, მამულის სიყვარული და მსახურება. თბ., 1914, გვ. 81.

<sup>6</sup> ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი, ნაწილი პირველი (1829—1917), შეად-  
გინა და დასაბუქდად მოამზადა თ. მაქავეარიანიშა, თბ., 1954, გვ. 50, 141;  
ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი, ნაწილი მეორე, საბუთები (1917—1931) და ფო-  
ტოარქივი. შეადგინა და დასაბუქდად მოამზადა თ. მაქავეარიანიშა, თბ.,  
1964, გვ. 118—120.

ი. ჯავახიშვილთან. ალ. სარაჯიშვილთან. ზ. ჭიქინაძესთან და ა. შ.<sup>1</sup> ყოველივე ეს ხელს უწყობდა მშობლიური მწერლობის უკეთ გაცნობასა და შესწავლაში.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ნ. ნიკოლაძე სპეციალურად არსად არ ჩერდებოდა ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის საკითხებზე. მართალია, აქა-იქ იხსენიებდა ბიბლიურ პერსონაჟებს (I, 323; II, 100, 552; III, 157, 179—180; IV, 171, 229, 363), იგონებდა ბიბლიურ ეპიზოდებს (IV, 159, 229), იმოწმებდა ბიბლიურ წიგნებსა და გამონათქვამებს (II, 47; III, 197, 199, 313, 473; IV, 17, 165); იხსენიებდა აგრეთვე ანტონ კათოლიკოსს (III, 208, 210) და ა. შ., მაგრამ, რასაკვირველია, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. ჩვენ არ გვეგულება ნ. ნიკოლაძის არც ერთი შრომა, წერილი თუ შენიშვნა, რომელიც სპეციალურად ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის საკითხებს ეხებოდა. მის ყურადღებას, როგორც ჩანს, მეტწილად საერო-მხატვრული ლიტერატურა იპყრობდა.

საინტერესოა ნ. ნიკოლაძის შენიშვნები ალორძინების ხანის ქართველ მწერლებზე, კერძოდ — სულხან-საბა ორბელიანსა და დ. გურამიშვილზე. მან 1878 წელს გამოაქვეყნა რეცენზია, რომელშიც განიხილა ალ. ცაგარლის მიერ თარგმნილი კრებული სულხან-საბა ორბელიანისა<sup>2</sup>. რეცენზენტმა მოიწონა ალ. ცაგარლის განზრახვა ქართული ძეგლების რუსი საზოგადოებრიობისათვის მიწოდებისა, მაგრამ უკმაყოფილება გამოთქვა თარგმანის ნაკლულევანების გამო. ნ. ნიკოლაძე „სიბრძნე სიცრუისას“ თვლიდა უაღრესად ორიგინალურ ნაწარმოებად, ამასთანავე ღრმამინაარსიან და მაღალმხატვრულ ძეგლად. და მისი შეცდომებით თარგმნა, ცალკეული ადგილების დამახინჯება თუ გაბუნდოვანება, დაუშვებლად მიაჩნდა.

ყურადღებას იმსახურებს ნ. ნიკოლაძის ის წერილი, რომელიც, მართალია, სპეციალურად ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი, მაგრამ გვაცნობს ავტორის შეხედულებას ძველ ქართულ მწერლობაზე<sup>3</sup>. აღნიშნულ წერილში ნ. ნიკოლაძე მსჯელობდა ნ. ბარათაშვილის წინადროინდელ ქართულ მწერლობაზე. მისი აზრით, რუსთველის შემდგომ ხანაში ქართულმა მწერლობამ დაკარგა განვითარების სწორი ხაზი, გაწყვიტა კავშირი ცხოვრებასთან, უგულვებლყო სა-

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწილი პირველი. გვ. 50.53—55. 139 — 140. 152.

<sup>2</sup> [Н. Николадзе], Библиография. Книга мудрости и лжи (СПб., 1878). „Обзор“, 1878, № 181.

<sup>3</sup> Н. Николадзе, Местная литература (Николай Бараташвили), „Тифлисский вестник“, 1876, № 17.

ზოგადოებრიობის სურვილები და მოთხოვნებიანი. დღენიადაც სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული ქართველობის ეროვნული გრძნობების გაღვივებისა და განმტკიცების ნაცვლად. ზოგადსაკაცობრიო იდეალების ქადაგების ნაცვლად ქართულმა მწერლობამ ხელი მიჰყო ლხინისა და სიყვარულის აპოლოგიას.

ნ. ნიკოლაძის დაკვირვებით, დ. გურამიშვილი პირველი მწერალია. რომელიც ახლოს მივიდა ცხოვრებასთან. გაითვალისწინა თანამემამულეთა გულის ზრახვები და სწორად ასახა მისი დროის ქართველი საზოგადოებრიობის ყოფა. მართალია, ნ. ნიკოლაძისეული შეფასება დ. გურამიშვილისა საგულისხმოა და საყურადღებო. მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ძველი ქართველი მწერლების დახასიათება ერთობ მკაცრია.

რა იყო მიზეზი ნ. ნიკოლაძის ასეთი დამოკიდებულებისა ძველი ქართველი მწერლების კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი? რატომ აკრიტიკებდა ის დ. გურამიშვილის წინა დროის ქართველ მწერლებს?

ნ. ნიკოლაძე ძველი ქართული მწერლობის საკითხებს თერგდალეულთა პოზიციებიდან აშუქებდა და ადრეული ხანის ქართველი პოეტების ლექსებში საზოგადოებრივ საფუძვლებს ეძებდა. ის ლიტერატურის დანიშნულებას ობიექტური რეალობის ზუსტად ასახვაში, ცხოვრებისეული სინამდვილის სწორად გადმოცემაში, ხალხის სამსახურში, მისი ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში ხედავდა; ამ თვალთახედვით მეტ დადებითს ამჩნევდა რუსთველის, დ. გურამიშვილისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში და ამიტომაც წამოწევდა მათ წინა პლანზე, ხოლო მათი უკეთ წარმოჩენის მიზნით სხვა პოეტებს უკან აყენებდა და აკნინებდა. ნ. ნიკოლაძის კეთილმა სურვილმა—ნ. ბარათაშვილის ისტორიული როლის გარკვევისა და მისი შემოქმედების სიდიადის წარმოჩენისა — უარყოფითი გავლენა მოახდინა ძველი ქართველი მწერლების მემკვიდრეობის შეფასებაზე. საწყენია, რომ ნ. ნიკოლაძემ რუსთველის შემდეგდროინდელ ქართულ მწერლობაში ვერსად შენიშნა მოქალაქეობრივი მოტივები და ზოგადსაკაცობრიო იდეალები, პოლიტიკური გამიზნულება და პატრიოტული მგზნებარება<sup>1</sup>.

ძველი ქართველი მწერლებიდან ნ. ნიკოლაძე ყველაზე უკეთ იცნობდა რუსთველსა და მის უკვდავ პოემას. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს იგი თვლიდა უდიდეს შემოქმედად, მხატვრული სიტყვის

<sup>1</sup> რუსთველის შემდეგდროინდელი ქართული მწერლობის ასეთი შეფასება რამდენადმე ძველი ქართული მწერლობის მეცნიერული შესწავლის დაბალმა დონემ განაპირობა.

შეუდარებელ ოსტატად, ქართველი ხალხის იდეურ მეთაურად. აათანადოდ ესმოდა რა პოემის კულტურულ-ისტორიული და მხატვრულიტიერატურული ღირებულება. საგანგებოდ წარმოაჩენდა მის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას. მიიჩნევდა მას ქართველთა ეროვნულ-შემოქმედებითი პოტენციის მძლავრ გამოხატულებად. იმის საჩვენებლად, თუ რა მაღალი წარმოდგენისა იყო იგი რუსთველის „ვეფხისტყაოსანზე“ და როგორ აფასებდა დიდებულ მწერალს. დავიმოწმებთ მის რამდენიმე გამონათქვამს.

1. ერთ წერილში ცნობილი თერგდალეული ბ. ლოლობერიძე (1832—1879) აღნიშნავდა, რომ ამა თუ იმ მოღვაწის ადრე ნაფიქრი და ნააზრევი, ვიდრე საბოლოო სახეს არ მიიღებს და სათანადოდ არ გაფორმდება, განხილვისა და მსჯელობის საგნად, კამათისა და კრიტიკის ობიექტად არ უნდა გახდესო. ერთ ადგილას იგი „ვეფხისტყაოსანსაც“ იმოწმებდა. „რომ დავხატოთ სულ ის მრუდე გზები, რომლითაც რუსთაველის ჰკუთას უვლია, მანამ ის „ვეფხისტყაოსნის“ შესავალს ან ავთანდილის ანდერძს დაწერდა, და მოვეკითხოთ ანგარიში იმ შავად ნაფიქრები ლექსებისა, რომელთაგან წარმოდგა ჩვენის ენის სიამპარტავნე და საუნჯე, გარწმუნებ ჩემის და გორისელის ქართულზედაც უარესს მრავალს რამეს ნახავთ“. — მიმართავდა იგი მკითხველს<sup>1</sup>.

6. ნიკოლაძე დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ბ. ლოლობერიძის წერილს<sup>2</sup>. მაღალი ინტელექტის მქონე კრიტიკოსმა შეუწყნარებლად მიიჩნია ზემოციტირებული მსჯელობა. მისი აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ ყოველივე ორგანულ მთლიანობაშია მოცემული და ნაძალადევი, მექანიკურად დაკავშირებული, ნაწვეალები მასში არა არის რა. რუსთველმა ყოველივე წინასწარ გაიაზრა და გაითვალისწინა. აწონდაწონა და შეაფასა და მხოლოდ შემდეგ გადმოგვცა თავისი ნაფიქრი. მისი, როგორც ხელოვნის, ღირსება იმაში მდგომარეობს. რომ შთაგონებული მხატვრული სახეები და ამალელებელი სურათები მან უმძაფრესი პოეტური გრძნობით გადმოგვცა და ყოველივე ჰარმონიულად წარმოგვიდგინა: „ვეფხისტყაოსანი“ პოეტის გულის სიღრმიდან ერთიანად ამოხეთქილი მძლავრი ჰიმნია ადამიანობასა და სი-ცოცხლეზე. გაცხარებული პოლემისტი მკაცრი ტონით წერდა: „უფ. ბ. ლოლობერიძე თავის თავს ცილს სწამებს, როცა სურს დაარწმუნოს მკითხველი, ვითომ საზოგადო საქმეების წაყვანა შესაძლოა

<sup>1</sup> ბ. ლოლობერიძე. მოთხრობა ჩემის „ოინებისა“. „დროება“. 1873. № 28.

<sup>2</sup> ნ. სკანდელი [ნ. ნიკოლაძე], ბეს. ლოლობერიძის ტიტონი. „დროება“. 1873, № 29 (111, 316—328).

„მრუდე გზებით“, ან ვითომ რუსთაველი მრუდე გზებით წერდა და გარდააკეთებდა თავის „ვეფხისტყაოსანს“. მრუდე გზებით მრუდე საქმის მეტი არაფერი გაკეთებულა ჭერ, არც არაფერი გაკეთდება. — ეს ცხადი ჭეშმარიტებაა, და „ვეფხისტყაოსნისთანა“ თხზულება გადაკეთებით და გადასხვაფერებით კი არა, ერთბაშად ამოისხმის პოეტის ურწმუნობიდან, ან სულ არ დაიწერება. ვასწორდება აქ ერთი ასო. იქ მეორე რითმი. აქ ერთი სიტყვა წაიშლება, იქ იქნება მეორე ლექსი. მაგრამ მთელი პოემის ხასიათი და დედააზრი, მთელი თხზულების ალი და გრძნობა პოეტს პირველი ლექსის დაწერამდე მზად და გამოკვლეულად რომ არ ჰქონოდა თავში, „ვეფხისტყაოსნის“ მაგიერ უფ. ბ. ლოლობერიძის „ონიობის მოთხრობისთანა“ არეულ-დარეული. კუდმოჭრილი და დახლართული რამ გამოვიდოდა“ (III, 323).

2. ნ. ნიკოლაძეს კარგად ესმოდა „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი ეთიკური შინაარსი. მისი დაკვირვებით, რუსთაველი მშობელი ხალხის ბრძენი მასწავლებელი იყო და ნათელი ზნეობრივი იდეალების ქადაგებით მკითხველებს უნერგავდა ღრმა ადამიანურ გრძნობებს, უმაღლებდა ესთეტიკურ გემოვნებას. ი. ჭავჭავაძის ერთი ნაწარმოებისადმი მიძღვნილ სპეციალურ წერილში ნ. ნიკოლაძე საგანგებოდ ამახვილებდა ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ „გლახის ნაამბობის“ მთავარი გმირი გაბრიელი კეთილშობილი და ზნესრული გლეხია, წინდახედული და გულწრფელი, აზრგამართული და გრძნობადანხვეწილი. სხვა შემთხვევაში იგი შეიძლება გალამაზებული და შეფერადებული ჩანდეს, მაგრამ ი. ჭავჭავაძემ თავისი გმირი „ვეფხისტყაოსანზე“ აღზარდა და არაფერია საოცარი იმაში, რომ ამ გლეხს არა მხოლოდ ჭეშმარიტებისადმი უდიდესი ერთგულება ახასიათებს, არამედ ღრმად აქვს შეგნებული თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობაც. ნ. ნიკოლაძის სიტყვით, ი. ჭავჭავაძე თავის „გლახას სიყრმიდანვე ერთ კეთილმოქმედ მღვდელს შეყრის, რომელიც იმას წერაკითხვას ასწავლის, გრძნობისა და პატიოსნების ძალას აგრძნობინებს და გზას უჩვენებს, და „ვეფხისტყაოსანს“ აკითხებს, აყვარებს და აგებინებს. „ვეფხისტყაოსანზე“ აღზრდილს და სიყმაწვილეში ზნეობითი დარიგებებით გამოკვებულ კაცში, რასაკვირველია, „ნასწავლი“ ლაპარაკი და შეფერილი ან წამღვილი გრძნობიერება ადვილი წარმოსადგენი და გასაგებია“ (III, 383).

3. ნ. ნიკოლაძეს სწორად ესმოდა „ვეფხისტყაოსნის“ აღმზრდელობითი მნიშვნელობა. მისი მართებული მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანი“ მკითხველ საზოგადოებრიობას ასწავლიდა არა მხოლოდ ვაჟკაცურ პირდაპირობასა და სიმართლის მსახურებას, თანამოძმეთა

ბედნიერებაზე ზრუნვასა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას. არამედ ამასთანავე დაბეჯითებით უნერგავდა მარადიული სიყვარულის იდეას. ის აღფრთოვანებული იყო სიყვარულის რუსთველისებური გაშუქებით, მისი დიდების შარავანდელით შემოსევითა და გასხივოსნებით.

„აიღეთ „ვეფხისტყაოსანი“, აიღეთ მთელი მაშინდელი მწერლობა და ნახეთ, რა სიმაღლეზე იყვანდა ის გრძნობას. სიყვარულს. კეთილშობილურ ალტაცებას, რა პოეტური სხივით მოსავდა ის გრძნობიერებას, თავგანწირულებას. სულის სიმაღლეს და სიყვარულის ეშხს“ (III, 274). — წერდა მისი დროის მწერლობაში სიყვარულის გაუბრალოებითა და გაუფასურებით აღშფოთებული კრიტიკოსი.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ნ. ნიკოლაძის იმ რუსთველოლოგიურ წერილებზე, რომლებიც მან „Новое обозрение“-ში გამოაქვეყნა.

ზემოთ რამდენჯერმე მოვიხსენიეთ ი. ჯაბადარის უპასუხისმგებლო და ცილისმწამებლური გამოხდომა და ისიც აღვნიშნეთ, თუ როგორ გამოეხმაურა მას ქართველი საზოგადოებრიობა (გვ. 47—50. 110 111). ამჯერად უნდა განვიხილოთ ნ. ნიკოლაძის პოლემიკური წერილები და გავარკვიოთ მათი ავტორის პოზიცია.

მას შემდეგ, რაც ი. ჯაბადარმა „Северный вестник“-ის 1889 წლის სექტემბრისა და ოქტომბრის ნომრებში ლიტერატურული საკითხები განიხილა და „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადე დააყენინა, კამათში ჩაება ნ. ნიკოლაძეც. როგორც ჩანს, მას ადრევე სურდა ი. ჯაბადარისათვის პასუხის გაცემა. ი. მეუნარგიას ცნობით, ნ. ნიკოლაძეს ა. წერეთლისათვის უთქვამს: „ი. ჯაბადარის წერილების შესახებ სტატია მინდა დაწერო, მაგრამ ვახუშტი არ გადამიშლია, „ქართლის ცხოვრებაში“ არ ჩამიხედია. სპარსული ლიტერატურა არ ვიცი. შენ დაწერე აკაკი!“ ამაზე ა. წერეთელს თითქოს ასეთი პასუხი გაუცია: „მე მხოლოდ „ვდონნოვენიით“ ვწერ, ცოდნა არა მაქვს. შენ დაილია ჭავჭავაძემ იცით ყველაფერი, თქვენ დაწერეთ“<sup>1</sup>. რასაკვირველია, მოტანილი ცნობა სულ ზუსტი არაა. ნ. ნიკოლაძე „ქართლის ცხოვრებას“, როგორც აღვნიშნეთ, ახალგაზრდობაშივე გაეცნო, ხოლო სპარსული ლიტერატურის ძეგლებს ყოველთვის ინტერესით

<sup>1</sup> ი. მეუნარგია, აკაკის ცხოვრებიდან, „ლიტერატურის მატთან“, № 2—3, 1942, გვ. 179—186. „აკაკი თავის თავზე არ მუშაობს, თვითგანვითარებას არ ეწევაო, ჰქონდა ნათქვამი ნ. ნიკოლაძეს. პოეტმა ამიტომ გადააკრა ეს მათრახი“, — დასძენს ი. მეუნარგია (გვ. 185, შენ. 1).

კითხულობდა და ზოგჯერ პუბლიცისტურ წერილებშიც იყენებდა<sup>1</sup>. მიუხედავად ამისა, ი. მეუნარგიას ცნობა მაინც საყურადღებოა, რადგან ცხადყოფს, რომ ნ. ნიკოლაძე აღრევე უპირებდა ი. ჯაბადარს პასუხის მიგებას.

როგორც კი თბილისს მოაღწია ი. ჯაბადარის ორმა უკანასკნელმა წერილმა, ნ. ნიკოლაძე მაშინვე გამოეხმაურა მას. დაუზოგავად ამხილა ი. ჯაბადარის უვიცობა, გამოააშკარავა მისი მძიმე შეცდომები, გამოავლინა მისი ნიჰილისტური განწყობილება და მავნე ტენდენციები. „Новое обозрение“—ს 2 ნომბრის ნომერში გამოქვეყნებულ პირველსავე რუსთველოლოგიურ წერილში<sup>2</sup> მან მატერიალისტური ესთეტიკის პოზიციებიდან განიხილა, საფუძვლიანად გააშუქა ძველი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პრობლემატიკის რამდენიმე საყურადღებო საკითხი და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ნარ-დონის უბადრუკი „კონცეფცია“. მან დიდ ვინმედ არ მიიჩნია ნარ-დონი და არც მის წერილებში გატარებული ტენდენცია ჩათვალა ანგარიშგასაწევ და ყურადსაღებ მოვლენად. ჩვეული პუბლიცისტური ოსტატობით მან გააბიაბრუა უხამსი კრიტიკოსი და გაკვირვებაც კი გამოთქვა ქართველი საზოგადოების რეაქციის გამო. განა ასე მტკივნეულია ყოველივე ეს, განა ნარ-დონი იმსახურებს ასეთ ყურადღებას და ღირს მისი სიტყვების გამო აღშფოთებაო? — კითხულობდა პოლემისტი.

უკვე პირველსავე აბზაცში ნ. ნიკოლაძემ მწარედ დასცინა ი. ჯაბადარს, უწოდა მას ალაზნგადმელი ჰეროსტრათი და ამით გაამასხრა იგი—„ვეფხისტყაოსნის“ ხელყოფისათვის, მის ორიგინალობაში ეკვის შეტანისათვის, თავისი მცდარი და არამეცნიერული მოსაზრებების შემცველი წერილების რუსულ ენაზე გამოქვეყნებისათვის.

ნიკიერმა პუბლიცისტმა გარეგნულად შეინარჩუნა სულიერი სიმშვიდე და გულგრილად განაცხადა — არაფერია ასაღელვებელი, ნარ-დონი არაა ჩვენი ყურადღების ღირსიო. მართალია, დიდებული პოეტური ქმნილების თვითმყოფობასა და ორიგინალობაში ეკვის შეტანის გამო ნარ-დონი ისევე იწვევდა ზიზლსა და მძულვარებას, აღშფოთებასა და გულისწყრომას ნ. ნიკოლაძეში, როგორც სხვა ქართველ მოღვაწეებში, მაგრამ ამ უკანასკნელმა თავისებური ხერხი იხმარა და გაკვირვება-გაოცებით გამოხატა თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. ამასთანავე მან ეურნალსაც შეუტია.

<sup>1</sup> Н. Николадзе. На праздники, XVIII. В мире грез, „Новое обозрение“, 1887. № 132б.

<sup>2</sup> [Н. Николадзе]. Византийские споры, „Новое обозрение“, 1889, № 2022



ნ. ნიკოლაძე, როგორც ჩანს, აღლევებული იყო იმით, რომ რუსეთი ჭეროვნად არ იცნობდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, ჩვენს კულტურას. „Северный вестник“-ში ი. ჯაბადარის წერილების დაბეჭდვით თითქოს საფუძველი უნდა დადებოდა რუსი საზოგადოების მიერ საქართველოს გაცნობას, მაგრამ იმედი გაცრუვდა.

ნ. ნიკოლაძის წერილიდან ნათლად ჩანს, რომ დიდი მოაზროვნე ააღლევა არა მხოლოდ ნარ-დონის გამოხდომამ, არამედ რუსული ჟურნალის რედაქციის უპასუხისმგებლობამ. მის მიერ ნარ-დონისათვის ადგილის დათმობამ, რუსი მკითხველისათვის მეცნიერული გამოკვლევების მიწოდებისა და მისი ქართველთა ცხოვრებით დაინტერესების ნაცვლად უბადრუკი პასკვილის დაბეჭდვამ. ქვემოთ იგი განაგრძობდა: «Письма о Грузии» ударились в археологию. Их очевидная цель заключалась, — сколько мы могли ее уловить, в установлении того взгляда, что в прошлом народа, прожившего историческою жизнью целые тысячелетия, ничего не было оригинального и самобытного». მაგრამ, თუნდაც ამ ხალხს არაფერი ჰქონოდა თვითმყოფი და ორიგინალური, მან ხომ მაინც გაუძლო საუკუნეების სრბოლას. ხომ მოაღწია თანამედროვეობამდე. განა ეს არაა საინტერესო. საყურადღებო და ასახსნელი? ყველა მიუყვარებელსა და ობიექტურ მკითხველს ნარ-დონის წერილებისა გააოცებს ის გარემოება, რომ ავტორს ოდნავადაც არ უცდია ამ საკითხის ახსნა და განმარტებაო, — დასძენს ნ. ნიკოლაძე. მის წერილში ნათლად ჩანს შეურაცხყოფილი ხალხის ზრახვათა გამომხატველი მოღვაწის გულისტყვილი და გულისწყრომა. მისი დასკვნით, თუ ისტორიკოსებმა დღემდე ვერ შენიშნეს ქართველი ხალხის ცხოვრებაში რაიმე თავისთავადი, თვითმყოფი, ორიგინალური — ეს ჭერ კიდევ ბევრს არაფერს ნიშნავს. მეტიც — საჭიროა კვლევა-ძიება, ხალხის დამახასიათებელ ნიშანთა გამოვლენა.

ნ. ნიკოლაძემ ამხილა რა ი. ჯაბადარის უვიცობა და მოუმზადებლობა. გააკრიტიკა რა მისი ნიჰილისტური თვალსაზრისი საქართველოს წარსულზე, ხელი მიჰყო მის ლიტერატურულ შეხედულებათა განხილვასაც. თავიდანვე აღნიშნა, რომ ნარ-დონის მსჯელობა ლიტერატურულ საკითხებზე ისეთივე ღირებულებისაა, როგორც მისი ისტორიული ექსკურსები; თანაც განმარტა, რომ ძველი მასალის შესწავლა, რასაკვირველია, ზედმეტი არაა (თუმცა ახლა უფრო მეტად სადღეისო ამოცანა გვაწუხებს და უმჯობესია მიმდინარე გადაუდებელი საქმეების მოგვარება), მაგრამ საჭიროა გულმოდგინება, მუყაითი მუშაობა, ბეჯითი მეცადინეობა, ფართო ერუდიცია და ნებისყოფის სიმტკიცე. ნარ-დონს ცოდნა არა აქვს. იგი მასალას არ იცნობს და შესწავლაზეც თავს არ იწუხებს. მამ, რაღად მოჰკიდა ხელი ამ საქ-

შეს? რად მოისურვა ძველი ქართული კულტურის საკითხების გა-  
ებრალოება? ასეთი დილექტანტობა დასაძრახია და ქართველი საზო-  
გადოებრიობის წარმომადგენლებს ძირითადად ამისთვის უნდა  
დაეგმოთ და გაეკრიტიკებინათ იგი. მაგრამ, სამწუხაროდ, მას სხვა  
მხრიდან შეუტიეს. კამათი აცდა ცენტრალურ, მაგისტრალურ ხაზს.  
პოლემიკა ძირითადად „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წარმომავლო-  
ბის საკითხებზე გაიშალა. ნარ-დონის მთავარ შეცდომად და დანა-  
შაულად „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის უცხოური წარმომავლობის  
აღნიშვნა იქნა მიჩნეული.

ჩვენთვის გაუგებარია, წერდა ნ. ნიკოლაძე, რისი თქმა და რისი  
დამტკიცება სურდა ნარ-დონს; რა მნიშვნელობა აქვს სიუჟეტის  
წარმომავლობას?! „ვეფხისტყაოსანი“ ღრმად ეროვნული და თვით-  
მყოფი პოეტური ქმნილებაა; მას ქართულ სინამდვილესთან. ქართ-  
ველთა ცხოვრებასთან მკიდრო კავშირი აქვს, მან დიდი როლი შეას-  
რულა ჩვენი ხალხის ისტორიაში, ხელი შეუწყო ეროვნული გრძნო-  
ბის გაღვივებასა და გაძლიერებას, განუსაზღვრელი გავლენა მოახდი-  
ნა ხალხის ზნეობრივ სრულყოფაზე. ყოველივე ეს მის ქართულობას  
ადასტურებს და მის უდიდეს მნიშვნელობას მოწმობს. მაშ, რაა ასა-  
ღელვებელი?

«Заимствовал-ли Руставели канву своей поэмы у пер-  
сиан», или из своей головы сочинил он ее, или хоть слово в  
слово перевел ее от доски до доски, — разве не все равно это  
с точки зрения значения «Барсовой кожи» в истории грузин-  
ской литературы и грузинского развития? Серьезен тут один  
только вопрос: да, или нет, «Барсова кожа» служила-ли в те-  
чение шести столетий настольною книгою грузин всех обла-  
стей грузинского царства? А раз она звучивалась наизусть,  
раз ее выражения превратились в поговорки, раз ее сентен-  
ции стали основою грузинской морали, книга эта становится  
документом для суждения о народе, ее присвоившем и ею  
проникшемся, все же остальные ее стороны уходят на задний  
план и стушевываются для всякого серьезного мыслителя и  
критика».

ნ. ნიკოლაძის აზრით, სიუჟეტის სესხება და გამოყენება მომავ-  
დინებელი ცოდვა არაა და მას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა  
მიენიჭოს. მან სათანადოდ გამოიყენა თავისი ლიტერატურული ერუ-  
დიცია და უხვად მოიხმო საილუსტრაციო მასალა იმის დასადასტუ-  
რებლად, რომ ისეთი მსოფლიო მასშტაბის გენიოსები, როგორც  
შექსპირი ან გოეთე იყვნენ, თავიანთი უკვდავი თხზულებების წერი-  
სას ხშირად იყენებდნენ სხვადასხვა წყაროს. მისი მართებული ცნო-  
ბით: „ფაუსტი“. „რომეო და ჯულიეტა“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ჰამ-

ლეთი“ თუ სხვა ბევრი ნაწარმოები ემყარება რაღაც კონკრეტულ წყაროს (ინგლისურს, იტალიურს, დანიურს...), მაგრამ, რადგან სიუჟეტის სესხება მეორესხარისხოვანი საკითხია, დასახელებული მწერლების სიდიადეში და თხზულებათა ღირსებაში არავინ დაეჭვებულა. უცხო სიუჟეტის გამოყენება ვერ არკვევს ამა თუ იმ ნაწარმოების რაობას, მის ღირსებას, ჩრდილს ვერ აყენებს მას, რადგან მთავარია არა სიუჟეტის ორიგინალობა, არამედ ნაწარმოების იდეურ-მხატვრული სრულყოფა.

6. ნიკოლაძეს არ აკვირვებდა „Северный вестник“-ის კორესპონდენტის თვალსაზრისი, მისი მცდარი შეხედულება, რადგან იგი არც მასალას იცნობდა და არც სურვილი ჰქონდა მისი გაცნობისა; მისი მეთოდოლოგია არამეცნიერული იყო, ტენდენცია მავნე. ღოლო შეცდომა — საესებით ბუნებრივი. ნ. ნიკოლაძეს მეტად აფიქრებდა ქართველთა შეშფოთება, ქართველი ინტელიგენციის აღელვება, მისი დამოკიდებულება ნარ-დონის ახირებული მსჯელობისადმი. გერმანელები ან ინგლისელები არაფრად მიიჩნევენ გოეთე-შექსპირის ნაწარმოებების წყაროების მითითებას და დადგენას. ჩვენში კი სხვა ვითარება შეიქნა, ქართველებმა განგაში ატეხეს და მკაცრად შეუტყეს ნარ-დონს.

6. ნიკოლაძემ ლოგიკური მსჯელობით. საკითხების თანამიმდევრული, საფუძვლიანი განხილვითა და ისტორიული ფაქტების სათანადო მომარჯვებით მახვილგონიერულად დაარღვია ი. ჯაბადარია შეხედულებანი, დაუნდობლად ამხილა მისი უვიცობა საქართველოს წარსულისა და კულტურის საკითხებში, ამასთანავე მოგვცა საკმაოდ კარგი დაკვირვებანიც.

უაღრესად საინტერესოა მისი მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წარმომავლობის საკითხზე. უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველი საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი თუ დაუშვებლად თვლიდა რუსთველის პოემის წყაროებზე მსჯელობას და ამას მკრეხელობადაც კი მიიჩნევდა, მეორე ნაწილი ზომიერებას იჩენდა და წყაროებზე მითითებას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგალითად: ვაჟა-ფშაველა დაბეჭდვით ამტკიცებდა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობას, მაგრამ იქვე დასძენდა: „არც ის გარემოება დაამცირებს შოთას დიდებულს პოემას, რომ ის იყოს აგებული რაიმე ზღაპარზე — სპარსულზე, არაბულზე თუნდა ქართულზე“<sup>1</sup>. ან კიდევ: „აღმოჩენა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა სპარსულ ლიტერატურაში თუ

<sup>1</sup> ვ ა ჯ ა ფ შ ა ვ ე ლ ა . თხზულებათა სრული კრებული (ხუთ ტომად), V. ტბ., 1961, გვ. 410.

სპარსულ ხალხურ ზეპირგადმოცემაში სრულებითაც არ დაამტკიცებს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ორიგინალური, ღრმა ეროვნული ნაწარმოები“<sup>1</sup>; თ. ჟორდანიას წერდა: „ნურვის ჰგონია, ვითომ რუსთაველის უკვდავი სახელი შეიძლებოდეს დამდაბლდეს მით. რომ აღმოჩნდეს ის „ამბავი“, რომელიც გახდა შინაარსად მისია უკვდავის პოემისა“<sup>2</sup>; ი. ნაკაშიძის აზრით, „ათასჯერაც რომ დამტკიცდეს შოთას ნათქვამი „ჩემი პოემის ზღაპარი — ჩემგან გალექსილი. ქართულად ნათარგმანები სპარსულიაო“, მის დიდებას არაფერი არ მოაკლდება“<sup>3</sup> და ა. შ.

როგორც ჩანს, რუსთაველის სიდიადით აღფრთოვანებულ ქართველ მოღვაწეთა ნაწილი „ვეფხისტყაოსნის“ წყაროების მაძიებელთა გასაგონად აცხადებდა: პოემის საფუძვლის დაძვებით რუსთაველის სახელს ჩრდილი არ მიაღებდაო. ნ. ნიკოლაძე ამ გავრცელებული აზრის ერთ-ერთი პირველი გამომხატველია.

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ნიკოლაძის მსჯელობა ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი იყო, მისმა წერილმა ვერ დააკმაყოფილა ქართველი საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი, კერძოდ, მისმა პოზიციამ ააღელვა ქართველთა იდეური ცხოვრების ორგანიზატორი ი. ჭავჭავაძე. რომელიც ამ მოვლენას სპეციალური წერილით გამოეხმაურა<sup>4</sup>. მან საკადრისი პასუხი გასცა ი. ჯაბადარის „კონცეფციას“ და გააკრიტიკა ნ. ნიკოლაძის პოზიციაც. „ივერიის“ რედაქტორი რუსულ გაზეთს უსაყვედურებდა წარსულის უგულვებელყოფას, სიძველეთა მიმართ უინტერესობას. ქართული კულტურის ძირეული საკითხებისადმი გულგრილობას. მას არ უყვარს „დაობებულ საგნებზე ლაპარაკი“; — ირონიულად დასძენდა ილია (IV. 155). ახლა, როგორც იქნა. ჩვენთვის მოიცალა და განიხილა საჭირობოროტო საკითხები. „მაგრამ ვაი ამ ხმის ამოდებას!“ (IV, 155); მან გააკრიტიკა იმდენად არა ნარ-დონი. რამდენადაც ქართველობა, ამასთანავე — სავსებით უსაფუძვლოდ და დაუშინაზურებლად. ი. ჭავჭავაძის სიტყვით. ქართველთა გაცხარება ი. ჯაბადარის გამოხდომის გამო კანონზომიერი იყო, ხოლო აღშფოთება — ადვილად გასაგები. საქმე

<sup>1</sup> ვ ა ე ა-ფ შ ა ვ ე ლ ა. თხზულებათა სრული კრებული, გვ. 271.

<sup>2</sup> ე ვ რ ი [თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა], რა წყარო ჰქონია რუსთაველს, როცა „ვეფხისტყაოსანი“ უწერია, „ივერია“, 1892, № 66.

<sup>3</sup> ი. ნ ა კ ა შ ი ძ ე, ვ ა ე ა-ფ შ ა ვ ე ლ ა ს პ ო ე ზ ი ა, „კვალი“, 1896, № 45, გვ. 810.

<sup>4</sup> [ი. ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე], [„Новое обозрение“-ს წერილის გამო]. „ივერია“, 1889, №№ 236—238 (=IV, 155—171). ი. ჭავჭავაძე, ადრეც გამწვარი იყო „Новое обозрение“-ზე ნარ-დონის წერილებისათვის ადგილის დათმობის გამო, იხ. [ი. ჭ ა ვ ქ ა ვ ა ძ ე], ა ი ის ტ ო რ ი ა, „ივერია“, 1889, №№ 106, 130 (=IV, 72—73, 119).

ზომ რუსთველს ეხებოდა — ჩვენს სახელსა და დიდებას, ერის ღირსებასა და სიამაყეს; „საქმე იმაზეა აქ შემდგარი, რომ „ПИСЬМА О ПРУЗИИ“-ს ავტორი გადაჰკიდებია რუსთაველს. ჰლამის ვირზედ პირუკულმა შესოს და კუდი ხელში დააქერინოს ამ აქამდე ქართველთაგან თაყვანცემულს კაცს“ (IV, 156).

ი. ჭავჭავაძემ ნ. ნიკოლაძე გააკრიტიკა ი. ჭაბადარის ნაწილობრივი შეწყალებისათვის, ქართველი ინტელიგენციის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის. იგი ნარ-დონსაც აკრიტიკებს და ქართველობასაც. „ამავე ღროს წარბშეუხრელად თითონვე ესარჩლება რუსთაველს და გვიმტკიცებს, რომ შოთა რუსთაველი დიდი და სახელოვანი კაცი“ (IV, 156). მაგრამ ეს როგორ შეიძლება? — კითხულობდა ილია. ის შეწუხდა და შეშფოთდა იმის გამო, რომ ნ. ნიკოლაძემ ბოლომდე არ გააკრიტიკა ნარ-დონი და სრულად არ გამოააშკარავა მისი სისაძაგლე. მან მხოლოდ აღნიშნა—საქართველოს ისტორიული წარსული ძნელი შესასწავლია და ი. ჭაბადარი ამოდ დაშვრაო; სამწუხაროდ, „სხვა ველარა შეამჩნია-რა იმ სახელდაუდებელს კადნიერებას უვიცობისას. რომლითაც „ნარ-დონმა“ წასთითხნა თავისი ნაჭღაბები. ის ათასი სხვა უშვერობა, ის ათასი სხვა განგებ მოგონილი ტყუილები. განგებ თავდაყირა და უკულმა გადაბრუნებული ამბები-კი „Новое обозрение“-მ აპატია „ნარ-დონსა“ და წაუფუჩეჩა“ (IV, 165).

ი. ჭავჭავაძე ნ. ნიკოლაძისაგან მოითხოვდა ნარ-დონის შეხედულებათა პრინციპულ, ყოველმხრივ კრიტიკას, მისი თითოეული მცდარი დებულების მხილებასა და დაგმობას.

ი. ჭავჭავაძის აზრით, „Новое обозрение“ თუ, ერთი მხრივ, სათანადო პრინციპულობას ვერ იჩენდა ნარ-დონის მიმართ, მეორე მხრივ, დაუმსახურებლად ესხმოდა თავს ქართველ ინტელიგენციას. თითქოს ეს უკანასკნელი მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წარმომავლობაზე მსჯელობის გამო აუმხედრდა ნარ-დონს, მაგრამ განა ნარ-დონმა „მარტო ისა სთქვა რუსთაველზედ, რომ თავისის პოემის ამბავი მოჰპარა სპარსელებსა ან იმათგან გადმოიღო, და თუ სთქვა—განა რითიმე დაასაბუთა, განა რაიმე ხელთ მოგვეცა ამისათვის, გარდა იმისა, რომ სპარსელების ამბებსაც საგნად სიყვარული აქვთ და „ვეფხისტყაოსანსაცაო“, განა მარტო ამით ამოსვარა რუსთაველი ლაფში, განა მარტო ამის გამო შესვა ვირზედ?“ (IV, 168—169).

ი. ჭავჭავაძე ვერ დააკმაყოფილა ნ. ნიკოლაძის მსჯელობამ, მისმა არგუმენტაციამ. ახალი საზოგადოებრივი აზრის მედროშე განაგრძობდა: „განა „ვეფხისტყაოსანზე“ კაცმა მარტო ის უნდა სთქვას,

რომ რაკი საქართველოს მთელი ექვსი საუკუნე ეს წიგნი სიყვარულით ხელში სჭერია, მისი სიტყვები ანდაზებად გაუხდია, გაუზეპირებია, რაკი მისი სენტენციები საფუძვლად დასდებია ქართველთა ზნეობას, რაკი ყოველივე ეს ასე მიუღია ქართველობას, იგი წიგნი დოკუმენტად უნდა ჩაითვალოს ამ ერის ავკარგიანობის გამოსარკვევად და სხვა მისი მხარენი-კი უკან დაყენებულ და გაბათილებულ უნდა იქმნან ჭკუადამჯდარ მკვლევარისა და კრიტიკოსის თვალში? განა მართო ეს უნდა ეთქვა „Наше отношение“-ს სარჩლად რუსთაველისა? ნუთუ „ვეფხისტყაოსანი“ მართო დოკუმენტია, მართო მშრალი პროტოკოლია და სხვა არარა?“ (IV, 169).

ი. ჭავჭავაძეს ზემოაღნიშნული გარემოება არ მიაჩნდა საკმარის საბუთად. ქართველობა ეგებ შეცდა, ეგებ მოტყუედა და დაუმსახურებლად მიაგო უსაზღვრო პატივი რუსთაველსა და მის პოემას? ხომ ცნობილია შემთხვევები „უშვერი და ულაზათო“ წიგნების მოწონებისა? აკი ნარ-დონიც ამას გვიყიყინებს? საჭირო იყო ნ. ნიკოლაძეს უფრო სრულად წარმოეჩინა „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადე და დამაჯერებლად დაედასტურებინა მისი ორიგინალობა; ქართველი ინტელიგენციის უსაფუძვლო კრიტიკას სჯობდა ნარ-დონისთვის საკადრისი პასუხის გაცემა — ასეთია ილიას დასკვნა.

ნ. ნიკოლაძემ, როგორც დავინახეთ, პრინციპულ სიმალღეზე აიყვანა კამათი და მეცნიერულად განიხილა საცილობელი საკითხი, ყურადღება გაამახვილა თხზულების საერთო ღირსებაზე და ნაკლები მნიშვნელობა მიანიჭა სიუჟეტის წარმომავლობას, მაგრამ, როგორც ჩანს, ი. ჭავჭავაძის საწინააღმდეგოდ განწყობილი საზოგადოებრიობისათვის მისი მსჯელობა დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა. კერძოდ, მან გამოიწვია ილიას გაცხარება.

ი. ჭავჭავაძისათვის, — ისევე, როგორც მთელი მოწინავე „ქართველი ინტელიგენციისათვის, — „ვეფხისტყაოსანი“ არ წარმოადგენდა მართოდენ აკადემიური განსჯის საგანს და ვიწრო ლიტერატურულ პრობლემას. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია „ვეფხისტყაოსანს“ უყურებდა როგორც უდიდესი აღმზრდელობითი და შთამაგონებელი ძალის მქონე უბადლო მხატვრულ ნაწარმოებს, რომელსაც უნდა დაესაბუთებინა ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურული მოწიფულობა და მისი კანონიერი უფლება ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის“<sup>1</sup>.

აი, ამიტომ გაილაშქრა ილიამ ასე მკაცრად ნ. ნიკოლაძის წინა-

<sup>1</sup> აღ. ბარამიძე, ილია ჭავჭავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, „ილია ჭავჭავაძე“ (საიუბილეო კრებული), 1957, გვ. 47.

აღმდეგ; აი. ამიტომ მიიჩნია მისი მსჯელობა არასრულად და არადა-  
მაკმაყოფილებლად.

სულ მალე „Новое обозрение“-ში გამოქვეყნდა ნარ-დონის წე-  
რილი, რომელშიც ავტორი ცდილობდა გაზეთის რედაქტორის ბრძყა-  
ლებისაგან თავის დაღწევას, ბრალდებისაგან თავის დაძვრენას და  
არაკეთილსინდისიერი მოქმედების გამართლებას. იგი იქამდეც კი  
მივიდა, რომ განაცხადა, რუსთველისათვის სიუჟეტის სესხება არ  
დამიწამებია და ამის გამო არ გამოიკრიტიკებიაო. რამ აიძულა ასე  
მოქცეულიყო? რასაკვირველია, ნ. ნიკოლაძის რეინსებურმა ლოგი-  
კამ და საყურადღებო არგუმენტაციამ. ჩანს, იგი დააფიქრა და შეა-  
შინა ნ. ნიკოლაძის მიერ წამოწეებულმა მსჯელობამ სესხების სა-  
კითხებზე, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა მოხმობილმა საილუსტრა-  
ციო მასალამ და შესაბამისმა დასკვნამ. ამიტომ მან სხვა საბუთო  
წარმოადგინა და კამათი სხვა სიბრტყეზე გადაიტანა. აი, რას წერდა  
იგი: «Я нигде не ставил в вину Руставели его заимствование  
сюжета, а только предъявлял к нему требование самостоя-  
тельной, оригинальной и более совершенной обработки, как  
в философском, так и в художественном отношении, — требо-  
вание, которое удовлетворяют Гете и Шекспир, но перед ко-  
торым, по моему мнению, пасует Руставели».

ასეთი განცხადებით მან თავი ჩაიყენა მძიმე და სამარცხვინო  
მდგომარეობაში. ერთი მხრივ, ცხადი გახდა მისი სიცრუე და სიყალ-  
ბე, მეორე მხრივ, უფრო ნათლად გამოვლინდა მისი უწიგნურობა და  
გაუნათლებლობა. ახლა იგი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის წარმო-  
მავლობისადმი ნაკლებ ინტერესს იჩენდა და მის ფილოსოფიურ-  
მხატვრულ ღირსებას აზიარებდა, ჩრდილს აყენებდა და კვლავ  
უარყოფდა ქართული კულტურის თვითმყოფობას და რუსთველის  
გენიალობას<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძემ დიდხანს არ აცდევინა ნარ-დონს, მეოთხე დღესვე  
დაუბეჭდა სათანადო პასუხი<sup>2</sup>, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ნარ-დო-  
ნის კრიტიკა; ავტორს უფრო მეტად საკამათო საკითხის ამომწურავად  
განხილვა და სრულყოფილად გაშუქება სურდა. მან უარყო იმხანად  
გავრცელებული ხერხი და მეთოდი კრიტიკისა, ხელი აიღო მოწი-  
ნააღმდეგის წერილიდან ამოგლეჯილი ცალკეული ციტატების შე-  
პირისპირებასა და წინააღმდეგობის გამოაშკარავებაზე და დაიწყო  
არა აღრე ნათქვამის გამეორება, არამედ მისი შემდგომი განმარტე-

<sup>1</sup> Н. Д., Поклонение „современности“ // „археология“ (Письмо в ре-  
дакцию), „Новое обозрение“, 1889, № 2028.

<sup>2</sup> Н. Николодзе, На праздники, „Новое обозрение“, 1889, № 2032.

ბა ახალი მასალების გამოყენებით. მის მთავარ ამოცანას „ვეფხისტყაოსნის“ თვითმყოფლობის ჩვენება, მისი ქართულ სინამდვილესთან კავშირის გამოვლენა წარმოადგენდა და არა მარტოდენ ი. ჭაბადა-რის შეცდომების მხილება. მოკამათის მტკიცება სპარსული კულტურის განუსაზღვრელი გავლენის შესახებ ნ. ნიკოლაძემ მიიჩნია ისტორიული სინამდვილის დამახინჯებად, ქართული ეროვნული საწყისების უგულვებელყოფად, ქართველთა შემოქმედებითი პოტენციის დაკნინებად. თუ ჩვენს ქვეყანაზე: ჩვენს კულტურაზე სპარსეთს ისეთი დიდი გავლენა ჰქონდა, — როგორც მას ნარ-დონი მიაწერს, — რითლა აიხსნება ის მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა, რომელსაც ჩვენი სახელოვანი წინაპრები აწარმოებდნენ სპარსელთა წინააღმდეგ, რატომღა იცავდნენ ჩვენი ძეგლები ასე თავგამოდებით ამ ბრძოლაში თავიანთ ეროვნულ-სახელმწიფოებრივსა თუ პოლიტიკურ-კულტურულ დამოუკიდებლობას? — კითხულობდა პუბლიცისტი.

ისტორიული მასალის მოხმობითა და ფაქტობრივი ვითარების გათვალისწინებით ნ. ნიკოლაძემ ცხადყო ნარ-დონის „კონცეფციის“ ნაკლოვანებანი, უარყო მისი ცდა სპარსული კულტურის მნიშვნელობის გაზვიადებისა და ქართული ადგილობრივი ეროვნულ-შემოქმედებითი ძალების დამცირებისა და უგულვებელყოფისა<sup>1</sup>. ასევე გააკრიტიკა მან ნარ-დონის შეხედულება „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი ქალის კულტის შესახებ. მისი მართებული მოსაზრებით, ყოვლად დაუშვებელია ისტორიული რეალობის უგულვებელყოფა, ძველი საქართველოს კონკრეტული ვითარების დავიწყება, ცხოვრებისეული ფაქტების მიჩქმალვა, თამარის ეპოქისათვის ესოდენ დამახასიათებელი მანდილოსნის კულტის იგნორირება და რუსთველის წყაროდ სპარსული მწერლობის, კერძოდ, ნიზამის დასახელება. თქმა იმისა, რომ რუსთველმა ნიზამის მიბაძა, ქალის კულტი მისგან გადმოიღო და მანდილოსნის პატივისცემის ქადაგება „ლეილმაჯნუნიანის“ გავლენით დაიწყო, არა მარტო უვიცობას მოწმობს, არამედ დაუკვირვებლობასაც აჩენს. ნ. ნიკოლაძეს აუქვებდა ემანსიპაციის შემცველი ტენდენციების არსებობა „ლეილმაჯნუნიანში“, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ წყაროდ მისი გამოცხადება ხომ სულ შეუძლებლად მიაჩნდა.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე ილაშქრებდა ქართულ სინამდვილეზე სპარსული კულტურის გავლენის გადაჭარბებული შეფასების წინააღმდეგ, შეუწყნარებლად მიიჩნევდა სპარსული მწერლობის როლის გაზვიადებას. მაგრამ საერთოდ არ უარყოფდა იმ საყოველთაოდ აღიარებულ ფაქტს, რომ ჩვენი მწერლობა ნაწილობრივ „სპარსეთის მასალებით ნაყვები“ იყო (II, 44).



«Хотя нужно еще доказать, что «Меджуи и Ленла» Нишамни действительно проникнута эманципационною тенденциею, в чем я имею основание сомневаться, но скажите на милость, неужто среда, где процветали и процветают гаремы, была благоприятнее для развития человеческого отношения к женщине, чем та, которая окружала грузинского поэта?»

Неужто Руставели, живя в стране, поклонявшейся св. Нише и возвеличенной Тамарою, не вокруг себя, а в гаремной Персии должен был искать идеалов женского культа?!»

ბ. ნიკოლაძის მტკიცებით, რუსთველისათვის ამოსავალი ქართული სინამდვილე იყო, ის ქართველთა შორის ტრიალებდა. საქართველოში ცხოვრობდა და თხზავდა, ხოლო აქ ქალის კულტი ძველთაგანვე დიდ პატივში იყო. ემანსიპაციური ტენდენცია საქართველოში აღრეული ხანიდანვე შეინიშნებოდა და რუსთველს არ სჭირდებოდა სპარსეთისაგან მიხედვა და ნიშამის მიმბაძველობა. მაღალი ჰუმანური იდეებით აღსავსე პოემაში ქალის კულტი ორგანულადაა ჩაქსოვილი, ეს კი ქართული კონკრეტულ-ისტორიული ვითარებით იყო განპირობებული. ასეთი მსჯელობით ნ. ნიკოლაძემ, ერთი მხრივ, „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ქალის კულტი ეროვნულ მოვლენად მიიჩნია, მეორე მხრივ, რუსთველის პოემა კიდევ უფრო დაუკავშირა ქართულ სინამდვილეს და მის ანარეკლად აღიარა. მიუხედავად მისი მსჯელობის ლოგიკურობისა და მოხმობილი არგუმენტაციის სიმტკიცისა, ი. ჯაბადარმა მაინც არ დაჰყარა ფარ-ხმალი და ერთხელ კიდევ დაბეჭდა საპასუხო წერილი<sup>1</sup>. მაგრამ, რადგან თავისი კონკრეტული დებულების დაცვა აღარ შეეძლო, შორის წასვლა ირჩია, მსჯელობის საგნად ზოგადთეორიული ხასიათის საკითხები წამოსწია, თუმცა სინამდვილეში თავისი მცდარი აზრების განვითარება მოიწადინა. ის კვლავ დაბეჭდვით ამტკიცებდა, რომ ქართულ კულტურაზე გავლენა მოახდინა სპარსულმა სამყარომ. მართალია, ქართველობა ებრძოდა სპარსეთს და თავს იცავდა აგრესიისგან, მაგრამ ამ ბრძოლის დროს ადგილი ჰქონდა კულტურის გავრცელებას. კულტურის ზემოქმედებას; სპარსეთში სუფიზმის მიმდევრებმა დაიწყეს ქალის აპოლოგია, მათ შექმნეს ქალის კულტი. ხოლო სუფისტთა სკოლის მიმდევარმა ნიშამიმ პოეტურად წარმოაჩინა იგი თავის ნაწერებში, რომელთაგან დიდად დავალებულია რუსთველი; „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობა ბევრს არათერს ნიშნავს. რუსეთში ძალზე გავრცელებულია „ბოვა კოროლევიჩი“, მაგრამ ეს მის სიდიადეს არ მოწმობს და ა. შ. ამრიგად, ყველა საკითხი, რომელიც

<sup>1</sup> Н. Д., Поклонение „современности“ и „археология“ (2-е письмо в редакцию), „Новое обозрение“, 1889, № 20-13.

კი წამოჭრა ნ. ნიკოლაძემ, თავისებურად გააშუქა ი. ჯაბადარმა და კვლავ გულმოდგინედ სცადა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის დაკნინება და ქართული კულტურის გაუფასურება!

ი. ჯაბადარის ჭიუტობამ აღაშფოთა ნ. ნიკოლაძე. მან მალე გამოაქვეყნა ორი წერილი<sup>1</sup> და კიდევ უფრო მეტი გაშმაგებით გააკრიტიკა თავისი მოწინააღმდეგე. მისთვის ცხადი გახდა, რომ ი. ჯაბადარის მოტეხა და გამოსწორება შეუძლებელი იყო. იგი იმდენად იყო გამსჭვალული ნიპილისტური აზრებით და იმდენად იჩენდა ტენდენციურობას, რომ მის მიერ სიმართლის თქმა და ქვეშაობების აღიარება მოსალოდნელი აღარ იყო. ნ. ნიკოლაძე დარწმუნდა, რომ ი. ჯაბადარი აზრს აღარ შეიცვლიდა, ჭიუტობას თავს არ დაანებებდა და ერთხელ შემუშავებული „კონცეფციის“ დაცვას არ შეწყვეტდა. მართალია, მას ერთობ აწუხებდა კამათის ზედმეტად გახანგრძლივება, დავის გაჭიანურება, მაგრამ არ შეეძლო პასუხი არ გაეცა უფიცი მოწინააღმდეგისათვის და ერთხელ კიდევ არ გაეშუქებინა საცილობელი საკითხები. იგი მართებულად მიუთითებდა ი. ჯაბადარს, რომ ამჯერად მთავარი იყო არა საკუთრივ სპარსული პოეზიის ავტარგიანობის გარკვევა, არამედ ქართული სინამდვილის გათვალისწინება და ეროვნულ-შემოქმედებითი ძალების მნიშვნელობის შეფასება.

ნ. ნიკოლაძე უყიფინებდა ი. ჯაბადარს ტენდენციურობას, ძველი ავტორებისათვის საკუთარი აზრების მოხვევას, ტექსტების არასწორად გაგებასა და საკუთარი შეხედულების შესაბამისად ინტერპრეტაციას. აქ მისი მათრახი ი. ჯაბადარისაა: «Разве кн. Илья Чавчавадзе не сделал попытки отождествить цитаты Руставели с идеалами шестидесятих годов русской жизни, приписав значение проповеди об уничтожении крепостного права тем словам «Барсовой кожи», где говорится: «раздай нищим сокровища и освободи рабов».

А, между тем, кому не ясно, что в устах Руставели эти слова значили не более, как обычную заповедь умравших

<sup>1</sup> ი. ჯაბადარმა ბოლომდე შეინარჩუნა თავისი მცდარი „კონცეფცია“ და გულს ჩიხვია ის წყენა, რომელიც მას ნ. ნიკოლაძემ მიაცენა. გვიან ხანაში იგი უდიერად იხსენიებდა „ნიკოლა პუბლიცისტს“ და უარყოფითად ახასიათებდა მის საქმიანობას (И. Джабадари, Процесс 50-ти, „Былое“, 1907, № 9, გვ. 176—177). ნ. ნიკოლაძემ არც ეს გამოხედობა დატოვა უპასუხოდ და ერთხელ კიდევ გააკრიტიკა ი. ჯაბადარი (Н. Николадзе, Как пишется история, „Закавказье“, 1908, № 33).

<sup>2</sup> Н. Николадзе, На праздники, „Новое обозрение“ 1889, №№ 2046, 2048.

«об освобождении нескольких рабов и о раздаче милостыни за упокой души новопреставившегося раба божия?»<sup>1</sup>

ნ. ნიკოლაძე კვლავ დაბეჭითებით ამტკიცებდა ქართული კულტურის თვითმყოფლობას და აკრიტიკებდა ი. ჯაბადარის მოსაზრებას სპარსული სამყაროს გავლენის შესახებ. იგი არ უარყოფდა ომების დროს კულტურული ზემოქმედების ფაქტებს, მაგრამ შეუძლებლად მიიჩნევდა XI—XII საუკუნეების ქართული კულტურის სიღიადის ამით ახსნას; სწორად აღნიშნავდა, რომ სხვა ხალხზე კულტურულ ზემოქმედებას ახდენს, თავის გავლენას ავრცელებს მაღალი კულტურის ხალხი. მისი დაკვირვებით, XI—XII საუკუნეებში სპარსული კულტურა არ იყო ქართულზე მაღალი და ამდენად გავლენის მოხდენა არ შეეძლო (ამ შემთხვევაში მას მხედველობაში ჰქონდა არა მხოლოდ ლიტერატურის დონე, არამედ საერთოდ ხალხის ცხოვრება, ოჯახური ყოფა, ეკონომიკა, რწმენა, აზროვნება და ა. შ.). ყოვლად

<sup>1</sup> უნდა მოვიგონოთ, რომ ი. ჰევქვიასის მიერ რუსთველის ცნობილი გამო-ნათქვამის დამოწმებას ნ. ნიკოლაძე ადრეულ წერილშიც მკაცრად იხსენიებდა. 1870 წლის „მნათობის“ იანვრის ნომერში დაიბეჭდა შ. ქიქოძის წერილი: „საქართველოს მომავალი“ (გვ. 43—70), რომელშიც ავტორი, სხვათა შორის, იმოწმებდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს და ამაყად წერდა ძველი ქართულების გონებრივ და-წინაურებაზე (გვ. 60). ეურნალის პირველი ნომრის გამოსვლას მცირე ბიბლიო-გრაფიული შენიშვნით გამოეხმაურა ნ. ნიკოლაძე (იხ. მისი ხელმოუწერელი წე-რილი: ბიბლიოგრაფია, „დროება“, 1870, № 16=11, 32). ამან ცხარე პოლემიკა გამოიწვია „მნათობსა“ და „დროებას“ შორის. სახელდობრ, „მნათობის“ თებერ-ვლის ნომერში (გვ. 143—154) დაიბეჭდა ხელმოუწერელი წერილი: „დროების“ ბიბლიოგრაფიის შესაფერი ბიბლიოგრაფია. მალე მას უპასუხა ნ. ნიკოლაძემ („მნათობს“, „დროება“, 1870, №№ 20, 21). აქ იგი წერდა: „ნუ დავივიწყებთ, რომ მეთორმეტე საუკუნეში, და ავთანდილის პირში, სიტყვებს: „მივე გლახაკთა სა-ქურკლე, ათავისუფლე მონები...“ ის მნიშვნელობა კი როდი ჰქონიათ, რომელსაც იმათ უფ. ი. ჰევქვიასე და ქიქოძე აძლევენ: ეს სიტყვები მაშინ უბრალო მოწყა-ლებას ნიშნავდნენ: მოანდერძე ჩვენშიც და სხვაგანაც ინებებდა რამდენიმე გლეხის ან მოჭალაბის განთავისუფლებას, ავადმყოფის სადღეგრძელოდ ან გარდაცვალე-ბულის სულის საცხონებლად. აქედან იმ აზრის გამოყვანა, რომ რუსთაველი მე-თორმეტე საუკუნეში ბატონყმობის მოსპობას ქადაგებდაო, შეცდომაზე უარესიც არის“ (11, 44).

ს. ხუნდაძემ ჭერ კიდევ ადრე შენიშნა, რომ ნ. ნიკოლაძეს მხედველობაში ჰქონდა ილია ჰევქვიასის მიერ შოთას სიტყვების „კაკო ყაჩაღის“ ეპიგრაფად გამოყენება (ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ს. ხუნდაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, II, თბ., 1932, გვ. 393). გ. აბზიანძის აზრით, ილიამ რუსთველის პოეტური სტრიქონი გამოიყენა როგორც ზოგადი ჰუმანური იდეის გამომახატველი და მასში 60-იანი წლების კონკრეტული სოცია-ლურ-გამათავისუფლებელი აზრი არ ჩაუდვია. მისი დასკვნით, ნ. ნიკოლაძე ამ შემთხვევაში მართალი არ არის (იხ. მისი ნარკვევები XIX საუკუნის ქართუ-ლი აზროვნების ისტორიიდან, გვ. 163).

შეუწყნარებლად მიიჩნევდა იგი ი. ჭაბადარის მსჯელობას ნიზამისა და რუსთველის ურთიერთობის შესახებ, „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი ქალის კულტის ნიზამის პოეზიიდან მომდინარეობის შესახებ: «Нужно-ли было Руставели заимствовать свои идеалы уважения к женщине (а не ее обоготворение, заметьте) у Низами, когда у него под рукою был целый строй жизни, гармонизировавшийся с его песнопениями?»

Но разве один этот идеал проведен Руставели через всю его поэму? А параллельные с ним идеалы верности данному слову, верности дружбе, самопожертвования, отречения от своего личного блага, — все это тоже напрокат взято у Низами и не могло быть взято из реальных факторов жизни, окружавшей грузинского поэта?»

ნ. ნიკოლაძეს შეუწყნარებლად და არასწორად მიაჩნდა ი. ჭაბადარის მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარობაზე. პარალელის გავლება რუსთველის გენიალურ პოემასა და „ბოვა კოროლევიჩის“<sup>1</sup> შორის. მთავარია არა უბრალო გავრცელება და პოპულარობა, არამედ ის, თუ რამდენად შეუსისხლხორცდა ნაწარმოები ხალხს. წინა წერილში, — განმარტა მან, — საუბარი მქონდა არა მხოლოდ პოემის გავრცელებაზე, არამედ იმაზე, რომ მისი სენტენციები, აფორიზმები, გამონათქვამები, სახეები ქართველთა ცნობიერებაში დამკვიდრდა და სამუდამოდ დასადგურდა. „ვეფხისტყაოსანი“ ქართველი საზოგადოებრიობის უპირველეს წიგნად იქცა. იგი ორგანულად დაუკავშირდა შემოქმედი ხალხის აწმყოსა თუ მომავალს. „ბოვა კოროლევიჩის“ ტიპის ნაწარმოები ქართულადაცაა მოღწეული („ყარამანიანი“), ხალხი მასაც ინტერესით კითხულობდა. მაგრამ ის არავის მიუჩნევია სერიოზულ ნაწარმოებად.

პოლემიკის დასასრულს ნ. ნიკოლაძემ ერთხელ კიდევ აღნიშნა „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა და გამოთქვარწმენა, რომ რუსთველის პოეტური გენია მარად მანათობელ შუქურად და დიდების ძეგლად დარჩება ქართველი ხალხის ისტორიაში. თავისი მტკიცე და დასაბუთებული პასუხით ნ. ნიკოლაძემ სასტიკად დაამარცხა მოწინააღმდეგე და დამაჯერებლად წარმოაჩინა „ვეფხისტყაოსნის“ სიღიადე და ბრწყინვალება.

როგორ გამოეხმაურა ქართველი საზოგადოება ნ. ნიკოლაძის წერილებს, როგორ შეაფასეს თანამემამულეებმა მისი ბრძოლა ნარდონის წინააღმდეგ? ნ. ნიკოლაძის მოქმედება, რომ კმაყოფილებას იწვევდა თანამედროვეთა შორის, ეს ნათლად ჩანს როგორც პოლე-

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსნის“ „ბოვა კოროლევიჩთან“ შედარება უხერხულად და დაუშვებლად მიიჩნია ი. მანსვეტაშვილმაც (შინ და გარეთ, „ივერია“, 1889. № 268).

მიკის უამს გამოქვეყნებულ<sup>1</sup>; ისე გვიან ხანაში დაბეჭდილ წერილებში<sup>2</sup>; მაგრამ ყველაზე უკეთ თავისი პოზიცია გამოხატა ი. ჭავჭავაძის „ივერიამ“. მან სამ წერილში<sup>3</sup> განიხილა და დაასასიათა „ელვა-ქექით საქართველოს დასამხობად გამოასპარეზებული ბუმბერაზ-დევის, ყოვლად ბრძენი და მკოდნე კრიტიკოსის ნარ-დონის „კონცეფცია“ და ნ. ნიკოლაძის მსჯელობა, გულისწყრომა გამოთქვა იმის გამო, რომ „ჩვენ სახელოვანს და ექვსას წელზე მეტია ამ სოფელს განშორებულს შოთა რუსთაველს არ ასვენებენ სამარეში“, რომ „იმისი ნიჭი და ღირებულება ძილს უფროსობს სვე-ბედნიერს ნარ-დონს“, უხვად დაიმოწმა ნ. ნიკოლაძის გამონათქვამები, მოიხმო და გამოიყენა მისი მოზრდილი ციტატები, სავსებით შეიწყნარა და გაიზიარა მისი შეხედულებანი. „ივერიამ“ უარყო და უკუაგლო ნარ-დონის ყველა ძირითადი მოსაზრება და გაიმეორა ნ. ნიკოლაძის აზრები. განსაკუთრებული აღშფოთება გამოთქვა მან „ვეფხისტყაოსნისა“ და „ბოვა კოროლევიჩის“ ერთად მოხსენიების გამო. იგი წერდა: „მარტო შებრალება-კი არა, ზიზღი-კი უნდა გამოიწვიოს, ჩვენის აზრით, ასეთმა თვალის ახვევამ. ასეთმა დამცირებამ ერთის ღირსებისამ, რომ მეორე ამაღლოს და უბრალო არაკი ისეთ ნაწარმოებს ამოუყენოს გვერდში, როგორც „ვეფხისტყაოსანია“. ან თუ არა-და, „Нова королевича“-ს, ამ მარტოდენ რუსის ხეპრე ჯარისკაცების საკითხავს წიგნს, ისე გატაცებით კითხულობდა განა რუსის ინტელიგენცია, თუნდა პეტრეს წინადაც; როგორც ნარ-დონი ამბობს? ჩვენ, ქართველები, ვსთქვათ სამართლიანად დაგვამცირა, ამ რუსის ინტელიგენციამ რაღა ვირი მოჰპარა ნარ-დონს? ან იქნება თავისის ერთი და ერთი დაყინებულის აზრის დასამტკიცებლად მავ ვაყბატონს მანიადა აქვს გადაქცეული არაფრის წინ არდახევა და ყველაფრის შელახვა და დამცირება?!“

აღნიშნული გარემოება გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ. რომ ი. ჯაბადარისა და ნ. ნიკოლაძის კამათის პროცესში ი. ჭავჭავაძემ ნაწილობრივ შეიცვალა აზრი ნ. ნიკოლაძეზე. თავისი გაზეთის ფურცლები დაუთმო „Новое обозрение“-ს წერილების ანოტაციებს, რითაც ხელი შეუწყო ნ. ნიკოლაძის აზრების სწრაფ გავრცელებას ქართველ საზოგადოებრიობაში. „ივერიამ“ თუ აღრე გააკრიტიკა ნ. ნიკოლაძე, ახლა სავსებით მოიწონა და უყოყმანოდ გაიზიარა

<sup>1</sup> Д. Сослани [Кезели], Литературные распри, „Тифлисский листок“. 1889, № 278.

<sup>2</sup> ლ. შინაური მიმოხილვა. „შრომა“, 1908, № 2, გვ. 6.

<sup>3</sup> ნარკვევი (ურნალ-გაზეთებიდან), „ივერია“, 1889, №№ 252—254.

მისი პოზიცია. „ივერიის“ ასეთი მოქმედება ნ. ნიკოლაძის რუსთველოლოგიური ნააზრევის აღიარებას მოწმობს.

ამრიგად, ნ. ნიკოლაძე იყო „ვეფხისტყაოსნის“ კარგი მცოდნე და მისი ავტორის დიდად დამფასებელი<sup>1</sup>. მას „ვეფხისტყაოსანი“ მი-აჩნდა გენიალურ ზოგადსაკაცობრიო ქმნილებად, უსაზღვრო ღირ-სებით შემკულ მაღალმხატვრულ და ღრმაჰუმანურ ნაწარმოებად, ქართული სინამდვილით ნასაზრდოებ, ქართველთა ცხოვრების დამა-ხასიათებელი ფაქტებითა და იდეებით აღსავსე უაღრესად ეროვნულ და თვითმყოფ თხზულებად, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მშობელი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მისი ლიტერატუ-რის ზრდა-განვითარებაზე. ნ. ნიკოლაძის რუსთველოლოგიურ ნა-აზრევში ბევრი რამ ადრეც ყურადღებას იპყრობდა და ახლაც ძა-ლაში რჩება.

### იაკობ გოგებაშვილი

ქართული პედაგოგიური აზროვნების კლასიკოსი ი. გოგებაშვი-ლი უანგარო საზოგადო მოღვაწე და მგზნებარე მამულიშვილი იყო. მისი მდიდარი კულტურულ-ლიტერატურული და პედაგოგიურ-პუბლიცისტური შემკვიდრეობა ფრიად მრავალფეროვანი და ღრმა-შინაარსიანია. ი. გოგებაშვილი თავგამოდებით იბრძოდა ეროვნული მწერლობის ზრდა-განვითარებისათვის, ქართული პედაგოგიური

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძის რუსთველოლოგიურ შეხედულებებზე იხ. მ. ქანაშვილი, შოთა რუსთაველი, გვ. 60—64; ვ. ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტი-უდები, გვ. 54—55, 76—78, 185; ალ. ბარამიძე, ილია ქავეკავაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, „ილია ქავეკავაძე“ (საიუბილეო კრებული), 1957, გვ. 46—49; დ. გამეზარდაშვილი, ნარკვევები ქართული რეა-ლიზმის ისტორიიდან, II, გვ. 632—634; ვ. ზამბახიძე, ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიური შეხედულებანი, თბ., 1957, გვ. 180—182; გ. აბზიანიძე, ნარკვევები XIX საუკუნის ქართული აზროვნების ისტორიიდან, გვ. 149—164; მ. საჭაია, ნიკო ნიკოლაძე — ქართული ლიტერატურის ისტორიკოსი და კრი-ტიკოსი, გვ. 114—133; ლ. მენაბდე, ნიკო ნიკოლაძე და „ვეფხისტყაოსანი“, „სკოლა და ცხოვრება“, 1966, № 8, გვ. 63—70 და სხვ. (იხ. გ. იმედაშვი-ლი, რუსთველოლოგიური ლიტერატურა, გვ. 138—139, 141, 204, 260, 478, 481, 664, 665, 846). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, მართალია, ნ. ნიკოლაძე არ მო-ნაწილებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, მაგრამ, როგორც ჩანს, ინტერესს იჩენდა თანამოღვაწეთა საქმიანობისადმი და ზოგჯერ კომისიის სხდომასაც ესწრებოდა („დროება“, 1889, № 71). ნ. ნიკოლაძემ ერთ-გვარი როლი შეასრულა მ. ზიზისთვის „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის გაცნობაში (იონა მეუნარგიას წერილები, ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფი-ული მუზეუმის შრომები, I, 1947, გვ. 146—148; ს. ყუბანეიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ბექდეს ისტორიიდან, გვ. 119—121).

აზროვნების აღორძინებისათვის, საზოგადოებრიობის სულიერი განსპეტაკებისათვის. ის მშობელი ერის თავდადებული მსახური, მისი ქირვარამის გამზიარებელი, მისი ღირსების ენერგიული ქომაგი და დაუღლელი დამცველი იყო.

მშობელი ერის მოპირნახულეს სიამაყის გრძნობას ჰკერიდა საქართველოს ისტორიული წარსული, ადაფრთოვანებდა ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი დიდებული სულიერი კულტურა. ის კარგად იცნობდა და სათანადოდ აფასებდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობასა და საერო-მხატვრულ ლიტერატურას, გულისყურით სწავლობდა ძველ ძეგლებს, კრიტიკულად განიხილავდა საღისეუსიო პრობლემებს.

ი. გოგებაშვილი აღიზარდა ქართლში, სოფ. ვარიანში, ადგილობრივი საეკლესიო მოღვაწის ოჯახში. მამამისი — სიმონი კარგად იცნობდა სასულიერო-საეკლესიო მწერლობას და თავის ვაჟებსაც გულმოდგინედ ასწავლიდა ძველ ძეგლებს<sup>1</sup>. სხვათა შორის, იაკობს ისე კარგად შეუსწავლია საღვთისმეტყველო საკითხები და ისეთი ინტერესი გამოუჩენია ეკლესიისადმი, რომ მამამისს მისი ბერად აღკვეცა განუზრახავს და სამოღვაწეო ადგილიც კი შეუჩრჩევია მისთვის (შეომღვიმე)<sup>2</sup>. საბედნიეროდ, იაკობი გადაურჩა მღვდელმთავრობას თუ ანაქორეტობას. მისმა უფროსმა ძმამ, ივანემ, ის გორში ჩაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიიბარა. 1849 წელს იაკობი გადმოვიდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში. რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1855 წელს. იმავე წელს მან სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. მიუხედავად იქ გამეფებული უსულგულო რეჟიმისა, იაკობი გულისყურით მეცადინეობდა, ეწაფებოდა ლიტერატურას და ა. შ.<sup>3</sup> 1861 წელს ჩაირიცხა კიევის სასულიერო აკადემიაში, მაგრამ არ იფარგლებოდა მხოლოდ საღვთისმეტყველო დისციპლინების შესწავლით, ესწრებოდა ლექციებს უნივერსიტეტში, უსმენდა გამოჩენილ პროფესორებს, სისტემატურად მუშაობდა თავის თავზე, იმაღლებდა მომზადების დო-

<sup>1</sup> დ. კ ა ს რ ა ძ ე, ი. გოგებაშვილი (ბიოგრაფია). თბ., 1940, გვ. 14—15.

<sup>2</sup> ი ქ ე ე, გვ. 18. შღრ. ა რ ბ თ ე ლ ი [ნ. ლ ო მ ო უ რ ი], ი. გოგებაშვილი (პირველი ნახევარი მისი ცხოვრება-მოღვაწეობისა), კრებული: „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, თბ., 1913, გვ. 8.

<sup>3</sup> ზ. კ ი კ ი ნ ა ძ ე, ი. გოგებაშვილი, თბ., 1900, გვ. 32; დ. ლ ო რ თ ქ ი - ე ა ნ ი ძ ე, დიდი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი, თბ., 1960, გვ. 6; გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, ი. გოგებაშვილი, თბ., 1952, გვ. 5.

ნეს. იფართოებდა გონებრივ კორიზონტს<sup>1</sup>. მას სთავაზობენ უნივერსიტეტში დარჩენას და საპროფესოროდ მომზადებას, მაგრამ ჭანშრთელობის მდგომარეობა ამის შესაძლებლობას არ აძლევს. ის ბრუნდება სამშობლოში, აქტიურად ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში, იწყებს ნაყოფიერ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. მას, როგორც ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის თანამოსანგრეს, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ მოღვაწეს<sup>2</sup>; ყურადღებიდან არ გამოორჩენია ქართველთა საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. ბუნებრივია, ის უყურადღებოდ ვერ დასტოვებდა მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობას.

ი. გოგებაშვილი კარგად იცნობდა და დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იხსენიებდა „შესანიშნავ მეცნიერებსა და საზოგადო მოღვაწეთ“ (I, 161)<sup>3</sup>, ძველი ქართული მწერლობის გამოჩენილ მკვლევრებს — პ. იოსელიანს, დ. ჩუბინაშვილს, ალ. ცაგარელს, ალ. ხახანაშვილს, ნ. მარსა და სხვებს<sup>4</sup>. მას საკუთარ ბიბლიოთეკაში ჰქონდა ალ. ცაგარლის, ალ. ხახანაშვილის, ნ. მარსისა და სხვათა შრომები<sup>5</sup>.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ ი. გოგებაშვილის ზრუნვა ქართული ხელნაწერების ბედზე. როგორც ჩანს, მას ნათლად ესმოდა ძველი ქართული ხელნაწერების მნიშვნელობა და ამიტომ ზრუნავდა ენერგიულად მათ დაცვა-შენარჩუნებაზე (IX, 254).

<sup>1</sup> ა ბ რ ე ლ ი [ნ. ლომოური], ი. გოგებაშვილი (პირველი ნახევარი მისი ცხოვრება-მოღვაწეობისა), კრებული: „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“. გვ. 9—10.

<sup>2</sup> ე. იმედაძე, ი. გოგებაშვილი და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში. „იაკობ გოგებაშვილი“ (საიუბილეო კრებული). თბ., 1940, გვ. 236—247.

<sup>3</sup> ნარკვევის წერისას ვიყენებდით ი. გოგებაშვილის თხზულებათა სრულ კრებულს, რომელიც გამოაქვეყნა საქ. სსრ განათლების სამინისტროს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (I—X, თბ., 1955—1965). დამოწმებისას რომაული რიცხვით აღენიშნაეთ ტომს, არაბულით — გვერდს.

<sup>4</sup> I. 161, 365—367, 415, 435; II. 36, 91, 97—99, 124, 126, 134, 157, 166, 404—406, 410, 412—413, 467; III, 12, 152, 167, 221, 224—225, 230, 232, 234, 293—294, 313, 315, 319, 357, 359, 364, 371—372; IV, 32, 131, 163, 198, 304—305, 346, 391, 438, 460, 490—491; V, 757; IX, 183—185, 213, 310, 327, 353, 358. ი. გოგებაშვილს ალ. ხახანაშვილთან ჰქონდა ახლო მეგობრული ურთიერთობა (ე. ნაკაშიძე, მოგონებანი, თბ., 1946, გვ. 322—325) და ძმური მიმოწერა (IX, 348—354). ასეთივე მიმოწერა ჰქონდა მას ე. თაყაიშვილთანაც (IX, 294—298).

<sup>5</sup> დ. კასრაძე, ი. გოგებაშვილი (ბიოგრაფია). გვ. 79.



საგულისხმოა, რომ ი. გოგებაშვილი არა მხოლოდ ხელნაწერთა დაცვაზე ზრუნავდა. არამედ სათანადოდ ჰქონდა შეგნებული მათი შესწავლის აუცილებლობაც. როგორც ირკვევა, ბევრი ძველი ქართული ძეგლი მან ხელნაწერების საშუალებით გაიცნო და შეისწავლა. მისი შემკვიდრობის გაცნობა საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ. რომ თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“, თეიმურაზ მეორის „ხილთა ქება“ და ზოგი სხვა თხზულებაც ი. გოგებაშვილმა ხელნაწერებში წაიკითხა. ამასთანავე იგი ენერგიულად ზრუნავდა ძველ ხელნაწერებში შემონახული ძეგლების პუბლიკაციაზეც. მისი მონაწილეობით დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“ (1888 წ.), მონაწილეობდა ის აგრეთვე „ვისრამიანისა“ და „არჩილიანისა“ გამოცემათა მომზადებაში. თვით გამოაქვეყნა გ. ჩოლოყაშვილის. თეიმურაზ მეორისა<sup>2</sup> და სხვათა თხზულებანი.

ი. გოგებაშვილის რწმენით, ჩვენი „ეროვნული არსებობის ერთ-ერთი უმთავრესი ბურჯი იყო ქართული ეროვნული ლიტერატურა“ (III, 371). ამიტომ უყვარდა მას თავდავიწყებით ქართველი მწიგნობრების შემკვიდრეობა, ამიტომ აფასებდა უზომოდ ძველ ავტორთა ნაწერებს. მას სიამაყით აღავსებდა ის გარემოება, რომ ქართველობამ „შექმნა მდიდარი ათასწლიანი ლიტერატურა და კულტურული ერების სიმალემდე ავიდა“ (II, 323). მისთვის კარგად იყო ცნობილი, რომ საუკუნეთა მანძილზე შექმნილი ქართული კულტურულ-ლიტერატურული შემკვიდრეობა უაღრესად მდიდარი და მრავალფეროვანი იყო (III, 219, 357).

ი. გოგებაშვილი იცნობდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, ამხვილებდა ყურადღებას მის სიმდიდრეზე და აღფრთოვანებით საუბრობდა მასზე (I, 378; III, 12), იხსენიებდა ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის სახელოვან წარმომადგენლებს, იძლეოდა მათი საქმიანობის დახასიათებას. იმოწმებდა მათ ნაწარმოებებს და ა. შ. ის არა მხოლოდ ზოგადად წერდა ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის სიმდიდრესა და სიდიადეზე, არამედ კონკრეტული საილუსტრაციო მასალითაც ადასტურებდა თავის მოსაზრებებს (II, 137).

მართალია, ი. გოგებაშვილი კარგად აფასებდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, მაგრამ ის, უპირველესად ყოვლისა, პედაგოგი იყო და აღნიშნული მწერლობა პედაგოგიური

<sup>1</sup> IX, 181, 219; ს. ყუბანეიშვილი. ცნობები ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების გამოცემის ისტორიიდან. „ლიტერატურული ძიებანი“, VIII, 1953, გვ. 415—418.

<sup>2</sup> V, 34—36, 200, 402; VI, 26—28. 228—229, 280—282.

თვალსაზრისით აინტერესებდა. არსებითად, როდესაც ის ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობის საკითხებზე მსჯელობდა, არასოდეს არ იფარგლებოდა მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ლიტერატურული საკითხებით, ის ასეთ საკითხებსაც პედაგოგიკურ ასპექტში განიხილავდა. შეიძლება ითქვას, რომ მისი მსჯელობა რომელიც გნებავთ ხანის ლიტერატურულ ცხოვრებაზე, ამავე დროს იყო მსჯელობა მოცემული ხანის სწავლა-განათლების დონეზეც. შეგვიძლია სანიმუშოდ დავიმოწმოთ ი. გოგებაშვილის „მოთხრობანი საქართველოს წარსულიდან“, კერძოდ, მისი ცალკეული თავები მიძღვნილი როგორც ადრეული ხანის (VI, 662. შდრ. III, 218, 356, 371), ისე დავით აღმაშენებლის (VI. 671—674): თამარის (IV, 674—678), ვახტანგ მეექვსისა (VI, 693—695) და ერეკლე მეორის (VI, 698) ხანის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისადმი.

ი. გოგებაშვილი არა მხოლოდ ზოგადად იცნობდა ძველ ქართულ სასულიერო-საეკლესიო მწერლობას, არამედ, კერძოდ, ღრმად იცნობდა ბიბლიასა და აგიოგრაფიას. სამეცნიერო-პედაგოგიკურსა თუ კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში იხსენიებდა ბიბლიურ წიგნებს<sup>1</sup>, ასახელებდა ბიბლიურ გმირებს<sup>2</sup>, იგონებდა ბიბლიურ ეპიზოდებს<sup>3</sup>, იმოწმებდა ციტატებს ბიბლიიდან<sup>4</sup> და ა. შ. მისი მოთხრობა „გამარჯვებული დედა“ (IX, 109—114) ბიბლიური ეპიზოდის გადამუშავებას და პოპულარულად გადმოცემას წარმოადგენს. ასევე იცნობდა ის ქართულ აგიოგრაფიას, რასაც თვალნათლივ ადასტურებს „ბუნების კარში“ მოცემული პოპულარული მოთხრობები დავითისა და კონსტანტინესა (VI, 665—666) და არჩილის (VI, 666—667) წამებისა, აგრეთვე ასურელ მოღვაწეთა (VI, 664—665) და ათონელთა შესახებ (VI, 667—670).

უკეთ იცნობდა ი. გოგებაშვილი ძველ ქართულ საერო-მხატვრულ ლიტერატურას, თავის ნაწერებში ხშირად იხსენიებდა ძველ მწერლებს: ახასიათებდა მათ ნაწარმოებებს და საგანგებოდ გამოყოფდა სოციალურ მოტივებს, ეძებდა მათი ძეგლების საზოგადოებრივ საფუძვლებს, წარმოაჩენდა მათ დამსახურებას მშობელი ერის მომავლისათვის ბრძოლაში.

ი. გოგებაშვილი, მართალია, უფრო ხშირად რუსთველსა და მის პოემაზე წერდა, მაგრამ სხვა მწერლებსაც არ ივიწყებდა. ამ მხრივ

<sup>1</sup> I, 373, 421; II, 115, 163, 341, 443; III, 18, 70, 99, 219, 249, 441; VI, 527.

<sup>2</sup> I, 52, 55, 57, 109, 169, 374, 400; II, 115, 153, 169, 233, 374; 473; III, 309, 456; IV, 195, 305, 448.

<sup>3</sup> I, 62, 77, 148—149; II, 232; IV, 176.

<sup>4</sup> I, 169, 190, 374, 424; II, 92—93, 113, 122, 170, 295; III, 90.

ინტერესს იწვევს მისი „ბუნების კარი“, რომელშიც მოცემულია სპეციალური მსჯელობა რუსთველის თანამედროვე მწერლებზე (VI, 683). ის მაღალი წარმოდგენისა იყო კლასიკური ხანის მწერლებზე და სიყვარულით მსჯელობდა მოსე ხონელსა და სარგის თმოგველზე, შავთელსა და ჩახრუხაძეზე. განსაკუთრებით აფასებდა იგი „მაღალნიკიერ მწერალს“ (I, 351) — სულხან-საბა ორბელიანს და მის „შესანიშნავ თხზულებას“ (V, 107). მართალია, კარგად იცნობდა და იყენებდა კიდევ მის ლექსიკონს (II, 410, 412—413; IV, 459; IV, 694), მაგრამ უფრო მეტად აღფრთოვანებული იყო „სიბრძნე სიცრუის წიგნით“, მისი იდეური მიზანდასახულებითა და აღმზრდელობითი მოძღვრებით. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, სულხან-საბა ორბელიანსა და ი. გოგებაშვილს შორის გარკვეული სულიერი ნათესაობა შეინიშნება<sup>1</sup>. დიდი პედაგოგი ხშირად მიმართავდა სახელოვანი წინამორბედის მოძღვრებას, იმოწმებდა მის აზრებს, იხსენიებდა მის არაკებს (II, 300), ეხმაურებოდა მათი გალექსვის ცდებს (I, 277—279). ხალხში ავრცელებდა „ზნის მასწავლელ არაკებს“ (VI, 694) და ამტკიცებდა მათ ორიგინალობას (II, 233). ასევე დიდად აფასებდა „გენიოსსა და ტალანტს“ (II, 321), „მეტად ნიკიერ პოეტს დ. გურამიშვილს, რომლის თხზულებანი ბრწყინავენ მშვენიერი და მეტად ადვილი ქართული ენით“ (VI, 694), იმოწმებდა მის გამონათქვამებს (II, 93; III, 161, 187).

ი. გოგებაშვილმა თავის სახელმძღვანელოებში უხვად დაუთმო ადგილი ძველ ქართველ ავტორებს (რუსთველი, სულხან-საბა ორბელიანი, დ. გურამიშვილი, გ. ჩოლოყაშვილი, თეიმურაზ მეორე, გ. ფირალიშვილი)<sup>2</sup>.

ყოველივე აღნიშნული უთუოდ მოწმობს ი. გოგებაშვილის დიდ

---

<sup>1</sup> გ. თ ა ვ ზ ი შ ვ ი ლ ი, ი. გოგებაშვილი, „მნათობი“, 1960, № 10. გ. 116; მისივე, ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მოძღვრება. „იაკობ გოგებაშვილი“ (საიუბილეო კრებული, მიძღვნილი დაბადების 120 წლისთავისადმი), თბ., 1960, გვ. 43.

<sup>2</sup> ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, მხატვრული ლიტერატურა „ბუნების კარში“, „იაკობ გოგებაშვილი“ (საიუბილეო კრებული), 1940, გვ. 191—204; მისივე, მხატვრული ლიტერატურა „დედა ენასა“ და „ბუნების კარში“, „მნათობი“, 1960, № 10. გვ. 117—122; ო. დ ო ლ ა ბ ე რ ი ძ ე, ქართველი მწერლები ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში, „იაკობ გოგებაშვილი“ (საიუბილეო კრებული მიძღვნილი დაბადების 120 წლისთავისადმი), გვ. 169—172; მისივე, ქართველი მწერლები დიდი პედაგოგის სახელმძღვანელოებში, „სკოლა და ცხოვრება“, 1960, № 9, გვ. 39—44.

სიყვარულს ძველი ქართული მწერლობისადმი<sup>1</sup>, მაგრამ ისიც უცი-  
ლობელია. რომ ძველი ქართველი მწერლებიდან ი. გოგებაშვილი  
ყველაზე მაღლა აყენებდა შოთა რუსთველს. ყველაზე უფრო აფა-  
სებდა მის „ვეფხისტყაოსანს“. მას სიამაყის გრძნობით აღავსებდა  
„სახელოვანი და სასიქადულო პოეტი“ (III, 219; VI, 680), „განთქმუ-  
ლი და უკვდავი“ (III, 120, 357) „ეროვნული გენიოსი“ (III, 438).  
„წარმომადგენელი და გამომხატველი ქართველთა ერის გონების ძა-  
ლისა, შემოქმედებისა. გენიოსობისა“ (VI, 679). მისი რწმენით რუს-  
თველი იყო არა მხოლოდ „პირველი პოეტი საქართველოსი“ (II, 232)  
რომელსაც „სწორი არ ჰყავს ქართველს პოეტებში“ (II, 386), არა-  
მედ „გენიოსი და ტალანტი“ (II, 321)—ავტორი ზოგადსაკაცობრიო  
თხზულებისა. მას რუსთველი მიაჩნდა ერის აზრის გამომხატველად.  
ხოლო მისი „უკვდავი, სახელოვანი და პოპულარული“ (II, 382;  
III, 357; VI, 679) პოემა, რომელიც ხალხმა ზეპირად იცოდა (I, 342)  
და ქართველ ასულთა მზითვის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა  
(III, 219, 357, 371) — „დიდებულ და თავისებურ ქმნილებად“  
(II, 233).

ი. გოგებაშვილი მართებულად აღნიშნავდა, რომ „თუმცა რუსთა-  
ველის შემდეგ ჩვენამდინ რვაას წელიწადზე მეტმა განვლო და თუმ-  
ცა მრავალმა მაღალნიჭიერმა მწერალმა გაამდიდრა მას უკან ჩვენი  
ლიტერატურა თავისი ნაწარმოებებით, მაგრამ მისი პოემა დღემდინ  
შეადგენს უძვირფასესსა და უკეთეს საუნჯეს ქართველის გონებისა  
და გულისათვის. ამგვარი დაუმჯკნარი მნიშვნელობა ყოველთვის ყო-  
ფილა მხოლოდ გენიოსის ხვედრი და რუსთაველიც ყველასაგან  
აღიარებულია გენიოსად“ (VI, 679—680).

ი. გოგებაშვილი თავის ნაწერებში ხშირად იხსენიებდა რუსთველ-  
სა და მის პოემას. განსაკუთრებით აღსანიშნავია „ბუნების კარში“  
შეტანილი პოპულარული ნარკვევი „შოთა რუსთაველი“ (VI, 679—  
683), რომელიც დიდი სიყვარულითაა დაწერილი. მასში ავტორი  
გვაწვდიდა ბიოგრაფიულ ცნობებს შოთა რუსთველზე, ზოგადად გა-  
ნიხილავდა „ვეფხისტყაოსანს“ და წარმოაჩენდა მის სიდიადეს. ის  
გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ რუსთველის ბიოგრაფია „ბინდ-  
ბუნდით არის მოცული“ (VI, 680), წერილობითი საბუთები არ არის  
მოღწეული, „ქართლის ცხოვრება“, — ფრიად მდიდარი ცნობებით  
თამარზე და იმის დროზე, — კენტი სიტყვითაც არ იხსენიებს რუს-  
თაველსა“ (VI, 680). ამიტომაც ის მეტწილად ხალხური ცნობების

<sup>1</sup> ლ. მენაბდე. იაკობ გოგებაშვილი და ძველი ქართული მწერლობა.  
„სკოლა და ცხოვრება“, 1960, № 11, გვ. 7—15.

გადმოცემით კმაყოფილდებოდა. მისი ცნობით. რუსთველი თანამედროვე და თანამოღვაწე თამარისა (III, 79, 219, 357; VI, 679-682). იყო მესხეთის რუსთავიდან (II, 163; VI, 681). სწავლობდა რუსთავის სკოლაში. შემდეგ ტბეთში, გრემში, იყალთოში (II, 163; VI, 681) და ბლოს საბერძნეთში. განსწავლული და განათლებული მგოსანი ძალზე დაწინაურდა სასახლეში და მოლარეთუხუცესობაც კი მიიღო (VI, 682). აღნიშნული ცნობები, რომელთა სათავეს მეტწილად ქართული ხალხური სიტყვიერება წარმოადგენდა, იმ პერიოდში ძალზე გავრცელებული იყო და ი. გოგებაშვილიც უცვლელად იმეორებდა მათ.

აღსანიშნავია ი. გოგებაშვილის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის დამტკიცების ცდა. მას ღრმად სწამდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ რუსთველის ორიგინალური, — ან როგორც თვით წერდა — „თავისებური“, თხზულება იყო. მისი დაკვირვებით, დიდმა პოეტმა „მოიწადინა გამოეხატნა თამარი, საქართველოს წარჩინებულნი პირნი და აგრეთვე ღირსებანი და თვისებანი ქართველთა ერისა“ (VI, 682), მაგრამ ამის პირდაპირ, შეუნიღბავად მოცემა შეუძლებელი იყო. რადგან გარკვეულ უზერხელობას გამოიწვევდა. ამიტომაც ავტორმა „პოემას მისცა არაკის ფორმა. მოქმედება გადაიტანა არაბეთში და სხვა უცხო ქვეყნებში და მოქმედნი პირნი არაბების სახელებით გამოიყვანა“ (VI, 682). მისი დასკვნით, პოემაში შენიღბულად. ალეგორიულად. შეფარვით გადმოცემულია ქართველი საზოგადოებრიობის ცხოვრება. აღწერილია ქართველთა საქმიანობა.

ი. გოგებაშვილი პოემაში ეძებდა ქართველთა დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს და ამით ცდილობდა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის დასაბუთებას. მისი განცხადებით, პოემაში „ნათლად იყო დახატული მაშინდელის ქართველების ღირსებანი: პატივისცემა ქალისა, მფარველობა დაბალის წოდებისა, ძვირად დაფასება ნიჭისა. სამაგალითო ძმობა ჳირსა და ლხინში, ძლიერება სულისა, უშიშრობა ხიფათის წინაშე და სხვანი“ (VI, 682).

როგორც აღვნიშნეთ, რუსთველოლოგიაში ადრეც იყო ცდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებისა. აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა პოემის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაცია და მისი ისტორიული ანალოგიების დადგენის ცდა (დ. ჩუბინაშვილი), არამედ გმირთა ხასიათებში ქართველთა დამახასიათებელ თვისებათა შენიშვნა (თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე, ა. წერეთელი). მიუხედავად ამისა, ი. გოგებაშვილის ცდა



ვებუდავთ უცხო ენაზე: მთელი ისტორია საქართველოსი წარმოადგენს უდაბნოსა არაფრობისას, უეციობისას და ტუტუცობისასო. ამ ვერანა უდაბნოში ერთი თაზისიცი არ მოიპოვებაო. თვით რუსთველმა, პირველმა პოეტმა საქართველოსამ. თავისით ვერაფერი შექმნა და სპარსულიდგან ისესხა თავისი „ვეფხისტყაოსანი“. და ისიცი როგორ ისესხაო? ისე უხეიროდ და დედნების გაუგებრად. რომ სავსეა უაზრობით და სისულელითო. და ეს უნიკო ნასესხი მთელს საქართველოს ერს შვიდის საუკუნის განმავლობაში დიდებულ და თავისებურ ქმნილებად მიაჩნდა და დაბადებას გვერდს უყენებდაო“ (II, 232—233).

ქვემოთ ის ასევე მკაცრად და დაუნდობლად აკრიტიკებდა ნ. მარს:

„ამაზედ უკეთესი დღე არ დააყენა ჩვენს წარსულს ერთმა ჩვენებურმა პროფესორმა. მან ამ თორმეტის წლის წინათ ლალად გამოაცხადა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ თარგმანია ლექსად სპარსული პროზული მოთხრობისაო და მის დედანს მოკლე ხნის განმავლობაში აღმოვაჩინო. მთელი თორმეტი წელიწადი ეძება დიდი ძებნით და მსგავსი ვერაფერი აღმოაჩინა ვერც ევროპაში და ვერც აზიაში. მაგრამ თქვენ გგონიათ გატყდა თავის შეცდომაში... აბა რა საკადრისია. ეს ხომ ლაჩრობა იქნებოდა. ის ეხლაც გამალებული ეძებს „ვეფხისტყაოსნის“ დედანს და, მანამ ცოცხალი იქნება, ამ ძებნას არ მოიშლის“ (II, 233).

ი. გოგებაშვილს, — „ვეფხისტყაოსნის“ შესანიშნავ დამფასებელსა და ქომავს, — არ მოსწონდა ი. ჭაბადარისა და ნ. მარის აჩქარებული მსჯელობა, უსაფუძვლო მტკიცება და დაუკვირებლობა. ის მკაცრად აკრიტიკებდა მათ შეხედულებებს, უღმობლად კიცხავდა მათ არამეცნიერულ მეთოდებს. მას ვერ წარმოედგინა, რომ მწერალი, რომელიც ასე შეიყვარა მშობელმა ერმა და ასეთი უკუდავების შარავანდელით შემოსა, მხოლოდ მთარგმნელი იყო და არა ორიგინალური შემოქმედი. საყურადღებოა, რომ ი. გოგებაშვილი არა მხოლოდ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობას ამტკიცებდა და მის უარყოფელთ აკრიტიკებდა, არამედ ამასთანავე პოემის ეროვნული საფუძვლების დაძებნით ხალხში ეროვნული გრძნობის გაღვივებასაც ლამობდა.

ი. გოგებაშვილი აღფრთოვანებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ღრმადიდეურობითა და რუსთველის ცხოველყოფელი აზრით. მისი დასკვნით, „რუსთაველი იყო არა მარტო უნიკიერესი პოეტი, არამედ ბრძენი. რომელიც აზროვნებით ბევრად წინ უსწრებდა თავის დროსა“ (VI, 682). შუა საუკუნეების ბნელეთში ის „ქალს ერთ სი-

მალღებზე აყენებდა ვაჟთან“ („ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს. თუნდა ხვადია“); „ძარცვა-გლეჯისა და სხვისი ქონების მითვისების ხანაში“ ის სიკეთისაკენ მოუწოდებდა საზოგადოებას („რასაცა გასცემ, შენია; რას არა, დაკარგულია!“); ძალმომრეობისა და სოციალური უსამართლობის ეპოქაში ის ყმათა გათავისუფლებას ქადაგებდა („მიეც გლახაკთა საქურქლე, ათავისუფლე მონები“) და ა. შ.

ი. გოგებაშვილს უსაზღვროდ მოსწონდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის აზროვნება, აღაფრთოვანებდა პოემის „მდიდარი და ღრმა შინაარსი, ფრიად ხელოვნური გამოხატულება, მშვენიერი ლექსთწყობილება, სამაგალითო ენა, მიმართულება“ (VI, 682). მას კარგად ესმოდა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ღირებულება, დიდ სიამოვნებას ჰგვრიდა მისი ლიტერატურული ფორმა; გული სტიკოდა იმის გამო, რომ პოემა სათანადოდ ვერ იყო თარგმნილი უცხო ენებზე, არაქართველ მკითხველებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა მისი სრულად და ზუსტად აღქმისა და გაგებისა. აღნიშნული მდგომარეობის სიმწვავის შეგრძნებით ი. გოგებაშვილი ერთგან შემდეგს წერდა: „უცხოელნი ჩვენს „ვეფხისტყაოსანს“ იცნობენ უბრალო, მშრალი პროზული ნათარგმნით, რომელშიც მთლად გამქრალია ის მომხიბლავი სიმდიდრე და მუსიკა ენისა, რომელიც შეადგენს ერთს უმთავრეს ღირსებას ჩვენის ნაციონალურის ქმნილებისას. რამდენად უფრო მალა დააყენებდნენ იგინი შოთას უკვდავ პოემას, თუ მათ ქართულის ენის ცოდნა ნებას აძლევდეს თვითონ დედნის კითხვით გამოსცადონ ნეტარება, რასაც ჰგრძნობს ქართული გული და გონება“ (II, 235).

პოემის მხატვრული სამოსლის შენარჩუნებისა და უცხო მკითხველთან სრულყოფილად მიტანის სურვილით აიხსნება ი. გოგებაშვილის ზრუნვა „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულად თარგმნაზე. მას, როგორც ირკვევა; გარკვეული კავშირი ჰქონია ა. ლაისტან, როდესაც ეს უკანასკნელი რუსთველის პოეტურ ქმნილებას გერმანულ ენაზე თარგმნიდა. ამ საკითხზე ის კ. ლორთქიფანიძეს წერდა: „შეტყობილი გექნებათ, რომ ეს მეორე წელიწადია, რაც თბილისში შეეუდღექით „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნას ნემეცურ ენაზედ ლექსადვე. თარგმანი იკისრა ლაისტმა, რომელიც სწორედ ზედგამოჭრილია ამ საქმისათვის. ჩვენ დავაჩქარეთ ეს მარჯვე შემთხვევა ხელიდგან არ გაგვეშვა, რადგან ვინ იცის, იქნება სრულიად აღარადროს არ მოგვეცეს შემთხვევა ევროპულს ენაზე ჩვენი სასიკადულო ქმნილება გადაგვალეგინა შესაფერი ფორმით.... ამჟამად თარგმანი მთელი წიგნისა უკვე გათავებულია და წაკითხულიც არის ნემეცურის ენის



მეოცდენე პირების მიერ. ეს პირნი ერთხმად აღიარებენ. რომ თარგმანი შესრულებულია მშვენივრად. ხელოვნურადო“ (IX, 314).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ი. გოგებაშვილი სარგებლობდა რუსთველის გამონათქვამებით, თავის ნაწერებში იმორწმებდა მის სიტყვებს. აფორიზმებს და ა. შ რუსთველის გამონათქვამები:

1. მე გარდასრულვარ. სიბერე მკირს, კირთა უფრო ძნელია (36.1).
2. რასაცა გასცემ. შენია: რას არა, დაკარგულია (50.4).
3. სკობს სიოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი (800.4).
4. მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმელია (1323,4).

ი. გოგებაშვილის ნაწერებში ასეა წარმოდგენილი:

1. თვალი დაუდგეს იმ კირს, რომელსაც რუსთაველი ყველა კირზე ძნელს ემახის (IV, 224).
2. რასაც გავეცემ ჩენია: რაც არა, დაკარგულია (I, 177).
3. ნამრახ სიოცხლეს ისევ სიკვდილი სკობს (I, 480)
4. დიდი ხანია ნათქვამია (ძველთაგანევა ნათქვამი): მსგავსი მსგავსსა შობსო (III, 66; IV, 275).

რუსთველის ერთი ტაეპი (I, 1) უცვლელადაა შეტანილი „საგრა-მატიკო ბაასში“ (II, 93. იხ. აგრეთვე IV, 460) <sup>1</sup>.

ი. გოგებაშვილს თავის სახელმძღვანელოებშიც შეჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები თუ ცალკეული სტროფები. სახელ-ლობრ, „დედა ენაში“ შეტანილია შემდეგი ბრძნული გამონათქვამები:

- ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩეენია სულსა, გულსა (30.4; V, 301).  
სკობს სიოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი! (800.4; V, 23).  
კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების! (1094,4; V, 136).

მათგან პირველი ორი დაბეჭდილია უცვლელად, ხოლო მესამე ოდნავ გამარტივებულია („კოკასა შინა რაცა დგას, იგივე წარმოდინდება“) <sup>2</sup>.

„ქართული წერის დედანში“ შეტანილია ერთი აფორიზმი („სკობს სიოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“ 800.4; V 623) <sup>3</sup> და რამდენიმე სტროფი (32—39; V, 627).

<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი რუსთველს მიაწერდა ერთ ცნობილ გამონათქვამსაც: „თუ კაცი თვითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა“ (III, 120; IV, 683. იხ. აგრეთვე I, 324; V, 21, 623). მისი ერთი გამონათქვამი: „ბევრს იმერს წიგნის ცოდნა იმდენად სწყურიან, როგორც ცხელის უდაანოს მწყურვალს ირემს ცივის წყაროს დაწაფება“ (II, 453; IV, 8). რამდენადმე მოგვაგონებს რუსთველის სიტყვებს (855.3: 1656,4), მაგრამ ანალოგიური გამონათქვამები უფრო ძველ ძეგლებშიც გვხვდება (მაგალითად, „დავითნში“ — 44,1).

<sup>2</sup> ასეთივე ფორმით (ქართულ ენაზე) დაიბეჭდა ის „Русское право“-შიც (VII, 89).

<sup>3</sup> იხ. აგრეთვე VI, 683.

„ბუნების კარში“ დაიბეჭდა შემდეგი ნაწყვეტები: „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“, „ნადირობა“, „ნახვა არაბთა მეფისაგან მის უმისა ვეფხისტყაოსნისა“ და სხვ.<sup>1</sup> ი. გოგებაშვილი რუსთველის ტექსტს ხელს არ ახლებდა და თითქმის უცვლელად ბეჭდავდა.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ი. გოგებაშვილის მონაწილეობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემის საქმეში. როგორც აღვნიშნეთ, გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ქართველი საზოგადოებრიობის მოწინავე ნაწილმა გადაწყვიტა რუსთველის პოემის ტექსტის მეცნიერულად დადგენა. ი. გოგებაშვილმა რ. ერისთავსა და ი. მეუნარგიასთან ერთად სპეციალურად მიმართა საზოგადოებას და სთხოვა დახმარება ამ საშვილიშვილო საქმეში<sup>2</sup>. მალე შეიქმნა ქართველ მწერალთა კომისია (გ. ორბელიანი, დ. ყიფიანი, რ. ერისთავი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ი. მაჩაბელი და სხვ.), რომელმაც კარგად გაართვა თავი წამოწყებულ საქმეს და გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ 1888 წელს.

ამრიგად, ი. გოგებაშვილი საფუძვლიანად იცნობდა „ვეფხისტყაოსანს“, ვაჟაკურად იმალლებდა ხმას მის ხელმყოფელთა წინააღმდეგ და გულმოდგინედ ამტკიცებდა მის ორიგინალობას, მონაწილეობდა ტექსტის დადგენი კომისიის მუშაობაში და ხელს უწყობდა რუსთველის ბრძნული გამონათქვამების პოპულარიზაციას<sup>3</sup>.

## ვაჟა-ფშაველა

ქართული მწერლობის მშვენება და სიამაყე ვაჟა-ფშაველა კულტურულ-ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ძირითადად — ოთხმოციან წლებში. მართალია, მისი პირველი კორესპონდენცია „წერილი ხევსურეთიდან“ (V, 337—

---

<sup>1</sup> ბუნების კარი (მესამე გამოცემა), თბ., 1876, გვ. 142—143, 145—146, 178—186; მეხუთე გამოცემა, თბ., 1885, გვ. 436—447; მეშვიდე გამოცემა, თბ., 1900, გვ. 531—537.

<sup>2</sup> „დროება“, 1880. № 241.

<sup>3</sup> ი. გოგებაშვილის რუსთველოლოგიურ შეხედულებებზე იხ. ი. ჭავჭავაძის შვილი, მამულიშვილობა და მეცნიერება, თბ., 1904, გვ. 39—52; ს. იორდანიშვილი, იაკობ გოგებაშვილი და „ვეფხისტყაოსანი“, წიგნში: ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, გვ. 128—133; ლ. მენაბდე, იაკობ გოგებაშვილი და ძველი ქართული მწერლობა, „სკოლა და ცხოვრება“, 1965, № 11, გვ. 11—14; ი. მეგრელიძე, სამოციანელების დეაწლი რუსთველოლოგიაში, „მნათობი“, 1966, № 7, გვ. 138—139; ს. ხუციშვილი, შოთა რუსთველი და მისი პოემა ი. გოგებაშვილის ნააზრევში, „ორიონი“, თბ., 1967, გვ. 357—361.

338) <sup>1</sup> 1879 წლის იანვარში დაიბეჭდა<sup>2</sup>, მაგრამ მისი ლექსების, პოემების, მოთხრობებისა და დრამატულ თხზულებათა გამოქვეყნება ოთხმოციანი წლებიდან დაიწყო<sup>3</sup>. ამ დროისათვის რუსთველოლოგია რამდენადმე წინ წავიდა, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა. რუსთველოლოგიის, — ისევე, როგორც საერთოდ ძველი ქართული მწერლობის, — მრავალი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი კვლავ ბურუსით იყო მოცული.

ფშავის მშვენიერი სოფლიდან გამოსულმა გენიოსმა გულისყურით დაიწყო ძველი ქართული სასულიერო-საეკლესიო მწერლობისა და საერო-მხატვრული ლიტერატურის შესწავლა, ინტერესით გაიცნო თავისი სახელოვანი წინაპრების მრავალფეროვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა. ამ საქმეში მას ენერგიულად ეხმარებოდა მამამისი პავლე რაზიკაშვილი. ეს უკანასკნელი ქართული მწერლობის მოყვარული იყო. მისი შვილების, — თედო და სანდრო რაზიკაშვილების, ცნობით, მან შესანიშნავად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“<sup>4</sup>) „დავითიანი“ და სხვა ძეგლები<sup>4</sup>. პატარა ვაჟას მან შეაყვარა რუსთველის უკვდავი ქმნილება და ხალხური სიტყვიერების ბრწყინვალე ნიმუშები.

დიდი მგოსანი თავის ავტობიოგრაფიაში განსაკუთრებული სიბოთით იგონებდა მამას და საგანგებოდ აღნიშნავდა მის წიგნიერებას: „ეს პატარა ტანის კაცი განხორციელებული მხნეობა, ენერგია იყო, ამასთანავე იშვიათი ნიჭის პატრონი, ორატორი, ცნობისმოყვარე და

<sup>1</sup> ნარკვევის წერისას ვიყენებდით ვაჟა-ფშაველას თხზულებათა კრებულის საიუბილეო გამოცემას (ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული, I—V, თბ., 1961). დამოწმებისას რომელი რიცხვით აღვნიშნავთ ტომს, არაბულით — გვერდს.

<sup>2</sup> „დროება“, 1879, № 11.

<sup>3</sup> ვაჟა-ფშაველას პირველი ლექსი „მეომარი“ (I, 418) დაიბეჭდა 1881 წელს ჟურნალ „იმედში“ (III—IV, გვ. 35—36. უფრო ადრე დაუწერია მას „თხოვნა“. „ყარისის ბოლოს“, „დროება“ და „წინასწარმეტყველი“ — I, 415—417), პირველი მოთხრობა „სურათი ფშავლის ცხოვრებიდან“ (III, 7—12) — 1881 წელს („დროება“, № 184), პირველი პოემა „მოხუცის ნათქვამი“ (II, 5—9, 334—335), რომელიც 1883 წ. უნდა იყოს დაწერილი, — 1886 წელს („ივერია“, № 89), პირველი დრამატული ნაწარმოები „სცენა მთაში“ (IV, 201—206) — 1889 წელს („ივერია“, № 9).

<sup>4</sup> ს. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი. ვაჟა-ფშაველა. „ლიტერატურის მატთანე“, წიგნი № 1—2, 1940, გვ. 228; ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატთანე, თბ., 1940, გვ. 247; მისივე, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი (მასალები), თბ., 1961, გვ. 15; ე. რ ა ზ ი კ ა შ ვ ი ლ ი, პოეტების ოჯახში. თბ., 1965, გვ. 9.

მწიგნობარი... ქართულ ენაზე წიგნი არ მოიპოვებოდა, იმას არ შე-  
ძინა, არ წაეკითხა“ (V, 435).

აი, ეს ადამიანი. რომელსაც „სკოლა თვალთ არ ენახა, ან-ბანი  
მწყემსობაში შეესწავლა ჩუმად. ქურდულად, რადგან დედ-მამა  
უშლიდა თურმე სწავლას“ (V, 436), იყო მომავალი პოეტის პირველი  
მასწავლებელი და „როცა კი შინ იმყოფებოდა, მუდამ უამბობდა  
მას მოთხრობებს ძველი საღმრთო ისტორიიდან, წერა-კითხვას ას-  
წავლიდა ძველებურ წესზე“ (V, 436).

ვაჟა-ფშაველა შეუწევდა ინტერესით ეცნობოდა და ყურად-  
ღებით კითხულობდა ძველ წიგნებს. საგულისხმოა. რომ გენიალურა  
შემოქმედი ადრინდელი მეცადინეობის ხანას მიიჩნევდა თავისი  
მოღვაწეობის საფუძვლად. „რვა წლამდე ვიზრდებოდი ძველ წიგ-  
ნებზე; „ვეფხისტყაოსანი“, მზეკაბუკისა და ჭიმშედის ამბავი (დ. ჩუ-  
ბინაშვილის „ქრისტომატია“)¹ ...შეიქმნა ჩემ საყვარელ საკითხავ  
წიგნებად; ერთხელ წაკითხვას როდი ვჯერდებოდი, რამდენჯერმე უნ-  
და ერთი და იგივე გადამეკითხა: საგმირო ამბებს დიდ ალტაცებაში  
მოვეყვანიდი და სწორედ ის ხანა დაედვა საძიკველად, ლიბოდ, ჩემს  
შემოქმედობას“, — წერდა ვაჟა თავისი ცხოვრების ბოლო წლებში  
(V, 437).

ყველგან, სადაც კი სწავლობდა ვაჟა-ფშაველა. — თელავის სასუ-  
ლიერო სასწავლებელში (1869—1877), თბილისის სამოქალაქო სას-  
წავლებელში (1877—1879), გორის საოსტატო სემინარიაში (1879—  
1882), პეტერბურგის უნივერსიტეტში (1883—1884), — ის გამუდ-  
მებით კითხულობდა, ინტენსიურად ეწაფებოდა მწერლობას და  
სისტემატურად იმაღლებდა გონებრივი განვითარების დონეს².  
ოჯახსა და სასწავლებლებში მიღებული ცოდნა მან კიდევ უფრო  
გაიღრმავა შემდგომ წლებში.

ვაჟა-ფშაველა საფუძვლიანად იცნობდა სასულიერო-საეკლესიო  
მწერლობას. ბიბლიური სიუჟეტებისადმი ინტერესი მას ბავშვობაში  
გაუღვივდა (V, 436), ხოლო სწავლის პროცესში კიდევ უფრო გაუ-  
ღრმავდა საღმრთო წერილის ცოდნა. პედაგოგიურ ასპარეზზე მო-  
ღვაწეობისას, კერძოდ, დიდი თონეთის სკოლაში მასწავლებლობის

¹ მზეკაბუკის ამბავში ვაჟა უფროდ გულისხმობს „ამირანდარეჯანიანის“ ან  
კარს, რომელიც დ. ჩუბინაშვილის „ქრისტომატიაში“ გამოქვეყნებული (ქართული  
ქრისტომატია, I, 1846, გვ. 16—36). ჭიმშედის ამბავი კი „რუსულანიანის“ იქვე  
დაბეჭდილ ნაწივეტს წარმოადგენს (გვ. 36—73).

² ვაჟა-ფშაველას დაინტერესებას ლიტერატურით მისი თანამედროვენი სავან-  
გებოდ აღნიშნავენ (ს. ყუბანეიშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, გვ. 60.  
იხ. აგრეთვე ვ. რაზიკაშვილი, მამაჩემი ვაჟა-ფშაველა, თბ., 1961, გვ. 20).

პერიოდში, ის საღმრთო რჯულსაც ასწავლიდა<sup>1</sup> ააე რომ. სასურებრივი მოვალეობის გამოც უხდებოდა ადრე შექმნილი ცოდნის განმტკიცება და გაღრმავება.

ვაჟა-ფშაველა საკმაოდ ესესხებოდა ბიბლიას. მის თხზულებებში ვხვდებით ბიბლიურ გმირებს. ფაქტებს. ეპიზოდებს, პუნქტებს. მის ნაწერებში გვხვდება ბიბლიური ციტატებიც<sup>2</sup>. გარკვეულ ინტერესს იწვევს ლექსები: „მამა და შვილი“ (I. 187—188), „ნოე და ლვინო“ (I. 314). „სად არის ქრისტე ან მისი სწავლა?“ (I. 381). „მოულოდნელი ნუგეში“ (I. 406). „ქრისტე აღდგა!“ (I. 424) და სხვ. საყურადღებოა ბიბლიურ თემებზე დაწერილი პოემები „სეინდისი“ (II. 275—281) და „ეშმაკი“ (II. 451—454). დასახელებულ ნაწარმოებებში ავტორი ამჟღავნებს ბიბლიის საფუძვლიან ცოდნას.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება საფიქრებელს ხდის. რომ ნიჟიერა მგოსანი იცნობდა ქართულ ორიგინალურ აგიოგრაფიასა და ქართული ეკლესიის ისტორიის საკითხებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლექსები „წმინდა ნინო“ (I, 355. იხ. აგრეთვე I, 76. 109; V. 8). „ქებათა-ქება“ (I, 120—122) და სხვ.

უფრო საფუძვლიანად იცნობდა ვაჟა ძველ ქართულ საერო-მხატვრულ ლიტერატურას. მაღალ შეფასებას აძლევდა სარგის თმოგველს, პატივისცემითა და სიყვარულით მსჯელობდა მის „დიდებულ ნიჭზე“ (V. 273). მოწიწებით იხსენიებდა რუსთველის გვერდით (V, 100, 273, 275), როგორც მის ღირსეულ თანამედროვეს და გულისტვივლს გამოთქვამდა მისი „დილარიანის“ დაკარგვისა და ჩვენამდე მოუღწევლობის გამო (V, 275).

გარკვეული კავშირითიერთობა შეინიშნება სულხან-საბა ორბელიანსა და ვაჟა-ფშაველას შორის. როგორც ცნობილია, ვაჟა არა მხოლოდ დიდებული პოეტი იყო, არამედ შესანიშნავი პროზაიკოსიც. მისი პროზა ზოგჯერ უბაღლო იგავთმწერლის წიგნს გვაგონებს. ცალკეული ადგილები ისეთი მოთხრობებიდან. როგორიცაა „შელის ნუკრის ნაამბობი“ (III, 13—18), „მთის წყარო“ (III. 57—58). „ხმელი წიფელი“ (III. 74—76), „ქუჩი“ (III. 170—172), „მთანი მაღალი“ (III. 260—261) და სხვა უნებლიეთ გვაგონებს სულხან-საბას ენას, სტილს. წერის მანერას. თუმცა მათ შორის არც თემატურ-შინაარსობლივი მსგავსებაა და არც სიტყვიერი თანხვედნილობა. ვაჟას

ს. უბანეიშვილი. ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების პათიანე, გვ. 228—230.

<sup>2</sup> I. 96. 113, 132. 187. 188. 328. 355. 381, 406, 424; II. 55—56. 79. 126; 225, 244. 263, 275—281; III, 60. 70—73; IV, 40, 97, 152, 176—177; 10. 24, 25. 61. 75. 79. 162, 185, 223, 258, 269—270, 300, 324.

ენა. მსგავსად სულხან-საბა ორბელიანის ენისა, — მსუბუქი, მოქნილი და ღახვეწილია, აზრი შეკუმშული და დაწურულია, გამოთქმა მოკვეთილი და ამომწურავია, მეტყველება ლაკონიურია. აი, სწორედ ამაში ვხედავთ ჩვენ მსგავსებას ამ ორ მწერალს შორის.

აღორძინების ხანის ქართული მწერლობიდან ვაყას განსაკუთრებით მოსწონდა დავით გურამიშვილი. აღაფრთოვანებდა „დავითიანის“ მკვნიბარება და იდეური სიღრმე. ხიბლავდა მისი თვალწარმტაცი პოეტური სამყარო.

ძველი ქართული პოეზიის ტრადიციებითაა დავალებული და დ. გურამიშვილის პოეტური მკვნიბარებითაა გამსჭვალული ვაყას მთელი რიგი თხზულებანი, რომლებშიც შეიგრძნობა დ. გურამიშვილის ლექსის ელერადობა. მისი მელოდირობა, მისი რიტმი, მისი სახეები და სიტუაციები. ძველი ქართული პოეზიის ამ ბრწყინვალე წარმომადგენელთან ვაყას ანათესავებს არა მხოლოდ თემატიკა (სამშობლოს თავგადასავლის აღწერილობა, მშრომელი გლეხობის, კერძოდ. მწყემსების ცხოვრების ასახვა და სხვ.), მამულის სიყვარულის უფაქიზესი განცდა და პატრიოტული გრძნობის სიციხველე. ზეპირსიტყვიერებასთან მკიდრო კავშირი და ხალხური პოეზიის ნაკადით ჰარბად სარგებლობა, არამედ ბუნების სიმშვენიერის წვდომა. ბუნების ესთეტიკური ჰერეტის ობიექტად მიჩნევა. მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების მსგავსება და ერთიანობა<sup>1</sup>.

კლასიკური ხანის მწერლობიდან. — და საერთოდ ძველი ქართული მწერლობიდან, — ვაყა ყველაზე მეტად აფასებდა შოთა რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“. მას სიამაყის გრძნობას ჰგვრიდა „უკვდავი ნაწარმოები უკვდავი ადამიანისა“ (V, 281); აღაფრთოვანებდა ეს „დიდებული ქმნილება“ (V, 98). ვაყას „ვეფხისტყაოსანი“ ზოგადსაკაცობრიო თხზულებად მიაჩნდა, ხოლო მისი ავტორი — მსოფლიო გენიოსად. მისი განცხადებით, რუსთველი, — „თავის დროის შესაფერად ფრიად განათლებული კაცი, ფრიად დახელოვნებული ყველა დარგის მეცნიერებაში“, — „ხალხის შვილია, ხალხიდან გამოსული. ხალხურად მოქმელი“ (V, 274); ის „ერს ეკუთვნის და ერის ღვიძლი შვილია“ (V, 99). ვაყას დასკვნით, რუსთველი „ღვიძლი შვილია თავის ერისა, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელია, რომელშიაც მთელ ერს, მის კულტურულ ავლადიდებაა. როგორც ფოკუსში, მოუყრია თავი; იგი ამავე დროს სარკვა თავისი ერისა, არა ჩვეულებრივი, არამედ ცოცხალი. მისი ნაწარმოე-

<sup>1</sup> ლ. მენაბდე, ვაყა-ფშაველა და ძველი ქართული მწერლობა, ვაყა-ფშაველას ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1966, გვ. 178—191.

ბიც მუდამ ცოცხალია. სადაც იგი თავის-თავსა ჰხედავს, თავის „მე“-ს, თავის ვინაობას შესტრფის და შესტრფის იმასაც, ვინც ეს სარკე ისე მოაწყო. რომ ერმა ამ სარკეში ჩახედვით იცნო თავისი თავი. დიად, შოთა რუსთველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“ (V, 269).

ვაჟა კარგად იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს. როგორც აღვნიშნეთ. რუსთველის პოემა მან ჯერ კიდევ ბავშვობაში გაიცნო და შეიყვარა. თანამედროვეთა მოწმობით, ის ხშირად ზეპირად წარმოთქვამდა ცალკეულ სტროფებს<sup>1</sup> და საუბარშიც იმოწმებდა შოთას ბრძნულ გამონათქვამებს<sup>2</sup>. გვაქვს მითითება, რომ ვაჟა სხვებსაც აცნობდა „ვეფხისტყაოსანს“ და ახალგაზრდებს უკითხავდა ტექსტის ნაწყვეტებს<sup>3</sup>.

ვაჟა არა მხოლოდ იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, არამედ კარგად ერკვეოდა მის პრობლემებში და აქტიურ მონაწილეობას იღებდა რუსთველოლოგიის ცალკეული საკითხების ირგვლივ გამართულ მეცნიერულ კამათში. მის სამეცნიერო-კრიტიკულსა და პუბლიცისტურ წერილებში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის, მისი სიუჟეტის წარმომავლობის, პოემისა და ხალხური „ტარიელიანის“ ურთიერთობის, ტექსტის, ტიპაჟის, ენისა და სხვა საკითხები.

ზემოთ (გვ. 47—50, 110—111, 123—136, 146, 147) რამდენჯერმე მოვიხსენიეთ ქართველი საზოგადოებრიობის გამოსვლა ი. ჯაბადარისა და ნ. მარის წინააღმდეგ. როგორც აღვნიშნეთ. თითქმის მთელი მოწინავე ქართველობა აღდგა „ვეფხისტყაოსნის“ დასაცავად. ბუნებრივია, ასეთ საჭირობოროტო საკითხს არ შეიძლებოდა არ მიექცია ვაჟას ყურადღება. ის ჯერ კიდევ ადრეულ შრომაში (1890 წ.) ეხებოდა რუსთველის საკამათო სტროფს („ესე ამბავი სპარსული...“) და შენიშნავდა: სპარსულში „ვერაფერს მსგავს ამბავს ვერა ვპოულობთ“ (V. 98). სხვათა შორის, ვაჟა უკვე იმ დროს წერდა: „კარგად ვიცით. თუ რად

<sup>1</sup> თ. რაზიკაშვილი, ლუკა რაზიკაშვილი, „ლიტერატურის მატინე“-წიგნი № 1—2, 1940, გვ. 224; ე. რაზიკაშვილი, მამაჩემი ვაჟა-ფშაველა, გვ. 60, 83.

<sup>2</sup> ვ. ითონიშვილი, ვაჟა-ფშაველას წინაპრები (ეთნოგრაფის დღიურიდან). „მნათობი“, 1961, № 7, გვ. 174.

<sup>3</sup> ს. ყუბანეიშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი. გვ. 43—44. გარკვეულ ინტერესს იწვევს ის ლექსი, რომელიც ვაჟას მიუძღვნია თ. კახიშვილისათვის. მასში ავტორი ქართველ ქალს თინათინის სულერს სისპეტაკესა და ღიბუნებოვნებას უსურვებდა (ე. რაზიკაშვილი, მამაჩემი ვაჟა-ფშაველა, გვ. 147—148).

დაუძახა შოთამ სპარსული ტარიელის ამბავსო“ (V, 99), მაგრამ შემდგომი კომენტარებისაგან თავს იკავებდა. ამ საკითხს ის სპეციალურად შეეხო 1911 წელს გამოქვეყნებულ წერილში: „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“<sup>1</sup>.

ნ. მარისა და მის მიმდევართა შრომებით აღლვეებული ვაჟა წერდა: „საკვირველი მკვლევარნი აღმოუჩნდნენ ამ ბოლო დროს „ვეფხისტყაოსანს“ და საქმე იქამდის მიჰყავთ, ლამის ბედაურზე მჭდომი მისი ავტორი ლამანჩელი აზნაურის ჯაგლაგა როსინანტზე შესვან. საღერღელი „განქექილებისა“ ჩვენს ორიენტალისტებს აუშალა ბ. ნ. მარრმა. რომელმაც ამ ოცის წლის წინათ საჯაროდ აღიარა, თუმცა დღემდე არავითარი დამამტკიცებელი საბუთი მას არ წარმოუდგენია. რომ „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი თხზულება მას ენახოს ბრიტანიის მუზეუმში. ჩვენი მოლოდინი ნ. მარრმა ვერ გაამართლა. არაფერი მსგავსი „ვეფხისტყაოსნისა“ მან ვერსად ვერაფერი კპოვა. მაინც არ იშლის დღესაც და მაინც სჯერა. რომ „ვეფხისტყაოსნის“ დედანი ადრე თუ გვიან უსათუოდ აღმოჩნდება სპარსეთშიო“.

ვაჟა, მართალია. ნ. მარს „ორგულობას, ჩვენდამი მტრობას. განზრახ სიმართლის დამახინჯებას“ არ წამებდა, მაგრამ მკაცრად აკრიტიკებდა მის შეხედულებას, უღმობლად კიცხავდა მას დაუფიქრებლობისა და დაუკვირვებლობისათვის. მას არ შეეძლო „აღუშფოთველად“ გვერდი აეხვია ყოველივე იმისათვის, რაც რუსთველის შესახებ იწერებოდა. ვაჟას აზრით, ვაიკრიტიკოსები „ხელოვნური ნაწარმოების დამფასებლად“ არ გამოდგებოდნენ. პოემაზე მსჯელობა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც რუსთველის პოეტური სტრიქონების კითხვისას გრძნობს „დიადი ნიჭის ძლიერებას და ძლიერებას შემოქმედებისა, რომლითაც ეს თხზულება თავიდან ბოლომდე გაქლენთილ-გაციცკროვნებული“.

ვაჟას დაუშვებლად მიაჩნდა რუსთველის უბრალო მთარგმნელად გამოცხადება. ან ვინ დაიჭერებსო, რომ მთარგმნელი ასე შეიყვარა მშობელმა ერმა. ასეთი უკვდავების შარავანდელით შემოსა მისი სახელი, უკვნობი პოეტური გვირგვინით შეამკო იგი. „ერი რომ აგრე ადვილად აღმერთებდეს უბრალო მთარგმნელებს. როგორც შოთა ჰყავს გაღმერთებული ქართველ ერს, სათვალავი არ ექნებოდა, იმდენი გენიოსები და რუსთაველები ეყოლებოდა კაცობრიობას“. მან კარგად იცოდა, რომ მხოლოდ მთარგმნელობითი მოღვაწეობისათვის ერი ასე არ განადიდებდა რუსთველს. მისი გონებამახვილური შე-

<sup>1</sup> „განათლება“, 1911, V III. გვ. 441--452 (=V, 268--280. იხ. აგრეთვე იქვე, გვ. 281--290).



ნიშნით. „ეგრე ადვილი არ გახლავთ ერის სიყვარულის მოხვეჭა. მერე როგორი სიყვარულისა? — დიდად დიდი სიყვარულისა“.

იცავდა რა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობას. ვაჟა დაუნდობლად ამთრახებდა პოემის ვაიკრიტიკოსებს. მას ესმოდა, რომ კრიტიკა საჭიროა, მაგრამ ის უნდა იყოს ჭანსალი. სწორი. პრინციპული. მართებული. ასეთი კრიტიკისათვის აუცილებელია მასალის კარგი ცოდნა, საკვლევი ობიექტის საფუძვლიანი ანალიზი. „კრიტიკა საჭიროც არის“, მაგრამ საჭირო და აუცილებელია „უნარი კრიტიკისა და სწორი მეთოდი კვლევისა“. ეს კი, ვაჟას აზრით. ბევრ კრიტიკოსს აკლდა.

ვაჟა დაუნდობლად უყიყინებდა ნ. მარის მიმდევრებს საკუთარი აზრის უქონლობას, კვლევის დონის დაქვეითებას. მოჩვენებით ობიექტურობას, ნ. მარის ავტორიტეტისადმი ბრმა მორჩილებასა და მის მცდარ მოსაზრებათა უკრიტიკოდ მიღებას, შეწყნარებასა და გაზიარებას. ისინი „რუსთაველს ებლაუქებიან — ჩამოდი ბედაურიდან — მოპარულს ცხენზე ჰზიხარო“. მათი ობიექტურობა მხოლოდ თავრ დაზღვევაა და არა წმინდა მეცნიერული კეთილსინდისიერება. მათი „ობიექტურობა უფრო სამარცხვინოა და დამამკირებელი, ვიდრე რუსთაველის პატივისმცემელთა პატრიოტიზმი“. ასეთ მკვლევარებზე მინდობა არ შეიძლება. საშიშია: ისინი „ჩვენ ისტორიას. კულტურას ქარსა და წყალს“ ატანენ.

აი. ასეთმა კრიტიკოსებმა ჩაიგდეს ხელში რუსთაველის პოემა. „სწეწენ აღმა-დაღმა. გარდიგარდმო“ და გულმოდგინედ ცდილობენ დაამტკიცონ მისი სპარსულიდან წარმომავლობა. მათთვის ამოსაეალი შეიქმნა რუსთაველის სიტყვები: „ესე ამბავი სპარსული...“ დაიხვიეს ხელზე ეს განცხადება და კატეგორიულად იწყეს მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული დედნის შესახებ. მათ არ სცადეს რუსთაველის სიტყვების ახსნა, მისი განმარტება, ისინი „აღარ გასცდნენ დედნის ასოებს, — დაუწყეს ლექა იმათაც. რაც ამოიკითხეს... აქ გაიყინა იმათი კვლევა-ძიება“.

ვაჟა ირონიით შენიშნავდა, რომ კრიტიკოსებმა არ იფიქრეს თუ ეს ამბავი სპარსულია, თუ ეს არაკი სპარსულ სამყაროში გავრცელებული იყო, როგორ მოხდა, რომ მისი აღმწერი და გამლექსავი სპარსეთში არავენ აღმოჩნდა, მისი მხატვრული სახით გადმოცემა სპარსეთში არავენ ისურვა. „როგორ მოხდა, რომ ქართველმა საქართველოდან იპოვნა ეს ამბავი სპარსეთში, ხოლო სპარსელებმა კი ვეღარ თავის მშობელ ქვეყანა-სპარსეთში?“ ფირდოუსმა მაინც როგორ გაუშვა ხელიდან ეს შესანიშნავი ამბავი, რად არ დაინტერესდა. რად არ გამოიყენა? თუ იყო სპარსეთში ეს ლეგენდა, როგორ გაქრა.

როგორ დაიკარგა ასე უკვალოდ? ჩანს. არც არაფერი ყოფილა და არც არაფერი დაკარგულა.

ვაჟას დაკვირვება საეულისხმოდ და საყურადღებოა. მან სწორად განჭკრიტა და მართებულად დაასკვნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიმზიდველი და ერთობ საინტერესო სიუჟეტი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო დაუმუშავებლად სპარსეთში, ქვეყანაში, სადაც ერთსა და იმავე სიუჟეტს. — თუ კი ის საინტერესო იყო, — რამდენჯერმე ამუშავებდნენ (მოვიგონოთ, მაგალითად, „ლეილმაჯანუნიანი“, „იოსებზილიხანიანი“. „ხოსროვშირინიანი“ და სხვა ძეგლები) <sup>1</sup>.

საკითხის ამგვარად დასმით და მისი მახვილგონივრული გადაწყვეტით ვაჟამ ძირი გამოუთხარა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსულიდან მომდინარეობის თეორიას და მეცნიერულად დაასაბუთა პოემის ორიგინალობა. თანამედროვე რუსთველოლოგია მთლიანად იზიარებს მის პრინციპულ მოსაზრებასაც და საბუთიანობასაც <sup>2</sup>.

ვაჟამ უყურადღებოდ არ დატოვა რუსთველის სიტყვები: „ესე ამბავი სპარსული...“ და მისი განმარტება, მისი ახსნა, მისი შინაარსის გაგებაც სცადა. ის მართებულად შენიშნავდა, რომ „მკვლევარი და ამხსნელი სწორედ ამისთანა ორმაგად და ორჭოფად ნათქვამს უნდა“.

ვაჟას დაბეჭითებით სწამდა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობა, მისი ქართულობა და რუსთველის სიტყვები „ესე ამბავი სპარსული...“ სრულებით არ აღეღებდა და არ აშინებდა. ის „დიდ უმეცრად“ აცხადებდა მას, ვისაც პირდაპირ ესმოდა და სჯეროდა ამ სიტყვებისა და მათზე დამყარებით პოემას სპარსულიდან თარგმნილად მიიჩნევდა (V, 411). არც იმის თქმას მიიჩნევდა „დიდ ვაჟაკობად, რომ არავითარი სპარსულის ამბისა არა ურევია რა შოთას პოემაში“ (V, 411). ის შემდეგნაირად ხსნიდა რუსთველის სიტყვების მნიშვნელობას: ქართველი ფეოდალური საზოგადოებრიობა უცხო მწერლობას ეცნობოდა. უცხო სიუჟეტებს ეტანებოდა. მისი ყურადღების მოსაზიდად, მკითხველთა დასაინტერესებლად რუსთველმა „ნამდვილად მომხდარი ამბავი“ უცხოდ გაასადა, სპარსულად გა-

<sup>1</sup> აღ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 67—68.

<sup>2</sup> აღ. ბარამიძე, ვაჟა-ფშაველა — რუსთველოლოგი, „ლიტერატურული გაზეთი“, 21. VII. 61, № 30 (1252): „ვაჟა-ფშაველა“ (საიუბილეო კრებული), თბ., 1961, გვ. 29—39. გ. ჯიბლაძე, ვაჟა-ფშაველა (ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი), წიგნში: კრიტიკული ეტიუდები, II, 1955, გვ. 330—334 და შშდ. აღ. კიკვაძე, ვაჟა-ფშაველა და „ვეფხისტყაოსანი“. „საბჭოთა აფხაზეთი“, 7. IV. 61, № 69 (6348): გ. აბზიანიძე, ვაჟა-ფშაველა და „ვეფხისტყაოსანი“, საიუბილეო კრებული: „შოთა რუსთველი“, გვ. 233—244.

მოაცხადა. „რუსთაველის დროის არისტოკრატია დიდ გავლენას განიცდის სპარსულ ლიტერატურისას, გემოვნება საზოგადოებას სპარსულ მწერლობაზე იყო აღზრდილი: თუ არა სპარსულ უაღრესად დაწერილ ან სპარსული ჩამომავლობის ამბავს არა, არც კი წაიკითხავდნენ“. ე. ი. შოთამ ხარკი გაიღო ეპოქის მიმართ. საზოგადოების მიმართ, ამბავი სპარსულად გამოაცხადა. მაგრამ სინამდვილეში სპარსული ლიტერატურით არ უსარგებლია, სპარსული თხზულება არ უთარგმნია.

ვაჟას „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ ორიგინალურ ნაწარმოებად მიაჩნდა, არამედ მის ტექსტში თამარის დროის საქართველოს კონკრეტული პოლიტიკურ-ისტორიული ვითარების ანარქული ესახებოდა (იხ. ქვემოთ). რუსთველს სურდა თამარის ხანის აღწერა. მაგრამ შენიღბულად, თვალის ახვევით. ალეგორიულად, რათა ყოველივე არ გამომყდებულყო. მან „საიდუმლოებით მოცული შემთხვევა“ აღწერა და უცხო ამბად გამოაცხადა, რათა „საქართველოში და მეფის კარზე მომხდარი რაიმე ამბავი“ არ მოგონებოდა მკითხველს (V, 287). ერთგან ვაჟა საგანგებოდ წერდა: „ზვარაზმშას მოკვლა ტარიელისაგან და დავარისა თავის მოკვლა. მიჯნურობა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა, უნდა იყოს მიზეზი, რომ რუსთაველი თავის პოემის სიუჟეტს სპარსულს უწოდებს“ (V, 279).

ვაჟა სავსებით დარწმუნებული იყო „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობაში, ღრმად სწამდა მისი ქართულობა და გადაკრით აცხადებდა: „რომ რუსთაველი არ გვიხატავდეს თანამედროვე ეპოქას. ოქროს საუკუნეს, რომელიც იალბუზივით ქედმოღერებული სდგას მთელ საქართველოს ისტორიაში. არ აძლევდეს პასუხს უმთავრესს იმ საუკუნის კითხვაზე, მაშინაც კი ვერ ვიტყვოდით, თუ ტარიელის ამბავი უცხოეთიდან არის შემოტანილი, იმდენად ქართულია „ვეფხისტყაოსანი“, იმდენად ამოღებულია ქართველის გულიდან. იმდენად გამომხატველია მთელის ერის არსებისა“.

„ვეფხისტყაოსანი“ ორიგინალური თხზულებაა, ეროვნული ნაწარმოებია, „ამიტომ შეიყვარა ქართველობამ ეს პოემა და შეინახა ხორცა“. — ასეთია ვაჟას დასკვნა საცილობელ საკითხზე. მაგრამ ორიგინალურ ნაწარმოებში სიუჟეტი შეიძლება იყოს აღებული როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან, ისე ცხოვრებიდან. რით სარგებლობდა რუსთველი? იყენებდა ის ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს თუ რეალური ცხოვრების კონკრეტულ სურათებს? აი, კითხვები, რომლებიც ერთობ აღელვებდნენ და აინტერესებდნენ ვაჟას. ორივე საკითხზე მან სავსებით ჩამოყალიბებული შეხედულებანი შეიმუშავა.

განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ვაჟა „ვეფხისტყაოსნისა“ და „ტარიელანის“ ურთიერთობის საკითხს. მის პირველ რუსთველოლოგიურ წერილში სწორედ დასახელებულ ლიტერატურულ და ხალხურ ნაწარმოებთა ურთიერთობაა განხილული.

ამ საკითხზე ალ. ხახანაშვილმა გამოაქვეყნა სპეციალური წერილი. რომელშიც ამტკიცებდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ხალხურიდან წარმომავლობას<sup>1</sup>. მისი მოსაზრებით, პოემის საფუძველს ქართული ხალხური სიტყვიერება წარმოადგენს. ხალხურ პოეზიაში გაბნეული ნაწყვეტები პოემაში გაერთიანებული და გამთლიანებულია დიდოსტატის სელით. „ნაწყვეტი ლექსები ხალხისა გარდაქმნილა ლიტერატურულ პოემად. პოეტს შეუტანია კაცის ამამალღებელი და განმსაბეტაკებელი გრძნობა სიყვარულისა, თავიდგან ბოლომდე გაუტარებია ეს აზრი და ამით შეუერთებია დაწყვეტილი საერო ლექსები. შოთას გაუმშვენებია ხალხური პოემა ფილოსოფიურის მოსაზრებით, მეტყველის ენით, პოეტურის აღმაფრენით“. მკვლევარი საგანგებოდ აღნიშნავდა და დაბეჭდვით გახაზავდა მსგავსებას პოემასა და ხალხურ ნაწყვეტებს შორის (მოტივთა პარალელიზმი, სიუჟეტის ერთგვარობა. დეტალების თანხვედნილობა და სხვ.). ის არ გამორიცხავდა „ვეფხისტყაოსნის“ ამბის უცხოურ წარმოშობას. შეიძლება ამბავი უცხოეთიდან, კერძოდ, აღმოსავლეთიდან შემოსული იყოს, მაგრამ ამ მოარულმა ამბავმა საუკუნეთა მანძილზე ჩვენში ეროვნული სახე მიიღო.

თავის წერილში ალ. ხახანაშვილმა უარყო პოემის სპარსულიდან თარგმნის თეორია, — სპარსულიდან ლიტერატურული მომდინარეობა, — და პირველმა მოიწადინა ქართული ხალხური სიტყვიერების მოშველიებით რეალური საფუძველი დაეძებნა პოემის ორიგინალობის მტკიცებისათვის<sup>2</sup>. მიუხედავად ასეთი კეთილშობილური მისწრაფებისა, მისი კონცეფცია ერთობ მიუღებელი აღმოჩნდა საზოგადოებრიობის დიდი ნაწილისათვის<sup>3</sup>. განსაკუთრებით მკაცრად გა-

<sup>1</sup> ალ. ხახანაშვილი, ხალხში დარჩენილი „ტარიელის ამბავი“ და შოთას „ვეფხისტყაოსანი“. „ივერია“, 1890, № 25.

„ვეფხისტყაოსნის“ ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან წარმომავლობას ამტკიცებდა ალ. ხახანაშვილი სხვა შრომებშიც (А. Х а х а н о в, Грузинский поэт XII века Шота Руставели и его поэма „Барсова кожа“, ЖМНП, 1895, XII, გვ. 207—208; მისივე, Очерки по истории грузинской словесности, II, М., 1897, გვ. 251; მისივე, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, თბ., 1904, გვ. 337—364.

<sup>2</sup> მაშინვე გააყრიტკია ის ნ. მარმა (იხ. მისი „ვეფხისტყაოსნის“ გამო. „თეატრი“. 1890, № 12), მაგრამ მან სხვა, უფრო მძიმე, ხასიათის შეცდომა დაუშვა.

მოეხმარა მის წერილს ვაჟა-ფშაველა<sup>1</sup>. მისთვის საცესებით მიუღებელი აღმოჩნდა ალ. ხახანაშვილის თვალსაზრისი. ამიტომ მან თავგამოდებით გაილაშქრა მის წინააღმდეგ, მკაცრი პოლემიკური ტონით გასცა პასუხი „ვეფხისტყაოსნის“ ხალხური მასალიდან მომდინარეობის თეორიას.

თავდაპირველად ვაჟა მეთოდოლოგიურ საკითხებს განიხილავდა. მას კარგად ესმოდა, რომ სწორ მეთოდს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერული კვლევა-ძიების წარმოების პროცესში, მეთოდის სისწორეზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. „სამეცნიერო მოვლენათა გასაგებ-შესაგნებლად“ მეთოდს დიდი მნიშვნელობა აქვს; ის „სასწორია, საზომი, რომლითაც უნდა აიწონოს და გაიზომოს ასაწონი და გასაზომი“. თუ მეთოდი არ ვარგა, თუ საზომი ყალბია, მაშინ, ბუნებრივად, კვლევის შედეგიც მცდარი იქნება. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ „უშლიდა ძველს მეცნიერებს და მწიგნობრებს ამ ნამდვილ მეცნიერულ მეთოდის“ უქონლობა, ვაჟა ჩერდება მემატიაზე პრაქტიკული ცოდნის მხარეზე: „რა სანდობია თუნდ გულუბრყვილო მემატიაზე, რომელიც ერთთავად ზეცა-ღმერთს აბრალებდა ქვეყნის თავზე მოვლენილ უბედურებას: სიმშვილობა, სნეულება, ან მტრისაგან ქვეყნის აოხრება ცოდვათა ჩვენთა მოგვივლინესო, იტყოდა, დასწერდა და სრულიად დაკმაყოფილებული იმით, რომ მიზეზი აღმოაჩინა, დაასვენებდა ბატის კალამს, თითონაც გული დაუსვენებოდა“. მართლაც, რამდენ მემატიაზე ასე მარტივად გადაუჭრია ესა თუ ის საჭირობო საკითხი, ასე გულუბრყვილოდ აუხსნია ჩვენი დამარცხებისა და დაცემის საბედისწერო შეცდომები...

ვაჟას აზრით, ალ. ხახანაშვილმა საკითხის ღრმად შესწავლის, კემპარიტი გაგებისა და ახსნის ნაცვლად ყალბი მეთოდი გამოიყენა. ნაცვლად იმისა, რომ ჭერ დაეძებნა საბუთები და მათ საფუძველზე შეემუშავებინა დასკვნა, მან „წინასწარ შედგენილის აზრით დაიწყო საბუთების კვლევა-ჩხრეკა“, რაც, რასაკვირველია, მცდარი და მიუღებელი იყო.

ვაჟა გულსტიკივლით შენიშნავდა, რომ ალ. ხახანაშვილის გარდა ზოგიერთი სხვა მკვლევარიც ეჭვის თვალთ უტკერდა პოემას, ბევრს არ ესმოდა მისი საკაცობრიო მნიშვნელობა, არ გაეგებოდა მისი სიღიაღე და ღირსება. ის ცდილობდა ამისი მიზეზების გარკვევასაც:

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (ორიოდე სიტყვა პასუხად ბ-ნ ა. ხახანაშვილს). „ივერია“, 1890, № 39 (=V, 98—102). ამ წერილს გამოეხმარნენ მ. ჯანაშვილი (შოთა რუსთაველი, გვ. 55—56), ს. ქვარია (შოთა რუსთაველი და მისი პოემა, „მომამბე“, 1903, VII, განყ. II, გვ. 29; ცალკე გამოცემა, გვ. 33—34), ი. ვართაგავა (მოკლე მიმოხილვა ქართული მწერლობისა უძველესი დროიდან, „ერი“. 1910, № 1, გვ. 13—14) და სხვ.

„მიზეზი ამგვარის შეხედულებისა ორნაირია: პირველი ისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დიდებული ქმნილებაა, ეჭვში შეჰყავსართ: მართო ერთის კაცის ტვინისა და გულის ნაყოფი როგორ უნდა იყოსო; მეორე ის, რომ ეს ეჭვიანი ხალხი კარგად არ ჩაჰკვირვებია თვით თხზულებას და არ შესწევთ ძალ-ღონე ინდივიდუალური შემოქმედობა გაარჩიონ ხალხურიდან“.

ვაჟას ვარაუდით, რუსთველს გული უგრძობდა, რომ შთამომავლობა კარგად და ჭეროვნად ვერ გაერკვეოდა მის ნაწერში, შეიქნებოდა ცილობა, აზრთა სხვაობა და ამიტომაც საგანგებოდ დაბეჭითებით აცხადებდა: „ვეფხისტყაოსანში“ ხალხიდან — ქართველებიდან არც ლექსი და არც ამბავი არ არის აღებულიო“. ის სპარსული ლიტერატურისკენ მიგვივითებდა, მაგრამ „იქაც ხომ ვერაფერს მსგავს ამბავს ვერა ვპოულობთ“.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფის („ესე ამბავი სპარსული...“) ციტირების შემდეგ ვაჟა აცხადებდა: საკმაოდ გარკვეულია და ვიცით, თუ ვინ იყო პოეტის ხელმძღვანელი; ისიც ვიცით, თუ რად უწოდა მან ტარიელის თავგადასავალს სპარსული ამბავი. მაგრამ ამ წერილში მას ეს საკითხი ღრმად აღარ განუხილავს, მსჯელობა ბოლომდე აღარ განუგრძია, „ესე ამბავი სპარსული...“ აღარ გაუშიფრავს. ის მხოლოდ საკითხის ერთ მხარეზე ამახვილებდა ყურადღებას: თუ ეს ამბავი ქართველ ხალხში გავრცელებული იყო, რუსთველი სპარსეთში რადღა გაგვგზავნიდა? „თუ მართლა იყო ეს ამბავი და ერმაც იცოდა, ლექსებიც კი იყო და თვითონაც მიითვისა, — მაშ ვისღა ატყუებდა, ვის აჯერებდა, რომ სპარსული და არა ქართულიო?“ ვაჟასთვის წარმოუდგენელი იყო ასეთი ტყუილის თქმა. დიდი მწერალი თვით სიწმინდისა და სისპეტაკის განსახიერებას წარმოადგენდა და მისი ბუნება სიცრუეს ვერ ეგუებოდა. ასევე ვერ წარმოედგინა მას ასეთი სიყალბე რუსთველის მხრივ. ასეთი ყალბი განცხადება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო, ის ამას არ იკადრებდა. „ესე ცხადად მოტყუება ქვეყნისა და ამასთანავე თავის გამტყუნება თავის პირით მოსალოდნელია განა იმისაგან, ვისი სახელიც ეგრე ძვირად გვიღირს ქართველებს?!“ თუნდაც რომ ეკადრებინა რუსთველს ასეთი ტყუილის თქმა, ხომ მაშინვე გამოჟღავნდებოდა? მისი „თანამედროვე მოშიარენი და მწიგნობარნი“ ხომ გაიციხავდნენ ყალბი განცხადების, ხალხში გავრცელებული ამბის მიჩქმალვისა და მისი სპარსულად გამოცხადების გამო? ასე რომ, ვაჟას აზრით, ყოვლად დაუშვებელი და წარმოუდგენელია „ვეფხისტყაოსნის“ „ტარიელიანიდან“ მომდინარეობა. მან დამაჯერებლად უარყო ის აზრი, რომ თითქოს რუსთველმა თავის პოემას

ხალხური მასალა დაუდვა საფუძვლად. მისი მტკიცებით, პოემის „შინაარსი, ფორმა, მომენტები“ ლიტერატურულია და არა ხალხური. პოემის შექმნისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა „თამარის დიდებულ ეპოქას“ (იხ. ქვემოთ).

ალ. ხახანაშვილი „ვეფხისტყაოსნისა“ და „ტარიელიანის“ აზრობლივ მსგავსებას განაზავდა. საპასუხო წერილში ვაჟამ ცხადყო, რომ მათ შორის არა მხოლოდ აზრობლივი, არამედ ფორმალური მსგავსებაც არის.

განსაკუთრებით მწვავედ აკრიტიკებდა პოეტი ალ. ხახანაშვილს რუსთველის როლის არასწორად შეფასების გამო. თუ ხალხში არსებობდა ნაწყვეტები, რუსთველმა რაღა გააკეთა? — კითხულობდა ვაჟა. პროფესორის აზრით, შოთას „ხალხური პოემა გაუმშვენებია ფილოსოფიურის მოსაზრებით, მეტყველის ენით, პოეტურის აღმაფრენით“. მაშ, ხალხურს აღარაფერი ჰქონდა, აღარც აზრი, აღარც ფორმა? თუ კი ჰქონდა მაშინ რუსთველის როლი უმნიშვნელო ყოფილა. „გამოვიდა რომ რუსთაველს მარტო ერთმანერთზე მიუყოფიწებია ეს ლექსი, მოუქუჩებია ერთად, როგორც ახლა აგროვებენ ბევრნი სახალხო ლექსებს“. თუ ეს ასეა, მაშ თავმომწონედ რაღად მსჯელობს და რატომღა აკრიტიკებს სხვებს (—„მოშაირე არა ჰქვიან...“)?

✠ ვაჟამ მტკიცებით ლიტერატურული „ვეფხისტყაოსანი“ არის პირველადი და ხალხური „ტარიელიანი“ მასზეა დამოკიდებული. რუსთველის პოემა გავრცელდა ხალხში და თაობიდან თაობას გადაეცა. ხალხმა ის შეიყვარა, შეისწავლა, დაიმახსოვრა და „აზრი და ფორმაც დედნისა“ მრავალი წლის განმავლობაში შეინახა. ბუნებრივია, დროთა განმავლობაში ზოგი რამ დავიწყებას მიეცა, მაგრამ ის ხალხმა აღადგინა „დედნის ავტორის პაფოსის მინიჭებით“.

თავისი დებულების დასამტკიცებლად ვაჟა ერთმანეთს უდარებდა „ვეფხისტყაოსნის“ და „ტარიელიანის“ შესაბამის ადგილებს (ლიტერატურული: „ნანეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“; ხალხური: „ერთი კაცი ზღვისა პირსა ნამტირალი გვანდა გმირსა“) და განაზავდა მათ მსგავსებას „წყობით, რითმით, შინაარსით“. ლიტერატურული ტექსტის უპირატესობისა და პირველადობის საჩვენებლად, ხალხური თქმულების მასზე დამოკიდებულებისა და მისგან მომდინარეობის საილუსტრაციოდ ის მარჯვედ იყენებდა სათანადო მასალას, ყურადღებას ამახვილებდა „ტარიელიანის“ რითმათა ნაირფერობაზე: „ედემ და ომარეზე“ და სხვ.

თავის წერილში ვაჟამ სახვებით დამაჯერებლად ცხადყო, რომ ხალხურ „ტარიელიანს“ რუსთველის პოემა დაედვა საფუძვლად.

მისი მოსაზრება კიდევ უფრო დადასტურდა შემდგომი კვლევა-ძიებით. დღეს უკვე დადგენილია, რომ „ტარიელიანი“ მხოლოდ მკრთალი ანარეკლია გენიალური „ვეფხისტყაოსნისა“. ის შექმნილია „ვეფხისტყაოსნის“ მასალაზე, მისი უშუალო ზეგავლენის შედეგად<sup>1</sup>. „ტარიელიანს“ ზოგიერთი არსებითი ნიშანი (ქრისტიანული ნალექი მოგვიანო ეპოქისა, ლექსიკა, პოემიდან უცვლელად შეტანილი ციტატები, ლექსჩართული პროზა, მსუბუქი ლექსი, აღრევა „ამირან-დარეჯანიანისა“ და „როსტომიანის“ ეპიზოდებისა და სხვ.) აღორძინების ხანისეულად წარმოაჩენს<sup>2</sup>.

„ვეფხისტყაოსნისა“ და „ტარიელიანის“ ურთიერთობის საკითხს ვაჟა სხვა წერილებშიც იხილავდა. მაგალითად, წერილში „მცირე რამე კიდევ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“ (V, 410—411) ის დაბეჭითებით ამტკიცებდა პოემის ორიგინალობას, მაგრამ იქვე დასძენდა: „არც ის გარემოება დაამცირებს შოთას დიდებულს პოემას, რომ ის იყოს აგებული რაიმე ზღაპარზე — სპარსულზე, არაბულზე თუნდა ქართულზე“. მ. ჩიქოვანის აზრით, „ამ შენიშვნაში ვაჟას პოემა-რომანის სიუჟეტის ფოლკლორული წარმოშობა შესაძლებლად მიაჩნია“<sup>3</sup>. შევეცდებით ვაჩვენოთ, თუ რამდენად სწორია ეს განცხადება.

1911 წელს ვაჟა დაბეჭითებით აცხადებდა: „ვეფხისტყაოსანი“ არაფერს დაჰკარგავს ერის გულში, მას არ მოაკლდება სიყვარულო ერისა, თუნდა ათასმაც დაამტკიცოს მისი სპარსულიდან „ნათარგმანობა“ (V, 281—282); „აღმოჩენა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა სპარსულ ლიტერატურაში თუ სპარსულ ხალხურ ზეპირგადმოცემაში სრულებითაც არ დაამტკიცებს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ორიგინალური, ღრმა ეროვნული ნაწარმოები“ (V, 271).

1914 წელს, ი. ვართაგავასთან პაექრობისას, ვაჟა კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან მოხმობილი მაგალითებისა და საკუთარი შემოქმედებითი პრაქტიკის გათვალისწინებით ის მსჯელობდა ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და მწერლის ურთიერთობაზე, ხელოვანის მიერ ხალხური მასალის გამოყენებასა და გადაამუშავებაზე და მართებულად ასკენიდა, რომ „ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადულა, მასალიდან ახალი

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 385—392.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II<sup>4</sup>, გვ. 168.

<sup>3</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ფოლკლორი, თბ., 1946, გვ. 173; მისივე ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952, გვ. 175; მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, თბ., 1956, გვ. 175.



რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა, ერის გულში ამისთანა ნაწარმოები ბინას ვერ იპოვნის, იქ ვერ დაისადგურებს და ვერც ხელოვნურ ნაწარმოებად ჩაითვლება“ (V, 314). შემდეგ ის ასახელებდა შექსპირისა და გოეთეს თხზულებებს („ჰამლეტი“, „მეფე ლირი“, „ფაუსტი“ და სხვ.) და დასძენდა: „ესევე ითქმის დიდებულს შოთაზე და მის „ვეფხისტყაოსანზე“ (V, 315).

ვაჟას უკანასკნელი გამონათქვამები ზოგიერთმა მკვლევარმა თავისებურად გაიგო. მაგალითად, კ. ჭიჭინაძის აზრით, ვაჟა „ვეფხისტყაოსნის“ ამბის ხალხურობას აღიარებდა<sup>1</sup>.

მ. ჩიქოვანი<sup>2</sup> იცავდა რა „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარეობის თეორიას, მკაცრად განიხილავდა ვაჟას ადრინდელ შეხედულებებს, ხოლო მისი გვიანდელი შეხედულების გამოწერდა: „1911 წელს და შემდეგაც პოეტი კვლავ უბრუნდება რუსთაველის პრობლემას. 1911 წელს უფრო. „განათლების“ მე-8 წიგნში დაიბეჭდა მისი „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“. ამ წერილის კილო აღარ ჰგავს 1890 წლის „პასუხის“ კილოს. ავტორი ახლა დამშვიდებით მსჯელობს, აღარ ცხარობს ლეგენდის ან სიუჟეტის აღმოჩენის შესაძლებლობის გამო. სულ ერთია, ამბავი სადაურიც არ უნდა იყოს, რუსთაველი მაინც რუსთაველია; საქმე ის არის, თუ როგორ გარდაქმნა პოეტმა ადრე არსებული ამბავი და შემოქმედების რა სიმაღლეზე აიყვანა იგი“. მისი დასკვნით, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პირველწყაროების ძიებაში ვაჟა-ფშაველას შეხედულებებმა ევოლუტია განიცადეს. პოეტურმა სიმართლემ იგი ლიტერატურის ისტორიკოსთა რიგებიდან ფოლკლორისტთა ბანაკში გადაიყვანა<sup>3</sup>.

ვაჟას გვიანდელ შეხედულებათა განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება: იმ პერიოდში ძალზე მწვავედ იდგა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხი. როგორც აღვნიშნეთ,

<sup>1</sup> კ. ჭიჭინაძე, „ვეფხისტყაოსნის“ უზბეკური ვერსიები, „მნათობი“, 1938, № 10, გვ. 167.

<sup>2</sup> მ. ჩიქოვანი აგრძელებს ალ. ხახანაშვილის ხაზს და იცავს „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარეობას. იხ. მისი ნინასიტყვაობა ხალხური „ვეფხისტყაოსნისა“ (თბ., 1938, გვ. 1—68), წერილები: შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი (კრებული: „შოთა რუსთაველი სკოლაში“, გვ. 153—195), შოთა რუსთაველი და ხალხური შემოქმედება („მნათობი“, 1937, № 12, გვ. 195—219) და სხვ. ახლახან მ. ჩიქოვანმა გამოაქვეყნა კიდევ ერთი საყურადღებო წიგნი: შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი. თბ., 1966.

<sup>3</sup> მ. ჩიქოვანი. ქართული ფოლკლორი. გვ. 171, 173; მისივე, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, გვ. 174, 176.

ზოგიერთი მკვლევარი მის სპარსულიდან წარმომავლობას ამტკიცებდა, ხოლო ზოგი მის ძირებს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ეძებდა. მართალია, ვაჟას გარკვევით ჩამოყალიბებული შეხედულება კქონდა როგორც პოემის ორიგინალობის, ისე მისი ხალხურ მასალასთან ურთიერთობის შესახებ, მაგრამ, რადგან ამ საკითხზე გაცხარებული კამათი იყო გაჩაღებული და ზოგიერთი მკვლევარი ამ კამათს ქართველთა საზიანოდ და რუსთველის დასამცირებლად იყენებდა, მან, სხვათა მსგავსად, განაცხადა: თუნდაც დაიძებნოს „ვეფხისტყაოსნის“ ხალხური ან ლიტერატურული საფუძველი, ამით რუსთველის დიდებას არა დააკლდება-არაო.

აღსანიშნავია, რომ ასეთივე აზრია გატარებული ვაჟას თანამედროვე მოღვაწეთა ნაწერებშიც (ნ. ნიკოლაძე, თ. ჟორდანიას, ი. ნაკაშიძე და ა. შ.).

როგორც ჩანს, რუსთველით აღფრთოვანებული ქართველი მოღვაწენი პოემის წყაროების (—უცხო თუ ხალხური) მაძიებელთა გასაგონად აცხადებდნენ: საფუძვლის დაძებნით რუსთველის სახელს ჩრდილი არ შიადგებაო. ვაჟა-ფშაველა ამ გავრცელებული აზრის ერთ-ერთი გამომხატველია<sup>1</sup>.

ფრიად საგულისხმოა მისი შეხედულებანი მწერლისა და ხალხური მასალის ურთიერთობის შესახებ. მას ესმოდა, რომ მწერლისათვის საჭირო და აუცილებელი იყო ხალხური ზეპირსიტყვიერების ცოდნა და გამოყენება (V, 47), მაგრამ, როგორც ზემოციტირებული სიტყვებიდან (V, 314) ჩანს, მისი აზრით, მთავარი მაინც ოსტატობაა. მთავარი მაინც ისაა, თუ როგორ გარდაქმნის მწერალი ხალხურ მასალას, რა სახეს მისცემს მას, როგორ აამეტყველებს და როგორ სულს ჩაუდგამს მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში ჩატარებულ მუშაობას ვაჟა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. „თავი და თავი ავტორია და არა ლეგენდა“ (V, 272, 286), — აცხადებდა ის და მართებულად ასკვნიდა: „რაც უნდა დიდებული იყოს ზღაპარი, თუ მან არ გაიარა პოეტის ფანტაზიის და გონების მანგანაში, თუ მას პოეტმა არ ჩაჰბერა უკვდავი სული, როგორც ღმერთმა თიხიდან შეზელილს ადამს. და იგი ზღაპარი თუ ლეგენდა არ შეუისხლხორცა საკუთარს სულსა და გულსა, არაფერი გამოვა, — თავის დღეში „ვეფხისტყაოსანისთანა“ თხზულება არ დაიწერება“ (V, 271).

ამრიგად, ვაჟა „ფოლკლორისტთა რიგებში“ არ გადასულა, მან „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარეობა არ შეუწყენარებია. ის ზოგადად განიხილავდა პოემის შესაძლებელი ხალხუ-

<sup>1</sup> იხ. ზემოთ გვ. 126—128.

რი საწყისების საკითხს, მაგრამ მას დაბეჭითებით მიიჩნევდა „ორგინალურ, ღრმა ეროვნულ ნაწარმოებად“ (V, 271), რომელშიც „დასურათებულია მისი თანამედროვე ეპოქა“ (V, 410), აღწერილია „ნამდვილად მომხდარი ამბავი“ (V, 272). ამ საკითხს განიხილავდა ვაჟა მთელ რიგ სამეცნიერო-კრიტიკულ წერილებში და დაბეჭითებით ამტკიცებდა რომ „ვეფხისტყაოსანში“ კონკრეტულ-ისტორიული ვითარებაა ასახული, მაგრამ ყოველივე ამას ავტორი აღწევს აზრისა და ფაქტის შენიღბვის გზით. პოემაში საქართველო არც კი იხსენიება, მოქმედება უცხოეთში წარმოებს, მოქმედი გმირები უცხოელები არიან, მაგრამ ეს, რასაკვირველია, წინასწარგამიზნული და მოფიქრებულია. „შესაძლებელია განა ესა, თუ მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ალეგორია არ არის? სწორედ რომ ალეგორიაა“, — აცხადებდა ვაჟა (V, 272) და გადაჭრით ემხრობოდა იმ მეცნიერებს, რომლებიც რუსთველის პოემაში ისტორიულ ალეგორიებს ეძებდნენ. მისი აზრით, რუსთველმა განზრახ, „თვალის ასახვევად“ (V, 287), მიმართა ალეგორიას, „რათა ის ნამდვილად მომხდარი ამბავი დაგვიხატოს, რომლის მოწამეც თავად არის, რაც მეფე თამარს და მის მეუღლეს შეეხება“ (V, 272).

ვაჟა კატეგორიული ტონით აცხადებდა: „არავითარი ექვი არ უნდა გვექონდეს იმაში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არაკი ნამდვილი ამბავია, მომხდარი საქართველოში; ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი და სხვა და სხვა ისტორიული პირები არიან გადასხვაფერებულის სახელებით. ჩანს, ამ ამბის გამომქლავება არ ესია მოვინებოდა თამარს და მის მეუღლეს“ (V, 273).

ვაჟა სხვა წერილშიც დაბეჭითებით ამტკიცებდა, რომ რუსთველი თავისი ეპოქის სურათებს იძლეოდა, თავის თანამედროვე გმირებს ხატავდა, რადგან თანადროულობა პოეტურ აღმაფრენას მატებდა მას. „თამარის დიდებული ეპოქა, თავის გამოჩენილ ისტორიულის პირებით, მჩქეფარე, გამარჯვებული ცხოვრება აღაფრთოვანებდა შოთას, აყვარებდა მის ჩანგს, აძლევდა მასალას ტიპების შექმნისას. შინაარსს „ვეფხისტყაოსნისათვის“ (V, 99). რუსთველი არა მხოლოდ თანამედროვეა მის მიერ აღწერილი მომხდარი ფაქტისა, არამედ „მოწამე და მონაწილეც“ (V, 287). მას მხედველობიდან არ გამორჩენია ეპოქის საჭირობო საკითხები. კერძოდ, ის საკითხი. რომელიც ერთობ აღელვებდა მისი ღრმის ქართველ საზოგადოებრიობას — „მოეწვიათ თუ არა ქართველებს უცხო ტომის კაცი თამარის მეუღლედ“. ამ რთულ კითხვას ისიც აუღელვებია. მისი „გული, როგორც მოწინავე კაცისა, ამ საკითხავით უნდა ყოფილიყო გამსკვალული. მოწვევა უცხოელისა თამარის მეუღლედ ორნაირად შეუ-

რაცხმყოფელი იყო შოთასი: ერთი, რომ ერისა, თავის ქვეყნისათვის სასარგებლოდ არ მიიჩნევდა ამას საღი გონება და, მაშასადამე, იტანჯებოდა მისი ეროვნული გრძნობა, მეორე, ამ მოწვევით პატრონი უჩნდებოდა მის ხელმძღვანელს, მაშასადამე, იტანჯებოდა მისი პირადი გრძნობა სიყვარულისა“ (V, 100). საგულისხმოა, რომ ვაჟას აზრით, თამარი რუსთველის ტრფობის ობიექტია, მისი ხელმძღვანელია (V, 99—100, 287), ხოლო რუსთველი, რომელსაც „ტარიელად თავისი თავი ჰყავს წარმოდგენილი და ან კიდევ თავის მდგომარეობას ამსგავსებს, უერთებს ტარიელისას“ (V, 274, 288)<sup>1</sup>, — თამარის მეხოტბე, შემსხმელი და შემამკობელია (V, 274), მისი ერთგული მადიდებელია (V, 287).

ვაჟა არ კმაყოფილდებოდა „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულობის ჩვენებით, ამას არ ჯერდებოდა მისი ორიგინალობის სამტკიცებლად და სხვა საკითხებზეც ამახვილებდა ყურადღებას. კერძოდ, ორიგინალობის საკითხთან დაკავშირებით ეხებოდა ის პოემის ტიპაჟსა და ენას.

„ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჟის შესწავლისა და განხილვისას ვაჟა პირველ რიგში პოემის გმირთა ქართველობის ჩვენებასა და დამტკიცებას ცდილობდა. მისი მოსაზრებით, მართალია, რუსთველმა თავისი ამბავი უცხოურად გამოაცხადა, მოქმედება უცხოეთში გადაიტანა და, შესაბამისად, გმირებადაც უცხოელები გამოიყვანა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ ჩაიდინა, რომ „პარმონია არ დარღვეულიყო, ყველას შესაფერად აღესრულებინა თავისი როლი და ყველა გმირი თავთავის ალაგას ყოფილიყო“ (V, 277), მაგრამ ჭეშმარიტი ვითარების მიჩქმალვა ერთობ ძნელი და ხშირად შეუძლებელიც კი არის. ამის გამო „სინამდვილე—მოქმედ პირთა ქართველობა, მოპარულს მამალივით მაინც ბოლოს აჩენს“ (V, 277). ამ გარემოებამ კი მისცა ვაჟას საფუძველი კატეგორიულად განეცხადებინა: „ასპარეზი შოთას გმირების მოქმედებისა და მათი სამშობლო საქართველოა“ (V, 290).

სავსებით დარწმუნებული იყო რა პოემის გმირთა ქართველობაში, ვაჟა ხაზგასმით აღნიშნავდა: „რო წაიკითხოს ქართველმა კაცმა „ვეფხისტყაოსანი“, შიგ ისეთი სუნი ტრიალებს, ერთ მოქმედ პირზედაც ვერ იტყვი, ქართველი არ არისო“ (V, 277). ქართველებად მიიჩნევდა ის ტარიელსა და ავთანდილს, რადგან მათ სიყვარულის

<sup>1</sup> ერთ წერილში ვაჟა იწონებდა ს. ქვარიაშვილის რუსთველოლოგიურ ძიებას და იწყნარებდა მის აზრს დემნა-ტარიელის იგივეობის შესახებ. ის ამ წერილშიც დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილია თამარის ხანის კონკრეტული სურათი (V, 410—411).

ზნეობრივად გამაფაქიზებელი და სულიერად ამამაღლებელი გრძნობა ამოქმედებთ, ისინი ქართულ-ქრისტიანულად იქცევიან — „ერთი უჩანთ სათაყვანოდ, ერთსა კისმე ამიყობენ“, ეს კი, — ვაჟას შენიშენით, — „პარამხანის უარყოფელია“ და, მაშასადამე, „შეუძლებელი იყო აღმოცენებულიყო მაჰმადიანთა გულგონების ნიადაგზე“ (V, 277); ქართველად მიიჩნევდა ის ნესტანს, რომლის სიტყვასა და მოქმედებაში ვინც „ქართველ ქალობას ვერ იგრძნობს, ის რა ქართველი უნდა იყოსო“ (V, 277); ასმათი მას მთიელ ქალს აგონებდა (V, 290) და ა. შ.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირებზე მსჯელობისას ვაჟა არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ზემოთქმულით, არ შემოიფარგლა გმირთა ქართველობის ჩვენებით, მან კარგად გაიგო და გაიაზრა რუსთველის გმირთა არა მხოლოდ ქართული სპეციფიკური თვისებანი, არამედ სწორად განჭვრიტა მათი ზოგადსაკაცობრიო ნიშნებიც, კერძოდ, კარგად გაიგო ტარიელის „დიდბუნებოვანობა“ (V, 402), ნესტანის ხასიათის სიმტკიცე (V, 277—278), ავთანდილისა და ფრიდონის ერთგულება მეგობრისადმი (V, 402) და სხვ.

ინტერესს იწვევს ვაჟას მსჯელობა რუსთველის ენის შესახებ. მართალია, მას არც პოემის ენობრივი ნორმები შეუსწავლია სპეციალურად და არც მისი მხატვრული ენის სპეციფიკურობა, მაგრამ მისი ნაზრები ყურადღებას იმსახურებს იმდენად, რამდენადაც ვაჟა რუსთველის ენას „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის კვლევის სფეროში ათავსებდა. მას ნათლად ესმოდა მშობლიური ენის მნიშვნელობა მწერლის შემოქმედებითი საქმიანობის პროცესისათვის: „დედაენა, მისი სიტყვების აკინძვა, მისი მიმოხვრა ერთნაირი ამამოძრავებელი ძალაა, ზეშთაბერვა, პოეტის აღმაფრთოვანებელი მუსიკა, მისთვის ძალღონის მიმცემი თვით წერის დროს, მეორე მუზაა“ (V, 262). მშობლიური ენა ძალას მატებს მწერლის გამომსახველობით ნიქს, უფრო სრულყოფილ ფორმას აძლევს ლიტერატურულ ნაწარმოებს. შემოქმედისათვის აუცილებელია დედაენის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, მისი სიყვარული (V, 261).

ვაჟამ კარგად იცოდა, რომ „ქართული ენა გუშინ მოგონილი არ არის. იგი ძალიან დიდი ხნისაა, უკვე დამთავრებული, დახარებული ვაჟაკია“ (V, 160). მისი საშუალებით ქართველი მწერალი აღწევს გარკვეულ წარმატებას, ნაწარმოების იდეურ-შემეცნებითი მხარის ნათლად წარმოჩენას. ბევრი დიდი მწერალი ენის შესანიშნავი მცოდნე და მისი შინაგანი სიღიადის ბრწყინვალე წარმომჩენელია. ვაჟას ასეთ მწერლებად შიაჩნდა რუსთველი და დ. გურამიშვილი და ამაყად აცხადებდა: „ნიჭიერ მწერლებად და ენის მაგალითად ჩვენთვის

მხოლოდ ორი მწერალი კმარა — შოთა რუსთაველი და დავით გუ-  
რამიშვილი“ (V, 160).

ვაჟას რწმენით, ყველა მწერალმა, — და, მით უმეტეს, დიდმა  
მწერალმა, — მშობლიურ ენაზე უნდა წეროს, მშობლიური ენით  
უნდა გადმოცეს თავისი ნააზრევები, რათა ის მშობელი ხალხისთვის  
ადვილად გასაგები და შესაცნობი იყოს. ერთ წერილში ის ასე მსჯე-  
ლობდა: „როგორ შეიძლებოდა რუსთაველს მონგოლურად ან არა-  
ბულად ეფიქრა, ეგრძნო და ისე დაეწერა „ვეფხისტყაოსანი!“ ან  
დიდი მცოდნეც რომ ყოფილიყო მონგოლურის და არაბულის ენე-  
ბისა და იმათ ენაზე დაეწერა თავისი უკვდავი ნაწარმოებები, ის იქნე-  
ბოდა, რასაც დღეს ვხედავთ? არც მესამედი!“ (V, 261). სხვა წერილ-  
შიც ანალოგიურ აზრს ავითარებდა: „რა იქნებოდა დიდებულ შო-  
თას „ვეფხისტყაოსანიც“ რომ რუსულ ან თათრულ ენაზე დაწერი-  
ლიყო? ჩვენთვის განა ის მნიშვნელობა ექნებოდა, რაც დღესა-  
აქვს?“ (V, 265).

სხვათა შორის, ვაჟას აზრით, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ ჰეშმა-  
რიტად ეროვნული ნაწარმოებია, — ერის სულისკვეთების გამომ-  
ხატველი და მისი აზრის გადმომცემი, — მის არსს ყველაზე მეტად  
ქართველი შეიგრძნობს (V, 213—214).

ვაჟა რუსთაველის ენას „წმინდა ხალხურად“ (V, 275) მიიჩნევდა.  
მისი დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსნის“ როგორც ენა<sup>1</sup>, ისე ლექსთა  
წყობაც დღესნამდე მთაშია დაცული უნაკლულოდ“ (V, 275). საგუ-  
ლისხმოა, რომ ფშაველი მგოსანი „ვეფხისტყაოსნის“ ენასა და  
ლექსთწყობას. ფშაურს უკავშირებდა<sup>2</sup> და ნ. მარის გამოკვლევის  
საფუძველზე რუსთაველ-ჩახრუხაძეს ფშაველად მიიჩნევდა („თუ  
მართლა რუსთაველი და ჩახრუხაძე ერთი და იგივე პირია, მაშინ  
რუსთაველის ფშაველობაც დამტკიცდება, რადგან ჩახრუხაძე ყინე-  
ნელი იყო“ — V, 289), მაგრამ შემდგომმა კვლევა-ძიებამ არც ნ. მა-  
რის მოსაზრება დაადასტურა და არც ვაჟას ვარაუდი გაამართლა.

საყურადღებოა ვაჟას დაკვირვებანი „ვეფხისტყაოსნის“ ტექს-  
ტოლოგიურ საკითხებზეც. ის განიხილავდა როგორც პროლოგ-ეპი-  
ლოგის, ისე საკუთრივ ძირითადი ტექსტის საკითხებსაც და აკრიტი-  
კებდა იმ მკვლევარს, რომელმაც უარყო პოემის „წინა და უკანა-

<sup>1</sup> ბ. ხოსიტაშვილი, ნიკო კურდღელაშვილის შეხვედრები ვაჟა-ფშა-  
ველასთან, „მნათობი“, 1961, № 7, გვ. 100.

<sup>2</sup> ვაჟას ერთ-ერთი გმირი ზოგიერთი ენობრივი ნიშნისა და ლექსიკური მო-  
ნაცემების საფუძველზე „ვეფხისტყაოსანის“ ფშაველის დაწერილად მიიჩნევდა.  
(IV, 140—141).

სიტყვაობა“ (V, 269)<sup>1</sup>. მან მოგვცა პროლოგის ძარბებული ანალიზი (ყარგად გაიზარა რუსთველის ხელოვნების თეორია), სწორად გან-  
კვირითა მისი შინაარსობლივ-სტრუქტურული ხასიათი და დაასაბუთა-  
მისი რუსთველისადმი კუთვნილება<sup>2</sup>.

ვაჟას გულისწყრომას იმსახურებდნენ პოემის ის „გამქიქებელნი,  
ყალბი ადგილების აღმომჩენნი, რომელთაც მართლაც და ყალბ  
ადგილებს წიხლითა და ქისტის ცემით ნამდვილი პოეტის გონების  
და გრძნობის ნაჟურიც ზედ მიაყოლეს“ (V, 281). ვაჟამ მკაცრად  
გააკრიტიკა ალ. სარაჯიშვილი<sup>3</sup>, რადგან მან „მართალია, პოემაში  
ყალბი ადგილები აღმოაჩინა, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ყალბ  
ადგილებს ნამდვილი რუსთაველის დაწერილი ტაეპებიც ზედ მია-  
ყოლა“ (V, 269). როგორც ჩანს, ვაჟა პრინციპულად არ უარყოფდა  
„ვეფხისტყაოსანში“ ცალკეული ყალბი ადგილების, ჩანართების,  
ინტერპოლაციების არსებობას, მაგრამ მათ მიკვლევასა და დადგე-  
ნაში აუცილებლობად მიიჩნევდა მეცნიერულ სიფრთხილეს; დაკვირ-  
ვებულებასა და აუჩქარებლობას. მას აღშფოთებდა ის გარემოება,  
რომ ყალბი სტროფების ძიებისას, ზოგჯერ, შესანიშნავი, უცილობ-  
ლად რუსთველისეული სტროფებიც ინტერპოლაციებად ცხადდებო-  
და. ის მკითხველთა ყურადღებას ამახვილებდა პოემის იმ ეპიზოდზე  
(„მბობა ტარიელისაგან ლომ-ვეფხის დახოცისა“), რომელშიც „სი-  
ყვარული უმწვერვალეს წერტილამდეა ასული, ისე მალლა, რომ არც  
ერთს მსოფლიო პოეტს ასე ძლიერად, ასე მშვენიერად არ დაუხატავს  
უუდიდესის სიყვარულის თვისება და ხასიათი, ამისთანა დიდებულს  
სურათს ვერც ერთი გენიოსის ნაწარმოებში ვერ იპოვით“ (V, 279)<sup>4</sup>

<sup>1</sup> ვაჟა არ ასახელებდა მკვლევარს, მაგრამ უცილობლად გულისხმობდა დ. კა-  
რიჭაშვილს, რომელიც ჩვენთვის საინტერესო საკითხზე ასეთ აზრს ავითარებდა:  
„წინასიტყვაობას და უკანასიტყვაობას არამცთუ არაფერი საერთო აქვთ-რა თვით  
თხზულების მოთხრობასთან, არამედ თვითონ ეს ნაწილები ცალკე არაფერს ერ-  
თიანს არ წარმოადგენენ და როგორც წინასიტყვაობის, ისე უკანასიტყვაობის ტაე-  
პები სხვადასხვა პირთაგან და სხვადასხვა დროს უნდა იყვნენ დაწერილინი“ (მ ო -  
თ ა რ უ ს თ ა ვ ე ლ ი, ვეფხისტყაოსანი, დ. კ ა რ ი ჯ ა შ ვ ი ლ ი ს წინასიტყვა-  
ობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით, თბ., 1903, გვ. VIII—XVII).

<sup>2</sup> ალ. ბარამიძე, ვაჟა-ფშაველა — რუსთველოლოგი, „ლიტერატურული  
გაზეთი“, 21. VII. 61, № 30 (1252); „ვაჟა-ფშაველა“ (საიუბილეო კრებული),  
გვ. 36—37.

<sup>3</sup> ალ. სარაჯიშვილის გამოკვლევა: „ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები“ დაი-  
ბეჭდა „მოამბეში“ 1895—1901 წლებში. მკვლევარი პირადი გემოვნების მიხედვით  
პოემის ბევრ სტროფს გადამწერთა თუ გადამკეთებელთა ნახელაუად მიიჩნევდა.

<sup>4</sup> ვაჟამ შესანიშნავად ახსნა „ვეფხისტყაოსნის“ აღნიშნული ეპიზოდი და და-  
კვირებული აზრი გამოთქვა „ხელოვანის მიერ ადამიანის ურთულესი და უფაქი-  
ზესი სამყაროს წყდომის შესახებ“ (გ. კ ი კ ნ ა ძ ე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედე-  
ბა, თბ., 1957, გვ. 22).

და გულისტკივილით შენიშნავდა: „ჩვენ კი ამისთანა მარგალიტებს არაფრად ვაგდებთ, ნაკავს ვაყოლებთ და სანაკვეზე გაგვაქვს, როგორც „ინტერპოლიატორული“ რამ უეარგისობა“ (V, 280). მისი პასუხი მკაცრ განაჩენს წარმოადგენდა იმათ მიმართ, ვინც „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ ბრწყინვალე სტროფს ინტერპოლაციად მიიჩნევდა.

ამრიგად. ვაჟა-ფშაველა „ვეფხისტყაოსნის“ არა მხოლოდ მცოდნე და დამფასებელია, არამედ მისი ენერგიული მკვლევარიც. მის რუსთველოლოგიურ შეხედულებათაგან ბევრს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა, ხოლო ზოგიერთი კიდევ უფრო დადასტურდა შემდგომი კვლევა-ძიებით. მაგრამ ვაჟას დამოკიდებულება „ვეფხისტყაოსნისთან“ მხოლოდ აღნიშნულით არ ამოიწურება<sup>1</sup>; ის საკმაოდ დაკავშირებულია მასთან, ერთობ დავალებულია რუსთველის ლექსებით. ამას თვითაც აღნიშნავდა ერთ წერილში: „მე, რასაკვირველია, რუსთაველი არ გახლავართ: სად იალბუზი და სად კვერნაკი?! მაგრამ კვერნაკი ცოტად თუ ბევრად უფრო ჰგავს იალბუზს ვიდრე ტირიფონის მინდორი“ (V, 281). უცილობელია, რომ აქ ვაჟა აღნიშნავდა რუსთველთან არა ხარისხობრივ, არამედ თვისობრივ ნათესაობას<sup>2</sup>.

უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ ვაჟა საკმაოდ სარგებლობდა „ვეფხისტყაოსნით“, იყენებდა და იმოწმებდა მის ცალკეულ გამონათქვამებს, შეგონებებს, აფორიზმებს და მათ მარჯვედ აქსოვდა თავის პუბლიცისტურსა თუ მხატვრულ ნაწერებში. მის თხზულებებში გვხვდება რუსთველის ბევრი გამონათქვამი:

1. მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა ტყბილისა (5,1; V, 272).
2. აქამდის აშბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი (7,4; V, 273).
3. ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი (8,4; V, 274);
4. ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, ისმაროს დიდი გმირობა (14,4; V, 444).
5. დიდსა ვერ მოკლვენ, ხელად აქეს ხოცა ნადირთა მცირეთა (16,4; V, 273, 275).
6. ერთი უჩნდეს სამიჯნურო, ერთსა ვისმე აშვიობდეს (18,2; V, 277).
7. იგი წაეა და სხეა მოვა ტურფასა საბაღნაროსა (35,3; V, 233).
8. უხვი ახსნილსა დაბამს, იგი თვით ების, ვინ ების (49,3; I, 163).
9. უხვსა კპორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია (50,2; I 345).
10. ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა (84,1; V, 101).

<sup>1</sup> თავის მხატვრულ ნაწერებში ვაჟა ხშირად იხსენიებდა რუსთველსა და მის გმირებს (I, 214, 215, 274, 361 და სხვ.). საყურადღებოა მისი ლექსი „რუსთაველის ნეშტს“ (I, 284—285).

<sup>2</sup> ს. ჩიქოვანი, ვაჟა-ფშაველა, „ცისკარი“, 1961, № 7, გვ. 68.



11. უბრძანა: „ხელთა აიღეთ აბჯარი თქვენ საომარე.  
მოღით და აქა მომგვარეთ, ვინ არის იქი მქდომარე (91,3—4; V, 102).
12. ანუ ეგრე რამ დაგლია, ანუ პირველ რამ გაგავსო (599,2; V, 307).
13. ზოგჯერ თქმა სჯობს არა-თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების  
(751,3; V, 245).
- \* 14. კაცი ჭაბანი რითა სჯობს ღიაცა ქსლისა მბეჭეულსა? (799,3; V, 9).
15. მიღწეიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები (803,4; I, 100).
16. არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან (877,4; V, 270).
17. კოკასა შიგან რაცა დგას, იგვე წარმოსდინდების! (1094,4; V, 163, 269).
18. უშენოდ ჩემი სიოცხლე, ვამე. რა დიდი ძნელია! (1294,4; VI, 48).
19. თქმულა: „სიწყინარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ჭებულსა!“  
(1344,4; V, 181).
20. ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად (1666,2; V, 273) <sup>1</sup>.

დამოწმებული ადგილებიდან უმრავლესობა გვხვდება პუბლიცი-  
ტურ წერილებში (№№ 1—3, 5, 6, 10, 11, 13, 16, 17, 19, 20), რამ-  
დენიმე ეთნოგრაფიულ წერილებსა (№№ 4, 7, 12, 14) და მხატვრულ  
ნაწარმოებებში (№№ 8, 9, 15, 18). ბუნებრივია, რომ რუსთველის  
პვერი გამონათქვამი გამოყენებულია იმ წერილებშიც, რომლებიც  
„ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი (№№ 1—3, 5, 6, 10, 11, 16, 17<sup>2</sup>,  
20). ზოგიერთ გამონათქვამს ვაჟა იყენებდა სხვა შემთხვევებშიც  
(№№ 4, 7, 8, 9, 12—15, 17<sup>1</sup>). გამონათქვამების ავტორს ვაჟა ან  
პირდაპირ ასახელებდა, ან კონტექსტით გვაგრძნობინებდა (№№ 1—6,  
9—12, 14, 16, 17<sup>2</sup>, 20), ზოგჯერ კი გამონათქვამს ავტორის დასახე-  
ლების გარეშეც იყენებდა (№№ 7, 8, 13, 15, 17<sup>1</sup>, 18, 19). აღსანიშ-  
ნავია, რომ ვაჟა ზოგჯერ თავისუფლად ეკიდებოდა რუსთველის  
ტექსტს და რამდენადმე უცვლიდა მას სახეს, მაგრამ არ არღვევდა  
აზრობლივ მხარეს.

1. უბრძანეს მათთა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა (V, 272).
6. ერთი უჩანთ სათაყვანოდ, ერთსა ვისმე აშოიობენ (V, 277).
7. ერთნი წაელენ და სხვანი მოვლენ ტურფასა საბალნაროსა (V, 233).
8. დაბმულს აუშეებს და ახსნილს დააბამს, გააკაეებსა (I, 162).
13. ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების (V, 245).
15. დამლოცვენ, მომიგონებენ, თუ კეთილს გზაზე დავდგები (I, 100).
16. ვარდი უეკლოდ არ მოიკრიბების (V, 270).

<sup>1</sup> აქ აღარ ვიმოწმებთ იმ სტროფებს, რომლებიც ციტირებულია ვაჟას ნა-  
წერებში (9, 13—15, 22, 24, 522, 523, 525—528, 531, 532, 534, 562, 1667, 1669;  
V, 16, 99—101, 273—280). როგორც ირკვევა, ვაჟა მეტწილად საარგებლობდა  
„ვეფხისტყაოსნის“ გ. ქართველიშვილისეული (1888 წ.) გამოცემის ტექსტით,  
ზოგჯერ ციტატები ზეპირადაც მოჰქონდა.

18. უშენოდ ჩემი სიოცხლე, მაღალ ღმერთს ვფიცავ, ჰორია (II, 48).  
 19. ბევრჯერ სიმძიმე გმობილი, სჯობს სიფიცხესა ქებულსა (V, 181)<sup>1</sup>.

რუსთველის სიტყვებს ვაჟა იყენებდა, როგორც ლექსის ეპიგრაფად (50.2; I, 345), ისე პუბლიცისტური წერილის ქვესათაურად (1175,4; V, 259).

ვაჟას ნაწერებში გვხვდება რუსთველის გამონათქვამების ნაწყვეტები, ცალკეული სიტყვები. მაგალითად:

1. გულისა გასაგმირონი (16,2; V, 261, 275).
2. ამხანაგთა სათრეველად (17,2; V, 275).
3. მსმენელთა ყურნი (21,2; V, 154).
4. დავალებიან ყურნი მსმენელთანი (21,2; V, 114).
5. შორით დაგვა, შორით ალუა (27,3; V, 308).
6. შორით კვდომა, შორით დაგვა (27,3; V, 439).
7. სამამაცონი ზნენი (62,4; V, 161).
8. ქეთა დალუნეთ წვივები (618,3; V, 442).
9. ქსლისა მბეჭველი (799,3; V, 161, 334).
10. არ ახალია, ძველია (1175,4; V, 259).

ვაჟა აღნიშნულ სიტყვებს იყენებდა როგორც პუბლიცისტურ (№№ 1, 2, 4, 7, 9, 10), ისე ეთნოგრაფიულ წერილებში (№№ 5, 8), აგრეთვე ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებშიც (№№ 3, 6). ამ სიტყვებს ის მეტწილად ავტორის დაუსახელებლად იყენებდა, მაგრამ ზოგჯერ წყაროსაც უთითებდა (№№ 1, 2, 7—9).

რუსთველმა გარკვეული გავლენა მოახდინა ვაჟას პოეტური ოსტატობის სრულყოფაზეც. უცილობელია, რომ ვაჟა ერთობ თავისებური პოეტური სამყაროა, მაგრამ მის ნაწერებს არც თუ იშვიათად ეტყობათ რუსთველის მხატვრული გენიის გავლენა. ვაჟას ზოგიერთ ნაწარმოებში თავს იჩენს ისეთი ნიშანი, რომელიც დამახასიათებელი იყო „ვეფხისტყაოსნისათვის“.

რუსთველის მსგავსად ვაჟას პოეზიისათვის დამახასიათებელია ლექსიკურ განმეორებათა შესამჩნევი სიხშირე. ასეთი განმეორებით ტექსტის მხატვრული მხარე მეტ გამომსახველობით ძალას იძენდა, ავტორი მას განსაკუთრებულ ინტონაციას აძლევდა. მაგალითად:

- ზღვა ბობოქარობს, ზღვა ღელავს (I, 41).  
 კლდით კლდეზე მხტომი გავაზი (I, 50).  
 მეფე მეფურად მზირალი (I, 59).  
 ვაჰარი ვაჰრობს ვაჰრულად.

<sup>1</sup> ვაჟას ერთი გამონათქვამი: „სულ უყოლობა არა სჯობს ჩემისთანების ყოლასა“ (I, 244), უნებლიეთ მოგვაგონებს რუსთველის სიტყვებს: „სჯობს უყოლობა კაცისა, მომღურავისა ყოლასა“ (768,4).

გროსს აგებინებს გროშებსა ( I, 108).  
ფარი იფარებს კლდისა (II, 63).  
ქმას მოეხმაროს ქმურადა (II, 159).  
მტერს უხედებოდა მტრულადა (II, 159) <sup>1</sup>.

ზოგჯერ ტექსტის გამომსახველობითი ძალის გასაძლიერებლად ერთ ტაქსში რამდენჯერმე გამეორებულია ერთი და იგივე სიტყვა. მაგალითად,

ტიალი წუთისოფელი  
მიდის, მიდის და მიდისა (I, 140).

ძალზე ხშირად განმეორება გრძელდება ორი <sup>2</sup> და სამი <sup>3</sup> ტაქსის მანძილზე. მრავალთაგან დაეიმოწმებთ ორიოდე მაგალითს:

სისხლი გვიფუის ძარღვებში,  
სისხლი ლაშქრობას ჩეუული (I, 67).  
მესად წაიდე, სად გაქრე.  
ქვეყნად სად ეძებნო საფარი?! (I, 97)  
გული ვერ მოკლა მტრის ხელმა,  
გული გულადვე რჩებოდა (II, 109).  
ნუ დაივიწყებთ ქეთევანს,  
ნუ დაივიწყებთ ნინოსა.  
ნუ დაივიწყებთ თამარსა,  
რომ სხივი მოგვეთინოსა (I, 109).

რუსთველის მხატვრული მეტყველებისათვის დამახასიათებელია განმეორება-მიმართვანიც. ვაჟას ნაწერებშიც ანალოგიური ვითარება შეინიშნება. მოვიგონოთ მაგალითად,

ჩემო ნუგეშო, გოდერძი,  
ჩემო მზეო და მთვარეო,  
ჩემო ლხინო და სიცოცხლე... (II, 59).

როგორც აღვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ აზრობლივ სიმკვეთრეს ხელს უწყობს მხატვრული ჩამოთვლის ხერხიც. ეს ხერხი ვაჟას ნაწერებშიც ხშირადაა გამოყენებული. მაგალითად,

ვაჟე, მთა-გორი, კლდენია (I, 61).  
ლოდები, ქვა და ყორია (I, 89).

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე I, 130; II, 37, 72 და სხვ. შდრ. რუსთველის ტაქსები: 83,3; 85,4; 820,4 და ა. შ.

<sup>2</sup> იხ. I, 44, 65, 69—71, 81, 82, 84. 99, 109, 167, 272, 320; II, 21, 34, 35, 38, 46, 71, 116, 139, 261.

<sup>3</sup> იხ. I, 125, 156, 415, 326, 329; II, 12, 89, 175.

ყინვა. ქარი და ნამქერი (I, 119).  
თელა, ვერხვი და წიფელი (II, 40) <sup>1</sup>.

რუსთველის პოეტური ოსტატობა ფრაზის ბგერული შემადგენლობის შერჩევაში უმაღლეს მწვერვალს აღწევს. ვინც იცნობს „ვეფხისტყაოსნის“ ბგერულ მხარეს, რუსთველის დიდებულ ბგერულ ჰარმონიას, ის ვაჟას ნაწერებში უთუოდ შენიშნავს მის შორეულ გამოძახილს. ვაჟა რუსთველის მსგავსად დიდ ყურადღებას უთმობდა პოეტური ფრაზის ბგერულ ორგანიზაციას, გულდასმით არჩევდა ბგერებს. სანიმუშოდ დავიმოწმებთ ალიტერაციის ზოგიერთ მაგალითს:

ციფნი ნამცურენი ცისანი (I, 50).  
ცივი ციური ცვარია (I, 94).  
მტირალის სტვირის პატრონი (I, 52).  
ისიც ცხენს დააჩქლეთინებს,  
ცხარე ცრემლებით მცეივანი (II, 152).  
სატრფომ დამტოვა მარტოკა (II, 306)<sup>2</sup>.

ვაჟას ასონანსების ხასიათის გასაგებად მხოლოდ ერთი ნიმუშის მოტანით დავკმაყოფილდებით:

მაშ მე რალა ექნა უსხიომ,  
უსტარმა, უსინათლომა,  
უნწელ-უქმელმა, ტიალმა (I, 97).

ბგერული განმეორება ზოგჯერ ტაეპიდან ტაეპში გადადის. მაგალითად:

მოდო. მოხშირდი ჰალარაე,  
წვერ-პირი მორთე თეთრალა (I, 143)<sup>3</sup>  
ყური არ მიგდეს, ჩადიან,  
ჩადიან. ჩაიმღერიან (I, 76).

რუსთველისათვის დამახასიათებელია პორტრეტის ხატვის თავისებური მეთოდი, — გმირის დახასიათება დაფუძნებულია არა მის პორტრეტირებაზე, არა მისი გარეგნული მხარის ჩვენებაზე, არამედ მისი სულიერი სამყაროს ასახვაზე. ამ მეთოდს ოსტატურად იყენებს ვაჟაც. მისი გმირების პორტრეტებს კონკრეტულობა აკლიათ: სუ-

<sup>1</sup> იხ. აგრეთვე 1, 43, 49, 79, 98, 107, 120, 124, 130, 143, 219, 251, 325; II, 6, 7, 25, 37, 42, 44, 50, 54, 61, 96, 106, 127, 150, 153, 169.

<sup>2</sup> იხ. აგრეთვე 1, 64, 75, 237; II, 22, 81 და სხვ.

<sup>3</sup> მღრ. რუსთველის: მოვიდა სითმე ღარიბი მონა მოყესითა სამითა, მონა მონერად მოსილი, სხვანი მგზავრულად ხამითა (1217,1—2).

ლიერი ნიშან-თვისებანი წინა პლანზეა წამოწეული, ხოლო გარეგნული შტრიხები ხშირად უგულებელყოფილია. გ. კიკნაძემ დამაჯერებლად გაარკვია, რომ გმირის პორტრეტების თავისებური მეთოდი, გმირის არაპირდაპირი დახასიათების გზა, რომელიც ასე ფსტატურადაა გამოყენებული ვაჟას ნაწარმოებებში, ერთგვარ ნათესაურ ურთიერთობაშია „ვეფხისტყაოსანთან“<sup>1</sup>.

---

---

<sup>1</sup> გ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, გვ. 252—265. ამ წიგნში ისიცაა ნაჩვენები, რომ რუსთველის გაელენა ვაჟაზე ზოგჯერ სიტუაციებისა და თქმათა დამსგავსებაშიც იჩენს თავს (გვ. 270—271). იხ. აგრეთვე გ. კალანდარიშვილი, რუსთველური ვაჟას პოეზიაში, თსუ საიუბილეო კრებული: „შოთა რუსთველს“, გვ. 229—236.

## დასკვნა

(მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ყველა თვალსაჩინო მოღვაწე, რომელსაც კი ჩვენ აქ ვინსენიებთ, საზოგადოებრივ-ლიტერატურულ ასპარეზზე გამოვიდა სამოციან წლებში (გამონაკლისს მხოლოდ ვაჟა-ფშაველა წარმოადგენს). (იმ დროისათვის „ვეფხისტყაოსნის“ შესწავლა არ იყო გაშლილი სათანადო მასშტაბით, რუსთველის მხატვრულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლის დონე ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა, მაგრამ ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა წარმოებდა და ერთგვარი წინსვლაც შეინიშნებოდა. სახელდობრ, არსებობდა „ვეფხისტყაოსნის“ ოთხი გამოცემა, გამოქვეყნებული იყო რამდენიმე საყურადღებო შრომა რუსთველოლოგიის საკითხებზე. (რუსთველოლოგიური პრობლემატიკა, რასაკვირველია, სრულად დამუშავებული არ იყო; დაბეჭდილი იყო არა ერთი საინტერესო გამოკვლევა, ცნობილი იყო მრავალი საკამათო თუ ანგარიშგასაწევი მოსაზრება, გარკვეული იყო არა ერთი საკითხი, მაგრამ უფრო მეტი გაშუქებას მოითხოვდა და შესწავლილიც ხშირად საკამათოდ რჩებოდა. (ასე რომ, ყოველი ახალი მუშაკის გამოჩენა არენაზე და რუსთველოლოგიური პრობლემატიკის დამუშავებაში ჩაბმა სასიხარულო მოვლენას წარმოადგენდა. განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებო უნდა ყოფილიყო (და იყო კიდევც!) ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და სხვა მოღვაწეთა რუსთველოლოგიური ძიებანი.) დასახელებული პირები და მათი თანამოღვაწენი გულისყურით სწავლობდნენ ძველ ქართულ მწერლობას, ინტერესით ეცნობოდნენ და მიუდგომლად აფასებდნენ ძველი ქართველი კალმის ოსტატების ლიტერატურულ მემკვიდრეობას. უნივერსალური განათლება და კრიტიკული აზროვნება, იშვიათი ნიჭი და გამჭკრიახობა, დაუშრეტელი ენერგია და გონებრივ ინტერესთა სიფართოვე მათ ხელს უწყობდა ძველი ქართული მწერლობის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობისა და მხატვრულ-ლიტერატურული ღირე-

ბულების სრულად გათვალისწინებაში. ისინი ვაყკაცური შემართებითა და რაინდული თავგანწირულებით იბრძოდნენ ქართული მწერლობის თვითმყოფადობის განმტკიცებისათვის. ძველი კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებისა და პოპულარიზაციისათვის, ქართველი ხალხის კულტურული მოწიფულობის წარმოჩენისათვის. ძველი ქართული მწერლობის ტრადიცია არსებითი მნიშვნელობის საფუძველს წარმოადგენდა მათთვის. აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული მწერლობა და პირველ რიგში „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენმა მოღვაწეებმა ჯერ კიდევ ბავშვობაში, საკუთარ ოჯახში გაიცვენეს ასე მაგალითად, ი. ჭავჭავაძე აღიზარდა დიდი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მატარებელ ოჯახში, ადრევე გაიცნო და შეიყვარა „ვეფხისტყაოსანი“. ალ. ყიფშიძის ცნობით, ილიას „ბევრჯერ სიამოვნებით მოუგონებია ის ნეტარი დრო ყმაწვილობისა და ბავშვობისა, ოჯახში რომ ასწავლიდნენ „ვეფხისტყაოსანს“; ა. წერეთელიც მშობლიურ ოჯახში გაეცნო და დაეწაფა ძველ ქართულ მწერლობას, კერძოდ — „ვეფხისტყაოსანსა“ და სხვა ძეგლებს. მერვე წელიწადს, — წერდა აკაკი, — „ბევრს აღარ დავრბოდი, რადგანაც ადრინდელი თავშესაქცევარი ყოველგვარი თამაშობა მომწყინდა და უფრო სხვა საფიქრელს გადავყევი. ამის მიზეზი იყო „ვეფხისტყაოსანი“. წავიკითხე თავიდან ბოლომდე და თუმცა ზღაპრული მხარის მეტი არა გამიგია რა, მაგრამ მაინც ძალიან გატაცებული ვიყავი“; ნ. ნიკოლაძეს რუსთველის პოემა გააცნო დედამ, რომელიც „მშვენიერი მწიგნობარი იყო და მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცოდა“; ვაჟა-ფშაველაც ოჯახში დაეწაფა „ვეფხისტყაოსანს“. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი იგონებდა: „რვა წლამდე ვიზრდებოდი ძველ წიგნებზე: „ვეფხისტყაოსანი“, მხეკაბუკისა და ჭიმშედის ამბავი (დ. ჩუბინაშვილის „ქრისტომატია“)... შეიქმნა ჩემ საყვარელ საკითხავ წიგნებად; ერთხელ წაკითხვას როდი ვჯერდებოდი. რამდენჯერმე უნდა ერთი და იგივე გადამეკითხა. საგმირო ამბებს დიდ ალტაცებაში მოვყვანდი და სწორედ ის ხანა დაედვა საძირკვლად, ლიბოდ, ჩემს შემოქმედობას“.

ამრიგად, (შე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თითქმის ყველა თავკაცი ბავშვობაშივე გაეცნო „ვეფხისტყაოსანს“ და საკუთარ ოჯახში ეზიარა რუსთველის სიბრძნეს.) ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და სხვები ჯერ კიდევ ბავშვობაში განიმსქვალნენ უსაზღვრო სიყვარულით სახელოვანი წინაპრისადმი და სიცოცხლის მიწურულამდე შეინარჩუნეს მისადმი ღრმა პატივისცემა. საქართველოსა თუ რუსეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში სწავლისას ისინი სისტემატურად მუშა-

ობდნენ საკუთარ თავზე, კითხულობდნენ ძველ წიგნებს, იმაღლებდნენ განათლების დონეს, იფართოებდნენ გონებრივ პორიზონტს, იმუშავებდნენ ესთეტიკურ-ლიტერატურული პრინციპების სისტემას. საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობისას ისინი ყველაფერს აკეთებდნენ „ვეფხისტყაოსნის“ უკეთ შესწავლისა და ხალხში გავრცელების მიზნით. მაგალითად, (ი. ჭავჭავაძე „ივერიის“ ფურცლებს უთმობდა „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმებს და ხელს უწყობდა რუსთველის იდეების პოპულარიზაციას; ა. წერეთელი თავის მახლობლებს უმარტავდა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ ადგილებს; 1897-98 წლებში მან ჩამოაყალიბა ერთგვარი ლიტერატურული წრე, რომელიც მისი ხელმძღვანელობით ეცნობოდა „ვეფხისტყაოსანს“. აკაკი ზოგჯერ ლიტერატურულ საღამოებზეც კითხულობდა ადგილებს რუსთველის პოემიდან; ი. გოგებაშვილს თავის სახელმძღვანელოებში შეჰქონდა „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები თუ ცალკეული ნაკვეთები და მოსწავლე ახალგაზრდობას უღვივებდა სიყვარულს რუსთველისადმი; ვაჟა ხშირად ზეპირად წარმოთქვამდა პოემის სტროფებს, საუბარში იმოწმებდა შოთას ბრძნულ გამონათქვამებს, ახალგაზრდებს უკითხავდა ტექსტის ნაწყვეტებს და ა. შ.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი ახლოს იყვნენ ცნობილ მეცნიერებთან, „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევრებთან (დ. ჩუბინაშვილი, ალ. ხახანაშვილი, ე. თაყაიშვილი და სხვ.). რუსთველის პოემის შემსწავლელ პირებთან ნაცნობობა და მეგობრული ურთიერთობა, შეხვედრები და საუბრები ხელს უწყობდნენ მათ დაინტერესებას „ვეფხისტყაოსნით“, აღრმავებდნენ მათ ცოდნას რუსთველოლოგიაში. ცალკე უნდა აღინიშნოს ის გულთბილი დამოკიდებულება, რომელიც მათ ჰქონდათ „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებთან (ა. ლაისტი, მ. უორდროპი და სხვ.).

იმის გასათვალისწინებლად, თუ რა შეხედულებისა იყვნენ რუსთველსა და მის პოემაზე ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი, საკმარისია მოვიტანოთ მათი ზოგიერთი გამონათქვამი.

განსაკუთრებით მაღალი წარმოდგენისა იყო „ვეფხისტყაოსანზე“ ი. ჭავჭავაძე. მას სიამაყისა და სიყვარულის გრძნობით აღავესებდა ბრძოლის მგზნებარე პათოსით გამსჭვალული პოემა, მარად აღელვებდა ჩვენი „თავმოსაწონებელი, სამართლიანად სახელოვანი და სასიკადაღლო“ შემოქმედი. მისი განცხადებით, „გულთამხილავი რუსთაველის დიდებული პოემა“ უკვდავია „არა მარტო თავის ფორმით, არამედ თავის შინაგან ღირსებაებით“. ქართველი ხალხის მოჭირნახულე მგოსანს „ვეფხისტყაოსანი“ მიაჩნდა მსოფლიო მასშტაბის პოეტურ შედეგად. მისი დასკვნით: „ვეფხისტყაოსანი“ ქართ-



ველების გულის საუნჯე. რაც კი რამ გვაქვს ჩვენს ენაზედ, ამას ჯერ არა სჯობია-რა“, ესაა „უძირო მორევი, ზღვა აზრისა და გრძნობისა“. „თითქმის წმიდათაწმიდა, რომელსაც შვიდას-რვაასი წელიწადია განუწყვეტლად შესტრფის და შექნარის“ ერი, ესაა „დიდებული სახსოვარი, რომელსაც მთელმა ერმავე შიგ ჩაატანა თავისი ცრემლი და თავისი სინარული, შიგ ჩაახვია თავისი სული და გული, შიგ ჩააწნა თვისნი უკეთესნი ფიქრნი, ზრახვანი, გრძნობანი“. რუსთველს ილია აღიარებდა ერის სულიერ ზრახვათა ამსახველად, ქართული კულტურის ღირსეულ წარმომადგენლად და არა შემთხვევით გამოჩენილ გენიოსად. მოულოდნელ მოვლენად. ქართული სიტყვის ჯადოქარი მას „თითქმის გენიად“ მიაჩნდა და კარგად ესმოდა „რა განძია ჩვენთვის „ვეფხისტყაოსანი“, რა ბურჯია იგი ჩვენის თავმოწონებისათვის, ქვეყნად ხმის ამოღებისათვის“. ილია „რუსთაველის უსწორო, ძლიერ ქნარს“, მის „მშვენიერ აღმაფრენას“ ადამიანის გამაკეთილშობილებლად და გამაფაქიზებლად თვლიდა.

ა. წერეთელიც მალალ შეფასებას აძლევდა შოთა რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანს“, ყოველთვის სიყვარულითა და პატივისცემით იხსენიებდა ქართული პოეტური სიტყვის უბადლო ოსტატს, უწოდებდა მას „მწერალთ თეაღს, ბრძენთა-ბრძენს, გენიოსს, სულმნათს, დიდებულსა და უკვდავ მგოსანს“. მას ხიბლავდა „ვეფხისტყაოსნის“, — ამ „დიდებული და საკვირველი განძის“, — წარმტაცი ლიტერატურული ფორმა. აქაკი ყოველთვის სიამაყით წერდა რუსთველის ქნარზე, აღფრთოვანებით ლაპარაკობდა მის „მალალ პოეტურ ნიჭზე“. მას „ვეფხისტყაოსანი“ მიაჩნდა ქართველი საზოგადოებრიობის გულისთქმის გამომხატველად, ერის დიდებული წარსულის დამადასტურებელ შესანიშნავ საბუთად. არა ეგულებოდა რა მასზე „საქებ-სადიდებელი“. მისი დასკვნით, ამ პოემამ „ენა და ეროვნობა შეგვიანახა“; „წყალი და მეწყერი წაგვიღებდა, რუსთაველი რომ არ გვყავდეს“, — შენიშნავდა იგი.

გ. წერეთელი რუსთველს უწოდებდა „დიდებულს. წარჩინებულსა და დაუვიწყარ“ პოეტს და მიიჩნევდა „თავისი დროის პირველ განათლებულ კაცად“. გ. წერეთელს აჯადოებდა რუსთველის პოეტური ფანტაზია, ხიბლავდა მისი დახვეწილი მხატვრული გემოვნება, აღაფრთოვანებდა მისი „სახელგანთქმული პოემა“, რომელიც „ერს სიბრძნის კურქლად მიაჩნდა, საადგანაც მოხუცი და ახალგაზრდა, ყველა თანასწორად იღებდა თავის მეცნიერებას“.

(ნ. ნიკოლაძე „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს თვლიდა გენიოს შემოქმედად, მხატვრული სიტყვის შეუღარებელ ოსტატად, ქართველი

ხალხის იდეურ მეთაურად; პოემას მიიჩნევდა ქართველთა ეროვნულ-შემოქმედებითი პოტენციის მძლავრ გამოსატულებად.)

(ი. გოგებაშვილიც ძველი ქართველი მწერლებიდან ყველაზე მალა აყენებდა რუსთველს, ყველაზე მეტად აფასებდა მის პოემას. მას სიამაყის გრძნობით აღავსებდა „სახელოვანი და სასიქადულო პოეტი, განთქმული და უკვდავი ეროვნული გენიოსი—წარმომადგენელი და გამომხატველი ქართველთა ერის გონების ძალისა, შემოქმედებისა, გენიოსობისა“. მისი რწმენით, რუსთველი იყო არა მხოლოდ „პირველი პოეტი საქართველოსი“, რომელსაც „სწორი არა ჰყავს ქართველს პოეტებში“, არამედ „გენიოსი და ტალანტი“, ავტორი „ზოგადსაკაცობრიო თხზულებისა. რუსთველის „უკვდავი, სახელოვანი და პოპულარული“ პოემა, რომელიც ხალხმა ზეპირად იცოდა და ქართველ ასულთა მზითვის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, მას მიაჩნდა „დიდებულ და თავისებურ ქმნილებად“. (ი. გოგებაშვილი მართებულად აღნიშნავდა, რომ „თუმცა რუსთაველის შემდეგ ჩვენამდინ რეაას წელიწადზე მეტმა განვლო და თუმცა მრავალმა მაღალნიჭიერმა მწერალმა გაამდიდრა მას უკან ჩვენი ლიტერატურათავისი ნაწარმოებებით, მაგრამ მისი პოემა დღემდინ შეადგენს უძვირფასესსა და უკეთეს საუნჯეს ქართველის გონებისა და გული-სათვის. ამგვარი დაუმკნარი მნიშვნელობა ყოველთვის ყოფილა მხოლოდ გენიოსის ხვედრი და რუსთაველიც ყველასაგან აღიარებულია გენიოსად“.)

(ვაჟას აღაფრთოვანებდა „უკვდავი ნაწარმოები უკვდავი ადამიანისა; დიდებული ქმნილება“, რომლის ავტორი „თავის დროის შესაფერად ფრიად განათლებული კაცი, ფრიად დახელოვნებული ყველა დარგის მეცნიერებაში — ხალხის შვილია, ხალხიდან გამოსული, ხალხურად მოქმელი“. ვაჟას დასკვნით, რუსთველი „ერს ეკუთვნის და ერის ღვიძლი შვილია, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელია. იგი ამავე დროს სარკვე თავისი ერისა, არა ჩვეულებრივი, არამედ ცოცხალი. მისი ნაწარმოებიც მუდამ ცოცხალია, სადაც იგი თავის-თავსა ჰხედავს, თავის „მე“-ს, თავის ვინაობას შესტრფის და შესტრფის იმასაც, ვინც ეს სარკვე ისე მოაწყო, რომ ერმა ამ სარკვეში ჩახედვით იცნო თავისი თავი. დიად, შოთა რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე „ვეფხისტყაოსანი“.)

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი კარგად იცნობდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტს, სათანადოდ აფასებდნენ პოემის მნიშვნელობას, ჭეოვნად ერკვეოდნენ რუსთველოლოგიურ პრობლემებში და გულისტკივილს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ უნივერსალური შემოქმედი არ იყო

შესწავლილი და დაფასებული ლიტერატურული კრიტიკის მიერ. არ იყო დადგენილი პოემის ტექსტი, მეცნიერულ-კრიტიკულად არ იყო გაანალიზებული რუსთველის ნაწარვეი. ამის შედეგად ყველამ არ იცოდა „რითია ეს სახელოვანი ნაშთი ჩვენის სულისა და გულის მოძრაობისა შემკული“, რით აიხსნება, რომ რუსთველის პოემას „დიდი და პატარა, სრა-სასახლე და ქოხი, ასე ერთნაირად. ერთნაირად შეჭხაროდა უწინ და შეჭხარის დღესაც, როგორც დიდს რასმე საუნჯესა, საშვილიშვილოდ საპატიოსა და ამ რვა საუკუნის განმავლობაში არ დაჰკნობილსა, არ დავიწყებულსა“ (ი. ჯავჭავაძე). სწორედ ამიტომ ცდილობდნენ ისინი თავისი წვლილის შეტანას რუსთველოლოგიური პრობლემატიკის დამუშავებაში.

თავდაპირველად უნდა აღვნიშნოთ, რომ (რუსთველმა და მისმა პოემამ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს ჩვენს მოღვაწეთა მხატვრულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. სანიმუშოდ შეგვიძლია დავიმოწმოთ ი. ჯავჭავაძის „აჩრდილი“ და „გლახის ნაამბობი“, ა. წერეთლის „რუსთველის სურათზე“, „ქალარა“, „სიზმარი“, „ცოცხალი სურათები“, „რამ გამოიწვია „ვეფხისტყაოსანი“, „ბაში-აჩუკი“ და სხვ. დასახელებულ ნაწარმოებებში ავტორები, ერთი მხრივ, ეწეოდნენ „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციას, მეორე მხრივ, რუსთველის პოემას იყენებდნენ თანამემამულეთა შორის ეროვნული იდეების საქადაგებლად.) სანიმუშოდ შეიძლება აკაკის პატრიოტული ლირიკა მოვიგონოთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აკაკი თანამემამულეებს ამხნევებდა და ბრძოლისაკენ მოუწოდებდა რუსთველის ფრთაცეცხლოვანი ლექსებით. (მას დამონებული სამშობლო სატრფოს სახით ჰყავდა წარმოდგენილი და ქაჯთა ტყვეობაში ეგულებოდა. პოეტი „ცხრაკლიტულში“ დამწყვედიულ სატრფოს აიძვებდა და მის დასახსნელად თანამომძმეებსაც რაზმავდა:

ეუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,  
მხარი მხარს მივსცეთ. ხელი — ხელს,  
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,  
მოელის ტურფა გამომხსნელს! )

„ვეფხისტყაოსნის“ გმირთა მოქმედება, მათი კეთილშობილება და ზნესრულობა, სატრფოსა და სამშობლოსათვის თავდადება აკაკის სანიმუშოდ მიაჩნდა და თავის თანამედროვეებსაც სამაგალითოდ უსახავდა. ასეთივე აზრისა იყვნენ და ასევე იქცეოდნენ აკაკის სახელოვანი თანამებრძოლებიც, მაგრამ ამით არ ამოიწურება ყოველივე.

(„ვეფხისტყაოსანი“ მათთვის იყო არა მხოლოდ სულიერი საზრდო და შთაგონების წყარო, არამედ დაუცხრომელი კვლევა-ძიების ობიექტიც. ისინი ხშირად მსჯელობდნენ რუსთველოლოგიის ცალკე-

ულ პრობლემებზე. მათი მეცნიერულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილებიდან შეგვიძლია დავიმოწმოთ ი. ჭავჭავაძის „პასუხი“, „ქართული თეატრი“, „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არა გვაქვს“, „ცისკარი“ 1857 წლიდან — 1862 წლამდინა“, „ოსმალის საქართველო“, „Н.свое обозрение“-ს წერილის გამო“ (და განსაკუთრებით — „აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“, ა. წერეთლის „Несколько слов в пользу оригинальности „Барсовой кожи“, „სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“, „რამდენიმე სიტყვა ბატონ ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფხისტყაოსნის“ გამო“, „თანამედროვე პაზრები რუსთველისაგან მე-12 საუკუნეში ნაწინასწარი“ და „ს. კაკაბაძის მოსხენების გამო“, გ. წერეთლის „დავით გურამიშვილი და იმის წინა დროები“ და „Низам и Руставели“, (ნ. ნიკოლაძის „Византийские споры“ და „На праздники“, ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ და „ბურჯი ეროვნებისა“, ვაჟა-ფშაველას „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ (ორიოდე სიტყვა პასუხად ბ-ნ ა. ხახანაშვილს)“, „ნიკიერი მწერალი“, „მცირე შენიშვნა“, „ფიქრები „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ“, „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“ და მრავალი სხვა.) ჩვენს მოღვაწეთა რუსთველოლოგიური ნაზრევი ყურადღიბას იქცევს თემატიკური მრავალფეროვნებით, მეცნიერული სიზუსტით, დაკვირვების სიღრმით, ანალიტიკური სიძლიერით. მათ აისტერესებდათ ავტორის ვინაობა, ცხოვრება და მოღვაწეობა, ლიტერატურული შემეკიდრეობა, სიუჟეტის წარმომავლობა, ისტორიული სინამდვილის ანარეკლი პოემაში, ტიპაჟი, იდეურ-თემატიკური მოტივები, ტექსტოლოგიური საკითხები, „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა ქართველი საზოგადოებრიობის ცხოვრებაზე და სხვა.)

(იმხანად გავრცელებული ტრადიციული ცნობების შესაბამისად ისინი შოთა რუსთველს მესხად მიიჩნევდნენ (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი) და თამარის დროის საქართველოს სახელმწიფოებრივ-კულტურული ცხოვრების ღირსეულ პირმშოდ თვლიდნენ. ბიზანტიაში განსწავლულსა და სამშობლოში დაწინაურებულ მგოსანს თავისი ცხოვრების გზა თითქოს იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დაუსრულებია (ა. წერეთელი). სავულისხმობა, რომ აკაკიმ რუსთველი ჯვრის მონასტრის მოღვაწედ გამოაცხადა, ხოლო სამეცნიერო ექსპედიციის მიერ უკანასკნელ ხანს მიკვლეული პორტრეტი მგოსნის ავტოპორტრეტად აღიარა. )

(გასული საუკუნის დამლევს ქართული ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე წამოიჭრა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ. კამათში ჩაება ნ. მარი, რომელმაც მხარი დაუჭირა პოემის

სპარსული წყაროდან წარმომავლობის თეორიას, მაგრამ ვერ წარმოადგინა დამადასტურებელი მასალა. ასეთმა მოქმედებამ ააღელვა ქართველობა. ნ. მარის წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრეს ი. ჭავჭავაძემ, ი. გოგებაშვილმა, ვაჟა-ფშაველამ და სხვებმა.) მათ დაგმეს. ნ. მარის მსჯელობა და უსაფუძვლო მტკიცება, გულისწყრომა გამოთქვეს ჩვენი „თავმოსაწონებელი“ მგოსნისათვის ცილისმწამებლური ბრალდების წარდგენის გამო, (დაუშვებლად მიიჩნიეს რუსთველის უბრალო მთარგმნელად გამოცხადება. ან ვინ დაიჯერებსო, რომ მთარგმნელი ასე შეიყვარა მშობელმა ერმა, ასეთი შარავანდელია შემოსა მისი სახელი, უქნობი პოეტური გვირგვინით შეამკო იგი „ერი რომ აგრე ადვილად აღმერთებდეს უბრალო მთარგმნელებს. როგორც შოთა ჰყავს გაღმერთებული ქართველ ერს, სათვალავი არ ექნებოდა, იმდენი გენიოსები და რუსთაველები ეყოლებოდა კაცობრიობას“ (ვაჟა-ფშაველა).)

(1889 წელს ი. ჯაბადარმა გამოაქვეყნა წერილების სერია, რომელშიც ნიპილისტურად შეაფასა საქართველოს წარსული, უგულვებლყო ძველი ქართული კულტურა, დააყენა ძველი ქართული ლიტერატურული შემკვიდრება, დაამცირა შოთა რუსთველი და მისი პოემა სპარსული ლიტერატურული ძეგლების, განსაკუთრებით კი ნიზამი განჯელის „ლილმაჯუნეიანის“ უბრალო მიბაძვად გამოაცხადა. ასეთმა უპასუხისმგებლო და ცილისმწამებლურმა გამოხდომამ ალაშფოთა ქართველი საზოგადოებრიობა.

ი. ჯაბადართან პაექრობა, მისი საბუთიანობის დარღვევა და შეცდომების მხილება ი. ჭავჭავაძემ წამოიწყო.) ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ი. ჯაბადარს მხოლოდ ორი წერილი ჰქონდა გამოქვეყნებული და ლიტერატურის საკითხები ჯერ არც კი წამოეჭრა, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მეთაური დაუნდობლად დაესხა მას თავს. მალე ი. ჯაბადარის ლიტერატურული შეხედულებანი განიხილეს და გააკრიტიკეს ნ. ნიკოლაძემ და გ. წერეთელმა, რამდენადაც გვიან — ი. გოგებაშვილმა. მათ ამხილეს ი. ჯაბადარის მოსაზრებათა უსაფუძვლობა და უნიადაგობა, მისი ნიპილისტობა და უვიცობა, ტენდენციურობა და არაობიექტურობა. უცილობლად დაადასტურეს, რომ რუსთველი ნიზამის მიმბაძველი არ ყოფილა და რომ მის პოემას სპარსულ სამყაროსთან არავითარი იდეური კავშირი არ გააჩნია. მათი დაბეჭდვითი მტკიცებით, ყოვლად დაუშვებელია ისტორიული რეალობის უგულვებლყოფა, ძველი საქართველოს კონკრეტული ვითარების დავიწყება, ცხოვრებისეული ფაქტების მიჩქმალვა, თამარის ეპოქისათვის ესოდენ დამახასიათებელი მანდილოსნის კულტის იგნორირება და რუსთველის წყაროდ სპარსული მწერლობის და-

სახელები) ემანსიპაციური ტენდენცია საქართველოში ადრეული ხანიდანვე შეინიშნებოდა და რუსთველს არ სჭირდებოდა სპარსეთისაკენ მიხედვაო. მაღალი ჰუმანური იდეებით აღსავსე პოემაში ქალის კულტი ორგანულადაა ჩაქსოვილი, ეს კი ქართული კონკრეტულ-ისტორიული ვითარებით იყო განპირობებულიო. ასეთი მსჯელობით ისინი, ერთი მხრივ, „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულ ქალის კულტს ეროვნულ მოვლენად მიიჩნევდნენ, მეორე მხრივ, რუსთველის პოემას კიდევ უფრო უკავშირებდნენ ქართულ სინამდვილეს და მის ანარეკლად აღიარებდნენ.

(ქარგა ხნის მანძილზე მკვლევართ აფიქრებდათ რუსთველის გამონათქვამი: „ესე ამბავი სპარსული...“ ამის მიხედვით ზოგჯერ პოემის სპარსულიდან მომდინარეობის დამტკიცებასაც ცდილობდნენ. ბუნებრივია, ჩვენს მოღვაწეებს არ შეიძლებოდა უყურადღებოდ დაეტოვებინათ ეს გარემოება.)

აკაკი პირველსავე რუსთველოლოგიურ შრომაში ცდილობდა აეხსნა რუსთველის მითითება სპარსულ დედანზე. მისი აზრით, პოემაში ყურადღება გამახვილებული იყო ზოგიერთ ისეთ მომენტზე (მაგ., ფატმანის ქცევა), რომელსაც შეეძლო გაელიზიანებინა ქართული საზოგადოებრიობა. მოსალოდნელი უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით „რუსთაველსაც ძალაუვნებურად უნდა ეთქვა, რომ მისი პოემა სპარსულიდან ნათარგმანებია და ქართული საკუთარი და გეოგრაფიული სახელები ალეგორიული სახელწოდებებით შეეცვალა“. უფრო ვრცლად იხილავდა ამ საკითხს ვკუა. იგი „დიდ უმეცრად“ აცხადებდა მას. ვისაც პირდაპირ ესმოდა და სჯეროდა რუსთველის ამ სიტყვებისა და მათზე დამყარებით პოემას სპარსულიდან თარგმნილად მიიჩნევდა. ის ასე ხსნიდა რუსთველის სიტყვების მნიშვნელობას: ქართველი ფეოდალური საზოგადოებრიობა უცხო მწერლობას ეცნობოდა, უცხო სიუჟეტებს ეტანებოდა. მისი ყურადღების მოსაზიდად, მკითხველთა დასაინტერესებლად რუსთველმა „ნამდვილად მომხდარი ამბავი“ უცხოდ გაასაღა, სპარსულად გამოაცხადა, სინამდვილეში კი სპარსული მასალით არ უსარგებლია. ვაკე შენიშნავდა, თუ ეს არაკი სპარსულ სამყაროში გავრცელებული იყო, როგორ მოხდა, რომ მისი აღმწერი და გამლექსავი სპარსეთში არავინ აღმოჩნდა, მისი მხატვრული სახით გადმოცემა სპარსეთში არავინ ისურვა. მისი დაკვირვება ფრიად საგულისხმო და საყურადღებოა. მან სწორად განკვირტა და დაასკვნა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიმზიდველი და ერთობ საინტერესო სიუჟეტი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო დაუმუშავებლად სპარსეთში, ქვეყანაში, სადაც ერთსა და იმავე სიუჟეტს, — თუ კი ის საინტერესო იყო, — რამდენჯერმე

ამუშავებდნენ (მაგ., „ლეილმაჯუნეანი“, „იოსებზილიხანიანი“ და სხვ.). საკითხის ამგვარად დასმით და მისი მახვილგონივრული გადაწყვეტით ვაჟამ ძირი გამოუთხარა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის სპარსულიდან მომდინარეობის თეორიას და მეცნიერულად დაასაბუთა პოემის ორიგინალობა. თანამედროვე რუსთველოლოგია მთლიანად იზიარებს მის პრინციპულ მოსაზრებასაც და საბუთიანობასაც.

(ჩვენი მოღვაწეების ყურადღების გარეშე არ დარჩენილა „ვეფხისტყაოსნის“ წყაროების საკითხი, რუსთველის პოემისა და „ტარიელიანის“ ურთიერთობის პრობლემა. მაგალითად: წინააღმდეგ ალ. ხახანაშვილის კონცეფციისა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ხალხურიდან წარმომავლობის შესახებ, ვაჟა ამტკიცებდა, რომ პოემის „შინაარსი, ფორმა, მომენტები“ ლიტერატურულია და არა ხალხური, რომ „ვეფხისტყაოსანი“ პირველადია და ხალხური „ტარიელიანი“ მასზეა დამოკიდებული) მიუხედავად აღნიშნულისა, ის ერთგან შენიშნავდა: „არც ის გარემოება დაამტკიცებს შოთას დიდებულს პოემას, რომ ის იყოს აგებული რაიმე ზღაპარზე — სპარსულზე, არაბულზე თუნდა ქართულზე“. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ვაჟა „ფოლკლორისტთა რიგებში“ გადავიდა. არა! აქ სხვა სიბრტყეზე დგას საკითხი. ქართველი საზოგადოებრიობის ერთი ნაწილი თუ დაუშვებლად თვლიდა რუსთველის პოემის წყაროებზე მსჯელობას და ამას მკრეხელობადაც კი მიიჩნევდა, მეორე ნაწილი ზომიერებას იჩენდა და წყაროებზე მითითებას ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა. ვაჟა წერდა: „აღმოჩენა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა სპარსულ ლიტერატურაში თუ სპარსულ ხალხურ ზეპირგადმოცემაში სრულებით არ დაამტკიცებს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ორიგინალური, ღრმა ეროვნული ნაწარმოები“. უფრო ადრე ნ. ნიკოლაძე ი. ჯაბადართან კამათის პროცესში სიუჟეტის სესხებასა და გამოყენებას მომაკვლინებელ ცოდვად არ თვლიდა და საილუსტრაციოდ შექსპირსა და გოეთეს იმორწმებდა. როგორც ჩანს, რუსთველის სიდიადით აღფრთოვანებულ ქართველ მოღვაწეთა ნაწილი „ვეფხისტყაოსნის“ წყაროების მაძიებელთა გასაგონად აცხადებდა: პოემის საფუძვლის დაქბნით რუსთველის სახელს ჩრდილი არ მიადგებაო.

საგულისხმოა, (რომ ჩვენს მოღვაწეებს „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ ორიგინალურ ნაწარმოებად მიაჩნდათ, არამედ მის ტექსტში თამარის დროის საქართველოს კონკრეტული პოლიტიკურ-ისტორიული ვითარების ანარეკლი ესახებოდათ. მაგალითად, ა. წერეთელი, — დ. ჩუბინაშვილის ისტორიულ-ნაციონალური თეორიის გავლენითა თუ ხალხური გადმოცემების საფუძველზე.—პოემაში უხვად პოულობდა ისტორიულ მასალას, თამარის დროის ანარეკლსა და

გამოძახილს; ი. გოგებაშვილის აზრით, რუსთველმა „მოიწადინა გამოეხატა თამარი, საქართველოს წარჩინებულნი პირნი და აგრეთვე ღირსებანი და თვისებანი ქართველთა ერისა“, მაგრამ, რადგან ამის პირდაპირ, შეუნიღბავად მოცემა შეუძლებელი იყო, მან „პოემას მისცა არაკის ფორმა, მოქმედება გადაიტანა არაბეთში და სხვა უცხო ქვეყნებში და მოქმედნი პირნი არაბების სახელებით გამოიყვანა“. მისი დასკვნით, პოემაში ალგორიულად, შეფარვით გადმოცემულია ქართველი საზოგადოებრიობის ცხოვრება, აღწერილია ქართველთა საქმიანობა) კიდევ უფრო სრულად განიხილავდა ამ საკითხს ვაჟა-ფშაველა. იგი დაბეჭდვით ამტკიცებდა, რომ (რუსთველი თავისი ეპოქის სურათებს იძლეოდა, თავის თანამედროვე გმირებს ხატავდა. მაგრამ შენიღბულად, რათა ყოველივე არ გამომჟღავნებულიყო და „საქართველოში და მეფის კარზე მომხდარი რაიმე ამბავი“ არ მოგონებოდა მკითხველს) ვაჟა კატეგორიული ტონით აცხადებდა: „არავითარი ექვი არ უნდა გვქონდეს იმაში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არაკი ნამდვილი ამბავია, მომხდარი საქართველოში; ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი და სხვა და სხვა ისტორიული პირები არიან გადასხვაფერებულის სახელებით. ჩანს, ამ ამბის გამომჟღავნება არ ესია მოვნიებოდა თამარს და მის მეუღლეს“.)

საყურადღებოა, რომ ჩვენი მოღვაწენი განიხილავდნენ რა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეულ საკითხებს, მათ პოემის ორიგინალობის კვლევის სფეროში ათავსებდნენ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მათი მსჯელობა პოემის ტიპაჟზე.

„ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჟზე ვრცლად შეჩერდა ა. წერეთელი. ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში (1862 წ.); ხოლო შემდეგ განხაზვრებულ ლექციებში (1887 წ.) აკაკი თითქმის ამომწურავად მსჯელობდა პოემის გმირებზე, გულმოდგინედ ეძებდა და გამოყოფდა მათ დამახასიათებელ თვისებებს, ყურადღებას ამახვილებდა თითოეული მათგანის სპეციფიკურ ხასიათზე, ერთმანეთს უდარებდა და უპირისპირებდა მათ ბუნებას და განსხვავებული ნიშნების მიხედვით ცდილობდა მათ ამა თუ იმ ტომისათვის მიკუთვნებას.

რუსთველოლოგიაში ადრეც იყო ცდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ქართულ სინამდვილესთან დაკავშირებისა. მხედველობაში გვაქვს არა პოემის ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაცია (დ. ჩუბინაშვილი), არამედ გმირთა ხასიათებში ქართველთა დამახასიათებელ თვისებათა შენიშვნა (თ. ბაგრატიონი, მ. ბროსე). მაგრამ, მიუხედავად ამისა, აკაკის ცდა მაინც საყურადღებოა, რადგან რუსთველოლოგთა ადრეული გამონათქვამები უგულებელყოფილი და



დავიწყებული იყო. აკაკი ყურადღებას ამახვილებდა პოემის გმირთა სასიათებზე. მისი ლექციების ძირითად მიზანს წარმოადგენდა ჩვენება იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ დახატული გმირები ქართველები არიან, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების წარმომადგენლები, რომლებიც ხელახელ ჩაკიდებულნი მოქმედებენ და არას იშურებენ საერთო მიზნის მისაღწევად. ამის ჩვენებით აკაკი არა მარტო პოემის ორიგინალობის დამტკიცებას ლაშობდა, არამედ ქართველთა ეროვნული გრძობის გაღვივებასაც ცდილობდა.

რუსულ ლექციებში აკაკიმ შესაწყნარებლად მიიჩნია დ. ჩუბინა-შვილის კონცეფცია და ნესტანი თამარ მეფედ გამოაცხადა, ფარსადანი — გიორგი მესამედ, დეარი — რუსუდანად, ტარიელი — დავით სოსლანად და ა. შ. მაგრამ იქვე დასძინა. რომ, მართალია, საქართველოში არსებულმა კონკრეტულმა ისტორიულ-პოლიტიკურმა სიტუაციამ მისცა ბიძგი რუსთველს, მაგრამ პოემაში ამ მომენტმა უკანა პლანზე გადაინაცვლა და ძირითადი ადგილი დაიკავა საქართველოს სხვადასხვა ტომთა შეკავშირების იდეამო.

„ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჟზე მსჯელობისას აკაკი მარტო არ ყოფილა. პოემის გმირები სხვებსაც მიაჩნდათ ქართველებად. მაგალითად, ი. გოგებაშვილიც გულდასმით ეძებდა პოემაში ქართველთა დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს და ამით ცდილობდა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის დასაბუთებას. მისი დაკვირვებით, პოემაში „ნათლად იყო დახატული მაშინდელის ქართველების ღირსებანი: პატივისცემა ქალისა, მფარველობა დაბალის წოდებისა, ძვირად დაფასება ნიჭისა, სამაგალითო ძმობა ჭირსა და ლხინში, ძლიერება სულისა, უშიშრობა ხიფათის წინაშე და სხვანი“; ვაეც „ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჟის შესწავლისა და განხილვისას პირველ რიგში პოემის გმირთა ქართველობის ჩვენებასა და დამტკიცებას ცდილობდა. მისი მოსაზრებით, მართალია, რუსთველმა თავისი ამბავი უცხოურად გამოაცხადა, მოქმედება უცხოეთში გადაიტანა და შესაბამისად გმირებადაც უცხოელები გამოიყვანა, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ ჩაიდინა, რომ „პარმონია არ დარღვეულიყო, ყველს შესაფერად აღესრულებინა თავისი როლი და ყველა გმირი თავთავის ალაგას ყოფილიყო“, თორემ „რო წაიკითხოს ქართველმა კაცმა „ვეფხისტყაოსანი“, შიგ ისეთი სუნი ტრიალებს, ერთ მოქმედ პირზედაც ვერ იტყვი, ქართველი არ არისო“.

ა. წერეთლის ლექციებს გამოეხმაურა და სპეციალური წერილი უძღვნა ი. ჭავჭავაძემ. ამ წერილში ილიამ რუსთველის ქმნილება საფუძვლიანად გაარჩია და მოგვცა მისი ლიტერატურულ-ესთეტი-

კური თვალსაზრისით განხილვის შესანიშნავი ნიმუში. მან აკაკის მიერ ლექციების წაკითხვა და რუსთველის პოემის პოპულარიზაცია საყურადღებო მოვლენად მიიჩნია, მისი მიზანდასახულება და მოქმედება მოიწონა, მაგრამ კრიტიკული შენიშვნებიც გამოთქვა. ილიას დასკვნით: დიდოსტატთა მიერ დახატულ ტიპებს ახასიათებთ არა მხოლოდ ამა თუ იმ ერის სპეციფიკური ნიშან-თვისებანი, არამედ ზოგადსაკაცობრიო, ყველა ხალხისათვის დამახასიათებელი ნიშნები. რუსთველის გმირები მან მიიჩნია ზოგადსაკაცობრიო ტიპებად, რომელთა ეროვნულ-ტომობრივ ჩარჩოებში ჩაყენება შეუძლებლად და გაუმართლებლადაც კი გამოაცხადა.

თავის მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევში ი. ჰავჭავაძე გვევლინება დაკვირვებულ კრიტიკოსად, რომელიც გულდასმით იკვლევს „ვეფხისტყაოსანს“, არკვევს მის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას, ეძებს ტიპიურ მოვლენებს და დაუნჯებულად იძლევა ამომწურავ პასუხს საკამათო საკითხზე. მიუხედავად მრავალი ღირსებისა, მისი მსჯელობა არ იყო დაზღვეული ნაკლისაგან. პოლემიკით გატაცებულმა მწერალმა უყურადღებოდ დატოვა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის უგულვებლყოფამ რამდენადმე ჩრდილი მიაყენა მის ნარკვევს. მას მხედველობიდან გამორჩა, რომ ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს ისეთი დაცილება, როგორც მის წერილში შეინიშნება, არაა გამართლებული. სწორად შენიშნა ამის გამო აკაკიმ: „რატომ არ შეიძლება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყონ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიც?“

უაღრესად საყურადღებოა ჩვენი მოღვაწეების მსჯელობა „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-თემატიკურ მოტივებზე, ენაზე, მის გავლენაზე ქართველი საზოგადოებრიობის ცხოვრებაზე და ა. შ. ისინი აღფრთოვანებული იყვნენ „ვეფხისტყაოსნის“ ღრმაიდეურობითა და რუსთველის ცხოველმყოფელი აზრით, საგანგებოდ გამოყოფდნენ პოემის ძირითად იდეურ მოტივებს (პატრიოტიზმი, მეგობრობა, მიჯნურობა და ა. შ.), წინა პლანზე წამოწევდნენ რუსთველის ბრძნულ ნააზრევს, ჯეროვნად წარმოაჩენდნენ მის შემეცნებითსა და პრაქტიკულ მნიშვნელობას. მათი მართებული მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანი“ საზოგადოებას ასწავლიდა არა მხოლოდ ვაჟკაცურ პირდაპირობასა და სიმართლის მსახურებას, თანამოძმეთა ბედნიერებაზე ზრუნვასა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას, არამედ ამასთანავე დაბეჭიბებით უნერგავდა მარადიული სიყვარულის იდეას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ჩვენი მოღვაწეების წვლილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიურ კვლევა-ძიებაში. როგორც ირკვევა,

პომის ტექსტოლოგიური საკითხი ყოველთვის იზიდავდა მათ ყუ-  
რადლებას. შეიძლება მოვიგონოთ აკაკის საკანდიდატო დისერტაცია,  
რომელშიც მოცემულია კრიტიკული შენიშვნები პომის დ. ჩუბინა-  
შვილისეულ გამოცემაზე და მის სტროფულ შედგენილობაზე, ვაჟას  
გალაშქრება დ. კარიჭაშვილისა და ალ. სარაჯიშვილის ტექსტოლო-  
გიურ ძიებებში დაშვებულ შეცდომათა წინააღმდეგ და სხვ.

გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს ქართველი საზოგა-  
დოებრიობის მოწინავე ნაწილმა გადაწყვიტა რუსთველის პომის  
ტექსტის კრიტიკული დადგენა და მეცნიერული გამოცემა. ი. გოგე-  
ბაშვილმა რ. ერისთავსა და ი. მეუნარგიასთან ერთად სპეციალურად  
მიმართა საზოგადოებას და სთხოვა დახმარება საშვილიშვილო საქ-  
მეში. ამ ფრიად საპატიო საქმის შესასრულებლად ქართველ მოღვა-  
წეთაგან ჩამოყალიბდა ავტორიტეტული კომისია, რომლის შემადგენ-  
ლობაში ჩვენი კულტურის სხვა გამოჩენილ მუშაკებთან ერთად შე-  
დიოდნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი და ი. გოგებაშვი-  
ლი. კომისიის მუშაობას, მართალია, კარგად არ ვიცნობთ, მაგრამ  
ჩვენს განკარგულებაში არსებული მცირე მასალაც გვაძლევს საფუძ-  
ველს დავასკვნათ, რომ დასახელებულმა მოღვაწეებმა აქტიური მო-  
ნაწილეობა მიიღეს საკითხების განხილვაში და ყოველი ღონე იხმა-  
რეს ახალი გამოცემის უკეთ მომზადების მიზნით. კომისიის ენერგიუ-  
ლი და თავდადებული მუშაობის შედეგად „ვეფხისტყაოსნის“ ტექს-  
ტი გაცხრილულ და დაზუსტებულ იქნა და მდიდრულად დაიბეჭდა  
1888 წელს. თავისი დროის კვალობაზე ეს ჩინებული გამოცემა იყო.

წროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი უხვად  
სარგებლობდნენ „ვეფხისტყაოსნით“. მათ ხიბლავდათ და აჯადოებ-  
დათ რუსთველის პოეტური გამოთქმის ძალა და სურნელება. შოთას  
პოეტური გენია მარად კიაფობდა მათ მხატვრულ თხზულებებსა თუ  
მეცნიერულ-კრიტიკულსა და პოლემიკურ-პუბლიცისტურ წერილებ-  
ში. ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და მათი თანამოღვაწენი დაკვირვებით  
ჰკრეფდნენ „ვეფხისტყაოსნიდან“ ბრძნულ გამონათქვამებს, მახვილ-  
გონივრულ აფორიზმებს, სენტენციებს და მარჯვედ და მოხდენილად  
აქსოვდნენ თავიანთ ნაწერებში, ამით ტექსტს მატებდნენ შინაარ-  
სობლივ-აზრობლივ ძლიერებას და ფრაზის იდეურ-შემეცნებით მხა-  
რეს ამდიდრებდნენ.

რუსთველის პომამ დიდი გავლენა მოახდინა ი. ჭავჭავაძის, ა. წე-  
რეთლისა და ვაჟა-ფშაველას პოეტურ ოსტატობაზე. მართალია,  
ილიამ და აკაკიმ გადაახალისეს ძველი პოეტური ხერხები და ფორ-  
მები, ხოლო ვაჟა ერთობ თავისებური პოეტური სამყაროა. მაგრამ

მათ ნაწერებს არც თუ იშვიათად ეტყობათ რუსთველის მხატვრული გენიის გავლენა. მათ ნაწერებში თავს იჩენს ზოგიერთი ისეთი ნიშანი, რომელიც დამახასიათებელი იყო „ვეფხისტყაოსნისათვის“ (სიტყვათა განმეორება და ამით აზრის მკაფიოდ გამონახატვა, მიმართვა და შეძახება, მხატვრული ჩამოთვლა, ზმნათა სიუხვე და ამით სტრიქონის ტევადობის გაზრდა და ა. შ.).

---

შ ი ნ ა ა რ ს ი

|   |                  |
|---|------------------|
| ავტორისაგან . . . . .   | 3— 4             |
| რუსთველოლოგიის დონე მე-19 საუკუნის 60-იანი წლებისათვის . . . . .  | 5— 30            |
| „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები . . . . .   | 5— 15            |
| რუსთველოლოგიური ლიტერატურა . . . . .  | 15— 20           |
| „ვეფხისტყაოსანი“ და საქართველოს ეროვნულ-გამათვისებელი მოძრაობის მოღვაწენი (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი) . . . . . | 31—176           |
| ▼ ილია ქავჭავაძე . . . . .  | <u>31— 62</u>    |
| ■ აკაკი წერეთელი . . . . .  | <u>62 — 97</u>   |
| გიორგი წერეთელი . . . . .   | 97—114           |
| ნიკო ნიკოლაძე . . . . .   | 114—138          |
| ■ იაკობ გოგებაშვილი . . . . .   | 138—150          |
| ■ ვაჟა-ფშაველა . . . . .  | <u>150 — 177</u> |
| დასკვნა . . . . .   | 178—192          |

რედაქტორი რ. ს ი რ ა ძ ე  
გამომცემლობის რედაქტორი მ. ი ნ ა ს ა რ ი ა ძ ე  
ტექნორედაქტორი ი. ჩ ა გ ე ლ ი შ ვ ი ლ ი  
კორექტორი ა. კ ე ლ ი ძ ე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/X-67. ქალაქი 60×90/16.  
ნაბეჭდი თაბახი 12,25. სააღრ.-საგამომც. თაბ. 10,93.  
შეკვეთა № 1164. უე 11513. ტირაჟი 1000.

ფასი 1 მან.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, ი. ჯავახიშვილის ქროსპ., 1.  
Издательство Тбилисского университета, Тбилиси, просп. И. Чавчавадзе, 1.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჯავახიშვილის ქროსპექტი, 1.  
Типография Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.